

178
1974



სახკრთა სამკრთაჲ

საქართველოს ან საზღვარული ქოიგაჲს მამოშხველრა

1974 3



საბჭოთა სამართალი

№ 3

მაისი — ივნისი

1974 წელი

შურნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, კროქუჩაგურიისა და
უმაღლესი სასამართლოს ორგანო
ო რ თ ვ ი უ რ ი ქ ე რ ნ ა ლ ი

ზინაარსი

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობა სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს 1974 წლის 16 ივნისის არჩევნების შედეგების შესახებ	3
თ. მენაბდიშვილი — განუხრელად დავიცვათ საბჭოთა კანონმდებლობა რელიგიური კულტების დარგში	6
ჭ. ხეტურიანი — სამოქალაქო ურთიერთობათა მოწესრიგებაში სამართლისა და მორალის ურთიერთმოქმედების საკითხისათვის	14
ჭ. ბაბილაშვილი — ავტოსატრანსპორტო დანაშაულთა სასამართლო პრაქტიკის ზოგიერთი საკითხი	19

გამომცემლის დასახმარებლად

685581

ბ. ციმაკურიძე — სასამართლო-ბალისტიკური ექსპერტიზის დანიშვნა ცეცხლსასროლი იარაღის გამართულობის გადაწყვეტის მიზნით	33
--	----

სასაზღვრო ჯარების შექმნის 50 წლისთავისათვის

ვ. ბენიძე — საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრების დაცვისა და კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიიდან	36
გ. ყორანაშვილი — კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობა საქართველოში	40
კ. ბზიშვილი — ძველ ქართულ სამართალში ნასყიდობის საგნის საკითხისათვის	53

ლუარსაბ ანდრონიკაშვილის დაბადების 100 წლისთავისათვის

ირ. ხარჩილავა — ლუარსაბ ანდრონიკაშვილი	63
ვ. ყვანიას — სამართალი და სასამართლო ვაჟა-ფშაველას მხატვრულ ნაწარმოებებში	66
ა. მანაველი — შერისხვა	72
ოფიციალური მასალა	76
მოკლე ცნობები	96

კ. მარტსას სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკა



СОДЕРЖАНИЕ

Сообщение Центральной избирательной комиссии об итогах выборов в Верховный Совет СССР девятого созыва, состоявшихся 16 июня 1974 года	3
Т. Менабдишвили — Неуклонно соблюдать советское законодательство в области религиозных культов	6
Дж. Хецуриани — К вопросу о взаимодействии права и морали в регулировании гражданских правоотношений	14
Дж. Бабилашвили — Некоторые вопросы судебной практики по автотранспортным преступлениям	19

В ПОМОЩЬ СЛЕДОВАТЕЛЮ

Г. Цимакуридзе — Назначение судебноболлистической экспертизы для разрешения вопроса об исправности огнестрельного оружия	33
--	----

К 50-ЛЕТИЮ СОЗДАНИЯ ПОГРАНИЧНЫХ ВОЙСК

В. Бенидзе — Из истории охраны границ советского государства и борьбы с контрабандой	36
Г. Коранашвили — Возникновение классов и государства в Грузии	40
К. Бзишвили — К вопросу о предмете купли-продажи по древне-грузинскому праву	53

К 100-ЛЕТИЮ СО ДНЯ РОЖДЕНИЯ Л. Н. АНДРОНИКАШВИЛИ

Ир. Харчилава — Луарсаб Андроникашвили	63
В. Жвания — Право и суд в художественных произведениях Важа-Пшавела	66
А. Манавели — Проклятие	72
Официальный материал	76
Краткие сообщения	96

სარედაქციო კოლეგია

შეგვ. № 2049
ტირაჟი 15 000
უგ (5774)

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი, თ. დადიანი, გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე, მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, ა. ტაკიძე, ვ. ქვაჩახიძე, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენანოვის პროსპ. 107.

გადაეცა წარმოებას 28/V-74 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/VII-74 წ., ქალაქის.
ზომა 70×108¹/₁₆; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,4
საღირსეზო-საგამომცემლო თაბახი 8.87.

საქ. კბკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография изд-ва ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

სენატორი სარჩენო კომისიის წევრი სსრ კავშირის მეხსრე გონავის უმაღლესი საბჭოს 1974 წლის 16 ივნისის არჩევნების შედეგების შესახებ

1974 წლის 18 ივნისს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განიხილა არჩევნების შედეგების შესახებ მიღებული მონაცემები და დაადგინა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ყველა საარჩევნო ოლქში მოეწყო სსრ კავშირის კონსტიტუციისა და არჩევნების დებულების მოთხოვნათა სრული შესაბამისობით.

ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნების საარჩევნო კამპანია მიმდინარეობდა მთელი საბჭოთა ხალხის მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ვითარებაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლის ნიშნით.

არჩევნების მომზადებასა და მოწყობაში ღარ-თოდ მონაწილეობდნენ მშრომლები. მილიონობით საბჭოთა ადამიანი აქტიურად მუშაობდა საარჩევნო კომისიებში, საარჩევნო უბნებში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო საქმედ გადაიქცა.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ყველა 1517 საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი ოქმების საფუძველზე განსაზღვრა მთლიანად ჩვენს ქვეყანაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საბოლოო შედეგები.

არჩევნებისათვის ამომრჩეველთა სიებში შეტანილი იყო 161.724.222 კაცი. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 161.689.612 ამომრჩეველმა, ანუ 99,98 პროცენტმა.

ამომრჩეველთა მონაწილეობას არჩევნებში მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

მოკავშირე რესპუბლიკები	სულ	არჩევნებში მონაწილეობა მიიღო	პროცენტი
რუსეთის სფსრ	89.281.402	89.252.567	99,97
უკრაინის სსრ	33.932.680	33.980.511	99,99
ბელორუსიის სსრ	6.170.189	6.169.880	99,99

უზბეკეთის სსრ	6.167.493	6.167.408	99,99
ყაზახეთის სსრ	7.725.545	7.725.222	99,99
საქართველოს სსრ	2.947.313	2.947.257	99,99
აზერბაიჯანის სსრ	2.648.466	2.648.315	99,99
ლიტვის სსრ	2.186.584	2.186.049	99,98
მოლდავეთის სსრ	2.353.011	2.351.933	99,95
ლატვიის სსრ	1.735.842	1.735.602	99,99
ყირგიზეთის სსრ	1.611.774	1.611.678	99,99
ტაჯიკეთის სსრ	1.506.267	1.506.204	99,99
სომხეთის სსრ	1.887.027	1.886.904	99,99
თურქმენეთის სსრ	1.132.924	1.132.810	99,99
ესტონეთის სსრ	987.755	987.327	99,96


კავშირის საბჭოს არჩევნების შედეგები

კავშირის საბჭოს არჩევნების მოსაწყობად სსრ კავშირის ტერიტორიაზე შეიქმნა 767 საარჩევნო ოლქი. არჩევნები გაიმართა ყველა საარჩევნო ოლქში.

კავშირის საბჭოს დებუტატობის კანდიდატებს ხმა მისცა 161.355.959 ამომრჩეველმა, რაც შეადგენს 99,79 პროცენტს. კანდიდატების წინააღმდეგ ხმა მისცა 332.664 ამომრჩეველმა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების 88-ე მუხლის საფუძველზე გაუქმებულია 84 საარჩევნო ბიულეტენი.

კავშირის საბჭოს არჩევნების კენჭისყრის შედეგები შემდეგია:

დეპუტატობის კანდიდატებისათვის მიცემული ხმების რიცხვი	აბსოლუტური ციფრი	პროცენტობით	დეპუტატობის კანდიდატობის წინააღმდეგ მიცემული ხმების რიცხვი	გაუქმებული ბიულეტენების რიცხვი	არჩეულია დებუტატები
მოკავშირე რესპუბლიკები	161.689.612	99,98	332.664	84	161.656.348
რუსეთის სფსრ	89.281.402	99,97	332.664	84	89.248.138
უკრაინის სსრ	33.932.680	99,99	332.664	84	33.900.016
ბელორუსიის სსრ	6.170.189	99,99	332.664	84	6.169.805
უზბეკეთის სსრ	6.167.493	99,99	332.664	84	6.167.160
ყაზახეთის სსრ	7.725.545	99,99	332.664	84	7.725.212
საქართველოს სსრ	2.947.313	99,99	332.664	84	2.947.000
აზერბაიჯანის სსრ	2.648.466	99,99	332.664	84	2.648.133
ლიტვის სსრ	2.186.584	99,98	332.664	84	2.186.251
მოლდავეთის სსრ	2.353.011	99,95	332.664	84	2.352.678
ლატვიის სსრ	1.735.842	99,99	332.664	84	1.735.509
ყირგიზეთის სსრ	1.611.774	99,99	332.664	84	1.611.441
ტაჯიკეთის სსრ	1.506.267	99,99	332.664	84	1.505.934
სომხეთის სსრ	1.887.027	99,99	332.664	84	1.886.694
თურქმენეთის სსრ	1.132.924	99,99	332.664	84	1.132.591
ესტონეთის სსრ	987.755	99,96	332.664	84	987.422



უზბეკეთის სსრ	6.163.173 99,93	4.229 6 35	საქართველო	2 946.960 99,99	290 3 32
ყაზახეთის სსრ	7.712.219 99,83	13.001 2 39	აზერბაიჯანის სსრ	2 647.752 99 98	613 4 32
საქართველო	2.946.871 99,99	380 6 15	ლიტვის სსრ	2.135.476 99,97	565 5 32
აზერბაიჯანის სსრ	2.647.762 99,98	549 4 15	მოლდოვის სსრ	2 850 567 99,94	1.366 — 32
ლიტვის სსრ	2.135.628 99,98	416 5 10	ლატვიის სსრ	1.734.891 99,56	685 4 32
მოლდოვის სსრ	2 350.773 99,95	1.160 — 11	უიგურეთის სსრ	1.608.884 99,83	2.788 1 32
ლატვიის სსრ	1.734.917 99,96	631 4 7	ტაჯიკეთის სსრ	1.505.271 99,94	933 — 32
უიგურეთის სსრ	1.609.576 99,87	2 096 1 9	სომხეთის სსრ	1.886.536 99,97	368 — 32
ტაჯიკეთის სსრ	1.504.984 99,92	1.201 — 8	თურქმენეთის სსრ	1.132 204 99,95	606 — 32
სომხეთის სსრ	1.886.568 99,98	336 — 7	ესტონეთის სსრ	985.625 99,83	1.672 25 62
თურქმენეთის სსრ	1.132.007 99,93	803 — 6	ყველა მოკავშირე		
ესტონეთის სსრ	985.911 99,86	1.397 19 4	რესპ.-ში	161.443.605 99,85	245.750 89 480

კავშირის საბჭოს არჩევნების ყველა საარჩევნო ოლქში კანდიდატებმა, რომლებიც კენჭს იყრიდნენ, მიიღეს ხმის აბსოლუტური უმრავლესობა და არჩეული არიან დეპუტატებად.


სულ კავშირის საბჭოში არჩეულია 767 დეპუტატი.

აბსოლუტური რესპუბლიკანობისა და

დეპუტატობის კანდიდატებისათვის მიცემული ხმების რიცხვი		
აბსოლუტური ციფრი	304.609 99,98	76 — 11
არეაბსოლუტური ციფრი	190.776 99,97	46 3 11
ბაშკირეთის ასსრ	2.226.400 99,58	9.389 — 11
ბურიატეთის ასსრ	524.343 99,54	2 415 — 11
დაღესტნის ასსრ	729.697 99,95	376 — 11
ყაზახეთის ასსრ	368 096 99,78	811 1 11
აქარის ასსრ	161.183 99,49	831 — 11
ბაშკირეთის ასსრ	344.175 99,96	145 — 11
ბურიატეთის ასსრ	463.177 99,76	1.034 — 11
დაღესტნის ასსრ	570.194 99,75	1.456 — 11
ყაზახეთის ასსრ	425.531 99,84	670 — 11
ქარელიის ასსრ	624 854 99,95	337 — 11
კომის ასსრ	98.352 99,99	5 — 11
მარეთის ასსრ	349 308 99,59	1.451 — 11
მორღვეთის ასსრ	2.050 448 99,46	11.122 — 11
ნახჭევანის ასსრ	128.423 99,87	172 — 11
ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ	877.254 99,79	1 855 — 11
თათრეთის ასსრ	562.798 99,78	1.265 — 11
ტუვის ასსრ	733 086 99,49	3.733 — 11
უდმურტეთის ასსრ	414.236 99,96	1.412 — 11
ჩუვაშეთის ასსრ		
იაკუტიის ასსრ		
ყველა ავტონომიური რესპ.-ში	12.146.943 99,68	38.661 4 220

მოკავშირე რესპუბლიკანობისა და

დეპუტატობის კანდიდატებისათვის მიცემული ხმების რიცხვი		
აბსოლუტური ციფრი	89.052.893 99,78	199.632 42 32
არეაბსოლუტური ციფრი	33.915.508 99,96	15.003 — 32
ბელორუსეთის სსრ	6.166.297 99,94	3 532 1 32
უზბეკეთის სსრ	6.162.292 99,92	5.133 3 32
ყაზახეთის სსრ	7.712 629 99,84	12.584 1 32



**აპტონომიური ოლქებსა და
ეროვნული ოპრუბმზისბან**

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს აპტონომიური ოლქებისსბან ხმა მისცა 1.187.822 ამომრჩეველმა, რაც შეადგენს 99,72 პროცენტს. წინააღმდეგ მისცა ხმა 3.293 ამომრჩეველმა. გაუქმებულად ცნეს ერთი საარჩევნო ბიულეტენი.

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს ეროვნული ოპრუბმზისსბან ხმა მისცა 667.085 ამომრჩეველმა, რაც შეადგენს 99,72 პროცენტს. წინააღმდეგ მისცა ხმა 1.892 ამომრჩეველმა.

ამრიგად, ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ყველა საარჩევნო ოლქში კანდიდატებმა, რომლებმაც კენჭი იყარეს, მიიღეს ხმების აბსოლუტური უმრავლესობა და არჩეული არიან დეპუტატებად. სულ ეროვნებათა საბჭოში არჩეულია 750 დეპუტატი, მათ შორის: მოკავშირე რესპუბლიკების 480 დეპუტატი, ავტონომიური რესპუბლიკებისაგან — 220 დეპუტატი, ავტონომიური ოლქებისაგან 40 დეპუტატი და ეროვნული ოპრუბმზისაგან 10 დეპუტატი.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დებულების 38-ე მუხლის საფუძველზე რეგისტრაციისში გაატარა სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩეული დეპუტატები ეველა 1517 საარჩევნო ოლქში, აქედან 767 კავშირის საბჭოს დეპუტატი და 750 ეროვნებათა საბჭოს დეპუტატი. დეპუტატთა შემადგენლობაში 498, ანუ 82,8 პროცენტი მუშაა, 271, ანუ 17,9 პროცენტი კოლმეურნეა, სულ კი მუშები და კოლმეურნეები შეადგენენ 769-ს ანუ 50,7 პროცენტს.

დეპუტატთა შორის სკკ წევრი და წევრობის კანდიდატია 1096, ანუ 72,2 პროცენტი, უპარტიო — 421, ანუ 27,8 პროცენტი, 475, ანუ 81,8 პროცენტი ქალია, 30 წლამდე ასაკის დეპუტატია 279, ანუ 18,4 პროცენტი, სრულიად საკავშირო აღკ წევრია 174, ანუ 11,5 პროცენტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგები დამაჯერებლად გვიჩვენებენ სოციალისტური დემოკრატიის არსს, საბჭოების ნამდვილად ხალხურ ხასიათს. სახელმწიფო ხელი-სუფლების უმაღლეს ორგანოში კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატთა ერთსულოვანმა არჩევამ კვლავ დაადასტურა საბჭოთა აღმანიების მონოლითური ერთობა და შეკავშირება კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, მათი მტკიცე გადაწყვეტილება კვლავაც თავდადებით იბრძოლონ კომუნისტური მშენებლობის დიდებული გეგმების განხორციელებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია

1974 წლის 18 ივნისი

განუხრალ დანიცვათ საბჭოთა კანონმდებლო რელიგიური კულტების დარგში

თ. მენაბდიშვილი

სსრ კავშირის კონსტიტუცია საბჭოთა მოქალაქეებს ანიჭებს სინდისის თავისუფლებას, რომლის განხორციელება გარანტირებულია საბჭოთა კანონმდებლობით რელიგიური კულტების დარგში. მის საფუძველზე ხდება ჩვენს ქვეყანაში მოქმედი მრავალი რელიგიური მიმდინარეობის, მათ შორის ქრისტიანული რელიგიის სექტის ბაპტიზმის საქმიანობის რეგლამენტაცია.

ერთი შეხედვით თანამედროვე ბაპტიზმის მიმდევრები თითქოს იცავენ საბჭოთა კანონმდებლობას. სინამდვილეში მათი საქმიანობის მრავალი მხარე კანონსაწინააღმდეგაა.

საბჭოთა კანონებისადმი ბაპტიზმის დამოკიდებულების უკეთ გარკვევის მიზნით მოკლედ გავეცნოთ ამ მოძღვრების არსს, ბაპტიზმის პრაქტიკულ საქმიანობას, შემდეგ კი განვიხილოთ სექტის მიმდევართა მიერ საბჭოთა კანონების დარღვევის ცალკეული ფაქტები.

თუმცა ბაპტიზმი იზიარებს ქრისტიანული რელიგიის ყველა ძირითად დოგმას, მას მაინც აქვს განმასხვავებელი ნიშნები. ბაპტიზმის მამამთავრებს მიაჩნიათ, რომ ქრისტიანობამ შეცდომით გაიგო ნათლობის არსი, ამიტომ საჭიროა მისი აღდგენა იმ სახით, როგორც იყო იესო ქრისტეს დროს. კერძოდ მათი რელიგიური რწმენა შეუძლია მიიღოს მხოლოდ უკვე ჩამოყალიბებულმა ადამიანმა. ამიტომ ნათლობა უნდა მოხდეს არა მცირეწლოვან ასაკში, ისე როგორც კათოლიციზმსა და მართმადიდებლობაშია, არამედ უკვე ზრდასრულ ასაკში, ისევე როგორც მოინათლა თვით იესო ქრისტე. ბაპტისტმა შეგნებულად უნდა შეასრულოს ყოველივე ის, რაც ნათქვამია ე. წ. „საღვთო წიგნებში“, რათა მიადწიოს დასახულ მიზანს. მაგრამ ამასთან დაკავშირებით რამდენადმე პარადოქსულად უღერს ის, რომ ბაპტისტ თეოლოგების აზრით მორწმუნემ უნდა გააკეთოს არა მისთვის ან საზოგადოებისათვის სასურველი და სასარგებლო რამ, არამედ ის, რასაც მიუთითებს ღმერთი. სხვა შემთხვევაში, მორწმუნეს არ ექნება ხსნის შესაძლებლობა. „ისევე როგორც შენ შეასრულებ ჩემს სიტყვებს მოთმინების შესახებ, ასევე დავიფარავ იმ ტანჯვისაგან, რომელიც მოეფინება მთელ სამყაროს“ — მოჰყავთ ბაპტისტ მქადაგებლებს ვითომდა ქრისტეს სიტყვები ახალი აღთქმიდან. მაგრამ ვის დაიფარავს ღმერთი ამ ეგრეთწოდებულ უბედურებისაგან? მხოლოდ მას, ვინც არ გადაუხვევს მის მოძღვრებას. როდესაც მოხდება რაიმე უბედურება, ბაპტისტები მორწმუნეს მოუწოდებენ მისი მიზეზი ეძიონ არა ობიექტურ სინამდვილეში, არამედ იმაში, თუ რატომ დაუშვა იგი ღმერთმა. ყოველივე ამას სჭირდება გააზრება, ამიტომ მონათვლა ე. ი. ბაპტისტთა რიგებში შესვლა უნდა მოხდეს შეგნებულად, ე. ი. ქრისტეს მოძღვრების შესწავლით და მისი განხორციელებით. ასეთია ბაპტიზმის ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა.

თუ ბაპტიზმის პირველი მოთხოვნა არის ცდა სხვა რელიგიურ მიმდინა-

რეობებთან დაპირისპირებისა, მეორე მოთხოვნაა მათი რწმენის თავისუფლად, შეუზღუდავად აღიარება. ბაპტიზმის შეგნებულად მიღებასთან ერთად მეორე მოთხოვნად მათ წამოაყენეს ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფა, სახელმწიფოს ჩაურევლობა ეკლესიის საქმიანობაში. ბაპტიტები მოითხოვენ არავინ შეუშალოს მათ ხელი თავიანთი მოძღვრების გავრცელებაში. უფრო მეტიც, მათ სურთ ბაპტიზმის მოძღვრება გავრცელდეს არა მარტო ზრდასრულ ადამიანებს შორის, არამედ სავალდებულოც კი იყოს მისი სწავლება სკოლებში, უმაღლეს თუ საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში. ისინი მოითხოვენ მოზარდი თაობა აღიზარდოს რელიგიური სულისკვთებით. ბაპტიზმის ამ ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნიდან ჩანს, რომ, თუმცა გარეგნულად ისინი რელიგიური კულტების დარგში საბჭოთა კანონმდებლობას აღიარებენ, სინამდვილეში პირდაპირ ეწინააღმდეგებიან მას.

იმ მიზნით, რომ მიმზიდველი გახადონ თავიანთი მოძღვრება,, მათ წინ წამოსწიეს იდეა ღმერთის როგორც სიყვარულის შესახებ. ისინი მიუთითებენ იოანე ღვთისმეტყველზე, რომელიც თითქოსდა ამბობს, რომ „ღმერთი არის სიყვარული“. მთელს ჩვენს ხასიათში უნდა იყოს ანაბეჭდი ღმერთის სიყვარულისა — ეს იქნება ყველაზე დიდი შენაძენი ყოველგვარი შესაძლებლობისა¹. ხოლო ამგვარი სიყვარული ბედნიერებაა, სიცოცხლეა². ბაპტიტები ადამიანებს მოუწოდებენ ერთიმეორის სიყვარულისაკენ, მაგრამ ეს სიყვარული გამომდინარეობს არა ადამიანის ბუნებიდან, არამედ ღმერთიდან. „ჩვენ გვიყვარს ყველა ადამიანი იმიტომ, რომ უფალმა შეგვიყვარა ჩვენ“ — ამბობენ ისინი, როგორც ვხედავთ, ბაპტიტ თეოლოგებისათვის სიყვარულის საფუძველი არის არა ადამიანის მიერ შესრულებული საქმე, არა მისი დაფასება, არამედ მხოლოდ ღმერთისადმი საერთო სიყვარულის გრძნობა. მათი აზრით, მთავარი ის კი არ არის, თუ რომელ, როგორ ადამიანზეა საუბარი, სასარგებლოა თუ არა მისი საქმიანობა საზოგადოებისათვის, არამედ მთავარია ღმერთისადმი სიყვარული. მაგრამ რით გამოიხატება იგი? ბაპტიტ მქადაგებელთა აზრით ღმერთისადმი სიყვარული მხოლოდ მისადმი ლოცვით, ხვეწნა — მუდარით გამოიხატება. როგორც ვხედავთ, ბაპტიტური „ჰუმანიზმი“ ანტისაზოგადოებრივი ხასიათისაა. იგი უარყოფს ადამიანის ადამიანურ მხარეებს და სადღაც, უაზრო სამყაროში არსებულ ღმერთის სიყვარულს გვთავაზობს. ცხადია, ამგვარი მოძღვრება მხოლოდ ადამიანური რწმენის დაკარგულ პირისათვის შეიძლება იყოს მისაღები. კარგად შენიშნავდა კ. მარქსი თავის ნაშრომში — „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის, შესავალი“, — რომ „რელიგია არის თვითცნობიერება ან თვითგრძნობა იმ ადამიანისა, რომელმაც ან ჯერ ვერ აღმოაჩინა თავისი თავი, ანდა უკვე ხელახლა დაკარგა“³. მარქსის მიერ რელიგიის ამგვარი განსაზღვრა თვალნათლივ გვიხასიათებს ნებისმიერი რელიგიის, მათ შორის ბაპტიზმის ჭეშმარიტ არსს.


ბაპტიზმის ძირითად მოთხოვნებს იმეორებენ საქართველოში მოქმედი ბაპტიტი მორწმუნეებიც, რომლებმაც განსაკუთრებით გაააქტიურეს თავიანთი საქმიანობა დიდი სამამულო ომის შემდგომ პერიოდში.

ბაპტიტთა აქტიურობის მაჩვენებელია სექტის წევრთა რაოდენობის ზრდა,

¹ Братский вестник. 1971 г., № 4, გვ. 53.

² იქვე.

³ К. Маркс и Ф. Энгельс. Полн. собр. соч., т. I, გვ. 414—415.



როგორც ქ. თბილისში, ასევე საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და სოფლებში მოქმედ თემებში. მაგალითად, ბათუმში მოქმედი თემები თავის რიგებში 1945 წელს უკვე აერთიანებდა 60 წევრს, ლავოდების რაიონის სოფ. ნოვო ულიანოვკაში მოქმედი თემი — 80 წევრს, ხოლო საგარეჯოს რაიონის სოფ. კრასნოგორკაში მოქმედი თემი — 100-მდე წევრს, თბილისში მოქმედ ბაპტისტთა თემმა მხოლოდ 1945 წელს თავის რიგებში მიიღო 73 ახალი წევრი.

ბაპტისტთა თემების რიცხოვრები ზრდა შედეგი იყო სექტის ხელმძღვანელთა აქტიური მისიონერული საქმიანობისა. ისინი ცდილობდნენ ჩაეგონებინათ ადამიანებისათვის, რომ მათი რწმენა მხოლოდ ხალხის კეთილდღეობას ემსახურება. როგორც ბათუმის თემის პრესვიტერი აცხადებდა „საზოგადოებისათვის პოლიტიკურ სიმართლეს კომუნისტები ანხორციელებენ, ხოლო სასულიერო სწორ გზას — სახარების ქრისტიანი — ბაპტისტები“.

თუმცა კანონმდებლობით რელიგიის პროპაგანდა დასაშვებია მხოლოდ საპეციალურად გამოყოფილ საკულტო შენობებში, სამლოცველოებში, სექტის ხელმძღვანელები ცდილობდნენ ყველგან აგიტაცია გაეწიათ თავიანთი რელიგიური რწმენისათვის. მაგალითად, სექტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი პ. ჯანაშვილი 1946 წელს ზუგდიდში მივლინებაში ყოფნის დროს ინგირის საღვთო-ზე ეწეოდა ბაპტიზმის პროპაგანდას. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ მის მიერ გაწეული მუშაობის შედეგად ზუგდიდში ჩამოყალიბდა ბაპტისტთა თემი, რომელიც ამჟამადც მოქმედებს.

ბათუმელი ბაპტისტებიც აშკარად ეწეოდნენ თავისი რწმენის აგიტაციას, რათა გაეზარდათ თავიანთი რიგები.

ბაპტისტთა პრესვიტერები ბევრს მოგზაურობდნენ წვრილ სექტანტურ გაერთიანებებში და გარკვეულ მუშაობას ატარებდნენ მათთან. ამ დროისათვის უკვე შეიქმნა ბაპტისტთა რამდენიმე დამოუკიდებელი თემი. კერძოდ ისინი მოქმედებდნენ საგარეჯოს რაიონის სოფ. მალხაზოვკაში (30 წევრით), სიღნაღის რაიონის სოფ. ქვემო მალაროში (25 წევრით), ქ. ფოთში (18 წევრით) და ქ. ცხაკაიაში (12 წევრით). სექტის ხელმძღვანელთა აქტიური მუშაობის შედეგად ბაპტისტებს უერთდებიან სხვა სექტანტური მიმდინარეობის წარმომადგენლებიც.

თუმცა ბაპტისტური რელიგია მოითხოვს ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთიმეორისაგან სრულ იზოლაციას, რითაც იგი თითქოსდა ეთანხმება საბჭოთა კანონმდებლობას, რელიგიური კულტების დარგში, ისინი თავიანთი რიგების გაზრდის მიზნით ამ პრინციპს ხშირად არღვევენ. მაგალითად, ომის წლებში ბათუმელ ბაპტისტთა პრესვიტერი ხშირად საუბრობდა არა მხოლოდ რელიგიის საკითხებზე, არამედ აცნობდა მორწმუნეებს საბჭოთა არმიის მდგომარეობას ფრონტებზე. კანონმდებლობით კი სამლოცველოს გამოყენება პოლიტიკური გამოსვლებისათვის აკრძალულია. თუმცა კანონმდებლობა რელიგიურ გაერთიანებებს არ რთავს ნებას მოაწყონ ახალგაზრდობისა და ბავშვთა სპეციალური შეკრებები, ისინი ხშირად არღვევენ ამ მოთხოვნასაც. მაგალითად, 1946 წელს თბილისის ბაპტისტთა რუსული თემის პრესვიტერმა კრასინსკიმ საშობაონადების მოწყობასთან დაკავშირებით შეკრიბა არასრულწლოვანები, უმეტესად მოსწავლეები და ესაუბრა მათ ბაპტიზმის შესახებ.

1947 წელს თბილისის თემის სამლოცველო სახლთან, რუსანოვის ხელმძღვანელობით, იმ ახალგაზრდებისათვის, რომლებიც ჯერ არ გამხდარიყვნენ ბაპტისტები, ჩამოყალიბდა ბიბლიის კითხვისა და ახსნის ჯგუფი. სამლოცველო

სახლში მათ, ვისაც ამზადებდნენ მოსანათლავად, თვენახევრის განმავლობაში ასწავლიდნენ ბაპტიზმს. სექტის ხელმძღვანელები ნებას რთავდნენ და თვითონვე ესწრებოდნენ შეკრებებს მორწმუნეთა ბინებში. ასევე სამლოცველოში, გუნდის მომზადების მიზნით, საღამოობით აწყობდნენ ახალგაზრდობის შეკრებებს. ამ მომენტს ისინი არ უშვებდნენ ხელიდან, ცდილობდნენ გადაემუშაებინათ ახალგაზრდობის გონება და მოეწამლათ იგი რელიგიური სისულელეებით. ანალოგიურად იქცეოდნენ ბაპტისტთა სხვა თემების ხელმძღვანელებიც. მაგალითად, ბათუმში მოქმედ ბაპტისტთა პრესვიტერი მორწმუნეებს შთააგონებდა, რომ „ქრისტეს დაბადების 2000 წლისთავზე დედამიწაზე მოხდება დიდი ცვლილება, ყველა იწამებს სახარებისეულ ქრისტიან ბაპტისტთა მოძღვრებას და მერე მოისპობა სიცოცხლე“, რომ თითქოს „მეორე მსოფლიო ომი ჯერ არ დამთავრებულა, იგი უნდა დამთავრდეს ეგვიპტეში“ და სხვ.

ამგვარი აგიტაციის შედეგად ბაპტისტთა რიგები კვლავ იზრდება. ჩნდება ახალი დამოუკიდებელი თემები. კერძოდ 1947 წელს ქ. ოჩამჩირეში გამოვლინდა ბაპტისტთა ჯგუფი 25 წევრით.

ბაპტისტთა სექტის ხელმძღვანელები განსაკუთრებით ბევრს მუშაობენ მოლოკანთა სექტის წევრებს შორის. 1947 წელს თბილისელ ბაპტისტთა რუსული თემის პრესვიტერმა კრასინსკიმ ქ. თბილისში საბურთალოს მოლოკანთა საზოგადოებას წინადადება მისცა ჩაეტარებინათ გაერთიანებული შეკრება ლოცვისათვის.

მისიონერული მუშაობა ბაპტისტებს არც შემდგომ პერიოდში შეუწყვეტიათ, რის შედეგადაც თბილისელ ბაპტისტთა რიგებს 1951 წელს შეემატა 80 ახალი წევრი, ხოლო 1956 წელს დამოუკიდებელ თემად ჩამოყალიბდა რუსთავის ბაპტისტთა ჯგუფი. პარალელურად ხდება ბაპტისტებთან ორმოცდაათიანელთა გაერთიანება. 1958 წელს ისინი გაერთიანდნენ ბათუმში, სოხუმში, გუდაუთაში. ამავე წელს თბილისელ ბაპტისტებს შეუერთდა ორმოცდაათიანელთა ერთი ნაწილი.

1953-დან 1958 წლამდე ბაპტისტთა რიგები კვლავ იზრდება. თუმცა ამ პერიოდისათვის ბაპტისტთა რიგებში აშკარად იჩინა თავი წინააღმდეგობამ. უფრო მეტად რეაქციულად განწყობილი ნაწილი წინააღმდეგია საერთოდ ბაპტიზმის შემგუებელი ბუნებისა. იგი წინა პლანზე წამოსწევს ბაპტიზმის ერთ-ერთ მოთხოვნას — ეკლესიის დამოუკიდებლობას და თავის მხრივ წინააღმდეგია რელიგიური რწმენის „შეგნებულად“ მიღების აუცილებლობის მოთხოვნისა, ამიტომ პირველ პლანზე აყენებს მოზარდ თაობაში რელიგიის სავალდებულო სწავლებას. ეს მოთხოვნა ბაპტისტთა ხელმძღვანელობამ შეინარჩუნა დღესაც. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა არ რთავს ნებას, ისინი სხვადასხვა ფორმით და მეთოდებით ყოველნაირად ცდილობენ დანერგონ თავიანთი მოძღვრების სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობაში.

ბაპტიზმში აღნიშნულმა წინააღმდეგობამ თავი იჩინა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთლიანად საბჭოთა კავშირში. ამ წინააღმდეგობას თბილისში საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ 1945 წელს.

კონკრეტულად გათიშვა საქართველოში მოქმედ ბაპტისტთა შორის იწყება 1960 წლიდან, როდესაც თბილისელმა ბაპტისტებმა დღის წესრიგში დააყენეს მათი საეკლესიო საბჭოს გადახალისების საკითხი, როგორც მათი კრების ოქ-



მიდან ჩანს, ბაპტიტებმა საბჭოში არ შეიყვანეს პავლოვი, ევლამკოვი და სხვები. განაწყინებულმა ჯგუფმა მიატოვა კრება და ფაქტიურად ჩამოაყალიბა მათი მიმდევრებისაგან შექმნილი ახალი ჯგუფი. ამ გათიშვის სალიკვიდაციოდ ამავე წელს ბაპტიტთა საკავშირო საბჭოს წარმომადგენლები ორჯერ ჩამოვიდნენ თბილისის თემში, მაგრამ მათმა ცდამ შედეგი ვერ გამოიღო, გათიშულთა შერიგება ვერ მოხერხდა, რადგან პავლოვის მომხრეთა ჯგუფი პირიქით ცდილობდა თავისკენ გადაეხარა სხვებიც.

აღნიშნული გათიშვის შემდეგ საქართველოს სხვადასხვა რაიონში მოქმედი თემების პარალელურად ყალიბდება ბაპტიტთა საწინააღმდეგო თემები. ისინი თბილისის გარდა იქმნება სოხუმში, ბათუმში, გავრაში, ოჩამჩირეში და სხვაგან და დღესაც განაგრძობენ არალეგარულ შეკრებებს.

ერთი შეხედვით შეიძლება მიგვეჩვენოს, რომ ბაპტიზმში ზემოაღნიშნული გათიშვა ცალკეულ პირთა უთანხმოების, ამა თუ იმ თემში ხელმძღვანელობისათვის ბრძოლის შედეგია, მაგრამ სინამდვილეში გათიშვა გამოვლინებაა იმ შინაგანი წინააღმდეგობისა, რითაც ხასიათდება საერთოდ რელიგია და, კერძოდ, ბაპტიზმი. დოგმატიკის შეუთავსებლობა სინამდვილესთან, ესაა უპირველესი მიზეზი, რამაც გათიშა ბაპტიტები. მათი წევრების ნაწილი ცდილობს მოძებნოს ახალი ფორმები, რათა შეუგუოს თავიანთი დოგმები თანამედროვეობას. ამიტომ ისინი იღებენ გარკვეულ სიახლეებს და ცდილობენ იგი შეიტანონ თავის მოძღვრებაში. მეორენი თავისი დოგმების დაცვის მიზნით სინამდვილისაგან განდვომას არჩევენ. ამიტომ მათთვის მიუღებელია არა თუ სიახლის შეტანა დოგმატიკაში, არამედ შეგუების უკვე მიღებული ფორმების არსებობაც კი. ისინი ცდილობენ შეინარჩუნონ ბაპტიზმის მოძღვრება ორთოდოქსალური სახით, არ სურთ შეიცვალოს მისი თავდაპირველი ჩამოყალიბების დროინდელი სახე. ამ ძირითად წინააღმდეგობათა გვერდით პირადი უთანხმოების არსებობამ დააჩქარა ბაპტიტთა რიგების გათიშვა.

თუმცა შინაგანი წინააღმდეგობა აშკარად არის გამოვლენილი, ბაპტიტთა სექტის ხელმძღვანელები ცდილობენ იგი შემთხვევითად მოგვაჩვენონ. ამიტომ მათი საკავშირო საბჭო ყოველმხრივ ცდილობს დასძლიოს ეს უთანხმოება. ბაპტიტთა პრესვიტერები მორწმუნეებთან სისტემატურ მუშაობას ატარებენ, რათა შეინარჩუნონ სექტის არსებობა. როგორც ზემოთ მოყვანილი ფაქტებიდან ჩანს, ისინი, არა თუ ახერხებენ ამას, არამედ ზრდიან კიდევაც თავიანთ რიგებს. ამაზე ნათლად მეტყველებს უკანასკნელ წლებში ბაპტიტთა მიმდევრების რიცხოზობრივი ზრდა. უკანასკნელ წლებში ბაპტიტთა სექტის ხელმძღვანელებმა ორიენტაცია აიღეს ახალგაზრდებზე, განათლებულ ადამიანებზე, მუშებსა და მოსამსახურეებზე. სხვა რელიგიურ მიმდინარეობისაგან განსხვავებით ბაპტიზმში საკმაოდ მცირე ხვედრითი წილი მოდის პენსიონერებზე. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ბაპტიტთა სექტის ხელმძღვანელები აშკარად არღვევენ საბჭოთა კანონმდებლობას, აქტიური მუშაობა გაშალეს ჩვენს სასწავლებლებსა, საწარმოებსა და დაწესებულებებში, რის შედეგადაც ზრდება მუშა-მოსამსახურეთა და საშუალო განათლების მქონეთა წილი მათს რიგებში.

ბუნებრივია ისმის კითხვა: რა საშუალებით ახერხებენ ისინი ამგვარ აგიტაციას?

ბაპტიტთა სექტაში მიზიდვის მუშაობის ძირითადი ფორმაა ინდივიდუა-

ლური საუბარი. ამგვარ საუბრებს სექტის ხელმძღვანელები — პრესვიტერები როგორც თავიანთ, ისე თვით მორწმუნეთა საშუალებით ატარებენ.

სექტის ხელმძღვანელთა გავლენა უფრო მეტად ვრცელდება ქალებზე, ვიდრე მამაკაცებზე. როგორც 21 წლის ქ. კ. აცხადებს (8 კლასის განათლებით), მას სჯერა, რასაც ეუბნება პრესვიტერი. ამიტომ პრესვიტერის ყოველ სიტყვას მისთვის კანონის მნიშვნელობა აქვს. თითქმის ასეთივე აზრისაა 64 წლის ბაპტიستي ქალი, დაბალი განათლების მქონე ე. ხ. „მთავარი ისაა, რომ გავიგოთ უფალის სიტყვა, რომელიც გადმოცემულია საღვთო წიგნებში. ამ გავებაში კი გვეხმარება პრესვიტერი. ამიტომ მისი საშუალებით ჩვენ გვემის ღვთის სიტყვა“.

თანამედროვე ბაპტიზმს მთელი ყურადღება გადააქვს სამყაროში ადამიანის ადგილის პრობლემაზე. მათი მოძღვრების თანახმად ადამიანი გაგებულია როგორც ცოდვიანი, როგორც დაცემის გზაზე მყოფი არსება. ამიტომ ადამიანის მიწიერი არსებობა, როგორც ეს ცალკეულ ბაპტიისტებთან საუბარშიც ჩანს, უაზრობაა. ხოლო სიკვდილი, რომლითაც ადრე თუ გვიან თავდება ადამიანის სიცოცხლე, თითქოსდა პირველი ადამიანების ცოდვის შედეგია. ადამიანი იბადება, იზრდება, წუხს, იტანჯება და კვდება. ეს არის მთელი მისი მიწიერი ცხოვრება. ამიტომ ბაპტიზმის მიხედვით, ამგვარ ცხოვრებას, ამგვარ სიცოცხლეს აზრი არა აქვს. არ იზიარებენ რა არც მატერიალიზმის, არც იდეალიზმის შეხედულებას სამყაროს შესახებ, ბაპტიისტები აცხადებენ, რომ საჭიროა მესამე გზა, რომელიც შეურწყავდა „მიწასა და ცას“ ერთი მეორეს, დააკმაყოფილებდა ჩვენს გონებას, როგორც სიკეთე, ჩვენს გრძნობებს როგორც სილამაზე,⁴ და ეს მესამე გზა, მათი აზრით, არის რელიგიური რწმენა ღვთისა, სულის უკვლავებისა, საიქიო ცხოვრებისა.

ამრიგად, ბაპტიზმის მიხედვით, ცხოვრების აზრის ერთადერთი სწორი გადაწყვეტა იქნება გასვლა მიწიერი ცხოვრების საზღვრებიდან, ე. ი. სიცოცხლის აზრი არ შეიძლება თვით მასში იყოს და ისინი სთავაზობენ მორწმუნეებს რწმენას სხვა, იმპერსონური, სიკვდილის შემდეგ სიცოცხლისას.

სამყაროს გაორების, რელიგიური თვითგასხვისების მიწიერი და წარმოსახვითი ზეციური სამყაროს არსებობის საფუძვლები ახსნა მარქსიზმმა, რომლის მიხედვით ამგვარი წარმოდგენის საფუძველი გნოსეოლოგიურ ძირთან ერთად არის სოციალური. კერძოდ, იგი შედეგია სოციალ-ეკონომიური განსხვავებისა, სოციალური მარტობისა, მისი იზოლირებულობისა, ექსპლოატაციისა და სხვ. ე. ი. შიშის გრძნობისა, რომელიც ისტორიულ ხასიათისაა, განისაზღვრება პიროვნების ცხოვრების კონკრეტული სოციალური პირობებით და დაკავშირებულია ინდივიდუალიზმის როგორც სოციალური მოვლენის განვითარებასთან.

მარქსიზმი გვასწავლის, რომ ამგვარი პესიმისტური განწყობის დაძლევა შეიძლება არა რელიგიური სიმშვიდით, არამედ იმ საფუძვლების მოსპობით, რომლებიც ბადებენ ინდივიდის სოციალურ განსხვავებას და სამყაროს ინდივიდუალურ აღქმას. ამრიგად, პიროვნების ჩამოყალიბება შეიძლება მოხდეს იქ, სადაც იგი იპოვის აუცილებელ სულიერ ჰარმონიას, მორალურ კმაყოფილებას. ასეთი სოციალური გარემო კი არის კოლექტივი, საზოგადოება.

თავისებური წარმოდგენა აქვთ ბაპტიისტებს შრომის შესახებ. იგი გავე-

⁴ Вестник спасения, 1965 г., № 3 (11), стр. 5.

ბულია როგორც რელიგიური მოვალეობა. ისინი ეყრდნობიან რა პროტესტანტულ გაგებას ადამიანის არსის შესახებ, მისი რელიგიურ-ნებელობითი მნიშვნელობა სამყაროში აღნიშნება არა მისი შრომის შეფასებით, არამედ შრომას აცხადებენ რელიგიურ მოვალეობად, ღვთის სამსახურად, მორწმუნის რელიგიურ აუცილებლობად.

შრომა ამგვარად ესმით აგრეთვე საქართველოში მცხოვრებ ბაპტისტებს. „იშრომეთ, რომ არ იყვნეთ მკვდრები“ — მოუწოდებდა მორწმუნეებს მათი უფროსი პრესვიტერი პ. ჯანიაშვილი 1966 წლის 23 ოქტომბერს. ვინც არ შრომობს, ვისაც საზოგადოებრივი დოვლათის დაგროვებაში არ შეაქვთ თავისი წვლილი, მას სწორად ვერ გაუგია ღმერთის სამსახური. ქრისტე თვითონ გვეუბნება, რომ ადამიანის შრომა მისი სახის მაჩვენებელია. ამიტომ ის, ვინც შრომობს, ყოველთვის განიცდის თვითკმაყოფილებას. იგი ასევე ასრულებს ქრისტეს მითითებებს. შრომა, ადამიანის არსებობის შენარჩუნებასთან ერთად, ბაპტიზმს ესმის, როგორც სულის ხსნის საშუალება, როგორც ღმერთისადმი სამსახური. „ვისაც შეუძლია და არ მუშაობს, იგი მავნებელია როგორც საზოგადოებისათვის, ისევე მავნებელია უფლის საქმისათვის“, აცხადებს 34 წლის საშუალო განათლების მქონე მორწმუნე კაცი ა. გ., ხოლო 31 წლის მორწმუნის, საშუალო განათლების მქონე ქალის თქმით, იმ ადამიანის სული, რომელიც არ შრომობს, ჰგავს ჭაობს, რომელშიც კარგი არაფერია და არც არაფერში არ გამოიყენება. მართალია, შრომა ადამიანისათვის სოციალური აუცილებლობაა, რადგან როგორც შენიშნავდა ფ. ენგელსი, „შრომა ადამიანის მთელი სიცოცხლის პირველი ძირითადი პირობაა და მასთან ერთად, რომ ჩვენ გარკვეული აზრით უნდა ვთქვათ: შრომამ შექმნა ადამიანი“.⁵ ამიტომ ბაპტიტთა დაყრდნობა ბიბლიაზე, რომლის მიხედვით თითქოსდა ღმერთმა პირველი ადამიანები ადამი და ევა მათი პირველი ცოდვის გამო დაავადებულა ეშრომათ, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია, რადგან, როგორც ფ. ენგელსის ზემოაღნიშნული შენიშვნაც მიუთითებს, ადამიანი როგორც სოციალური არსება, მხოლოდ შრომის შედეგად ჩამოყალიბდა, ე. ი. საზოგადოება უშრომლად შეუძლებელია არსებობდეს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ შრომა ადამიანის ატრიბუტია, ხოლო რელიგია მთელი თავისი მოძღვრებით ისტორიული პროცესია და როგორც ისტორიულს, რომელსაც ახასიათებს წარმოშობა, უნდა ახასიათებდეს აგრეთვე მოსპობაც.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ თანამედროვე ბაპტიზმი, ამოფარებული თავის შემგუებლურ ბუნებას, თუმცა ერთი შეხედვით აღიარებს და ახორციელებს თავის საქმიანობაში საბჭოთა კანონმდებლობას რელიგიური კულტების დარგში, სინამდვილეში ყოველმხრივ ცდილობს დაამახინჯოს იგი, გადაუხვიოს მას. ამიტომ, ვფიქრობთ, აუცილებელია ადგილებზე უფრო მეტად იქნას განხორციელებული მათი საქმიანობის მიმართ კონტროლი, რათა აღიკვეთოს კანონმდებლობის ის დარღვევები, რაც ასე ხშირად გვხვდება მათს ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში.

ცხადია, აუცილებელია ათეისტური პროპაგანდის შემდგომი გაძლიერება, რათა შევაჩეროთ ბაპტიზმის აქტიურობა.

უპირველესი როლი დღევანდელ პირობებში ბაპტიტ მორწმუნეებთან მუშაობაში უნდა შეასრულონ თვით იმ კოლექტივებმა, სადაც ბაპტიტებს

⁵ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწარმოები, ტ. II. თბ., 1964 წ. გვ. 88.

უხდებათ ურთიერთობა. მორწმუნე ბაპტიტთა უმრავლესობა სექტაში შეს-
კლის მიზეზად აცხადებს იმ ყურადღებას და ინტერესს თვითეული ადამიან-
ისადმი, რასაც მორწმუნეები იჩენენ. ამიტომ საჭიროა ყოველი ორგანიზაცია
თავისი წევრებისადმი იმგვარ დამოკიდებულებაში იმყოფებოდეს, რომ მათ
არ იგრძნონ თავი კოლექტივისაგან განცალკევებულად, იზოლირებულად, რა-
საც ინდივიდი მიჰყავს რელიგიამდე. ბაპტიტთა უმრავლესობა მორწმუნეთა
ზორის და თავის შრომითს კოლექტივში ურთიერთობის შედარებისას უპირა-
ტესობას პირველს ანიჭებს. ამიტომ ყოველ კოლექტივში ბოძოლა ინდივიდუა-
ლიზმის წინააღმდეგ, ბოძოლა ინდივიდებს შორის ჰარმონიული ურთიერთობის
შექმნისათვის ათვისებული მუშაობის თავისებური ფორმაა.

ათვისტურ პროპაგანდაში დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე საზოგადო-
ებრივ ორგანიზაციათა საქმიანობას. თავიანთ მუშაობაში მორწმუნეთა თუ
მერყევ პიროვნებათა ჩაბმით მათ შეუძლიათ წაართვან ბაპტიზმს ადამიანთა
საქმარ რაოდენობა.

გარდა ზემოაღნიშნული ღონისძიებებისა, მორწმუნეთა რელიგიური ბუ-
რუსისაგან განთავისუფლებაში დიდი როლის შესრულება შეუძლებელია თვით
რელიგიის დოგმატიკისა და რელიგიურ გაერთიანებათა, კულტის მსახურთა და
მორწმუნეთა საქმიანობის გამოაშკარავებას, რაც ქმნის საზოგადოებრივ აზრს
რელიგიის საწინააღმდეგოდ; ეს კი თავის მხრივ ზეგავლენას ახდენს მორწმუ-
ნეზე, მის შეხედულებებზე და აქლევს საშუალებას საღი გონების თვალთ შე-
ხედოს თავის რწმენას. ამგვარი პროპაგანდა შეიძლება განხორციელდეს რო-
გორც ლექციების, ისე ინდივიდუალური მუშაობის გზით. არამორწმუნეებთან
მუშაობისას უფრო მეტად ეფექტურია სალექციო პროპაგანდა, ხოლო მორწ-
მუნეებთან — ინდივიდუალური მუშაობა.

თანამედროვე პირობებში, როდესაც საბჭოთა ხალხი წარმატებით აშენებს
კომუნისტურ საზოგადოებას, წარსულის მავნე გადმონაშთის — რელიგიის წი-
ნააღმდეგ ბოძოლა ყოველი საბჭოთა ადამიანის უპირველესი მოვალეობაა. რე-
ლიგიური რწმენისაგან ყოველი ადამიანის ჩამოცილება ჩვენს საზოგადოებას
შემატებს ახალ აქტიურ წევრს, კომუნისტური საზოგადოების მშენებელ ადა-
მიანს.

სამოქალაქო ურთიერთობათა მოწესრიგებაში სამართლისა და მორალის ურთიერთმოქმედების საკითხისათვის

ჯ. ხეცურიანი

საზოგადოებას, როგორც ერთიან სოციალურ ორგანიზმს არ შეუძლია იარსებოს, საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირების გარეშე. საზოგადოებრივი ურთიერთობების, ადამიანების, კოლექტივების, სოციალური ჯგუფების, ქცევის მომწესრიგებელი ნორმები სოციალური ნორმებია. მათი ერთ-ერთი სახეა სამართლებრივი ნორმა, მათ შორის სამოქალაქო სამართლებრივი ნორმა, რომელიც აწესრიგებს ქონებრივ და მასთან დაკავშირებულ პირად არაქონებრივ ურთიერთობებს. მაგრამ ამ ურთიერთობათა მოწესრიგების დროს ვლინდება სამოქალაქო სამართლისა და მორალის ნორმების ურთიერთმოქმედება. ⁴

წინამდებარე, სტატიაში ჩვენ განვიხილავთ სამოქალაქო სამართლისა და მორალის ურთიერთმოქმედების მხოლოდ ზოგიერთ ასპექტს.

ზოგჯერ ამა თუ იმ ქონებრივ, თუ პირად არაქონებრივ ურთიერთობათა მოწესრიგება ხდება როგორც სამოქალაქო სამართლის ნორმებით, ისე მორალით. მაგალითისათვის ავიღოთ ურთიერთობა კრედიტორსა და მოვალეს შორის, როდესაც ერთმა პირმა მეორეს გარკვეული ვადით ასესხა განსაზღვრული რაოდენობის თანხა. თუ მოვალე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში არ დაუბრუნებს ნასესხებ თანხას კრედიტორს, მაშინ ამ უკანასკნელს ასეთი სახის ვალდებულებისათვის დაწესებულ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაში შეუძლია წარადგინოს სარჩელი სასამართლოში და მოითხოვოს თანხის დაბრუნება, ე. ი. გამოიყენოს სახელმწიფოს იძულების ძალა. მაგრამ თუ კრედიტორმა გაუშვა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა, მაშინ მას ეკარგება უფლება სახელმწიფოს იძულების ძალით დაიბრუნოს გასესხებული თანხა. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ მოვალეს შეუძლია არ დაუბრუნოს თანხა კრედიტორს. მას ვერავითარი სამართლებრივი სანქციით ვერ აიძულებენ ვალი დააბრუნოს, რადგანაც სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ სამართალი წყვეტს თავის მოქმედებას და შესაბამისად იკარგება სანქციის გამოყენების შესაძლებლობაც. მაგრამ მოქმედებას იწყებს მორალური სანქცია, რადგან ვალდებულებით ურთიერთობებს მორალიც აწესრიგებს. კომუნისტური მორალის მოთხოვნებით, ყოველმა პირმა კეთილსინდისიერად უნდა შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები როგორც სახელმწიფოს, ისე, მოქალაქეების მიმართ. საზოგადოებრივი აზრისათვის მნიშვნელობა არა აქვს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გასულია თუ არა. მთავარია, რომ მოქალაქემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლისას ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა. ასეთი ქცევისათვის საზოგადოება გაკიცხავს მას და უნდობლობას გამოუცხადებს. საზოგადოების თვალში დაეცემა მისი ავტორიტეტი, ღირსება. შეიქმნება მის მიმართ უარყოფითი საზოგადოებრივი აზრი. ეს გასაგებია, რადგან კომუნისტური მორალი ამ პიროვნების ვალდებულებას შეუსრულებლად მიიჩნევს მანამ, სანამ იგი ნასესხებ თანხას არ დაუბრუნებს კრედიტორს. ⁵

ხელშეკრულებით დათქმული ვალდებულების შესრულების დროდან სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე სამოქალაქო სამართალი და ამავე დროს მორალიც ავალდებულებს პირს დაუბრუნოს თანხა კრედიტორს — შეასრულოს მოვალეობა, ე. ი. სამოქალაქო სამართალიც და მორალიც ერთგვაროვნად არეგულირებენ ამ ურთიერთობას, თუმცა მოვალეზე მოქმედებენ სხვადასხვა მეთოდებით: ერთი იძულების გამოყენების მუქარით, მეორე კი მორალური ზემოქმედებით. ორივე მიმართულია იქითკენ, რომ პირმა დაუბრუნოს თანხა კრედიტორს, ე. ი. შეასრულოს სამართლებრივი და ამავე დროს მორალური ვალდებულება. სწორედ აქ ვლინდება სამოქალაქო სამართლისა და მორალის ზემოქმედება. —

მდგომარეობა იცვლება სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლისას. ამ მომენტიდან იძულების გამოყენების შესაძლებლობა ისპობა, რადგანაც თვით კანონმდებელი ითვალისწინებს ასეთ შედეგს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. მოქმედებას განაგრძობს მხოლოდ მორალური ნორმები. სამართალი ამ სტადიიდან ურთიერთობის მოწესრიგებას მთლიანად მორალს ანდობს, მაგრამ ამავე დროს ხელს უწყობს ყოფილი იურიდიული ვალდებულების, ამჟამად მორალური ვალდებულების შესრულებას. კერძოდ, სამოქალაქო სამართალი ითვალისწინებს, რომ, თუ პირმა შეასრულა თავისი ვალდებულება სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, ე. ი. შეასრულა მორალური ვალდებულება, მაშინ მას უფლება არა აქვს მოითხოვოს შესრულების უკან დაბრუნება, თუნდაც შესრულების მომენტში მას არ სცოდნოდა, რომ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გასული იყო. (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 86-ე მუხლი). მაშასადამე, სამოქალაქო სამართალი მოცემულ შემთხვევაში იურიდიულ ძალას ანიჭებს მორალური ვალდებულების შესრულებას, რაც სამოქალაქო სამართლისა და მორალის ურთიერთმოქმედების ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინებაა. თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ ურთიერთმოქმედებას ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ წარმოვიდგინოთ საწინააღმდეგო მდგომარეობას, ე. ი. კანონით შესაძლებელი რომ იყოს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ გადაცემული თანხის უკან დაბრუნება. ასეთ შემთხვევაში ვეღარც მორალური ვალდებულება შესრულდებოდა. †

ამ საკითხთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში ისმის კითხვა, თუ რა საფუძვლით რჩება კრედიტორს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ მოვალის მიერ გადაცემული თანხა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, — სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ პირს ენარჩუნება თუ რა უფლება. —

გამოთქმულია ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება. ზოგიერთს მიაჩნია, რომ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლისას შეწყდება აგრეთვე პირის უფლებაც, რადგანაც უფლების არსებობა წარმოუდგენელია სახელმწიფოს იძულების ძალის გამოყენების შესაძლებლობის გარეშე¹.

სხვები თვლიან, რომ პირს არ ესპობა უფლება, არამედ ისპობა სახელმწიფოს იძულების ძალის გამოყენების შესაძლებლობა². თუ კი პირს უფლება მო-

¹ М. М. Агарков. Обязательства по советскому гражданскому праву. Юриздат, 1940, стр. 56, М. А. Гурвич. Пресекательные сроки в советском гражданском праве. Изд-во ВЮЗИ, 1961, стр. 15.

² И. Б. Новицкий. Сделки. Исковая давность. Госюриздат, 1954, гр. 223, М. Я. Кирилова. Исковая давность. «Юрид. литература», 1960 г., стр. 23.

ესპობოდა, მაშინ კრედიტორის მიერ მიღებული თანხა უნდა მიგვეჩნია როგორც უსაფუძვლოდ შეძენილი. სინამდვილეში კანონი ადგენს, რომ არ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს როგორც უსაფუძვლოდ შეძენილი ქონება, რომელიც გადაცემულია შესასრულებლად, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, როდესაც ასეთი შესრულება დაშვებულია კანონით (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 487-ე მუხლის მე-2 პუნქტი).⁴

ჩვენის აზრით, როდესაც სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ მოვალე თანხას გადასცემს კრედიტორს, ამით იგი ასრულებს თავის მორალურ ვალდებულებას. ამიტომ კანონმდებელი კრედიტორს ამ თანხას უსაფუძვლოდ შეძენილად ვერ ჩაუთვლის. სოციალისტურ საზოგადოებაში მორალური ვალდებულებების შესრულება არ შეიძლება სამართლის მიერ უკანონოდ, უსაფუძვლოდ იქნეს მიჩნეული, გამომდინარე იქიდან, რომ საბჭოთა საზოგადოებაში კომუნისტური მორალი და სოციალისტური სამართალი თავისი ბუნებით ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან, პირიქით ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში იმყოფებიან. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სამოქალაქო სამართალი აქტიურად უჭერს მხარს მორალური ვალდებულების შესრულებას იმით, რომ ის რაც მორალურად გამართლებულია, იმავე დროულად მართლზომიერიცაა. —

საპირისპიროდ ამისა, მ. ი. კირილოვას აზრით, როცა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ მოვალე ნებაყოფლობით გადასცემს ვალს კრედიტორს იგი ასრულებს არა მორალურ, არამედ იურიდიულ მოვალეობას, რადგანაც ვალდებულების შესრულებას აწესრიგებს მხოლოდ სამართალი.⁵

ეს დებულება, რასაკვირველია, მცდარია. ჯერ ერთი, ვალდებულებით ურთიერთობებს სამართალთან ერთად არეგულირებს მორალიც, მეორეც, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ მოვალეს არაფერი სხვა რამ არ აიძულებს გადასცეს თანხა კრედიტორს, გარდა მორალური მოვალეობისა.⁴ იგი ასრულებს არა იურიდიულ, არამედ მორალურ ვალდებულებას.

მამსადამე, რაც უფრო ინტენსიური იქნება სამოქალაქო სამართლებრივი და მორალური ნორმების ურთიერთმოქმედება, მით უფრო მაღალი იქნება საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოწესრიგების დონე.⁴

ხშირად სასამართლოებს სამოქალაქო სამართლის საქმეებზე უხდებათ ისეთი ურთიერთობების დადგენა, რომლებიც სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირებისათვის მიუწვდომელია, ხოლო საქმის გადაწყვეტისათვის კი არსებითი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, პატივისა და ღირსების დაცვის დროს,⁵ ან ერთ სახლში (ბინაში) ერთად ცხოვრების შეუძლებლობის გამო ბინიდან გამოსახლების შემთხვევაში და სხვ. ასეთი საქმეების გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ მორალური ნორმების მოშველიებით. მაგრამ მორალური ნორმების გამოყენება დაკავშირებულია გარკვეულ სიძნელებებთან, რაც მისი ზოგიერთი თავისებურებითაა გამოწვეული. კერძოდ, სამართლებრივ ნორმასთან შედარებით მორალური ნორმა ხასიათდება ნორმატიულობის დაბალი დონით და არ არის ფორმალურად განსაზღვრული. „ნორმატიულობა, — წერს ს. ს. ალექ-

³ «Советское гражданское право». Под ред. О. А. Красавчикова. Изд-во «Высшая школа», М., 1963, т. I, стр. 294.

⁴ М. М. Агарков. Обязательства по советскому гражданскому праву, стр. 57—58.

⁵ აღნიშნულ საკითხზე ამოთქმულია საწინააღმდეგო მოსაზრება. იხ. მაგ. Е. А. Флейшниц и А. Л. Маковский. Теоретические вопросы кодификации советского гражданского законодательства «Советское государство и право», 1963, стр. 87—89.

სეევი, — გულისხმობს საზოგადოებრივი ურთიერთობების მაქსიმალურად რეგულირებას და განზოგადების დონის ამაღლებას, ფორმალური განსაზღვრულობა კი პირიქით — ნორმატულ მითითებათა მაქსიმალურ დეტალიზაციას, იურიდიულ ნორმათა შინაარსის კონკრეტულობას⁶. ეს თვისებები სოციალური ნორმებიდან მხოლოდ სამართლის ნორმებს ახასიათებს მთელი ძალით, რაც აადვილებს მათ გამოყენებას.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-7 მუხლით აღძრული სარჩელის განხილვისას სასამართლომ სხვადასხვა გარემოებებთან ერთად უნდა დაადგინოს მართლაც პატივისა და ღირსების შემლახველია თუ არა ის ცნობები, რომლებიც მოსარჩელის მიმართ არის გავრცელებული და რომელთა უარყოფასაც ის სასამართლოსაგან მოითხოვს. ამ საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს კომუნისტური მორალის ნორმებითა და პრინციპებით. მორალური ნორმები კი იმითაც განსხვავდება სამართლებრივი ნორმებისაგან, რომ მასში ჰიპოთეზა ჩვეულებრივ გამოთქმული არ არის, თუმცა იგი მაინც იგულისხმება. სამართლებრივ ნორმებში ჰიპოთეზა გაცილებით უფრო კონკრეტული და ზუსტია, ვიდრე მორალური ნორმისა. მართალია, ჰიპოთეზის თავისუფალი განმარტების შესაძლებლობას არც სამართლებრივი ნორმა გამორიცხავს, მაგრამ ეს განმარტება მორალური ნორმის შემთხვევაში ბევრად უფრო თავისუფალი შეიძლება იყოს. ამასთან, მორალურ ნორმებში არ ვხვდებით აღწერით დისპოზიციებს. აქ მოქმედების კვალიფიკაციის შესაძლებლობა მეტისმეტად ფართოა⁷.

მორალური ნორმების ასეთი თავისებურება გარკვეულად ართულებს მის გამოყენებას კონკრეტული საქმეების გადაწყვეტის დროს. ამის დასადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ ერთი საქმე სასამართლო პრაქტიკიდან, რომელიც განხილული იყო ქ. თბილისის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ 1968 წელს. საქმის შინაარსი ასეთია:

გ. — მ. 1967 წლის 21 ივლისს გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ გამოაქვეყნა წერილი „რატომ არ წაუყუთხე“, რომელიც შეეხებოდა 1966 წელს ერთ-ერთი გამომცემლობის მიერ გამოშვებულ ზღაპარს. ავტორი წერილში გამოთქვამდა აზრს, რომ მსგავსი ზღაპრები არ უნდა წაუყუთხოთ პატარა ბავშვებს, რათა ცუდი გავლენა არ მოახდინოს მათზე. ამიტომ მან თავის შვილიშვილს არ წაუყუთხა ეს ზღაპარი.

1967 წლის 4 აგვისტოს მწერალმა ლ. — მ. გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოაქვეყნა ვრცელი კრიტიკული წერილი „სიბეცის გამო“, რომელშიც მკაცრად აკრიტიკებდა გ. — ს წერილს. იგი აღნიშნავდა, რომ გ. — ს წერილი არის უაზრობა, სავსე უმეცრებითა და უწიგნურობით, რომ მან ეს ზღაპარი არ წაუყუთხა თავის შვილიშვილს „სიბეცის გამო“. გ.-მ სასამართლოში წარადგინა სარჩელი და მოითხოვა თავისი პატივისა და ღირსების დაცვა⁸.

სასამართლოს უნდა დაედგინა, ლ.-ს მიერ სტატიამ გამოყენებული სიტყ-

⁶ С. С. Алексеев. Социальная ценность права в советском обществе «Юрид. литература», М., 1971 г., стр. 68.

⁷ თ. ბაკურაძე, მორალისა და სამართლის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი. „საბჭოთა სამართალი“, 1972 წ. № 4, გვ. 30-31.

⁸ ქ. თბილისის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლო, საქმე № 2/14 1968 .

გები: „სიბეცის გამო“, „უმეცრება“, „უწიგნურობა“ და სხვა, რომლებიც გ.-ს მიმართ იყო გამოთქმული, მართლაც ამ უკანასკნელის პატივისა და ღირსების შემლახველია თუ არა. საკითხის სპეციალურობის გამო სახალხო სასამართლომ თხოვნით მიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს გამოეყო კომისია და მიეცათ დასკვნა: აღნიშნული წერილი ლახავს თუ არა გ.-ს პატივსა და ღირსებას.—

ასეთი მიმართვა მაშინ ჩაითვლებოდა სწორად, თუ მორალური ნორმების ცოდნა სპეციალურ ცოდნად მივიჩნევდით. მაგრამ ჩვენს საზოგადოებაში, სადაც მიღწეულია ხალხთა მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, კომუნისტური მორალის ნორმები ერთი ყველასათვის. ამას განაპირობებს წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების არსებობა და მეურნეობის სოციალისტური სისტემა. საერთო სახალხო სახელმწიფოში მორალიც საერთო-სახალხოა. ამასთან ერთად არსებობს პროფესიული მორალიც, რომელიც გარკვეული სპეციფიკურობით ხასიათდება, მაგრამ საბოლოო ჯამში კომუნისტური მორალის გამოვლინების ერთ-ერთი სახეა და მას სპეციალური ცოდნის სფეროს ვერ მივაკუთვნებთ. †

კომუნისტური მორალსა და პროფესიულ მორალს შორის არსებობს ზოგადისა და ერთეულის დიალექტიკური კავშირი. ამ გაგებით ზოგადი იქნება კომუნისტური მორალი, მორალური კოდექსის ძირითადი პრინციპები. ერთეული — კომუნიზმის კონკრეტული მშენებლის, კონკრეტული პირის მორალური წარმოდგენები, მრწამსი, ქცევის ნორმები და წესები. განსაკუთრებული — აღნიშნული გარკვეული ჯგუფის მორალური წარმოდგენები, მრწამსი, ქცევის წესები და ნორმები, რომლებიც ხასიათდებიან გარკვეული თავისებურებებით იმის გამო, რომ ამ ჯგუფის წარმომადგენლები ეწევიან განსაზღვრული სახის შრომას, აქვთ პროფესიული მომზადება და ა. შ. ამდენად, იგი არ შეიძლება შეიცავდეს ისეთს, რის არსებობასაც კომუნისტური მორალი გამორიცხავს ან კიდევ ეწინააღმდეგებოდეს მას? —

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში საკითხი იმის შესახებ, შელახულია თუ არა პიროვნების პატივი და ღირსება, რასაკვირველია, არავითარ სპეციალურ ცოდნას არ მოითხოვს და თვით სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს. ამასთან, მან უნდა იხელმძღვანელოს საბჭოთა საზოგადოების მორალური პრინციპებითა და ნორმებით. †

მართებულად მოიქცა ლიტერატურის ინსტიტუტი, როდესაც უარი განაცხადა დასკვნის მიცემაზე იმ მოტივით, რომ აღნიშნული საკითხის გამოკვლევა სპეციალურ ცოდნას არ მოითხოვს და იგი თვითონ სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს. —

როგორც ვხედავთ, კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა ზოგჯერ დაკავშირებულია ისეთი მორალური პრინციპებისა და ნორმების გამოყენებასთან, რომლებიც არ არის ფიქსირებული კანონში. ამ ნორმების სწორად გამოყენება კი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ სასამართლო კარგად ერკვევა მათს ხასიათსა და შინაარსში. †

სსსრ-ის სასამართლო სისტემის განვითარების პრაქტიკის ზოგადი საკითხი

ჟ. ზაზილაშვილი

I. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1970 წლის 6 ოქტომბრის დადგენილება „ავტოსატრანსპორტო დანაშაულთა საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ მიუთითებს, რომ რსფსრ სსკ-ს 211-ე მუხლის მეორე ნაწილით (საქართველოს სსრ სსკ-ს 241-ე მუხლის მესამე ნაწილით — ჯ. ბ.) და 127 მუხლით (საქართველოს სსრ სსკ-ს 129-ე მუხლით — ჯ. ბ.) და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისი მუხლებით უნდა დაკვალიფიცირდეს იმ პირის მოქმედება, რომელიც ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლოატაციის უსაფრთხოების წესების დარღვევით დააზიანებს ადამიანს და შემდეგ დაზარალების აღმოჩენის ნაცვლად მიატოვებს მას წინასწარი შეცნობით სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში¹.

პლენუმის ეს მოთხოვნა პრაქტიკაში ჯერჯერობდა არ სრულდება. ზოგიერთ მოსამართლეს მცდარად ესმის საქართველოს სსრ სსკ-ს 129-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა, რის გამოც ამ საკითხს სხვადასხვანაირად წყვეტს. არსებული შეცდომები შეიძლება ასე დაჯგუფდეს:

1. ზოგიერთი სასამართლო, მიუხედავად იმისა, რომ საქმის მასალების მიხედვით დამტკიცებულად თვლის მძღოლის მიერ დაზარალებულის განსაცდელში მიატოვებას, 241-ე მუხლით განაჩენის გამოტანისას არაფერს ამბობს დამნაშავეს სსკ-ს 129-ე მუხლით პასუხისმგებლობაზე; მაგალითად:

ქარელის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით დ-ს მსჯავრი დაედო საქართველოს სსრ სსკ-ს 241-ე მუხლის მესამე ნაწილით და შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა ოთხი წლით. იგი დამნაშავედ იქნა ცნობილი იმაში, რომ საკუთარი ავტომანქანის მართვის დროს დაარღვია მოძრაობის წესები, დაეჯახა ქვეითად მოსიარულეს და მძიმედ დააზიანა იგი. „ავარიის შემდეგ დ-მ უმწეოდ მიატოვა დაზარალებული და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა“.²

როგორც ვხედავთ, სასამართლო მხოლოდ აღნიშნავს განსაცდელში მიატოვების ფაქტს, მაშინ როდესაც კანონის თანახმად იგი ვალდებული იყო დ. დამატებით მიეცა პასუხისმგებლობაში სსკ-ს 129-ე მუხლით.

2. ზოგიერთი მოსამართლე საქართველოს სსრ სსკ-ს 129-ე მუხლს განვრცობითად განმარტავს, რითაც უსაფუძვლოდ აფართოებს აღნიშნული მუხლით პასუხისმგებლობის ფარგლებს. ისინი განსაცდელში მიატოვებად აკვალიფიცირებენ შემთხვევებს, როდესაც ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლოატაციის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივი დარღვევის შედეგად მიატოვებულია მსუბუქად ან ნაკლებად მძიმედ დაზიანებული პირი ან დაზარალებული, რომელიც შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა; მაგალითად: ტ. ცნო-

¹ იხ. «Бюллетень Верховного Суда СССР» 1970, № 6, стр. 22.

² იხ. საქმე № 141, 1972 წ., ქარელის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი.

ბილ იქნა დამნაშავედ იმაში, რომ 1969 წლის 12 ოქტომბერს საღამოს სოფ. სართიჭალიდან თბილისის მიმართულებით მოტოციკლით მოძრაობისას დაარღვია წინდახედულობის ნორმები და დაეჯახა ცხენოსან ჯამასპაშვილს, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი მსუბუქად (გ. ბ.) დაზიანდა. განაჩენში ნათქვამია, რომ ტ-მ დახმარების აღმოჩენის მაგივრად შეგნებულად განსაცდელში მიატოვა საშიშ მდგომარეობაში მყოფი (გ. ბ.) ჯამასპაშვილი. არ მოუცადა შემთხვევის ადგილზე მილიციის მუშაკების მოსვლას და თავის მოტოციკლიანად მიიმალა.

გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლომ 1972 წლის 21 ივლისის განაჩენით ტ-ს მსჯავრი დასდო სსკ-ს 241-ე მუხლის მეორე ნაწილით და 129-ე მუხლით³.

გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ იმაში, რომ სატვირთო ავტომანქანის მართვის დროს არ გამოიჩინა სათანადო ყურადღება გარემო პირობებისადმი და მანქანა დააჯახა ქვეითად მოსიარულე ძ-ს, რითაც ამ უკანასკნელმა მიიღო სხეულის ნაკლებად მძიმე (გ. ბ.) დაზიანება. — მძღოლმა დაზარალებული მიატოვა უმწურო მდგომარეობაში და მიიმალა.

ქ. ზუგდიდის სახალხო სასამართლომ გ-ს მსჯავრი დასდო სსკ-ს 241-ე მუხლის მეორე ნაწილით და 129-ე მუხლით⁴.

კ-მ სიმთვრალეში სატვირთო ავტომანქანის მართვის დროს დაარღვია მოძრაობის წესები და დაეჯახა მოპირდაპირე მხრიდან მომავალ მოტოციკლს. ავარიის შედეგად ადგილზე გარდაიცვალა მოტოციკლის მძღოლი გ. კ. შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

წითელწყაროს რაიონის სახალხო სასამართლომ 1972 წლის 14 დეკემბრის განაჩენით კ-ს მსჯავრი დასდო სსკ-ს 241-ე მუხლის მესამე ნაწილით და 129-ე მუხლით⁵.

ზემოაღნიშნულ შემთხვევებში მძღოლები უმართებულოდ არიან მსჯავრდებულნი სსკ-ს 129-ე მუხლით.

საქართველოს სსრ სსკ-ს ეს მუხლი (განსაცდელში მიტოვება) მიუთითებს იმ პირის პასუხისმგებლობაზე, რომელიც შეგნებულად ტოვებს დახმარების აღმოუჩენლად სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს, ვისაც შესაძლებლობა არა აქვს მიიღოს ზომები თავის დასაცავად, თუ რა თქმა უნდა, მიმტოვებელს ევალებოდა მასზე ზრუნვა და შეეძლო დახმარებოდა.

სხეულის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანება არ მიეკუთვნება ისეთ დაზიანებებს, რომლებიც სოცოცხლისათვის საშიშია. ამიტომ ასეთ მდგომარეობაში მყოფი პირის მიტოვებისათვის მძღოლმა არ შეიძლება პასუხი აგოს სსკ-ს 129-ე მუხლით.

ასევე უნდა ითქვას შემთხვევის ადგილზე გარდაცვლილი დაზარალებულის მიტოვებაზე. 129-ე მუხლში მითითებულია იმ პირის განსაცდელში მიტოვებაზე, რომელიც სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმყოფებოდა. აუ დაზარალებული უკვე მკვდარია, ბუნებრივია, მისთვის დახმარების აღმოჩენას აზრი აღარა აქვს და იგი არ შეიძლება განსაცდელში მიტოვებად ჩაითვალოს. ამგვარად, კანონის თანახმად, განსაცდელში მიტოვებად უნდა დაკვალიფიცირ-

³ იხ. საქმე № 208, 1972 წ., გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი.

⁴ იხ. საქმე № 130, 1972 წ., ქ. ზუგდიდის სახალხო სასამართლოს არქივი.

⁵ იხ. საქმე № 93, 1972 წ., წითელწყაროს რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი.

დეს მხოლოდ ისეთი შემთხვევები, როდესაც ავტოავარიის შედეგად დაზარალებულს მიღებული აქვს სიცოცხლისათვის საშიში სხეულის მძიმე დაზიანება.

3. ზოგიერთი სასამართლო ავტოავარიით დაზარალებული პირისთვის მძღოლის მიერ დახმარების აღმოუჩენლობის შემთხვევებს სსკ-ს 129-ე მუხლის მაგივრად 130-ე მუხლით აკვალიფიცირებს: მაგალითად:

ქ. სატვირთო ავტომანქანის მართვის დროს გადავიდა გზის მარცხენა მხარეს და დაეჯახა ავტომანქანა „მოსკვიჩს“, ავარიის შედეგად დაზიანდა სამი მოქალაქე; ერთი ნაკლებად მძიმედ. ორი—მსუბუქად. მძღოლმა მათ დახმარება არ აღმოუჩინა და მიიშალა. გულრიფშის რაიონის სახალხო სასამართლომ 1972 წლის 17 იანვრის განაჩენით ქ-ს მსჯავრი დასდო სსკ-ს 241-ე მუხლის მეორე ნაწილით და 130-ე მუხლით.⁶

საკითხის ასეთი გადაწყვეტა სწორი არ არის. სასამართლო ერთმანეთში ურევს სსკ-ს 129-ე და 130-ე მუხლში გათვალისწინებულ ნორმებს.

განსაცდელში მიტოვება და დახმარების აღმოუჩენლობა განსხვავდება ერთმანეთისაგან. სსკ-ს 129-ე მუხლით პასუხს აგებს მძღოლი, რომელიც ვალდებულია იზრუნოს დაზარალებულზე, რომელიც თავის მოქმედებით ჩააგდო სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში. ეს ვალდებულება მძღოლის მართლზომიერი მოქმედების დროსაც წარმოიშობა. თუ მას, ვთქვათ, არ დაურღვევია მოძრაობის წესები და დაზარალებულის დაშავება უბედური შემთხვევის შედეგია, მძღოლი ამ შემთხვევაშიც ვალდებულია დაზარალებულს დახმარება აღმოუჩინოს.

130-ე მუხლის სუბიექტი კი არის ყოველი პირი, ვინც შემთხვევით გახდა მოწმე ვისიმე განსაცდელში ყოფნისა და შესაძლებლობა ჰქონდა აღმოეჩინა მისთვის დახმარება და ეს არ გააკეთა.

დაბოლოს, გარდა იმისა, რომ საკითხის ასეთი გადაწყვეტა ფაქტის მცდარი იურიდიული შეფასებაა, იგი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის თვალთახედვითაც გაუმართლებელია, რადგან სსკ-ს 129-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედობა, 130-ე მუხლთან შედარებით, მეტ საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენს, რაც ნათლად ჩანს ამ ქმედობათათვის დადგენილი სანქციებიდან: დახმარების აღმოუჩენლობა ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ექვს თვემდე ან საზოგადოებრივი გაკიცხვით, განსაცდელში მიტოვებისათვის კი კანონი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე ან გამასწორებელ სამუშაოებს იმავე ვადით ან ჯარიმას 50 მანეთამდე ან საზოგადოებრივ გაკიცხვას.

II. მძიმე შედეგის მიზეზი მძღოლის გაუფრთხილებლობასთან ერთად შეიძლება იყოს აგრეთვე იმ პირის მოქმედება, რომელმაც საქსპლოატაციოდ გაუშვა ტექნიკურად გაუმართავი მანქანა ან დაარღვია მისი ექსპლოატაციის წესი. ამ პირთა პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია სსკ-ს 241²-ე მუხლით.

1. ზოგიერთი სასამართლო, იმის მაგივრად, რომ ამ პირებს, მძღოლთან ერთად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დააკისროს, სჯერდება იმას, რომ გამოაქვს კერძო განჩინება დისციპლინური სასჯელის დადების თაობაზე. მაგალითად: ქ. თბილისის კიროვის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ მ-ს მსჯავრი დასდო სსკ-ს 241-ე მუხლის მეოთხე ნაწილით და შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 12 წლით. ხუთი წლით ჩამოართვა მანქანის მართვის უფ-

⁶ იხ. საქმე № 13, 1972 წ., გულრიფშის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი.



ლება. მ.-ს სატვირთო ავტომანქანა „კაზ 60“-ის მართვის დროს ჩაეძინა საჭიროს, დაკარგა მანქანის სწორი მართვის საშუალება, გადავიდა გზის მარცხენა მხარეს და სასიკვდილოდ დააზიანა ორი მოქალაქე⁷.

ამ საქმეზე სასამართლომ გამოიტანა კერძო განჩინება და ავარიის ერთ-ერთ მიზეზად ჩათვალა მ.-ს გადაღლილობა. მ. 1971 წლის 16 ნოემბერს გარაჟში დაბრუნდა ღამის 12 საათზე, სახლში წავიდა ღამის ორ საათზე. როდესაც დღის 7 საათზე გამოცხადდა სამუშაოზე და იმ დღის მარშრუტი უთხრეს, მან უარი განაცხადა წასვლაზე დაღლილობის გამო, მაგრამ დისპეტჩერისა და მოძრაობის უფროსის მოთხოვნით იძულებული გახდა წასულიყო. „საქმის გარემოებების მიხედვით — ვკითხულობთ განჩინებაში, — მ.-ს დანაშაული უშუალო კავშირშია მის ფიზიკურ მდგომარეობასთან. მან მანქანის საჭესთან ჩასთვლიმა და ამან დააკარგინა ნორმალური მართვის საშუალება. მ.-ს ფაქტი მიუთითებს, რომ მე-რ ავტოსატრანსპორტო კანტორაში არანორმალურ მდგომარეობაშია შრომის ორგანიზაციის საკითხი და საჭიროა ამ საკითხზე კანტორის ხელმძღვანელობამ იქონიოს მსჯელობა, მძღოლთა შემადგენლობასთან ერთად დასახოს სათანადო ღონისძიებანი, ხოლო ის პირები, ვინც გ. რეისში იძულებით ვაგზავნა, დაისაჯონ“ (ს. ფ. 250).

კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს აღნიშნული განჩინებიდან იმდენად ცხადად ჩანს სსკ-ს 241²-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, რომ ზემოხსენებულ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობაში მიცემის აუცილებლობა მტკიცებასაც არ საჭიროებს. ასეთი შემთხვევის დასჯადობაზე პირდაპირაა მიითითებული სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1970 წლის 6 ოქტომბრის № 11 დადგენილებაში, რომლის მე-15 მუხლის თანახმად: „სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლოატაციის წესების „სხვა უხეშ დარღვევას“, რაც გათვალისწინებულია რსფსრ სსკ-ს 211²-ე (საქართველოს სსრ სსკ-ს 241²-ე ჟ. ბ.) და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით, უნდა მიეკუთვნოს... მძღოლის მუშაობის რეჟიმის უხეშ დარღვევა (ჯ. ბ.) სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობისათვის ან ექსპლოატაციისათვის პასუხისმგებელი პირის მიერ“...

2. ზოგჯერ ვკვდებოდა ტექნიკურად გაუმართავ სატრანსპორტო საშუალებათა საექსპლოატაციოდ გაშვების ფაქტები, რომლებზედაც სასამართლოები არაერთხელ რეაგირებას არ ახდენენ, კერძო განჩინებაც კი არ გამოაქვთ; მაგალითად:

ონის რაიონის სახალხო სასამართლოს 1972 წლის 30 აპრილის განჩინებით გ.-ს მსჯავრი დაედო სსკ-ს 241-ე მუხლის მეორე ნაწილით. გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ იმაში, რომ, როდესაც ცდილობდა თავიდან აეცილებინა ქვეითად მოსიარულესათვის ტექნიკურად გაუმართავი სატვირთო ავტომანქანის დაჯახება, ვეერდი ვაჰკრა იქვე ქუჩაში მდგომ ავტომანქანას, რის შედეგადაც ამ მანქანის მძღოლი ნაკლებად მძიმედ დაზიანდა⁸.

გ-მ წინასწარ და სამსჯავრო გამოძიებაზე მიუთითა, რომ გარაჟიდან გამოვიდა ტექნიკურად გაუმართავი მანქანით (არ უჭერდა მუხრუჭები, ს. ფ. 18, 19, 67).

⁷ იხ. საქმე № 239, 1972 წ., ქ. თბილისის კიროვის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი.

⁸ იხ. საქმე № 8, 1972 წ., ონის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი.

არც გამოძიება და არც სასამართლო არ დაინტერესებულან, თუ რატომ ან ვინ გამოიწვია იგი ასეთი მანქანით, მით უმეტეს, რომ გ. თავის ახსნა-განმარტებაში წერს: „ქუთაისში წასვლის დროს დისპეტჩერს მივმართე, რემონტში მინდა დადგომა, ღღეს ვერსად წავალთქო, მან მითხრა: ეხლა თვის ბოლოა და ბერე დადქეიო“ (ს. ფ. 18).

სასამართლო ვალდებული იყო ემსჯელა იმ პირთა სსკ-ს 241²-ე მუხლით პასუხისგებაში მიცემის შესაძლებლობაზე, რომლებმაც მძღოლი აიძულეს გამართავი მანქანით გამოსულიყო ხაზზე.

III. საქართველოს სსრ სსკ-ს 243-ე მუხლი, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსკ-ს ანალოგიური მუხლებისაგან განსხვავებით, მიუთითებს მხოლოდ ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებათა გატაცებაზე დროებითი გამოყენების მიზნით. ეს გარემოება საშუალებას არ იძლევა ამ მუხლით ვაგებინოთ პასუხი იმ პირს, რომელიც დროებითი გამოყენების მიზნით იტაცებს ქალაქის ელექტროტრანსპორტს, ტრაქტორს ან სხვა თვითმავალ მანქანას.

1. ზოგიერთი სასამართლო არ ითვალისწინებს საქართველოს სსრ სსკ-ს 243-ე მუხლის თავისებურებას და მაინც ამ მუხლით სჯის დამრღვევს ზემოაღნიშნული ქმედობისათვის; მაგალითად:

ა-მ კარლ მარქსის სახელობის მოედნიდან დროებითი გამოყენების მიზნით გაიტაცა ხალხით სავსე ტროლეიბუსი და გზაზე მოძრაობის დროს მძიმედ დააზიანა ქვეითად მოსიარულე.

ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლომ ა-ს მსჯავრი დასდო სსკ-ს 241-ე მუხლის მესამე და 243-ე მუხლის პირველი ნაწილით.⁹

ა-ს სსკ-ს 243-ე მუხლით მსჯავრდება სწორი არ არის. ამ მუხლში, როგორც ვთქვით, კანონმდებელს მხედველობაში აქვს მხოლოდ ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებათა გატაცება. ამ უკანასკნელთ კი, როგორც ცნობილია, ქალაქის ელექტროტრანსპორტი არ მიეკუთვნება. 243-ე მუხლის ასეთი განვრცობითი ახსნა-განმარტება, როგორც ეს ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლომ გააკეთა, ფაქტიურად კანონის ანალოგიის გამოყენებას ნიშნავს, რაც მოქმედი კანონმდებლობით უარყოფილია.

პრაქტიკაში იშვიათი არ არის შემთხვევები, როდესაც საქართველოს სსრ სსკ-ს 243-ე მუხლში არსებული ხარვეზის გამო სასამართლოს საშუალება არა აქვს დასაჯოს ის პირები, რომლებიც დროებითი გამოყენების მიზნით იტაცებენ ქალაქის ელექტროტრანსპორტს, ტრაქტორს ან სხვა თვითმავალ მანქანას; მაგალითად:

ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ იმაში, რომ თ-ს წაართვა საჭე და დროებითი გამოყენების მიზნით გაიტაცა ტრაქტორი. გზაზე მოძრაობის დროს განავითარა დიდი სიჩქარე, მკვეთრად მოუხვევის დროს ტრაქტორზე მიბმული გუთანა წამოსდო გვერდულაზე მიმავალ ბავშვებს და სამი მათგანი მსუბუქად დააზიანა.

ქარელის რაიონის სახალხო სასამართლომ ა-ს მსჯავრი დასდო მხოლოდ სსკ-ს 241-ე მუხლის მესამე ნაწილით, ტრაქტორის გატაცებისათვის კი ა. დაუსჯელი დარჩა¹⁰.

საქართველოს სსრ სსკ-ს 243-ე მუხლი ღღეისათვის გადასინჯვას მოით-

⁹ იხ. საქმე № 160, 1972 წ., ქ. თბილისის ოქტომბრის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი.

¹⁰ იხ. საქმე № 87, 1972 წ., ქარელის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი.



ხოვს. აუცილებელია მასში ჩამოთვლილ სატრანსპორტო საშუალებათა წრის გაფართოება, ისე, როგორც ეს ზოგიერთ სხვა მოკავშირე რესპუბლიკის სსკ-შია. მიზანშეწონილია, შეიცვალოს საქართველოს სსრ სსკ-ს 243-ე მუხლის არსებული რედაქცია და მიეთითოს აგრეთვე ქალაქის ელექტროტრანსპორტის, ტრაქტორის ან სხვა თვითმავალი მანქანის გატაცებაზე.

IV. სშირად სასამართლოები ავტოავარიაში დამნაშავე პირებს პასუხს არ თხოვენ მანქანის გატაცებისთვის, თუმცა საქმის გარემოებები ამაზე მიუთითებენ; მაგალითად:

კ. სტუმრად იმყოფებოდა ოჯახით. როდესაც სახლში ბრუნდებოდა, მან დაინახა ქუჩაში მდგომი მოტოციკლი, რომელიც ეკუთვნოდა მოქ. ე-ს. კ-მ უნებართვოდ დაქოქა იგი, დასვა ცოლშვილი და სახლში წაიყვანა. როდესაც კ. მოტოციკლს უკან აბრუნებდა გატაცების ადგილზე, დაარღვია მოძრაობის წესები, შეეჯახა მოპედს და მძიმედ დააზიანა მისი მძღოლი.

ლანჩუტის რაიონის სახალხო სასამართლომ კ-ს მსჯავრი დასდო მხოლოდ სსკ-ს 241-ე მუხლის მესამე ნაწილით.¹¹

სასამართლო ვალდებული იყო ემსჯელა კ-ს სსკ-ს 243-ე მუხლით დამატებითი პასუხისმგებლობის შესახებაც, ვინაიდან მისი მოქმედება შეიცავს ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გატაცების შემადგენლობის ნიშნებს.

V. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1970 წლის 6 ოქტომბრის ზემოხსენებული დადგენილება მოითხოვს, რომ სასჯელის დანიშვნის დროს მოსამართლეებმა დამდგარ შედეგთან ერთად მხედველობაში მიიღონ: სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობისა და ექსპლოატაციის უსაფრთხოების წესების დარღვევის ხასიათი და მოტივები; დამნაშავის დამოკიდებულება ამ დარღვევისადმი; მისი ქცევა დანაშაულის ჩადენის შემდეგ (მავენ შედეგების თავიდან აცილებისათვის ზომების მიღება; დაზარალებულისათვის დახმარების აღმოჩენა); დამნაშავის პიროვნება და პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი სხვა გარემოებები (მუხ. 4).

1. პლენუმის ამ მოთხოვნას ზოგიერთი სასამართლო სათანადოდ არ ასრულებს. გვხვდება როგორც დაუსაბუთებლად ლმობიერი, ისე მკაცრი განაჩენების დადგენის შემთხვევები, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ავტოსატრანსპორტო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობაზე; მაგალითად:

მ-მ პირადი გამორჩენის მიზნით მასზე გაპიროვნებული სახელმწიფო ავტომანქანით ტყიდან შეშის გადმოტანისას, სიმთვრალის გამო ვერ დაიცვა მოძრაობის უსაფრთხოების წესები, ვადავიდა ვზის მარცხენა მხარეს და სასიკვდილოდ დააზიანა ქვეითად მოსიარულე. მ. შემთხვევის ადგილიდან გაიქცა და მიიმალა.

ადიგენის რაიონის სახალხო სასამართლომ 1972 წლის 20 იანვრის განაჩენით მ-ს მსჯავრი დასდო სსკ-ს 241-ე მუხლის მესამე ნაწილით და შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლით, ამავე ვადით ჩამოართვა მანქანის მართვის უფლება¹².

განაჩენი უსაფუძვლოდ ლმობიერია. მოცემული ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების შეფასებისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიეღო,

¹¹ ობ. საქმე № 80, 1972 წ., ლანჩუტის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი.

¹² ობ. საქმე № 4, 1972 წ., ადიგენის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი.

რომ დამნაშავე მანქანის მართვის დროს იყო მთვრალი, მანქანას იყენებდა პირადი გამორჩენის მიზნით, ავარიის შემდეგ შემთხვევის ადგილიდან გაიქცა და მიიმალა.

ავტოსატრანსპორტო დანაშაულის ძირითადი შემადგენლობისათვის (მუხ. 241) განსაზღვრული სანქციებით სასამართლოს ფართო შესაძლებლობა აქვს საქმის კონკრეტული გარემოებებისა და დამნაშავეს პიროვნების გათვალისწინებით მოახდინოს სასჯელის ინდივიდუალიზაცია. აღნიშნულის გამო, რა თქმა უნდა, სასამართლო პრაქტიკას ვერ მოვთხოვთ, რომ ყველა განაჩენით გამოტანილი სასჯელი ერთსა და იმავე გარემოებებში ჩადენილი დანაშაულისათვის ერთმანეთს ემთხვეოდეს, მაგრამ შეუწყნარებელია ისეთი შემთხვევები, როდესაც აღნიშნულ გარემოებებში ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლოატაციის უსაფრთხოების წესების დარღვევით ერთი და იმავე შედეგების გამოწვევა ერთ შემთხვევაში ისჯება აშკარად ლმობიერად, მეორეში კი მკაცრად; მაგალითად:

ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ იმაში, რომ მართვის უფლების გარეშე საკუთარი მოტოციკლის მართვის დროს, განავითარა დიდი სიჩქარე, გამოიჩინა უყურადღებობა, გადავიდა გზის მარცხენა მხარეს და დაეჯახა საწინააღმდეგო მხრიდან მომავალ ქვეითად მოსიარულეებს. ავარიის შედეგად ორი მათგანი დაზიანდა მძიმედ, ორი კი — მსუბუქად (ჯანმრთელობის მოშლით) ა., იმის მაგივრად, რომ დაზარალებულებს დახმარებოდა, შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დმანისის რაიონის სახალხო სასამართლომ 1972 წლის 4 აპრილის განაჩენით ა-ს მსჯავრი დასდო სსკ-ს 241-ე მუხლის მესამე ნაწილით და შეუფარდა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 12 ივნისის ბრძანებულების საფუძველზე შეუცვალა პირობით, შრომაში სავალდებულო ჩაბმით.¹³

მოვიყვანთ მეორე მაგალითს, სადაც დანაშაული ჩადენილია უფრო მსუბუქ გარემოებებში, სასჯელი კი აშკარად მკაცრია.

ბ. ცნობილი იქნა დამნაშავედ იმაში, რომ სათანადო ნებართვის გარეშე მოტოციკლის მართვის დროს, განავითარა დიდი სიჩქარე, ვერ გაართვა თავი საჭეს, გადავიდა გზის მარცხენა მხარეს და მძიმედ დააზიანა ქვეითად მოსიარულე. ო-მ დაზარალებულს დახმარება აღმოუჩინა და შემდეგ მილიციაში გამოცხადდა ბრალის აღიარებით.

გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლომ 1972 წლის განაჩენით ო-ს მსჯავრი დასდო სსკ-ს 241-ე მუხლის მესამე ნაწილით და შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა რვა წლით (ჯ. ბ.), სამი წლით ჩამოართვა მართვის უფლება¹⁴.

ა-ს ქმედობა, ჩვენი აზრით, მეტი საზოგადოებრივი საშიშროების მქონეა. მან უხეშად დაარღვია წინდახედულობის მოთხოვნები და დააზიანა ოთხი მოქალაქე, ორი მძიმედ — ორი კი მსუბუქად. ა-მ მათ დახმარება არ აღმოუჩინა, რითაც ჩაიდინა ახალი დანაშაული, გათვალისწინებული სსკ-ს 129-ე მუხლით (განსაცდელში მიტოვება). მართალია ეს სასამართლომ დადგენილად ცნო, მაგრამ რატომღაც არ დააყენა მისი დამატებით პასუხისმგებლობის საკითხი ამ მუხლითაც.

¹³ იხ. საქმე № 25, 1972 წ., დმანისის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი.

¹⁴ იხ. საქმე № 192, 1972 წ., გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი.

განაჩენის დადგენისას სასამართლომ ა-ს პასუხისმგებლობის შემასუბუქებელ გარემოებად მიიჩნია ის, რომ „მსჯავრდებულს ეტყობა გამოსწორება, იგი ადრე სამართალში არ ყოფილა, ხასიათდება დადებითად და რჩენაზე ყავს 4 მცირეწლოვანი ბავშვი და უმუშევარი მეუღლე“.

ამ გარემოებებიდან საეჭვოა „მსჯავრდებულის გამოსწორებაზე“ მითითება რამდენადაც საქმიდან არ ჩანს, თუ კონკრეტულად რით გამოიხატა ეს.

ო-მაც ასეთ ვითარებაში ჩაიდინა დანაშაული, ისიც უნებართვოდ მართავდა მოტოციკლს, გასწრებისას გადავიდა გზის მარცხენა მხარეს და მძიმედ დააზიანა მხოლოდ ერთი მოქალაქე, ამასთან დახმარება აღმოუჩინა მას და გამოცხადდა მილიციაში ბრალის აღიარებით.

სასამართლომ ო-ს ისე დაუნიშნა სასჯელი, რომ მხედველობაში არ მიიღო შემამსუბუქებელი გარემოებები. სახელდობრ, ის, რომ იგი პირველად იყო სამართალში მიცემული, ჩაბმული იყო საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, სამუშაოდან კარგი დახასიათება ჰქონდა, დახმარება აღმოუჩინა დაზარალებულს, გამოცხადდა ბრალის აღიარებით, წინასწარ და სამსჯავრო გამოძიებაზე გულწრფელად აღიარა და მოინანია თავისი დანაშაული.

ასეთი დასჯითი პრაქტიკა მანკიერია.

სისხლის სამართალში აღიარებულია, რომ ზედმეტად ლმობიერი სასჯელის დანიშვნა ამცირებს სასჯელის ზოგად და კერძო პრევენციულ მნიშვნელობას, იგი დამნაშავისა და საზოგადოების სხვა მერყევე ელემენტებში ბადებს უპასუხისმგებლობის გრძნობას, იმის შეგნებას, რომ დამნაშავე შეიძლება იოლად გადარჩეს და მსუბუქი სასჯელით გამოისყიდოს სერიოზული დანაშაული. ასეთი სასჯელი ეფექტური არ არის და ვერ უზრუნველყოფს დამნაშავის გამოსწორებასა და ხელახლა აღზრდას.

არც ზედმეტად მკაცრ სასჯელს აქვს თავისი გამართლება. იგი დამნაშავის მიერ აღიქმება როგორც უსამართლობა. პირს ასევე უსამართლოდ და არაკანონიერად მოეჩვენება სასჯელის მოხდის მთელი პროცესიც. პიროვნებაში იგი გამოიწვევს შინაგანი პროტესტის გრძნობას, უნდობლობას იმ ორგანოებისა და პირებისადმი, რომლებიც სასჯელს აღასრულებენ. ამიტომ სავესებით ბუნებრივია, რომ დამნაშავის გამოსწორებისა და ხელახლა აღზრდის მიღწევა ასეთ შემთხვევებში პრაქტიკულად ძნელია.

2. ავტოსატრანსპორტო დანაშაულის საქმეებზე დიდი პრევენციული მნიშვნელობა აქვს დამატებითი სასჯელის — სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევის გამოყენებას. სასამართლოებმა გულდასმით უნდა განიხილონ დამნაშავისათვის დამატებითი სასჯელად სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევის დანიშვნის მიზანშეწონილობის საკითხი.

პრაქტიკაში ამ მხრივაც სერიოზულ შეცდომებს უშვებენ. ზოგჯერ სიმთვრალეში ავტოსატრანსპორტო დანაშაულის ჩამდენ პირს სასამართლო მანქანის მართვის უფლებას უტოვებს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე; მაგალითად:

ტ. ცნობილ იქნა დამნაშავედ იმაში, რომ 1972 წლის 20 აგვისტოს სიმთვრალეში სატვირთო ავტომანქანის მართვის დროს სურამში დაარღვია მოძრაობის წესები და მძიმედ დააზიანა გზაზე მიმავალი მოქალაქე. ხაშურის რაიონის სახალხო სასამართლომ ტ-ს მსჯავრი დასდო სსკ-ს 241-ე მუხლის შესაბამისად:

ნაწილით და შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა ექვსი წლით. სასამართლოს ტ-სთვის მართვის უფლება არ ჩამოუერთმევია¹⁵.

ზოგჯერ სასამართლო სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებას ართმევს პირს, ვისაც ეს უფლება არ გააჩნია; მაგალითად:

ო. ცნობილ იქნა დამნაშავედ იმაში, რომ მოტოციკლის მართვის დროს დაარღვია მოძრაობის წესები და მძიმედ დააზიანა ქვეითად მოსიარულე. გურჯაანის სახალხო სასამართლომ ო-ს შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა რვა წლით, სასჯელის მოხდის შემდეგ სამი წლით ჩამოართვა მართვის უფლება.

საკითხის ასეთი გადაწყვეტა სწორი არ არის რამდენადაც მართვის უფლება შეიძლება ჩამოერთვას მხოლოდ იმას, ვისაც ასეთი უფლება აქვს.

ზოგიერთი სასამართლო სსკ-ს 241-ე მუხლით მსჯავრდებისას დამატებითი სასჯელის სახით სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევის დანიშვნის დროს უსაფუძვლოდ უთითებს სსკ-ს 129-ე მუხლზე (გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა), მაგალითად:

ახალქალაქის რაიონის სახალხო სასამართლომ ო-ს მსჯავრი დასდო სსკ-ს 241-ე მუხლის მესამე ნაწილით და ძირითადი სასჯელის განსაზღვრის შემდეგ იხელმძღვანელა რა საქართველოს სსრ სსკ-ს 29-ე მუხლით, განსასჯელს ჩამოართვა მანქანის მართვის უფლება სამი წლით¹⁶. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 29-ე მუხლზე მითითება ზედმეტია, რამდენადაც 241-ე მუხლის მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილებში სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევა პირდაპირ არის აღნიშნული როგორც დამატებითი სასჯელი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1970 წლის 6 ოქტომბრის დადგენილების თანახმად რსფსრ სსკ-ს 211²-ე (საქართველოს სსრ სსკ-ს 241²-ე — ჯ. ბ.) და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტად ითვლება აგრეთვე მძღოლი ან მანქანის მფლობელი, რომელმაც გადასცა სატრანსპორტო საშუალება სამართავად წინასწარი შეცნობით მთვრალ პირს, აგრეთვე პირს, რომელსაც ჩამორთმეული აქვს მართვის უფლება ან საერთოდ არა აქვს ასეთი უფლება, ანდა არა აქვს მოცემული სახის ტრანსპორტის მართვის უფლება, თუ ამ მოქმედებამ გამოიწვია რსფსრ სსკ-ს 211²-ე მუხლში ან სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსკ-ს შესაბამის მუხლებში ჩამოთვლილი შედეგები.

ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია, თუ შესაბამის პირობებში სასამართლო ასეთ პირსაც ჩამოართმევს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებას. ეს ღონისძიება პირდაპირ ეხმაურება სასჯელის სპეციალური პრევენციის ამოცანებს და ხელს შეუწყობს ავტოსატრანსპორტო დანაშაულის პროფილაქტიკას. მოვიყვანთ ერთ-ერთ მაგალითს, სადაც მიზანშეწონილი იყო მძღოლისათვის ჩამოერთმიათ მანქანის მართვის უფლება.

ბორჯომის სახალხო სასამართლომ ჩ-ს მსჯავრი დასდო სსკ-ს 241²-ე მუხლით იმაში, რომ თავისი საკუთარი ავტომანქანა „ვოლგა“ გადასცა სამართავად

¹⁵ იხ. საქმე № 168, 1972 წ., ხაშურის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი.

¹⁶ იხ. საქმე № 43, 1972 წ., ახალქალაქის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი.

მოვრალ გ-ს. ამ უკანასკნელმა დაარღვია მოძრაობის წესები და მანქანა გადაადგო მტკვარში. ავარიის შედეგად გარდაიცვალა გ. და სხეულის სხვადასხვა სიძიძის დაზიანება მიიღეს მანქანაში მსხდომმა მგზავრებმა.¹⁷

თუმცა სსკ-ს 241² მუხლში კანონმდებელი არ ითვალისწინებს დამატებითი სასჯელის სახით სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას, მაგრამ ეს დაბრკოლებად არ ჩაითვლება, რადგან სსკ-ს 29-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია ამ სასჯელის გამოყენება თავისი შეხედულებისამებრ.

3. სასჯელის დანიშვნის დროს ზოგიერთი სასამართლო ამა თუ იმ გარემოებას უსაფუძვლოდ თვლის შემამსუბუქებლად, რაც თავის მხრივ სასჯელის დაუსაბუთებლად ლომობიერებას აპირობებს; მაგალითად:

მ. ცნობილ იყო დამნაშავედ იმაში, რომ საკუთარი ავტომანქანის „ვოლგის“ მართვის დროს გადავიდა გზის მარცხენა მხარეს და დაეჯახა შემხვედრ ტრანსპორტს. ავარიის შედეგად დაზიანდნენ „ვოლგაში“ მსხდომი მგზავრები.

მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლომ მ-ს მსჯავრი დასდო სსკ-ს 241-ე მუხლის მეორე ნაწილით¹⁸. სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლომ პასუხისმგებლობის შესამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნია ის, რომ „მ. არის მოძმე აზერბაიჯანის მოქალაქე“.

სხვა მაგალითი: წითელწყაროს რაიონის სახალხო სასამართლომ 1972 წლის 14 ნოემბრის განაჩენით ს-ს მსჯავრი დასდო სსკ-ს 241-ე მუხლის მესამე ნაწილით და შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა სამი წლითა და ექვსი თვით. ორი წლით ჩამოართვა მანქანის მართვის უფლება. ს. ცნობილ იქნა დამნაშავედ იმაში, რომ სატვირთო ავტომანქანის ადგილიდან დაძვრის დროს არ გამოიჩინა სათანადო წინდახედულობა და სასიკვდილოდ დააზიანა ქვეითად მოსიარულე გ. „სასჯელის განსაზღვრის დროს — ვკითხულობთ განაჩენში, — მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ს-ს მოძრაობის წესები უხეშად არა აქვს დარღვეული, უბედური შემთხვევა არ მომხდარა სიმთვრალის ან გადაჭარბებული სიჩქარის გამო, არამედ მის გაუფრთხილებელ მოქმედებას მოჰყვა ეს შემთხვევა“ (ს. ფ. 66)¹⁹.

მოვიტანთ კიდევ ერთ მაგალითს: ცხაკაიას რაიონის სახალხო სასამართლომ ც-ს მსჯავრი დასდო სსკ-ს 241-ე მუხლის მესამე ნაწილით იმაში, რომ სატვირთო ავტომანქანის მართვის დროს დაარღვია მოძრაობის წესები, მანქანა მოცურდა და სასიკვდილოდ დააზიანა ქვეითად მოსიარულე ფ.²⁰ სასამართლომ შემამსუბუქებელ გარემოებად მიუთითა იმაზე, რომ „დაზარალებულები არ მოითხოვენ განსასჯელის მკაცრად დასჯას“.

ყველა ზემოაღნიშნული გარემოება არ შეიძლება ჩაითვალოს პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად. ის, რომ „მ. არის მოძმე აზერბაიჯანის მოქალაქე“ არავითარ შედეგს არ ანიჭებს მას, რამდენადაც ყველა რესპუბლიკის მოქალაქე თანასწორია და ერთნაირად არის ვალდებული პატივი სცეს კანონს.

პასუხისმგებლობის შესამსუბუქებელ გარემოებად არ ჩაითვლება ისიც, რომ „დამნაშავეს უხეშად არ დაურღვევია მოძრაობის წესები, უბედური შემთხვევა არ მომხდარა სიმთვრალის ან გადაჭარბებული სიჩქარის გამო“. მარ-

¹⁷ იხ. საქმე № 41, 1972 წ., ბორჯომის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი.

¹⁸ იხ. საქმე № 153, 1972 წ., მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი.

¹⁹ იხ. საქმე № 24, 1972 წ., წითელწყაროს რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი.

²⁰ იხ. საქმე № 132, 1972 წ., ცხაკაიას რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი.

თალია, სასამართლოს ამით ხაზი უნდა გაუსვას იმას, რომ ქმედობა ჩადენილი არ არის დამამძიმებელ გარემოებებში, მაგრამ ეს მაინც არ იძლევა პასუხისმგებლობის შემსუბუქების საფუძველს.

სწორი არ არის აგრეთვე მითითება იმაზე, რომ „დაზარალებული არ მოითხოვს დამნაშავეს მკაცრად დასჯას“. სასამართლო პროცესზე დამსწრე საზოგადოებას შეიძლება შეექმნას მცდარი წარმოდგენა, თითქოს განსახილველი დანაშაულის ჩამდენი პირის დასჯადობა თვითონ დაზარალებულზე იყოს დამოკიდებული, მაშინ როდესაც ავტოსატრანსპორტო დანაშაული საჯარო ბრალდების დანაშაულთა რიცხვს ეკუთვნის და საკითხის ასე წარმოდგენა უმართებულა.

ზოგჯერ, პირიქით, ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლოატაციის უსაფრთხოების წესების დარღვევით გამოწვეული მძიმე შედეგი ზეგავლენას ახდენს სასამართლოზე და იგი უარს ამბობს შემამსუბუქებლად ამა თუ იმ გარემოების ცნობაზე., მაგალითად:

თ. ცნობილ იქნა დამნაშავედ იმაში, რომ ავტომანქანა „ვოლგის“ მართვის დროს დაარღვია მოძრაობის წესები და დაეჯახა შემხვედრ ავტომანქანა „უიგულის“. ავარიის შედეგად „უიგულში“ მსხდომი ხუთი მოქალაქე დაიღუპა, ავტომანქანა „უიგული“ დაიშტვრა, რითაც მის პატრონს 4294 მანეთისა და 30 კაბ. ზარალი მოუვიდა.

გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლომ 1972 წლის 21 სექტემბრის განაჩენით ო-ს მსჯავრი დასდო სსკ-ს 241-ე მუხლის მეოთხე ნაწილით და შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 15 წლით. 5 წლით ჩამოართვა მანქანის მართვის უფლება. „სამართალში მიცემულ ო-ს საშეღავათო გარემოებებს, — ვკითხულობთ განაჩენში, — რომ იგი პირველადაა სამართალში და თვითონაც მძიმედ დაზიანდა, სასამართლო ვერ მიიღებს მხედველობაში, რამდენადაც დანაშაულებრივ ქმედობას მოჰყვა ძალზე მძიმე შედეგი და ამიტომ მას უნდა მიესაჯოს სასჯელის მაქსიმუმი“²¹.

სასამართლოს ასეთი კატეგორიული განცხადება, ჩვენი აზრით, სწორი არ არის და კანონს ეწინააღმდეგება. საქართველოს სსრ სსკ-ს 37-ე მუხლის თანახმად სასამართლო ვალდებულია სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღოს ყველა ის გარემოება, რომელიც ამსუბუქებს დამნაშავეს პასუხისმგებლობას.

VI. ცალკე გვინდა შეგვიხარებდეთ დაზარალებულის გაუფრთხილებლობაზე ავტოსატრანსპორტო დანაშაულში.

აღნიშნულის შესახებ მსჯელობა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ დაზარალებულს დარღვეული აქვს წინდახედულობის გარკვეული ნორმა და ეს დარღვევა მიზეზობრივ კავშირშია მძღოლის მიერ ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლოატაციის უსაფრთხოების წესების დარღვევით გამოწვეულ მავნე შედეგთან.

1. ზოგიერთი სასამართლო ამ საკითხს ზერელედ ეკიდება და „დაზარალებულის ბრალზე“ როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებაზე მიუთითებს იმის და მიუხედავად, იყო თუ არა მის მიერ დაშვებული დარღვევა მიზეზობრივ კავშირში მავნე შედეგის განხორციელებასთან; მაგალითად: ამბროლაურის რაიონის სახალხო სასამართლომ ს-ს მსჯავრი დასდო სსკ-ს

²¹ იხ. საქმე № 371, 1972 წ., გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი.

241-ე მუხლის მეხამე ნაწილით და შეუფარდა ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა, ორი წლით ჩამოართვა მანქანის მართვის უფლება.

ს. ცნობილ იქნა დამნაშავედ იმაში, რომ ავტობუსის მართვის დროს გადაჭარბა სიჩქარეს და მანქანის წინა მარჯვენა მხარე გაჰკრა მთვრალ ქვეითად მოსიარულე მ-ს. მიღებული ტრავმებისაგან ეს უკანასკნელი გარდაიცვალა. სასამართლომ მიიჩნია, რომ დაზარალებულსაც ჰქონდა დარღვეული წინდახედულობის ნორმები, თავისი პოზიცია კი ასე ჩამოაყალიბა: „სასამართლო მხედველობაში ღებულობს იმ გარემოებას, რომ გარდაცვლილი იყო მთვრალი და შესაძლებელია (ჯ. ბ.), მის მხრივაც ადგილი ჰქონდა ქვეითად მოსიარულის წესების დარღვევას“.²² საკითხის ასეთი გადაწყვეტა სწორი არ არის. სასამართლო ვალდებული იყო დაწვრილებით გამოეკვლია, თუ რაში მდგომარეობდა ქვეითად მოსიარულის მიერ ქუჩაში მოძრაობის წესების დარღვევა და იყო თუ არა იგი მიზეზობრივ კავშირში მძიმე შედეგის გამოწვევასთან. მართოდ დაზარალებულის სიმთვრალე, თუ მას არ დაურღვევია ქუჩაში მოძრაობის წესები, ამ შემთხვევაში არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ვილაპარაკოთ მის მიერ წინდახედულობის ნორმის დარღვევაზე და მითუმეტეს მის გაუფრთხილებლობაზე მავნე შედეგების დადგომაში.

2. გვხვდება საპირისპირო შემთხვევებიც, როდესაც სინამდვილეში „დაზარალებულის ბრალი“ არსებობს, მაგრამ მას სასამართლო პასუხისმგებლობის შემამსუბუქებლად არ თვლის; მაგალითად:

დ. ცნობილ იქნა დამნაშავედ იმაში, რომ სატვირთო ავტომანქანის მართვის დროს დაარღვია მოძრაობის წესები და სასიკვდილოდ დააზიანა ქვეითად მოსიარულე ე. ხაშურის რაიონის სახალხო სასამართლომ 1972 წ. 5 სექტემბრის განაჩენით დ-ს მსჯავრი დასდო სსკ-ს 241-ე მუხლის მეხამე ნაწილით და შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა ექვსი წლის ვადით, 3 წლით ჩამოართვა მანქანის მართვის უფლება²³.

სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო, რომ დაზარალებულსაც ჰქონდა დარღვეული მოძრაობის წესები (მანქანას გადაურბინა ახლო მანძილიდან იხ. ექსპერტიზის დასკვნა ს. ფ. 43).

ზემოაღნიშნული პრაქტიკა სწორი არ არის. სასამართლო ვალდებულია ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლოატაციის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივი დარღვევის განხილვის ყველა შემთხვევაში დაწვრილებით გამოიკვლიოს დაზარალებულის ქცევის როლი მავნე შედეგის დადგომაში. თუ აღმოჩნდება, რომ დაზარალებულსაც თავის მხრივ დარღვეული აქვს წინდახედულობის მოთხოვნები და ეს დარღვევა მიზეზობრივ კავშირშია მძღოლის მიერ გამოწვეულ შედეგთან, აღნიშნული გარემოება სასამართლომ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებლად უნდა სცნოს. ხოლო პირიქით, თუ დაზარალებულის მიერ დაშვებული დარღვევა მიზეზობრივ კავშირში არ იმყოფება დამდგარ მავნე შედეგთან, მაშინ იგი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მძღოლის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად.

VII. საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში არაერთგვაროვნად წყდება იმ პირთა დასჯადობის საკითხი, რომლებიც სსკ-ს 241-ე მუხლის სხვადასხვა ნა-

²² იხ. საქმე № 30, 1972 წ., ამბროლაურის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი.

²³ იხ. საქმე № 135, 1972 წ., ხაშურის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი.

წილით გათვალისწინებულ შედეგებს იწვევენ, სახელდობრ, დაზარალებულის სიკვდილს, სხეულის დაზიანებას და სხვ.

სასამართლოების ერთი ნაწილი მსგავს ქმედობებს დანაშაულთა იდეალურ ერთობლიობად აკვალიფიცირებს; მაგალითად: ტ. ცნობილ იქნა დამნაშავედ იმაში, რომ მოტოციკლის მართვის დროს დაარღვია მოძრაობის წესები და დაზიანა ორი მოქალაქე. ერთი მსუბუქად, მეორე — სასიკვდილოდ:

გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლომ ტ-ს მსჯავრი დასდო სსკ-ს 241-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილით.²⁴

სასამართლოების მეორე ნაწილი აღნიშნულ შემთხვევებს 241-ე მუხლის იმ ნაწილით აკვალიფიცირებს, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას უფრო მძიმე შედეგისათვის; მაგალითად: ბ. ცნობილ იქნა დამნაშავედ იმაში, რომ სიმთვრალეში სატვირთო ავტომანქანის მართვის დროს განავითარა დიდი სიჩქარე, გადავიდა გზის უკიდურეს მარჯვენა მხარეს და მანქანა გადაადგო მდინარეში. ავარიის შედეგად გარდაიცვალა მანქანის ძარაზე მჯდომი ორი მგზავრი, ხოლო დანარჩენებმა სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღეს. სახელდობრ, ერთი მგზავრი დაზიანდა მძიმედ, სამი ნაკლებად მძიმედ, რვა—მსუბუქად. გეგეჭკორის რაიონის სახალხო სასამართლომ 1972 წლის 16 აგვისტოს განაჩინით ბ-ს მსჯავრი დასდო სსკ-ს 241-ე მუხლის IV ნაწილით და შეუფარდა ათი წლით თავისუფლების აღკვეთა. ოთხი წლით ჩამოართვა მანქანის მართვის უფლება²⁵.

სასამართლო პრაქტიკის ასეთი სხვადასხვაობა შედეგია იმ უთანხმოების, რომელიც არსებობს საქართველოს სსრ სსკ-ს მე-40-ე მუხლსა და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1970 წლის 6 ოქტომბრის მითითებულ დადგენილებას შორის. კერძოდ, თუ მე-40-ე მუხლის თანახმად სასამართლო ვალდებულია ერთი ქმედობით ჩადენილი ორი ან მეტი დანაშაული (ჩვენ შემთხვევაში დაზარალებულის სიკვდილი, სხეულის დაზიანება და სხვ.), რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის მუხლის სხვადასხვა ნაწილით (მაგალითად, 241-ე მუხლის მე-2, მე-3 ნაწილით და ა. შ.) დააკვალიფიციროს დანაშაულთა ერთობლიობით, ასავე არ შეუძლია მოიქცეს პლენუმის დადგენილების მიხედვით.

პლენუმის დადგენილება (იხე რომ, დათქმას არ აკეთებს საქართველოს სსრ სსკ-ს ზემოაღნიშნულ თავისებურებაზე) მოითხოვს, რომ მსგავს შემთხვევებში ქმედობა დააკვალიფიცირდეს განხორციელებული შედეგებიდან ყველაზე მძიმე შედეგის მიხედვით²⁶.

ჩვენი შეხედულებით, უფრო მისაღებად უნდა ჩაითვალოს იმ მოსამართლეთა პოზიცია, რომლებიც ზემოაღნიშნულ შემთხვევებს დანაშაულთა იდეალური ერთობლიობით აკვალიფიცირებენ. ამას ის უპირატესობა აქვს, რომ სასამართლოს ხელს უწყობს ჩადენილი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების შეფასებაში: წინა პლანზე იწევა ის გარემოება, რომ დამნაშავეს ჩადენილი აქვს რამდენიმე დანაშაული და ამის შესაბამისად საჭიროა მისი მკაცრად დასჯა.

საკითხის ასეთ გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით მა-

²⁴ იხ. საქმე № 208, 1972 წ., გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი.

²⁵ იხ. საქმე № 61, 1972 წ., გეგეჭკორის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი.

²⁶ იხ. «Бюллетень Верховного Суда СССР» 1970, № 6, стр. 22.

შინ, როდესაც შედეგთა სიმრავლეში მნიშვნელოვანი მატერიალური წარმატებები ურევია. სასამართლო პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ მსგავს შემთხვევებში მოსამართლეებს ყურადღება გადააქვთ დაზარალებულის სიკვდილზე ან სხეულის დაზიანებაზე და მხედველობის გარეშე ტოვებენ მატერიალური ზარალის გამოწვევას, როგორც 241-ე მუხლით გათვალისწინებულ ერთ-ერთ დანაშაულებრივ შედეგს; ყოველივე ამას კი საბოლოო ანგარიშით შედეგად მოსდევს დაუსაბუთებლად ლმობიერი განაჩენის დადგენა, მაგალითად:

პ. ცნობილ იქნა დამნაშავედ იმაში, რომ ავტობუსის მართვის დროს გადავიდა გზის უკიდურეს მარჯვენა მხარეს, დაეჯახა ხრეშის გროვას და მანქანა გადააბრუნა. ავარიის შედეგად მძიმედ დაშავდა ერთი მგზავრი, ხოლო დანარჩენებმა თავს უშველეს კაბინიდან დროზე ამოსვლით. ავტობუსს გაუჩინდა ცეცხლი და მთლიანად დაიწვა. სახელმწიფო დაზარალდა 4852 მანეთითა და 93 კაპიკით.

ზობის რაიონის სახალხო სასამართლომ 1972 წლის 15 ნოემბრის განაჩენით პ-ს მსჯავრი დასდო სსკ-ს 241-ე მუხლის მეხამე ნაწილით და შეუფარდა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა. ამავე ვადით ჩამოართვა მანქანის მართვის უფლება²⁷.

საქმიდან არ ჩანს, თვის თუ არა სასამართლო აღნიშნულ მატერიალურ ზარალს მნიშვნელოვნად და მხედველობაში იღებს თუ არა მას სასჯელის დანიშვნის დროს.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა განუმარტოს სასამართლოებს სსკ-ს მე-40 მუხლისა და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1970 წლის 6 ოქტომბრის დადგენილების ზემოაღნიშნული შეუსაბამობა, მიუთითოს, რომ მოცემულ შემთხვევებში მათ რესპუბლიკის კანონმდებლობით უნდა იხელმძღვანელონ და ქმედობა დააკვალიფიცირონ სსკ-ს 241-ე მუხლის სხვადასხვა ნაწილით.

27 იხ. საქმე № 56, 1972 წ., ზობის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი.

სასამართლო-ბალისტიკური ექსპერტიზის დასახმარებლად საქართველოს იუსტიციის საკითხის გადაწყვეტის მიზნით

3. ციხეპირი

სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისას ხშირად აღმოცენდება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის გამოყენებასთან დაკავშირებული სპეციალური საკითხების გადაწყვეტის აუცილებლობა. ამ მიზნით გამოძიებელი ნიშნავს სასამართლო-ბალისტიკურ ექსპერტიზას, რომელსაც სხვა კრიმინალისტურ ექსპერტიზების მსგავსად აწარმოებენ საექსპერტო კრიმინალისტურ დაწესებულებათა ექსპერტები.

სასამართლო-ბალისტიკური ექსპერტიზების ობიექტები მეტად მრავალფეროვანია და ამიტომ იარაღისა და საბრძოლო მასალების გამოკვლევისას ექსპერტების მიერ გადაწყვეტილი საკითხები სხვადასხვაგვარია. ერთი შეეხება იარაღის გამოყენების ფაქტს, მეორე — ნასროლი ტყვიებითა და ვაზნებით იარაღის იდენტიფიცირებას. გამოძიების პრაქტიკაში ხშირად აუცილებელი ხდება დადგინდეს საბრძოლო მასალების მსგავსება, სროლის მანძილი და სხვა საკითხები.¹

თბილისის სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის საექსპერტო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს სსრ პროკურატურისა და საქართველოს სსრ შსს ორგანოების გამოძიებლები სასამართლო-ბალისტიკური ექსპერტიზის გადასაწყვეტად თითქმის ყოველთვის აუცილებენ ცეცხლსასროლი იარაღის გამართულობასა და მისი სროლისათვის ვარგისიანობის საკითხებს. ამასთან ეს აუცილებლობით არ არის გამოწვეული.

ასე მაგალითად, როდესაც ინიშნება სასამართლო-ბალისტიკური ექსპერტიზა ნასროლი ვაზნებით იარაღის კონკრეტული ეგზემპლარის გაიგივების მიზნით ან შესაბამის პირობებში სასხლეტზე ხელის დაჭერის ვარაუდით სროლის შესაძლებლობის გასარკვევად, ამ შემთხვევაში იარაღის გამართულობისა და სროლის ვარგისიან-

ობის განსაზღვრა წარმოადგენს სასამართლო-ბალისტიკური გამოკვლევის ჩვეულებრივ ამოცანას.

ექსპერტიზის დასკვნაში დაწვრილებით აღიწერება იარაღის ტექნიკური მდგომარეობა, გამოკვლევის პროცესში გამოვლენილი დეფექტები, იარაღის ნაწილების ურთიერთმოქმედება, მისი გამართულობისა და ვარგისიანობის შეფასება. რამდენადაც ბალისტიკური ექსპერტიზის დროს იარაღის გამართულობისა და სროლის ვარგისიანობის დადგენა თვით გამოკვლევის მეთოდითა და დასკვნის შედგენის წესით აიხსნება, ამდენად ექსპერტიზის დანიშნვის დადგენილებაში გამოძიებლის მიერ ამ საკითხის დაყენება უდამეტოა.

საგამომძიებლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც სასამართლო-ბალისტიკური ექსპერტიზა ინიშნება საქართველოს სსრ სსკ 238-ე და 239-ე მუხლებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებზე. როგორც ცნობილია, საქართველოს სსრ სსკ-ს 238-ე მუხლი აღგენს პასუხისმგებლობას იარაღის ან ფეთქებელ ნივთიერებათა უკანონო ტარების, შენახვის, დამზადების ან გასაღებისათვის. ამიტომ ამ მუხლით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისას სასამართლო-ბალისტიკური ექსპერტიზა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებულ გარემოებათა გამოსარკვევად ან იგივეობის დასადგენად არ ტარდება. ასეთ საქმეებზე ერთადერთი, რაც დასადგენია, ესაა საკითხი იარაღის გამართულობისა და სროლისათვის ვარგისიანობის შესახებ. ხშირად ექსპერტის დასკვნის შინაარსზე დამოკიდებულია პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებებაში მიცემა (თუ იარაღი გამართულია ან სროლისათვის ვარგისი) ან აღძრული სისხლის სამართლის საქმის მოსპობა (თუ დასკვნაში მითითებულია, რომ იარაღი გაუმართავია და უვარგისია სროლისა-

¹ იხ. С. Д. Кустанович. Судебная баллистика, М., 1956, глава I.



თვის). ასე მაგალითად, ცხაკაიას მილიციის რაი-
განყოფილებაში მოქ. კ-ს მიმართ აღძრა სისხლის
სამართლის საქმე საქართველოს სსრ სსკ 238-ე
მუხლით. როგორც საქმის გარემოებიდან ჩან-
და, მოქ. კ. უკანონოდ ატარებდა „ტტ“ სისტე-
მის პისტოლეტს და ხულიგნური ქვედაგრძნობით
ისროდა ქალაქში. ამ საქმეზე დაინიშნა ექსპერ-
ტიზა, რომლის გადასაწყვეტადაც დააყენეს სა-
კითხი დადგინდეს პისტოლეტ „ტტ“-ს გამარ-
თულობა და მისი სროლისათვის ვარგისიანობა.
ექსპერტმა დაადგინა, რომ გამოკვლევაზე წარ-
მოადგენილი მოქ. კ-ს „ტტ“ პისტოლეთი ტექნი-
კურად გაუმართავია, რადგან მას არა აქვს უკუ-
ქცევითი ზამბარა და ამის გამო უვარგისია სას-
როლად. ამ დასკვნის საფუძველზე ცხაკაიას მი-
ლიციის რაიგანყოფილების გამომძიებელმა კ-ს
მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე
მოსპო.²

ეს დადგენილება რაიონის პროკურორმა გაა-
უქმა. საქმის ხელახალი გამოძიების დროს მოწ-
მეთა ჩვენებით დადგინდა, რომ მოქ. კ. ისროდა
სწორედ ამ პისტოლეტით და მილიციის მუშა-
კის მიერ მისი დეკავების დროს პისტოლეთი-
დან გამოაძრო უკუქცევითი ზამბარა და ამით
იარაღი სროლისათვის უვარგისი გახდა.

ქ. სოხუმის მილიციის მუშაკებმა დააკავეს
მოქ. ა., რომელსაც ჩხრეკისას აღმოაჩნდა „პა-
რაბელუშის“ სისტემის პისტოლეთი, რომლის
ტარების უფლებაც მას არ ჰქონდა. საქართვე-
ლოს სსრ სსკ 238-ე მუხლით აღძრა სისხლის
სამართლის საქმე, რომლის გამოძიებისას დაი-
ნიშნა სასამართლო ექსპერტიზა იარაღის გა-
მართულობისა და მისი სროლისათვის ვარგის-
იანობის დადგენის მიზნით. ექსპერტმა დასკვ-
ნაში მიუთითა, რომ გამოაკვლევე პისტოლეტს
დაზიანებული აქვს დამცველის გვერდითი კავი
და ამის გამო ტექნიკურად გაუმართავია და უვა-
რგისია სასროლად. ექსპერტიზის დასკვნის სა-
ფუძველზე ა-ს მიმართ აღძრული სისხლის სა-
მართლის საქმე მოიხსო.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კო-
დექსის 238-ე მუხლით სისხლის სამართლის საქ-
მის არ აღძვრა ან მისი მოსპობა იმ მოტივით,
რომ უნებართვო იარაღი ამოდების მომენტში
გაუმართავია ან სროლისათვის გამოუსადეგარი,
არასწორია.

საქართველოს სსრ სსკ 238-ე მუხლის დისპო-
ზიციიდან ჩანს, რომ ამ მუხლით სისხლის სა-
მართლის პასუხისმგებლობის საფუძველია ია-
რაღის ან ფეტქებად ნივთიერებათა უკანონო
ტარების, შენახვის, დამზადების ან გასაღების
ფაქტი. გამოაკლისის შეადგენს გლუვფულიანი
სანადირო იარაღი.

რამდენადაც საქართველოს სსრ სსკ 238-ე
მუხლი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის
პირობად არ ითვალისწინებს ცეცხლსასროლი
იარაღის სროლისათვის გამართულობასა და ვარ-
გისიანობას, ამდენად საგამოძიებო და სასამრ-
თლო პრაქტიკა მხედველობაში არ უნდა იღებ-
დეს მის ფაქტიურ ტექნიკურ მდგომარეობას
სროლისათვის გამართულობისა და ვარგისია-
ნობის თვალსაზრისით. საქართველოს სსრ სსკ
238-ე მუხლით გათვალისწინებული საგანი უნ-
და პასუხობდეს ცეცხლსასროლი იარაღისა
(გარდა გლუვფულიანისა) და საბრძოლო მასა-
ლისათვის დამახასიათებელ ნიშნებს.

საქართველოს სსრ სსკ 238-ე მუხლით აღძრულ
საქმეებზე ნივთიერი მტკიცებულებანი თავისი
ხასიათითა და ბალისტიკური თავისებურებებით
მეტად სხვადასხვაგვარია. ამასთან დაკავშირე-
ბით ამ კატეგორიის საქმეებზე აუცილებელია
სასამართლო ბალისტიკის სფეროში სპეციალუ-
რი ცოდნა და ბალისტიკური ექსპერტიზის ჩა-
ტარება, მაგრამ არა ნივთიერ მტკიცებულებათა
სროლისათვის გამართულობისა და ვარგისიანო-
ბის დასადგენად, არამედ იმის დასადგენად წარ-
მოადგენს თუ არა ის თავისი ხასიათით, დანიშ-
ნულებით და ტექნიკური მოწყობებით ცეცხლ-
სასროლ იარაღს. ბუნებრივია, რომ სასამართლო
ბალისტიკური ექსპერტიზის ჩატარება ნივთიე-
რი მტკიცებულების ცეცხლსასროლ იარაღად მი-
კუთვნების მიზნით, ისევე როგორც იარაღის
იდენტიფიკაციის გამოკვლევა, გამოსაკვლევი
ობიექტის სროლისათვის გამართულობისა და
ვარგისიანობის განსაზღვრა წარმოადგენს სა-
ერთო-სავალდებულო ამოცანას, გამომდინარე
თვით სასამართლო-ბალისტიკური გამოკვლევის
მეთოდიკიდან.

საქართველოს სსრ სსკ 238-ე მუხლით აღძრულ
საქმეებზე სასამართლო-ბალისტიკური ექსპერ-
ტიზის როლისა და მნიშვნელობის სწორად გა-
გებისათვის მოვიტანთ მაგალითს პრაქტიკიდან:
მოქ. ბ.-ს ბინის ჩხრეკისას აღმოჩნდა უნებართ-
ვოდ შენახული „ვოლტერის“ სისტემის პისტო-
ლეთი. სასამართლო-ბალისტიკური ექსპერტიზის
ჩატარებით დადგინდა, რომ გამოკვლევაზე წარ-
მოადგენილი ნივთიერი მტკიცებულება წარმო-
ადგენდა „ვოლტერის“ სისტემის პისტოლეტის
მხოლოდ ჩარჩოსა და ლულას. რამდენადაც ამ
პისტოლეტს არ გააჩნდა სხვა მნიშვნელოვანი
ნაწილები, მათ შორის სახსლეტი შექაჩიში,
ექსპერტმა დაასკვნა, რომ გამოკვლევაზე წარ-
მოადგენილი ჩარჩო და ლულა თავისთავად წარ-
მოადგენენ მხოლოდ „ვოლტერის“ სისტემის
პისტოლეტის გარკვეულ ნაწილებს და ამ სახით

² თბილისის სესკლ ექსპერტიზის № 178 დასკვნა, 1963 წელი.

ცეცხლსასროლ იარაღს არ წარმოადგენს.³ ექსპერტის ეს დასკვნა, რომელიც მოცემულ შემთხვევაში გახდა საფუძველი სისხლის სამართლის საქმის მოსპობისა საქართველოს სსრ სსკ 238 მუხლით, შეიცავდა მითითებას არა მარტო გამოაკვლივად წარდგენილი ცეცხლსასროლი იარაღი უწყისიგრობაზე, ან სროლისათვის უფარგობაზე, არამედ იმაზე, რომ იგი არ იყო ცეცხლსასროლი იარაღი.

საქართველოს სსრ სსკ 239-ე მუხლი, ზემოაღნიშნულ 238-ე მუხლისაგან განსხვავებით, ითვლისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, როდესაც მართლწოდებულ მფლობელობაში არსებული იარაღი დაუდევრად ინახება. ამ მუხლით ცეცხლსასროლი იარაღს მიეკუთვნება გლუვლულიანი სანადირო თოფი.

კანონს დანაშაულად მიაჩნია ცეცხლსასროლი იარაღის დაუდევრად შენახვა, რასაც შეეძლო გამოეწვია ამ იარაღის გამოყენება სხვა პირის მიერ (მაგ. ბავშვების მიერ) და რამაც გამოიწვია ადამიანთა მსხვერპლი ან სხვა მძიმე შედეგი.

ცეცხლსასროლი იარაღის დაუდევრად შენახვაში, რითაც შექმნილია ამ იარაღის სხვა პირის მიერ გამოყენების პირობა, იგულისხმება დადგენილი წესების დაუცველობა. მაგ. იარაღის შენახვა მაგიდის დაუკეცავ უჯრაში, კედელზე, რაც ხელმისაწვდომი სხვა პირების სარგებლობისათვის ან იარაღის გადაცემა სხვა პირის სარგებლობაში.⁴

რადგანაც საქართველოს სსრ სსკ 239-ე მუხლით ცეცხლსასროლი იარაღის დაუდევრად შენახვა აუცილებლად დაკავშირებულია განსაზღვრული რეზულტატის — ადამიანთა მსხვერპ-

ლის ან სხვა მძიმე შედეგის დადგომასთან, ამიტომ თავისთავად იარაღი უნდა იყოს გამართული და ვარგისი სროლისათვის. იმ შემთხვევაში, თუ იარაღი უფარგისია სროლისათვის, ბუნებრივია მას არ მოჰყვება მსხვერპლი და სხვა მძიმე შედეგი, ასეთი იარაღის დაუდევრად შენახვა არ გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სსრ სსკ 239-ე მუხლით.

კვალიფიკაციის თვალსაზრისით სხვა მდგომარეობა იქმნება, როდესაც იარაღი გაუმართავია.

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც სწორედ დაუდევრად შენახული გაუმართავი ცეცხლსასროლი იარაღი იწვევს ადამიანთა მსხვერპლს და მძიმე შედეგს-თვისდაპირაპირ ან სხვა პირისათვის სხეულის დაზიანებას. ამ შემთხვევაში პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიეცემისას საქართველოს სსრ სსკ 239-ე მუხლით სავალდებულო არ არის სასამართლო-ბალისტიკური ექსპერტიზის დანიშვნა იარაღის გამართულობის დადგენის მიზნით იმიტომ, რომ ამ მდგომარეობას არ ითვალისწინებს კანონი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობად, ხოლო შედეგი, მაგალითად ადამიანთა მსხვერპლი ან სხეულის დაზიანება, უშუალო მიზეზობრივ კავშირშია იარაღის დაუდევრად შენახვასთან.

ამგვარად, საქართველოს სსრ სსკ 238-ე და 239-ე მუხლების ანალიზიდან შესაძლოა გამოვიტანოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ ამ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის გამოძიების დროს არ არის საჭირო სასამართლო-ბალისტიკური ექსპერტიზის დანიშვნა ცეცხლსასროლი იარაღის გამართულობისა და სროლისათვის ვარგისიანობის დადგენის მიზნით.

³ თბილისის სესკლ ექსპერტიზის № 238 დასკვნა, 1963 წელი.

⁴ Коментарии УК РСФСР, М., 1969, стр. 466.



საბჭოთა სახალმწიფოს საზღვრების დასაცვა და კონფრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიიდან

მ. ზანიძე,

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი

სასაზღვრო მეურნეობის სოციალისტური რეალისტური გადაყენებისა და საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიკის დამოუკიდებლობის შენარჩუნება-განვითარების ამოცანებმა დღის წესრიგში დააყენა შინაგანი და გარეშე მტრების ხელყოფისაგან სახელმწიფო საზღვრების დაცვის პრობლემა. 1918 წლის მაისში ვ. ი. ლენინის ხელმოწერით გამოცა ისტორიული დეკრეტი „სასაზღვრო დაცვის დაფუძნების შესახებ“. ამ დეკრეტით ნათლად განისაზღვრა საბჭოთა ქვეყნის სახმელეთო და წყლის სახელმწიფო საზღვრები და ჩამოყალიბდა მათი დაცვის განაწესი.


კორდონს მიღმა თავშეფარებული თეთრგვარდიელებისა და საბჭოეთის სხვა მტრების ძირ-გამომხრელი საქმიანობის აღკვეთისა და საზღვარზე რევოლუციური წესრიგის დამყარებისათვის პარტიამ და მთავრობამ მთელი რიგი ღონისძიებები განახორციელეს. სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიასთან ჩამოყალიბდა სასაზღვრო განყოფილება, რომელსაც დაუმორჩილდა საზღვრის უზენესე შემწეობის საგანგებო კომისიები. შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1921 წლის 19 იანვრის დაგენილებით საფუძველი ჩაეყარა საგანგებო კომისიის სპეციალურ ჯარებს. მათ სხვა ფუნქციებთან ერთად დაევალიათ სახელმწიფო საზღვრების დაცვა. ყველაფერი გაკეთდა, რათა სასაზღვრო ჯარებში შერწყმულიყო წითელი არმიისა და საგანგებო კომისიის ორგანოებისათვის დამახასიათებელი მხარეობა და მამაცობა, ხალხისა და პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულება, დიდი პოლიტიკური სიფხიზლე და პროფესიული ოსტატობა. „საზღვრის დაცვის საქმეს ჩვენი რესპუბლიკა საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებს, — აღნიშნავდა ფ. ე. ძერჟინსკი, — განსაკუთრებით ახლა, როცა მტერი დამარცხებულია ფრონტზე, განადგურებულია კონტრარევოლუცია, რომლის ცდაც შიგნიდან გაეტეხათ საბჭოთა ხელისუფ-

ლება მარცხით დამთავრდა, როცა კაპიტალისტური ქვეყნების მიერ ხდება ჩვენი კავშირის აღიარება, როცა ბევრ ჩვენთაგანს ჰგონია, რომ გაუღლილია სიძნელებები, რომ დადგა ჩვენი შემოქმედებითი შრომის დრო გაცილებით ხელსაყრელ და მშვიდ პირობებში, სწორედ ამ დროს უნდა გამოიჩინოს ჩვენმა ორგანოებმა და, კერძოდ, სასაზღვრო დაცვამ განსაკუთრებული სიფხიზლე“ ფ. ძერჟინსკის ამ მოწოდების საპასუხოდ სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა მტკიცედ ჩარაზეს საბჭოთა საზღვრები მათთვის, ვისაც მძულდა ჩვენი ქვეყანა.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ ხანებში უპარტულად რთული ვითარება შეიქმნა ამიერკავკასიის საზღვრებზე. მენშევიკთა, დაშნაკთა, მუსავატელთა და მტრულად განწყობილი მეზობელი კაპიტალისტური სახელმწიფოების რეაქციული ძალები თავს ესხმოდნენ ჩვენს სოფლებს, ხოცავდნენ პარტიულ და საბჭოთა აქტივისტებს. გასშირდა საზღვრის დარღვევის შემთხვევები. მტერი ჯაშუშების, დივერსანტებისა და ტერორისტების შემოსაგზავნად ათასნაირ ხრიკებს მიმართავდა. ბევრი მათგანი თავს მათხოვრად, ბრმად ან ყრუ-მუნჯად ასაღებდა, ბევრიც პოლიტიკურ დევნილად.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საზღვრების დაცვა თავდაპირველად XI არმიის პირველი ცალკე დივიზიის პოლკებს დაეკისრა. საზღვრის პოლიტიკური დაცვასთან დაკავშირებულ ყოველგვარ საქმიანობას კი საქართველოს საგანგებო კომისია ხელმძღვანელობდა. 1922 წლიდან ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციულ გაერთიანებასთან დაკავშირებით, სახელმწიფო საზღვრების დაცვა დაევალა ამიერკავკასიის საგანგებო კომისიას, რომელთანაც შეიქმნა საზღვრების დაცვისა და კონტრბანდისთან ბრძოლის განყოფილება. აქვე ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის სასაზღვრო

1 ფ. ზ. ძერჟინსკი. «Избранные произведения», მოსკოვი, 1957 წ., გვ. 63.



ჭარების შტაბი. სასაზღვრო ჭარების სარღლად ლინიზნა ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე სოლომონ მოგილევსკი.

1922-23 წლებში ძირითადად დამთავრდა ამიერკავკასიის სახმელეთო და წყლის საზღვრების დაცვისათვის საჭირო ძალებისა და საშუალებების დისლოცირება. სასაზღვრო ჭარების მოღვაწეობის შემდგომი დახვეწისა და რეგლამენტირებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის 7 სექტემბრის დებულებას „სსრ კავშირის საზღვრების დაცვის შესახებ“. დებულებაში შემდგომი განვითარება ჰქონდა სოციალისტური სახელმწიფო საზღვრების დაცვის ლენინურმა იდეამ. საბოლოოდ ჩამოყალიბდა სასაზღვრო ჭარებისა და საგანგებო კომისიის ორგანოების უფლება-მოვალეობანი. სახელმწიფო საზღვრების დაცვა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობის საგნად იქცა.

აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს პრეზიდიუმმა 1938 წლის 27 ნოემბრის სხდომაზე მოსმინა აჭარის საგანგებო კომისიის საზღვრების დაცვის განყოფილების მოხსენება სანაპირო საგუშაგო ქსელის პროექტის შესახებ და დაადგინა: „დაწესდეს აჭარის ტანის რესპუბლიკაში საზღვრების დაცვის საჭიროებისათვის რამდენიმე საგუშაგო“.² სასკომსაბჭოს პრეზიდიუმმა იმსჯელა საგუშაგოების კეთილმოწყობაზე და მიიღო კონკრეტული დადგენილება.

აღსანიშნავია ხალხის ენთუზიაზმი და ერთსულეობა საზღვრის დაცვის საქმეში. სოფლებში სახელდახელოდ გამართულ კრებებზე აყალიბებდნენ შეიარაღებულ რაზმებს და პირობას დებდნენ საჭიროების შემთხვევაში დიდი და პატარა განურჩევლად სქესისა, აღსდგებოდნენ სამშობლოს საზღვრების დასაცავად.

1923 წლის 22 იანვარს სახალხო კრებამ, რომელსაც 34 სოფლის მცხოვრებნი ესწრებოდნენ, მიიღო ერთსულეობანი დადგენილება: არჩეულ იქნან. მოქალაქეები საზღვრის დაცვაში მონაწილეობის მისაღებად.³ კრებამ გამოხატა ხალხის ფართო მასების დარაზმულობა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ირგვლივ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში სახალხო მეურნეობის აღდგენისა და მისი გეგმიური განვითარებისათვის სერიოზული საფრთხე იყო კონტრაბანდა, საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლიის მოშლა და ამ გზით სოციალისტური ეკონომიკის პარალიზება. უცხოეთის დაზვერვა ყოველ-


გვარ ღონეს ხმარობდა კონტრარევოლუციის წარჩენების გამოყენებით ამიერკავკასია გადაექციათ კონტრაბანდის ბუდედ. ამიტომ იყო, რომ სასაზღვრო ზონის გასწვრივ შეიქმნა სატრანზიტო ვაჭარ-მედუქნეთა ფართო ქსელი. კონტრაბანდისტულ საქმიანობაში აქტიურად ჩაებნენ მუსულმანური კულტის მსახურნი — მოლბები და სეიდები, ყოფილი ბეგები, ხანები, მემამულეები, მოხელეები და სხვა მტრული ელემენტები. გაჩნდა ათასობით მომწოდებელ-მომმარაგებლები და გამავრცელებლები, რომლებიც დახელოვდნენ საკონტრაბანდო საქონლის საზღვარზე გადმოზიდვა-გადაზიდვისა და მისი გავრცელება-გასაღების საქმეში. კონტრაბანდისტები საქონლის გადასატან-გადამოსატანად, გარდა საბაჟო დოკუმენტების გაყალბებისა, მიმართავდნენ უამრავ ხრიკებს: სპეციალურ ფეხსაცმელს იცვამდნენ, შინაური და გარეული ცხოველების ფეხის ანაბეჭდის დასატოვებლად. ნარკოტიკების მოვაჭრენი — ცხენებსა და სახედრებს აყლაპებდნენ ამპულებს. იქ, სადაც მდინარეები ჭრიან საზღვარს, საქონელი შემოპქონდათ საგანგებოდ მოწყობილი წყლისქვეშა, საბაგირო“ გზებით. ზღვით კონტრაბანდის შემოტანის დროს იყენებდნენ წყალგაუმტარ კონტეინერებს, სატრანსპორტო საშუალებებზე მოწყობილ ფარულ საკუქნაოებს, მიმართავდნენ უბედური შემთხვევის ინსცენირებას და ა. შ. კონტრაბანდისტებს არც რელიგიური და ეროვნული თავისებურებების გამოყენების შესაძლებლობა გამოჩინათ მხედველობიდან. ისინი კონტრაბანდისტული საქმეების მოგვარებისათვის მუსულმანი ქალების გადაბირებასთან ერთად თვითონაც არ თაკილობდნენ მანდილოსა და ჩადრში გახვეულიყვნენ.

სოციალისტური მეურნეობის კაპიტალისტური ქვეყნების მხრივ ეკონომიური ექსპანსიისაგან დაცვისა და საბეკულაციის აღკვეთის აუცილებლობამ კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლა გადაუდებელ სახელმწიფო საქმედ აქცია. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ კონტრაბანდასთან გადამჭრელი ბრძოლის წარმოება საგანგებო კომისიის ორგანობის მიანდო.

ვ. ი. ლენინის 1921 წლის 10 ნოემბრის განკარგულებით სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს ი. ს. უნშლიხტს დაევალა დაუყოვნებლივ მოეწვია სა-

² აჭარის ასსრ ცსა, ფონდი 2, აღწ. I, საქმე 21, ფურ. 9.

³ იქვე, საქმე 22, ფ. 5.



გარეო ვაჭრობის უზინაგანი და სამხედრო საქმეთა სახალხო კომისრების თათბირი კონტრაბანდასთან ბრძოლის საკითხების განსახილველად. უნშლისხტს ერთი კვირის ვადა ეძლეოდა მოემზადებინა სახალხო კომისართა მცირე საბჭოსათვის მოხსენება კონტრაბანდასთან ბრძოლის ღონისძიების შესახებ.

1921 წლის ნოემბერში სახალხო კომისართა საბჭომ რამდენჯერმე განიხილა კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი, ხოლო იმავე წელს, 8 დეკემბერს გამოსცა სპეციალური დეკრეტი,⁴ რომელიც საფუძვლად დაედო აღნიშნული ბოროტმოქმედების აღმოფხვრის დღემნიშვნელოვან საქმეს. დეკრეტის განხორციელებისათვის სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიასთან ჩამოყალიბდა კონტრაბანდასთან ბრძოლის ცენტრალური კომისია, ხოლო სასაზღვრო დაცვის განსაკუთრებულ განყოფილებებთან კი — ადგილობრივი კომისიები. მათში შევიდნენ უმთავრობის ორგანოების, სამხედრო უწყებთა და საბაჟო კონტროლის წარმომადგენლები.⁵

ამიერკავკასიისა და საქართველოს საგანგებო კომისიებმა კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობითა და ხელმძღვანელობით წარმატებით გაართვეს თავი კონტრაბანდასთან ბრძოლის საქმეს. საბჭოთა ხელისუფლების მტრების კონტრაბანდისტული საქმიანობის წინააღმდეგ მესაზღვრე-ჩეკისტების მიერ გაწეული შრომისა და ბრძოლის მასშტაბის წარმოსადგენად საკმარისია აღინიშნოს შემდეგი: პირველი ხუთი წლის განმავლობაში ახალციხის სასაზღვრო უბანზე, რომელიც კონტრაბანდისტული საქმიანობის თვალსაზრისით არც თუ ისე აქტიურ უბნად ითვლებოდა, დააკავეს რამდენიმე კონტრაბანდისტული ჯგუფი, რომელთაგანაც ბევრმა გააფთრებული შეიარაღებული წინააღმდეგობა გასწია. ხოლო აჭარის მესაზღვრეებმა 1924 წელს, ხელთ იგდეს ათეულობით ათასი მანეთის (ოქროთი) ღირებულების საკონტრაბანდო საქონელი.⁵

კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიამ არაერთი მაგალითი შემოინახა საბჭოთა საზღვრების ერთგული გუშაგების მესაზღვრე-

ჩეკისტების სამაგალითო სიფხიზლის, საზრიაზისა და მამაცობის ნათელსაყოფად. 1923 წლის ზაფხულში ქვეყნის სამხრეთ მიდამოებში შემოიჭრა შეიარაღებული კონტრაბანდისტები, ორი დიდი ჯგუფი. მესაზღვრეთა მცირე რაზმი წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ ისინი უმალ მიიმალნენ მთიან სოფლებში. მესაზღვრეთა საკონტროლო პუნქტის ოპერატიული ჯგუფი მოხერხებულობამ და კონტრაბანდისტების თვალთმაქცური ხრიკების გამოცნობის უნარს უზრუნველყო მათი აღმოჩენა და დაკავება მცირე დღეებში ისე, რომ მათ ვერცერთი ტყვის გასროლა ვერ მოასწრეს.

იმავე წლის აგვისტოში აჭარის უბნის მესაზღვრეებმა დააკავეს ქალის ტანსაცმელში გამოწყობილი, ჩადრჩამოფარებული ორი მამაკაცი, რასაც შედეგად მოჰყვა ქალაქ ბათუმში მოკალათებული კონტრაბანდისტების დიდი ბაზის ლიკვიდაცია. რამდენიმე ხნის შემდეგ ზღვაში მდგომი ტანკერის მეზღვაურებმა დააკავეს თურქეთის იალქინაინი ნავი. იგი საზღვარს დარღვევის მიზეზების გამო სარკვევად ბათუმის ნავთსადგურში შეიყვანეს.

ეკიპაჟი, რომელიც ღელვისაგან გზაკვალაბნეულ მეთევზეებად ასაღებდა თავს, თვალცრემლიანი უხდიდნენ მადლობას საბჭოთა მესაზღვრეებს სტიქიისაგან გადარჩენისათვის. ერთი შეხედვით საეჭვო არაფერი იყო. — ზღვის ღელვა, ნავში დაყრილი სველი ბადები, თევზიანი ტრიუმფები და თავიდან ფეხებამდე გაწეული ეკიპაჟის წევრთა განაწამები სახები მათი ვერსიის სასარგებლოდ მეტყველებდნენ. რომ არა ჩეკისტის პროფესიული ოსტატობა და მოწინააღმდეგის თვალთმაქცობის შეცნობის აღდგომა, გამობრძნეული კონტრაბანდისტები დაუსჯელად წავიდოდნენ. მით უმეტეს, რომ მათი განთავისუფლებისათვის თავგამოდებით ზრუნავდა თურქეთის კონსული. გემის ანძაზე სრულიად შეუმჩნეველად გილას აღმოჩნდა ოქროს მონეტებით გამოტენილი სპეციალური სამალავი.

1923-24 წლების მანძილზე ჩეკისტებმა აღმოაჩინეს კონტრაბანდისტების რამდენიმე ჯგუ-

⁴ ვ. ი. ლენინი, თხზ. სრული კვლეული, ტომი 54, გვ. 12.
⁵ იქვე, გვ. 552—553.

ფი და ლიკვიდაცია უყვეს მათს საწყობებს.

საბჭოთა ქვეყნის საზღვრების ფიზიკელმა დამცველებმა არა ერთხელ დაუმტკიცეს სამშობლოს ერთგულება, სიამაცე და ფაყაცობა. ბევრმა მათგანმა სამარადისო შარავანდედით შემოსა თავისი სახელი. ამიერკავკასიის საზღვრების დამცველთა ბრძოლის მატთანე წმინდად ინახავს პირველი მესაზღვრეთა — ტიმოთე ლოჟუშინის, დავით ოდიშარაის, ნიკოლოზ სახაროვის, გიორგი სუნდუკიანცისა და სხვათა გმირობას.⁶

შეიძლება გადაუტარებლად ითქვას, რომ საქართველოს საგანგებო კომისიის მუშაებმა სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში აქტიური მონაწილეობით, შეთქმულებების, საბოტაჟის, მექრთამეობის, სპეკულაციის, კონტრაბანდის აღმოფხვრით და საზღვრის ხელყოფის წინააღმდეგ დაუღალავი ბრძოლით, უდიდესი როლი შეასრულეს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიური გაძლიერების საქმეში.

⁶ გაზ. „კომუნისტი“. 1968 წ., 2 მაისი.

კლასიციზმისა და სახელმწიფოს წარმოშობის საქართველოში

პ. შორაბაძე

ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი

საქართველოში კლასიციზმისა და სახელმწიფოს წარმოშობისა ერის ისტორიის მნიშვნელოვან მოვლენათა რიგს განეკუთვნება. ამიტომ ბუნებრივია, რომ ეს პრობლემა ქართული ისტორიული აზრის ინტენსიური კვლევის ობიექტი გახდა. მიუხედავად წყაროების სიმცირისა მატერიალური კულტურის, გეოგრაფიული და ქვეყნის ისტორიული გარემოს, აგრეთვე ზოგადი ფაქტების გათვალისწინებით შესაძლებელია მისი ზოგადად წარმოდგენა.

საკითხის ისტორიობრაფიკა. ქართული საისტორიო ტრადიციით საქართველოში აღექვსანდრე მაკედონელის ლაშქრობა ზღვრად დაედო უსახელმწიფო და უკლასო ხანიდან სახელმწიფოებრივ და კლასობრივ ხანაზე გადასვლას, ანუ როგორც ეს ლეონტი მროველთანაა, „მამასახლისობიდან“ „მეფობაზე“ გადასვლას. ამის მიხედვით დღევანდელი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით უკვე აღექვსანდრე მაკედონელის ლაშქრობამდე არსებობდა არიან-ქართლის სამეფო,¹ რომლის როლს ქართული ცივილიზაციის განვითარებაში უყურადღებოდ სტოვებდნენ. არიან-ქართლის მეფის ძე აზო სახელგანთქმული ბერძენმა მხედართმთავარმა თითქოს გაამეფა ქართლში (იბერიაში). მაგრამ აზომ დიდხანს ვერ იმეფა. თავისი დესპოტიზმით აზომ აიხსნა მოსახლეობის თო ფენები, თვით ის ბერძენი მეომრებიც კი, რომლებსაც იგი უწინ ეყრდნობოდა. ხალხის უკმაყოფილება გამოიყენა ფარნავაზმა და „ასურასტანზე“ (სელევკიდების სამეფო) დაყრდნობით გაიმარჯვა აზოსა და მის მხარდამკერ „ჰრომებზე“ (პონტოს სამეფო). გამარჯვებულმა ფარნავაზმა შეპ-

ქმნა, ასე ვთქვათ, ქართული კონსტიტუცია „მის-სგავსებულად სამეფოსა სპარსთასა“ (ლეონტი მროველი). იგი გახდა ქართული სახელმწიფოებრიობის ფუძემდებელი.

იმავე ტრადიციის მიხედვით სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგ გაჩნდა ქონებრივი და უფლებრივი განსხვავებანი იბერიელთა შორის. საზოგადოების მაღალ ფენას მიეკუთვნებოდნენ მეფის საგვარეულო, ერისთავნი, აზნაურნი, რომელთაც ეს წოდება ფარნავაზმა აზოსაგან განდგომილ ბერძენებს უბოძა.

ასე წარმოედგინა საისტორიო ტრადიციას ქართლში (იბერიაში) სახელმწიფოსა და კლასების წარმოშობა. რაც შეეხება კოლხეთში ამ ინსტიტუტების წარმოქმნას, საისტორიო ტრადიცია მათ შესახებ არ არსებობდა, ყოველ შემთხვევაში, მას ჩვენამდე არ მოუღწევია.

ახალ დროში, ვახუშტი ბაგრატიონით დაწყებული, საქართველოში კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის თაობაზე მნიშვნელოვანი არაფერი უთქვამთ. გაზიარებული იყო ქართული საისტორიო ტრადიცია.

ეს პრობლემა მაღალ დონეზე გამოიკვლია ივანე ჯავახიშვილმა. ბევრი წინამორბედისაგან განსხვავებით ჩვენი ისტორიის დიდმა მკვლევარმა უნდობლობა გამოუცხადა ქართულ საისტორიო ტრადიციას და აღძრული პრობლემის გააზრება მოახდინა ძირითადად სტრაბონის (ძვ. წ. 63 — ახ. წ. 20 წ.) ცნობებზე დაყრდნობით. ამ ბერძენი გეოგრაფოსის ცნობა მის შესახებ, რომ „საერთო აქვთ იბერებს ქონება ნათესაობისა და მიხედვით“, ივანე ჯავახიშვილმა სარწმუნოდ მიიჩნია და დაასკვნა, რომ ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე და მომდევნო საუკუ-

¹ აქემენიდი მეფეები იმპერიის განაპირა მხარეებში ყველგან როდი აუქმებდნენ ადგილობრივ მეფეთა ხელისუფლებას. ასე მაგალითად, კილიკიის მეფეები თავის ქვეყანაში სატრაპის ფუნქციას ძვ. წ. V ს-ის ბოლომდე ასრულებდნენ. ასევე იყო მცირე აზიის ზოგიერთ სხვა, სირიის, ფინიკიის, პალესტინისა და შუა აზიის მთელ რიგ წვრილ სამეფოებში. ჩვეულებრივი იყო მათი აჯანყებანი სპარსთა „მეფეთა მეფის“ წინააღმდეგ. იხ. В. И. Авдвнев. История Древнего Востока. М. 1953. გვ. 551—522; აგრეთვე Ричард Фрай, Наследие Ирана, М. 1972, გვ. 143, 149—150. შესაძლებელია ასეთი ისტორია განმეორდა სპარსელების მიერ დაპყრობილ სასუპე-რებთანაც, რომელთა გაერთიანების მეთაურიც დარჩა XVIII სატრაპიის მმართველობაში.

ნებისა და საქართველოში არსებობდა გვაროვნული საზოგადოება. კიდევ მეტი: მის მიხედვით ქართველი ხალხის წინაპრები ე. წ. ძველადმო-სახელურ ხანაში (მუსქებისა და თაბაღების განთავსების) სახელმწიფოებრივი განვითარების საფეხურზე იმყოფებოდნენ. მაგრამ ძველადგობებზე სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოშლისა და ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ქართველთა წინაპრების მიგრაციის შემდეგ კვლავ აღსდგა გვაროვნული წყობილება. ამდენად, სტრაბონის დროინდელი გვაროვნული წყობილება ქართლში და საერთოდ ქართველურ ხალხებში იგი. ჭავჭავაძის აზრით შესაძლებელია მეორეგნისი და მესამეგნისი კი ყოფილიყო.²

ჩვენს დიდ ისტორიოგრაფს, ცხადია, არ შეეძლო დაესაბუთებინა მუსქებისა და თაბაღებში სახელმწიფოს წარმოქმნა. რაც შეეხება ამ ფენომენის შემდგომ ბედს, მისი აზრით, გვაროვნული წყობილების აღდგენა არ სპობდა სახელმწიფოს. ამრიგად, იგი. ჭავჭავაძის შეხედულებით გვაროვნული წყობილება და სახელმწიფო სულაც არ ყოფილან ურთიერთგამომრიცხავი მოვლენები, რომ გვაროვნული წყობილების ხანა იბერიასში სულაც არ ყოფილა უსახელმწიფოებრიობის ხანა. ეს დებულება მკვლევარებმა ალოგოკურად მიიჩნიეს. თუმცა ისტორიული აზროვნების დღევანდელი განვითარების შუქზე ჩანს, რომ იგი. ჭავჭავაძის ასეთი პარადოქსალური მოსაზრება საკმაოდ დიდ რაციონალურ მომენტს შეიცავს. დღეს უკვე ნათლდება, რომ გვაროვნული წყობილების გარკვეულ პირობებში სახელმწიფოს არსებობა შესაძლებელია.³ ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს გვაროვნული წყობის არა ის ნიშანი, რომელიც საერთო კულექტიურ წარმოგებასა და თანაბარ განაწილებას გულისხმობს, არამედ მიწის საერთო საკუთრება და სისხლით ნათესაობის პრინციპი. სათანადო მაგალითების მოტანა აქვეყნებისსაბერძნეთის, ძველი ინდოეთისა და საკუთრივ გერმანიის, სკანდინავიის ხალხების, ავღანელების, ძველი რუსეთის ისტორიიდანაც შეიძლება.

განვიხილოთ პრობლემის გააზრება ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. დავიწყებთ სიმონ ჯანაშიას მემკვიდრეობით.

ს. ჯანაშიას მიერ საკითხის გააზრებაში შეიმჩნევა წინააღმდეგობანი.

ეს ეხება სტრაბონის ხანის იბერიის კლასობრივი საზოგადოების დახასიათებას. ერთი მხრივ, ს. ჯანაშიას მიხედვით ეს არის გარდამავალი ტიპის საზოგადოება. „აქ წარმოების სხვადასხვა წესები ებრძვიან ერთმანეთს“.⁴ შემდგომ საუკუნეებში ავტორის თანახმად უაღრესად გამწვავდა ბრძოლა მონათმფლობელობასა და მასზე დაყრდნობილ სახელმწიფოსა, ერთი მხრივ, და ფეოდალურ ძალებს შორის, მეორე მხრივ. ამაში აისახა დაპირისპირებული ეკონომიური წყობების ურთიერთობა.

მაგრამ თუ არ შემოვიჯარგლებით რამდენიმე ადგილით, აგრეთვე ს. კაკაბაძისათვის გაცემული მისი პასუხით, სიმ. ჯანაშიას ნააზრევში პრობლემის გაშუქება წინააღმდეგობრივია.

მეორეს მხრივ სიმ. ჯანაშიას აზრით საქართველოს განვითარების უკვე საკმაოდ ძველ ხანაში მონობამ თვალსაჩინო ხვედრითი წონა დაიკავა. იგი აღნიშნავდა, რომ გვარში სოციალური უთანასწორობაც ისახება მონობის სახით. მონის შრომა „განსაკუთრებით საჭირო ხდება ფართოდ დაყენებულ მიწისმოქმედების დროს, და მიწისმოქმედების ზრდათან ერთად იზრდება მონათა რიცხვიც და მათი წონაც მეურნეობაში. საზოგადოების ამ ორ კლასად დაყოფა სულ უფრო და უფრო ღრმა ხდება, განსაკუთრებით უნდა გაძლიერებულიყო ეს პროცესი მას შემდეგ, რაც განვითარების უკვე მიღწეულ, საკმაოდ მაღალ, საფეხურზე ტექნიკაში ლითონი შემოდის. მან არაჩვეულებრივად გააღიდა შრომის ნაყოფიერება და დააჩქარა ზემოთაღწერილი პროცესები“.⁵ მომდევნო გვერდზე ავტორი წერს, რომ ჩნდება საკუთრება პირუტყვზე, იზრდება თავისუფალთა და უთავისუფლოთა საზოგადოებრივი დაპირისპირების პროცესი, სიმიდრე და სილატაკე, მუდმივი შეხლა-შემოხლა და ომიანობა ტომებს შორის — უღვევილი წყარო მონობისა, ერთი ტომის გაბატონებისა და მეორის დამორჩილებისა.⁶ „ასე იშლება და ქრება გვაროვნული კავშირები, რომელთა ადგილსაც ტერიტორიალური კავშირები იჭერენ. ასე ყალიბდება კლასობრივი საზოგადოება და მასთან ერთად, გვაროვნული საზოგადოების ნაცვლად, სახელმწიფოც. ეს პროცესი აქ მხოლოდ ძალიან ზოგადად და სქემატურადაა მოხაზული უადგილობის გამო. ჩვენთვის ეს აუცი-


² ი. ვ. ჭავჭავაძე, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, 1928, გვ. 152.

³ ეს შენიშვნული ჰქონდათ მარქსსა და ენგელსსაც. იხ. K. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. 3. გვ. 32, ტ. 21. გვ. 169. ფრ. ენგელსი მიუთითებდა აგრეთვე გვარების აღდგენას არა მარტო აზნაურულ და პატრიციულ ფენებში, არამედ გლეხთა ნაწილშიც (დითმარშენის მაგალითი).

⁴ ს. ჯანაშია, შრომები, I. გვ. 170.

⁵ შრომები, II, გვ. 113.

⁶ შრომები, II. გვ. 114-115.



ლებელი იყო იმისათვის, რათა ცოტათი თუ ბევრად ვაკრკვეულიყავით ქართველ ტომთა განვითარების სათანადო ხანაში“⁷.

გვაროვნული (მის სინონიმად იგი ხმარობდა წინაკლასობრივსაც) საზოგადოების კლასობრივზე გადასვლა სიმ. ჯანაშიას აზრით ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში უნდა მომხდარიყო. ამის გამოხატულება, მისი აზრით, იყო ძვ. წ. VI ს-ში სახელმწიფოს წარმოქმნა. იგი წერდა: „ძველი კოლხეთის სამეფო, რამდენადაც არსებული მწიერი ცნობები მსჭვდომის საშუალებას იძლევა, მონათმფლობელური სახელმწიფოა, თეოკრატიის ელფერგადაკრული, იბერიის მსგავსად“⁸ სხვა ადგილას ვხვდებით: „ეინც ოდნავ მაინც იცნობს საქართველოს არქეოლოგიას, მისთვის ასეთ მტკიცებაში (მონობის არსებობაში გ. ყ.) მოულოდნელი არაფერი იქნება — მონური შრომის გამოყენება აქ ბევრ რამეში უდაოდ ჩანს მრავალი საუკუნით აღრე სტრაბონის ეპოქამდე“⁹ გადმოსცემდა რა საადგილმამულო ურთიერთობებს IV-V სს. ქართლში, ს. ჯანაშია წერდა: „ანტიკური საადგილმამულო საკუთრების ეს შეხანიშნავი ანალიზი (მარქსისეული გ. ყ.) მეცნიერულ შუქს ჰფენს ჩვენს პრობლემატსაც და ადებული ხანის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური სტრუქტურის გარკვევას გვიადვილებს“¹⁰ ვიმეორებთ: ამას იგი ლაპარაკობს IV-V სს-ის ქართლის საზოგადოების მიმართ! „როცა ჩნდება მონათმფლობელური სახელმწიფო, ეს უკანასკნელი საფიქრებელია, ცდილობს მეფის კორპორაციული საკუთრებით (სეფე — სახლის საკუთრებით) დაჰფაროს ცალკე თემთა საკუთრება“¹¹ „სოციალურ დიფერენციაციის მონათმფლობელურ ხასიათთან დაკავშირებით საადგილმამულო კერძო საკუთრებაც სპეციფიკურ სახეს იღებს — სასეფო და სატაძრო „თანაზიარი“ კერძო საკუთრების სახით. მონათმფლობელური საზოგადოებრივი ურთიერთობის გაბატონება სასეფო და სატაძრო, — აღნიშნული ხასიათის, — მემამულეობის გაბატონებულ, ძირითადად ფორმად გადაქცევას მოახწავებდა“¹² „რაც, მეორე მხრივ, განვითარების კლა-

სობრივი პერიოდის დამდეგს ქართველ ტომებში გაბატონებულად ჩვენ მონათმფლობელური ურთიერთობა მივიჩნით და ეს ურთიერთობა IV-V საუკუნეებში ჭერ კიდევ მეორე ძლიერი კომპონენტის სახითაა მოცემული“¹³ თვის ვახტანგ გორგასლის დროსაც კი, ს. ჯანაშიას აზრით, მონათმფლობელური ურთიერთობანი მარტო სამეფო და სატაძრო მეურნეობებს როდი მოიცავდა, არამედ „წვრილ ერსაც“¹⁴ ეს მეფე ეყრდნობოდა მონათმფლობელურ ელემენტებს.¹⁴ „მეფესა და წვრილ ერს ისიც აკავშირებს, რომ იმდროინდელ მონურ შრომის ექსპლუატატორთა უმრავლესობა სოციალურად სწორედ წვრილ ერში უნდა ვეძიოთ“¹⁵ არქიტექტურის ძეგლებიც, მათ შორის ციხე-ქალაქი უჯარმა, „მკვერმეტყველურად მიუთითებენ“ ამდროინდელ ქართლში მონური შრომის გამოყენებაზე,¹⁶ უფრო უწინ კი — ნაოსნობა ალაზანზე, მტკვარზე, რიონზე, ყვირილაზე. „ტაძრებისა და ქურუმების გარდა, მიწები ჰყავდათ, ცხადია, სხვებსაც — სახელდობრ, სამეფო დინასტიას, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ — მესამე გენეს, თავისუფალთა წოდების ანუ „ერის“ წარმომადგენლებსაც“¹⁷

ცნობილია, სიმ ჯანაშიას აზრი ქართლში მონათმფლობელური საზოგადოების ფეოდალური შეცვლაზე. რევოლუციის პირველი ეტაპისათვის აზნაურები გაერთიანდნენ მეფის ხელისუფლებასთან, რათა მოეხდინათ მონურ შრომაზე დამყარებული სატაძრო მეურნეობების ლიკვიდაცია. შემდეგ აზნაურები სპარსელთა დახმარებით სობენ ძველ დესპოტურ სახელმწიფოსაც, როგორც მონათმფლობელური, კონსერვატორული ძალების პოლიტიკურ ორგანოს, ეყრდნობიან რა მონათა სტიქიურ გამოსვლებსა და სხვ.

მსგავსი აზრების მოტანა კიდევ შეიძლებოდა სიმ. ჯანაშიას შრომების I და II ტომიდან, აგრეთვე „საქართველოს ისტორიის“ ძველი სახელმძღვანელოს იმ თავებიდან, რომელიც მის მიერაა დაწერილი.

ამრიგად, სიმ. ჯანაშიას აზრით, მონათმფლო-

7 გვ. 115.

8 გვ. 20.

9 შრომები, I, გვ. 154.

10 შრომები, ტ. I, გვ. 281.

11 გვ. 280.

12 გვ. 282.

13 გვ. 281.

14 გვ. 293.

15 გვ. 294.

16 გვ. 293.

17 გვ. 156.

ბელოზის განვითარება ძველ საქართველოში უკვე ძვ. წ. წინა ათასწლეულებში მოხდა. გვაროვნული წყობილება, მისი აზრით, დაიშალა ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, ხოლო ქართული სახელმწიფოები წარმოიქმნა ძვ. წ. VI ს-ში. ამდენად, საქართველოში ჩამოყალიბდა მონათმფლობელური წყობილება სახელმწიფოს შესაბამისი ტიპით. სტრაბონის ხანის იბერიის საზოგადოება (ძვ. წ. I ს. მოყოლებული ავტორის აზრით) უკვე ვარდამავალი ტიპის საზოგადოებაა. აქ ისახება ფეოდალიზაციის პროცესი, მაგრამ სოციალურ სტრუქტურაში, პოლიტიკურ წყობილებაში კვლავ ძლიერია ძველი, მონათმფლობელური საზოგადოების გადმონათობები. ასე რომ მტკიცება იმისა, თითქოს სიმ. ჯანაშია არ იზიარებდა ძველ საქართველოში მონათმფლობელური ფორმაციის არსებობას, ჩვენ არასწორად მიგვაჩნია.

სიმ. ჯანაშიას საწინააღმდეგო აზრს ავითარებდა გ. სოსელია. უგულვებელყოფდა რა არქეოლოგიის, ეპიგრაფიკისა და ა. შ. მიღწევებს, ე. ი. რაც უახლოეს ხანაში მეცნიერთა აზროვნების არეში შემოვიდა, გ. სოსელია ძველი საქართველოს წყობილებას სტრაბონის ხანის ჩათვლით განიხილავდა როგორც გვაროვნულს, სამხედრო დემოკრატიას. თუმცა მისი ზოგიერთი არგუმენტი საქართველოში მონათმფლობელური საზოგადოების არსებობის იდეის წინააღმდეგ მართებული იყო, საერთოდ პრობლემის გ. სოსელიასეული გააზრება მიუღებელია.

გ. მელიქიშვილი თავის ადრინდელ შრომებში კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობას ძველ საქართველოში განიხილავდა ე. წ. ადრემონათმფლობელური საზოგადოების კონცეფციის მიხედვით: აღიარებდა წარმოებაში მეთემე-გლეხების გაბატონებულ მდგომარეობას, საკუთრივ მონური შრომის ზვედრითი წილის უმნიშვნელობას და ა. შ. ეს აზრი მის მიერ შემდგომ განვითარებულია ახალ დონეზე კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხზე მიმდინარე უახლესი ხანის დისკუსიებში მიღწეული წარმატებების საფუძველზე, რაც ასახულია „საქართველოს ისტორიის ნაკრევების“ I ტომის შესაბამის თავებში. (იხ. აგრეთვე მისი „ძველი საქართველოს სოციალურ-ეკონომიური წყობილების საკითხი“. მაცნე, 1966, № 1). სიახლე მდგომარეობს იმაშიც, რომ ამ მოვლენების წარმოშობა საქართველოში გადატანილია ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ს. ი. ჯანაშიას ჰქონდა წარმოდგენილი. ამ მხრივ გ. მელიქიშვილი უბრუნდება ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისს.

პრობლემის მეთოდოლოგიური მხარის შესახებ. აქ ჩვენ გადმოვცემთ იმას, თუ როგორ დგას აღნიშნული პრობლემა საერთოდ თანამედროვე მარქსისტულ მეცნიერებაში.

ცნობილია, რომ მშ-იან წლებში უკლასო საზოგადოების დაშლისა და კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების შესახებ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა შემდეგი აზრი: მეურნეობის ახალი ფორმების გაჩენისა და მეტალურგიის გავრცელების პირობებში ფართოდ განვითარდა მონათმფლობელობა, მოხდა საკუთრების კონცენტრაცია უმცირესობის ხელში, ხოლო უმრავლესობამ იგი დაჰყარა. მას შემდეგ, რაც საზოგადოების უმცირესობამ უმრავლესობა დაიმონა და ამრიგად ჩამოყალიბდა ორი ანტიგონისტური კლასი, წარმოიშვა სახელმწიფო რომლის ძირითადი ფუნქცია იყო უმრავლესობის დათრგუნვა. ამტკიცებენ, თითქოს ეს თვალსაზრისი მოცემული ჰქონდა ისტორიული მატერიალიზმის კლასიკოსებს და განსაკუთრებით ნათლად გადმოცემულია ფრ. ენგელსის წიგნში „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“, რომ სწორედ აქედან გამომდინარეობდა ძველი ისტორიის, და მათ შორის ძველი საქართველოს, მკვლევარების აზრი კლასობრივი საზოგადოების პირველ ფორმად მონათმფლობელობის გამოცხადების შესახებ. მაგრამ საქმე ის არის, რომ აღნიშნულ ნაწარმოებში გვაროვნული საზოგადოების დაშლა და კლასობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება ნაჩვენებია ბერძნების, რომაელებისა და გერმანელების მაგალითზე და მათთანაც კი პროცესი ერთნაირად როდია გადმოცემული. ბერძნებთან და რომაელებთან კლასებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბების სურათი სულ სხვანაირადაა წარმოდგენილი, ვიდრე გერმანელებთან.¹⁸

ანტიკურ ხალხებში კლასებისა და სახელმწიფოს წარმოქმნას ფრ. ენგელსი უკავშირებდა ცივილიზაციას, ხოლო ეს ტერმინი მას ნახმარი აქვს სულ სხვაგვარი მნიშვნელობით და არა ისე, როგორც ეს ფართოდ გავრცელებულია საუკუნის მეცნიერებაში, როგორც დასავლეთში, ისე ჩვენში. „ცივილიზაციაში“ ფრ. ენგელსი გულისხმობდა უპირველესად განვითარებულ საქონლო წარმოებას, როცა გაცვლა მოიცავდა არა სატახტო ან სატრანზიტო-სავაჭრო ქალაქების მოსახლეობის ნაწილს, არამედ საზოგადოების უმრავლესობას, არა მხოლოდ ფუფუნების საგნებს, არამედ, უპირველესად, ფართო მოხმარების საგნებს. ცივილიზაცია აღნიშნული აზრით იყო რკინის მეტალურგიის ფართოდ გავრ-

¹⁸ დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. ჩვენი სტატია „ფრიდრიხ ენგელსი კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის სხვადასხვა გზის შესახებ“. „საბჭოთა სამართალი“, 1971, № 5.



ცვლებიდან, საზოგადოების ხელსაყრელი ისტორიული და ბუნებრივი წანამძღვრებიდან განვითარების შედეგი. ამ დროს ათვისებულ იქნა ტექნიკისა და ტექნოლოგიის იმ დონეზე შესაძლებელი ბუნებრივი რესურსები, მნიშვნელოვნად განვითარდნენ ქალაქები, როგორც ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრები, განვითარდა ფულადი მიმოქცევა ფულის ყველა ფუნქციებით, ფულის დაგროვება, სავაჭრო და სავაზშო კაპიტალი, ფულადი მეურნეობის ღრმად შეჭრა ნატურალურ მეურნეობაზე დამყარებულ სასოფლო თემებში, მიწის გადაქცევა საკუთრებად და ამდენად უიდეა-გაყიდვის ობიექტად. ხდებოდა საკუთრების კონცენტრაცია ხელოსნობაში, ვაჭრობაში, სოფლის მეურნეობაში და სხვ. მხოლოდ ასეთი ინტენსიური ეკონომიური ევოლუციის პირობებში გახდა შესაძლებელი მონობის ფართოდ გავრცელება, მონათმფლობელური საზოგადოების ჩამოყალიბება.

მაღალ ეკონომიურ განვითარებასთან კლასიკური მონობის კავშირი ნათლად ჩანს ბერძნული პოლისების მაგალითზე. რომშიც ისეთივე პროცესები მიმდინარეობდა, მხოლოდ უფრო ნაკლები ინტენსივობით. მაგრამ სოციალ-ეკონომიური განვითარება აქ ძალიან დაჩქარდა ძლიერი სახელმწიფო ორგანიზაციის შექმნით, უზარმაზარი ტერიტორიებისა და უამრავი ხალხების დაპყრობით. ვიმეორებთ, მონათმფლობელური საზოგადოების ფორმირება, როგორც საბერძნეთში, ისე რომში დაკავშირებული იყო ეკონომიკის განვითარების მაღალ დონესთან. ამათა მცდელობა, რომ სხვა რომელიმე ხალხში, (გამონაკლისს შეიძლება გვიანი ხანის ფინიკია და კართაგენი წარმოადგენდეს) ანალოგიური ეკონომიური და სოციალური პროცესები ნახონ. შემთხვევითი არაა, რომ ანტიკური სინამდვილე ეკონომიური, სოციალური და კულტურული პროცესების შინაარსით ბურჟუაზიულ ისტორიკოსებს მოადერნიზაციის პოზიციებზე აყენებს. ანალოგიური ეკონომიური პროცესები შეინიშნება მხოლოდ გვიანდელი ფეოდალიზმის რდევებისა და კაპიტალიზმის წარმოშობის პირობებში.

ვ. ვ. სტრუვესა და მისი მრავალი მიმდევრის ცდები მთელ რიგ ძველ ხალხებში მონათმფლობელური საზოგადოების მოწახვისა უშედეგოდ დამთვრდა, ანდა, უფრო სწორად, იმ შედეგით, რომ უფრო გაძნელდა და გაბუნდოვნდა ამ კარდინალური პრობლემების გააზრება.

ერთი სიტყვით, მონათმფლობელური საზოგადოების

დოების ჩამოყალიბება ფ. ენგელსის აღნიშნულ შრომაში გააზრებულია ცივილიზაციის განვითარებასთან კავშირში, ხოლო ამ მოვლენის წარმოქმნა მისი აზრით მოხდა ამ 2500 წლის წინათ, ე. ი. სოლონის, კლისთენეს და სერკიუს ტულიუსის რეფორმების გატარების დროს.

ჩვენი აქ აღვლით არა გვაქვს მონათმფლობელური საზოგადოების უნივერსალურ ფორმაციად გამოცხადების თვალსაზრისის კრიტიკაზე, მის მიერ როგორც ისტორიული სინამდვილის, ისე მარქსიზმის კლასიკოსების მემკვიდრეობის დამახინჯებულად წარმოდგენაზე; ვერც საქართველოში მონათმფლობელური საზოგადოების არსებობის კონცეფციის არგუმენტების კრიტიკაზე შევჩერდებით.¹⁹ იგი უფრო არადამაჭერბელი იყო, ვიდრე ძველი აღმოსავლეთის მონათმფლობელური გამოცხადება

საქართველოს ისტორიის ძველი პერიოდის კვლევისას ფაქტების ანალიზი უნდა დაფუძნებულიყო ფ. ენგელსის სხვა შრომებს და განსაკუთრებით „ანტი-დიურიზს“, სადაც კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის სხვანაირი გზაა მოცემული. ანდა აღნიშნული საკითხის კვლევისას თუ „ოქახის კერძი“ საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობიდან“ გამოვიდოდნენ, უფრო უკეთესი იქნებოდა გერმანელებთან ანალოგიით დაეწყათ.

იყო კიდევ ერთი საკითხი, რომლის გარკვევა მკვლევართა მიერ ვერ მოხერხდა. ეს იყო სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი. ანტიკურ ქვეყნებში სახელმწიფოს ჩამოყალიბება თავისი ძირითადი ნიშნებით დიდ ხანს გრძელდებოდა და ჩამოყალიბებული სახელმწიფოს მთავარი ფუნქცია თავისუფალი მოსახლეობის პოლიტიკური ორგანიზაციის მიერ უტყბო მასების — მონებისა და ნაწილობრივ უცხოელ თავისუფალთა (მეტეკების და სხვ.), თავისუფალი საზოგადოების ღარიბი წევრების ჩახშობა იყო. მაგრამ სულ სხვანაირად წარმოიშვა გერმანელთა სახელმწიფო, ასევე ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების სახელმწიფოები. მას შემდეგ, რაც საზოგადოების ეკონომიურმა განვითარებამ, მაგ. ეგვიპტეში ან შუმერში, განსაზღვრულ საფეხურს მიაღწია (ირიგაციული მიწათმოქმედება), საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაცია აუცილებელი გახდა არა დაბალი ფენების ჩახშობის გამო, არამედ ირიგაციისა და თავდაცვის ორგანიზაციისათვის. ამაზეც მრავალგზის მიუთითებიათ მარქსიზმის კლასიკოსებს. აღნიშნულ

¹⁹ ეს არგუმენტები მოცემულია სიმ. ჯანაშიას „შრომებში“ (ტ. I-II), „საქართველოს ისტორიის“ ძველ სახელმძღვანელოში, აგრეთვე შ. მესხიას, ნ. ლომოურის, ო. ლორთქიფანიძის სტატიაში «К вопросу о происхождении государства и существовании рабовладельческой формации в Грузии». Вопросы истории. 1957, № 7.

ქვეყნებში საჯარო ხელისუფლებას განასახიერებდა თვითონ ხალხი და იგი მიმართული იყო სხვა საზოგადოებათა წინააღმდეგ.

შვედეთში აწარმოებდა კი, რაკი საზოგადოებაში სახელმწიფო არსებობს თავისი ძირითადი ნიშნებით, ეს დიდი არკუმენტი იყო ქველ საზოგადოებაში მონათმფლობელთა და მონათა კლასების არსებობის დასამტკიცებლად. ამ აზრს ვერ ასცდა საქართველოს ისტორიის კვლევა.

უკანასკნელი ათეული წლის მანძილზე, როგორც ცნობილია, საბჭოთა და უცხოურ მარქსისტულ ლიტერატურაში მიმდინარეობს დისკუსია კლასობრივი საზოგადოების პირველი ფორმის შესახებ. ბევრი რამ ნათელი გახდა, მათ შორის ყველა და თუნდაც უმეტესი ძველი საზოგადოების მიერ მონათმფლობელობის გავლის არასაკვირობა ფეოდალიზმზე გადასვლისათვის. მეცნიერებისათვის ცხადი ხდება, რომ კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბება მონათმფლობელობის ან ფეოდალიზმის სახით ბევრგან დიდი ხნის განმავლობაში ვერ ხდებოდა, რომ გვაროვნული საზოგადოების შეცვლა კლასობრივით ერთბაშად როლი მოხდა, რომ იყო გარდამავალი სტრუქტურის მქონე საზოგადოება. გვაროვნული თემების ადგილს იკავებდა სასოფლო თემები, მიწის კოლექტიური დამუშავება შეიცვალა ინდივიდუალურით, კოლექტიური მიწისმფლობელობა ინდივიდუალურით. ამ პერიოდში ანტიკურ ქვეყნებშიც კი საზოგადოების ცხოვრება ემყარებოდა წვრილი გლეხებისა და ხელოსნების შრომას. ეს შენიშნეს ჭერ კიდევ მარქსმა და ენგელსმა. ამ გარდამავალი ტიპის საზოგადოებაში არსებობდა სახელმწიფოც, როგორც გვაროვნული ორგანიზაციის შემცველი, როგორც თავდაცვისა და ირიგაციის (შესაბამის ბუნებრივ პირობებში) ფუნქციების შემსრულებელი პოლიტიკური ორგანიზაცია. ასეთი ტიპის საზოგადოება ზოგან საკმაოდ დიდ ხანს არსებობდა, ზოგან კი შეიცვალა მონათმფლობელური ან ფეოდალური სტრუქტურით.

ცნობა რამ სპარტაკოვსკის კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის წინამძღვრების შემსახებ. დღევანდელი საქართველოს ტერიტორია შემადგენელი ნაწილი იყო ერთ-ერთი იმ რეგიონისა, სადაც ხდებოდა ცხოველთა სამყაროსაგან საზოგადოების გამოყოფა. ჩვენს ტერიტორიაზე ცხოვრობდა მამულების უმადლესი სახეობა ე. წ. უღაბნობითევი. კულტურის ჩასახვა აქ დღესდღეობით უკვე აშელის პერიოდს უკავშირდება. ანთროპოგენეზისა და სოციოგენეზის დაწყება-განვითარება საქართველოს ტერიტორიაზე შესაძლებელი გახდა ახლანდელთან შედარებით უფრო თბილი კლიმატის გამო; ასეთი კლიმატის პირობებში გავრცელდნენ

უმადლესი ანთროპოიდები. წელიწადის ყველა თბილი სეზონის გამო საპინტაციისა და სოციოგენეზის გზაზე მდგარ სოციალურ არსებებს შეეძლოთ ძირითადად შემგროვებლობითა და საცხოვრებლის უქონლად ცხოვრება.

ჩვენი ქვეყნის ტერიტორია ძალზე ხელსაყრელი იყო შემდგომი განვითარების აწარმოვად, — ბევრად უფრო ხელსაყრელი, ვიდრე ნილოსის, ევფრატის, ტიგროსის, ინდის და სხვათა დაბლობები. ჩვენთანავე ბუნება და მისი რესურსები უადრესად დიფერენცირებული და მრავალფეროვანი იყო. არსებობდა მცენარეთა და ცხოველთა — მათ შორის თევზეულის მრავალი სახეები და პოპულაციები, ქვის, მადნების სხვადასხვა ჯიშები და სახეები. კლიმატის სცივება და ზომიერად ქცევა, მაღალ ადგილებში ცხოვრება ადამიანებს აიძულებდა მეტი მოთხოვნილებანი გაჩენოდათ. შემდგომი სოციალური ევოლუციისათვის იყო ორივე პირობა: სოციალური აქტივობის უკვე მიღწეული გარკვეული მაღალი დონე და ბუნებრივი რესურსები. ზომიერი კლიმატი წელიწადის დაყოფით ცივ და ცხელ სეზონებად ადამიანებს აიძულებდა გამოეყენებინათ ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები, მომხდარიყო კულტურის შემდგომი განვითარება.

მართლაც, კულტურის ევოლუცია საქართველოში საკმაოდ დინამიური იყო, გადიოდა რა მთელ რიგ აუცილებელ საფეხურებს. პროცესი ჩქარდებოდა იმითაც, რომ ჩვენს ტერიტორიაზე ხდებოდა კულტურულ მიღწევათა დიფუზია მოწინავე ცენტრებიდან (ზაგროსის მთიანეთი, ანატოლიის ზეგანი, რომლებიც უკვე ე. წ. ნეოლითური რევოლუციის“ დროს ბევრად უფრო წინ იყვნენ წასული. უკვე VI-V ათასწლეულში ჩვენთან ხდება მიმთვისებლური მეურნეობიდან მწარმოებლურზე გადასვლა, ე. ი. მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარება.

მაგრამ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე კულტურის განვითარებაში შეინიშნება შემდეგი გარემოება. მიუხედავად წარმოების ასეთი დამინაურებისა ე. წ. ნეოლითისა და ენეოლითის პირობებში, ცივილიზაციის და აქედან გამომდინარე კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობა ძალზე დაყოვნდა წინა და შუა აღმოსავლეთის სხვა ცენტრებთან შედარებით. თავი იჩინა გეოგრაფიული გარემოს როლმა. თუ იგი უადრესად ხელშემწყობი იყო კულტურის წინა საფეხურებისათვის, ცივილიზაციის განვითარებისათვის იგი დიდ დაბრკოლებებს ქმნიდა. შრომითი იარაღების შედარებით განუვითარებლობა, რკინის მეტალურგიის არარსებობა ვერ სძლევდნენ ბუნებრივი სახის დაბრკოლებებს (მაგარი და შედარებით ნაკლებად ნაყოფიერი ნიადაგები;



უსწორმასწორო რელიეფი, რაც დაბრკოლებას წარმოადგენდა ირიგაციისათვის). ბუნებრივი პირობების არახელსაყრელობას გარკვეული აზრით ჩვენს ისტორიაში სხვა დროსაც უჩენია თავი.

ქვეყნის ისტორიული გარემო დიდი ხნის განმავლობაში ჩვენს წინაპართა განვითარებაში მნიშვნელოვან დადებით როლს ასრულებდა. აქედან მოდიოდა დიდი იმპულსები ეკონომიური და სულიერი ცხოვრების წინსვლისათვის. ამავდროს საქართველოს ტერიტორია დაშორებული იყო ძველი აღმოსავლეთის აგრესიული სახელმწიფოებისაგან (ხეთები, მითანი, ასირია, ურარტუ, მიდია). ასირიელებისა და ურარტუელთა ლაშქრობები ძველ ქართულ გაერთიანებათა (დიოხი, კოლხა, ხალიტუ) წინააღმდეგ არ იყო ძალიან დამანგრეველი, არც მათი ბატონობა ყოფილა მყარი და ხანგრძლივი. ამ მხრივ უფრო გამოირჩეოდა აქემენიდების სპარსეთი, რომელმაც შესძლო ქართული სამყაროს ნაწილის — სასპერების, მოსხების, ტიბარენების, მაკრონების, მოსინიეების, — უფრო ნაკლებ კოლხების, — მოქცევა თავისი პოლიტიკური გავლენის ქვეშ. ეს გამოიხატებოდა აგრეთვე აგრესორი სახელმწიფოებისათვის ხარკის გადახდითა და სამხედრო ბეგარით.

დამოუკიდებლობის შენარჩუნებაში, რასაკვირველია, ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი პირობებიც (ძალადი რელიეფი, ხეობებით დანაწევრებულიობა) თამაშობდა დადებით როლს. თუ მაგნიტისის ან იაპონიის თავდაცვის საქმეს ძალიან ეხმარებოდა ზღვა, ან რუსეთისას — დიდი სივრცეები და ცივი კლიმატი, საქართველოსთან მიმართებაში ეს ითქმის კავკასიონის ქედზე — ჩრდილოეთ მომთაბარეთაგან ამ ჩვენს ბუნებრივ დამცველზე. ამ ქედის წარმოშობით ბუნება საკმაოდ „გაისარჩა“, „აავო“ რა 1500 კმ სიგრძის, 160-180 კმ სიანის და საშუალოდ 3-5 კმ სიმაღლის ბუნებრივი ზღუდე. ამის მსგავსი ხელოვნური ნაგებობის შექმნა საზოგადოებას დღესაც კი არ შეუძლია. საქმარისი იყო ქართულ სახელმწიფოებს ოდნავი აქტივობა გამოეჩინათ კავკასიონის ქედის ვიწრო და ძნელი გადასასვლელების ჩასაკეტად, რომ ჩვენს წინაპრებს უშიშრად ეგრძნოთ თავი ჩრდილოეთის ნომადების მხრიდან. ასევე კარგად იყო საქმე დასავლეთიდანაც, შავი ზღვის მხრიდან, ვინაიდან ამ ზღვის აუზში არ გამოჩენილა ძლიერი სასლავო სახელმწიფო, რომელიც დამუქრებოდა საქართველოს უშიშროებას.

ყველაზე დიდი საფრთხე, ჩვენს ქვეყანას პირველად რომ დაატყდა თავს, — ეს იყო კიმერიელთა და სკვითების შემოსევები (ძვ. წ. VIII ს-ის ბოლო—VI ს-ის პირველი ნახევარი). ამ მოვლენამ გარკვეულად შეაფერხა ქართული ისტორიული პროცესი. საერთოდ კი, ვიმეორებთ, ჩვ. წ-ის დაწყების წინ საქართველოს ისტორიის მსვლელობაში გარედან არ ყოფილა ის დიდი უარყოფითი გავლენები, როგორც შემდეგში — სპარსელების, ხაზარების, არაბების, მონღოლების, თურქების თავდასხმა-დაპყრობები.

აი ასეთი იყო ის ისტორიული და ბუნებრივი წანამძღვრები, რა პირობებიდანაც დაიწყო ცივილიზაციის განვითარება საქართველოს მიწა-წყალზე.

როგორც ანალოგს წარმოადგენდა გვიანი ხანის სპარტოვალოს მთის მოსახლეობა ჩვენი ისტორიის უძველესი პერიოდების განსახილველად? როგორც ცნობილია, საქართველოს მთიანეთი ბართან შედარებით საგრძნობლად ჩამორჩა. არახელსაყრელი რელიეფი, მკაცრი კლიმატი, მწირი ნიადაგები, კომუნეკაციების განვითარების სიძნელენი — აი ის დიდი დაბრკოლებანი, რომელთა გადალახვა ჩვენმა მთიელებმა ვერ შესძლეს რკინის მეტალურგიისა და ბართან კონტაქტების პირობებშიც კი. ისტორიოგრაფს უთუოდ გაუჩნდება აზრი იმაზე, თუ როგორ ანალოგად გამოდგება მათი სოციალური სტრუქტურა და ორგანიზაცია ქართული სამყაროს განვითარებული ნაწილების უძველესი პერიოდების გასაგებად. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში საქართველოს მთიანეთის არც თუ შორეული სინამდვილე დიდ ხარვეზს შეავსებდა ჩვენი ცივილიზაციის გენეზისის შესახებ. სწორედ ისეთს, როგორიც იროკეზების გვაროვნულმა ორგანიზაციამ შეასრულა ლ. მორგანისა და ფრ. ენგელსისათვის ანტიკურ და გერმანულ ხალხებში ცივილიზაციის წარმოშობის სურათის დადგენის საქმეში.

სამწუხაროდ, ჩვენი მთა ძალიან ცოტას გვეუბნება აღნიშნული მიმართებით. მ. კოვალევსკის ცდა ჩვენი მთიელები წარმოედგინა გვაროვნულ საფეხურზე მდგომად, უსაფუძვლო აღმოჩნდა.²⁰ ვ. ბარდაველიძემ და რ. ხარაძემ აჩვენეს, რომ ქართველ მთიელთა (ხეცსურები, სვანები, მთხევრები და სხვ.) განვითარება ბევრად უფრო შორს იყო წასული. კერძოდ, მათთან გაბატონებული იყო მცირე ოჯახი, ინდივიდუალური საკუთრება საქონელზე, სახლზე, კერძო მფლობელობა მიწაზე, დასახლებები სუ-

²⁰ ლ. მორგანის მიხედვით გვარის ინსტიტუტი წარმოიშვა ველურობის შუა საფეხურზე, სრულად განვითარდა ბარბაროსობის დაბალ საფეხურზე. შემდეგ კი მან დამლა დაიწყო. სამეურნეო განვითარების თვალსაზრისით ჩვენი მთიელები საკმაოდ ამაღლდნენ აღნიშნული საფეხურების ზეით.

ლაც არ ემთხვეოდა სისხლით ნათესაობას და ა. შ. ჩვენის აზრით ამაში ბარის მოსახლეობის აქ მიგრაციების გარდა, დასამუშავებლად ვარგისი მიწების სიმცირეს, ნაკვეთების მცირე ზომებსაც უნდა ეთამაშათ გარკვეული როლი.

საქართველოს ბარში წარმოების განვითარებისათვის უფრო ხელსაყრელი ბუნებრივი და საგარეო-ისტორიული პირობების გამო სიტუაცია უფრო სხვაგვარი იქნებოდა გვაროვნული ორგანიზაციის არსებობისათვის ეკონომიკის განვითარებული ფორმების დროსაც კი, რაც აისახა გვარის ინსტიტუტის მოხსენიებით ქართული საისტორიო ტრადიციაში (იხ. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“). ასევე კომუნეკაციების განვითარების, მოსახლეობის ზრდისა და მტრულ ისტორიულ გარემოცვათა მიწეებით ძველი ქართული სამყაროს განვითარებული ნაწილების მოსახლეობა აღრე ვადავიდოდა შედარებით მტკიცე და ფართო პოლიტიკურ გაერთიანებაზე.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა სტრაბონის ცნობა იმის შესახებ, რომ სვანებს გამოხედავდა სახალხო ლაშქარი 200 ათასი კაცის შემადგენლობით. მათ მართავდა საბჭო (300 კაცის შემადგენლობით) და მეფის ხელისუფლება (გვიანდელი პირველყოფილი დემოკრატიის აზრით). მაგრამ ეს ცნობა ამ ციფრობრივი მოცემებით სულაც არაა სანდო. ყოვლად დაუჭერებელია, რომ სვანეთს ამ დროს იბერიანე ორნახევარჭერ მტკი ჯარი გამოეყვანა. ამის რეალურობის დაშვებისას გამოდის, რომ სვანების მოსახლეობის რაოდენობა 800 ათას — 1 მილიონს აღწევდა. ეს ძალზე გაზვიადებულია იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვიგულისხმებთ, რომ სვანებს მაშინ გაცილებით მეტი ტერიტორია ეკავათ გვიან სვანეთთან შედარებით. 1 მილიონამდე მოსახლეობა არც 300 გვარს შეეძლო შეეხსო, ე. ი. თითოეული გვარი თითქმის მოიცავდა საშუალოდ 3000-მდე სულს. ამის დაშვება გაუმართლებელია მით უმეტეს დიდი დასახლებებისათვის გამოუსადეგარ მთის პირობებში. დასასრულს, არც ამოდენა რაოდენობის მოსახლეობის გაერთიანება შეიძლებოდა არსებული კომუნეკაციების, მთიანი რელიეფისა და საერთოდ განვითარების იმ საფეხურზე. სხვანაირად ასეთი ორგანიზაციისა და ამოდენა ლაშქრის გამოყვანის შემთხვევაში სვანთა ძლიერება სხვა მეზობელი გაერთიანებების წინააღმდეგ აუცილებლად იჩენდა თავს. გაჩნდებოდა ძლიერი ტენდენციაც საზოგადოების შიგნით ნამდვილი მეფის ხელისუფლებისა და ბიუროკრატიის განვითარებაშიც. ერთი სიტყვით, მხოლოდ ისაა ეჭვს გარეშე, რომ სვანები იმ დროს პირველყოფილი დემოკრატიის პირობებში ცხოვრობდნენ, რაც მათთან ე. წ. თავისუფალ სვანეთში გვიანობამდე შემორჩა.

მიუხედავად ზემოთქმულისა, საქართველოს მთიელთა სამყარო მაინც საყურადღებოა საქართველოს ძველი პერიოდის გასაშუქებლად, რაზედაც ნაწილობრივ ქვემოთ შეგვიჩვენებთ.

კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობა მართვალთა წინაპრებში. ჩვენი ისტორიული პროცესის გათვლები (სტრუქტურის აზრით) კლასებისა და სახელმწიფოს გაჩენით დაკავშირებული იყო შემდეგ გარემოებასთან. წარმოების განვითარების განსაზღვრულ დონეზე უშუალო მწარმოებელმა შესძლო უფრო მეტი პროდუქტის წარმოება, ვიდრე ეს მის შესანახად იყო საჭირო, ე. ი. საზოგადოებაში გაჩნდა ზედმეტი პროდუქტი. მიწათმოქმედებაში ჩვენთან რკინის მეტალურგიისა და გუთნური მიწათმოქმედების წარმოშობამდე ეს გამოიხატებოდა იყო. ჰერ ამის შესაძლებლობა გაჩნდებოდა მესაქონლეობის პირობებში. მეურნეობის ამ დარგისათვის კი ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებს წარმოადგენდა იმდროინდელი სამხრეთი საქართველო (ფართო საზაფხულო სამოვრები, შედარებით რბილი კლიმატი, ზამთრის სამოვრები დაბლობებში). ასეთ პირობებში ჩაისახა მონობა, როგორც ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის პირველი ფორმა. ჩვენთან ეს მოვლენა ჩვ. წ. წინ რამდენიმე ათასი წლით აღრე მოხდებოდა.

რაც შეეხება მონობის სოციალური ინსტიტუტის წარმოქმნის პოლიტიკურ საფუძველს, იგი ისევე ძველი იყო, როგორც ადამიანთა კოლექტივების მეზობლად არსებობა მათ შორის განუწყვეტელი ომიანობით. რამდენიმე კოლექტივის გაერთიანების იქით მდგარი საზოგადოება მტრულ სამყაროს შეადგენდა. უწინ ტყვეები უსარგებლონი იყვნენ. ამიტომ მათ ან სპობდნენ ან გამარჯვებულთა რიგებში იღებდნენ. ეკონომიური ევოლუციის აღნიშნულ საფეხურზე კი ტყვეებმა სახმარი ღირებულება მოიპოვეს, ისინი იქცოდნენ მონებად. მაგრამ მთელი საზოგადოების მასშტაბით არა თუ მაღალპროდუქტიული მესაქონლეობის, არამედ გუთნური მიწათმოქმედების პირობებშიც კი მონები საზოგადოების უმცირესობას წარმოადგენდნენ. მათი შრომა ოჯახის წევრთა შრომასთან ერთად გამოიყენებოდა მხოლოდ გვაროვნული არისტოკრატიის ოჯახებში, რომელთა ცხოვრებაზე ნაწილობრივ წარმოადგენს გვაძლევს თრიალეთის ყორღანული სამარხები. ესაა მონობის განვითარების ე. წ. პატრიარქალური საფეხური, რომელიც ხასიათდება მთელი საზოგადოების მასშტაბით მონების მცირერიცხოვანებით, მათი ექსპლუატაციის იოლი ხასიათით. მათს ჩასახეშობად საჭირო არ ყოფილა სახელმწიფოს წარმოშობა.

სახელმწიფო ბევრგან, და მათ შორის ჩვენს



წინაპრებშიც, სულ სხვა საფუძველზე წარმოიშვა ეს გახლდათ საზოგადოების საერთო ინტერესების შესრულება. სხვა გაერთიანებების წინააღმდეგ თავდასაცავად, მათ შორის წარმოების პირობების (მიწები, საქონელი, სამოვრები) შესანარჩუნებლად აუცილებელი იყო მოსახლეობის ფართო გაერთიანება ტომთა კავშირებში. ამდენად ისახებოდა მეფის ხელისუფლებას, სამხედრო საქმის ორგანიზატორთა ფენას. ზოგ შემთხვევაში ძალადობის აპარატიც დაპყრობილი ტომების დასაჩაგრავად (მაგ. კულხას გაერთიანებაში). რელიგიური კულტის გართულება იწვევდა ამ საქმის ორგანიზატორთა გამოყოფას. ეს გაერთიანებანი წარმოადგენდნენ პრიმიტიულ სახელმწიფოებს, რომლებშიც ხალხის ფართო მასებს ცენტრალური ხელისუფლების მიმართ რამდენადმე ჰქონდათ სუვერენიტეტი დაკარგული. მაგრამ ისინი უმადლეს სუვერენს წარმოადგენდნენ ადგილებზე.

შედარებით ფართო ტერიტორიაზე რამდენიმე ათეული ათასი მცხოვრების ორგანიზება პირველყოფილი დემოკრატიის საფუძველზე შეუძლებელი გახდა: ახალ პირობებში სახალხო კრებისა და გვარების მეთაურთა საბჭოს რეგულარული ფუნქციონირება გამოირიცხა. მათ მაგიერ წინ წამოიწია საზოგადოების მმართველთა როლმა.²¹

ისინი შეადგენდნენ საზოგადოების პრივილეგიურ ზედაფენას, მეტი შემოსავლით, მეტი უფლებებით. უკვე წარმოქმნილი უთანასწორობა კარგად ჩანს არქეოლოგიის ამდროინდელი ძეგლებით.

კლასებისა და სახელმწიფოს ჩასახვის ასეთი სურათი გვაქვს უკვე II ათასეულის შუა და ბოლო ხანებში თრიალეთის, მუშქების, თაბაღების, დიაოხის, კოლხას, ცოტა მოგვიანებით ხალიტუსა და სასპერების გაერთიანებებში. ესენი, გ. მელიქიშვილის სამართლიანი აზრით, არ წარმოადგენდნენ ე. წ. სამხედრო დემოკრატიას, არამედ იყვნენ ადრესახელმწიფოებრივი წარმონაქმნები. იმავე მკვლევარის შეხედულებით საქართველოს ეს ნაწილები უფრო დაწინაურებული იყვნენ ეკონომიურად (მესაქონლეობისა და მეტალურგიის განვითარება), რაც აისახა აღნიშნულ სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებშიც.

ასე ჩაისახა კლასები და სახელმწიფო ჩვენს

წინაპრებში. აღნიშნული პროცესები უკავშირდება როგორც მონების, ისე ზედაფენის მიერ ადგილობრივი მოსახლეობის ექსპლუატაციას. მაგრამ ამ მოვლენების სრულ ჩამოყალიბებამდე ჯერ კიდევ დიდი გზა იყო გასავლელი. სახელმწიფო თავისი იძულების აპარატით ჯერჯერობით ძალიან სუსტი იყო; ძირითადი სამხედრო ძალა იყო თვითონ ხალხი. ამდენად პოლიტიკური ძალაუფლების „გაუტყობება“ ხალხის მასებისაგან ჯერ არ ყოფილა მნიშვნელოვანი, არც საზოგადოების კლასებად დაყოფას ჰქონია რამდენადმე დასრულებული სახე. წარმოების ძირითადი საშუალებები (მიწა, საქონელი, სამოვრები, ტყეები, შრომის ხელფანურად შექმნილი საშუალებანი) უშუალოდ წვრილი მწარმოებლების ხელში იყო.

მოვლენების შემდგომი განვითარება სწორსაზოვნად არ წარმართულა. ყველა აღნიშნული გაერთიანება დაინგრა გარეუბ მტრებთან (ასირია, ხეთები, ურარტუ, კიმერიელები, სკვითები, ირანი), ან ურთიერთ შორის ბრძოლაში. ხდებოდა განუწყვეტელი მიგრაციები და ხალხთა ურთიერთშერევა, რაც გარკვეულად აფერხებდა საზოგადოების წინსვლას.

კლასებისა და სახელმწიფოს განვითარება ახალ საფეხურზე დაიწყო რკინის მეტალურგიის ფართოდ გავრცელების შემდეგ (ძვ. წ. I ათასეულის I მეოთხედის ბოლოდან). ახალი აღმოჩენის წყალობით ადამიანებმა მოიპოვეს ძალაუფლება არახელსაყრელ ბუნებრივ პირობებზე (მაგარი ნიადაგები, ტყეები, შედარებით ცივი კლიმატი) და არნახულად შეცვალეს ისინი. გუთნურმა მიწათმოქმედებამ, პროგრესმა ხელოსნობებში — ქვის, ლითონების, ხის დამუშავება ახალი ლითონით — ძალიან დააჩქარა სოციალური და პოლიტიკური პროცესები. ამგვარად რკინა პირველი ლითონი იყო, რომელმაც სიაფისა და დიდი ეფექტიანობის გამო ძირითადი შესცვლა სოციალ-ეკონომიური პირობები. „პროგრესი ახლა შეუჩერებლივ მიმდინარეობდა, ნაკლები წყვეტილებით და უფრო სწრაფად“ (ფრ. ენგელსი).²² ამიერიდან განვითარების ცენტრმა გადაინაცვლა ბარში, განსაკუთრებით ჩრდილო-აღმოსავლეთით, რასაც ხელი შეუწყო მტრულ გარემოსაგან დაშორებულობამაც. შედარებით ადვილადვე იქნა გადალახული კიმერიელებისა და სკვითების,

²¹ ვ. ი. ლენინი წერდა: „სახელმწიფო ყოველთვის წარმოადგენდა გარკვეულ აპარატს, რომელიც გამოყოფილი იყო საზოგადოებიდან და შესდგებოდა იმ ადამიანთა ჯგუფისაგან, რომელთა საქმეც მხოლოდ ან თითქმის მხოლოდ, ან უმთავრესად ის იყო, რომ ისინი მართავდნენ. ადამიანები იყოფიან ორ კატეგორიად — ვისაც მართავენ და მართვა-გამგეობის სპეციალისტებად, რომლებიც საზოგადოებაზე მაღლა დგებიან და რომლებსაც მმართველებს, სახელმწიფოს წარმომადგენლებს უწოდებენ“ (თხზ., ტ. 29, გვ. 562, იხ. აგრეთვე გვ. 558, 562, 563).

²² კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები. ტ. II. გვ. 380.

ხალხების მიგრაციების უარყოფითი შედეგები. ყოველივე ამის შემდეგ პირველყოფილი კომუნიზმი, დამყარებული საერთო წარმოებასა და თანაბარ განაწილებაზე უთუოდ დაირღვეოდა მიწათმოქმედებაში. (მესაქონლეობაში ამას ადრე ექნებოდა ადგილი). ძირითად სოციალურ უჭრედად იქცნენ დიდი ან მცირე ოჯახები.²³

გავადევნოთ თვალი ჩვენი წინაპრების ეკოლოგიის შემდგომ მიმართულებას.

სანამ კლასებისა და იბერიის სახით ძვ. წ. VI საუკუნეში და IV საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდებოდა შედარებით ფართო სახელმწიფოები, მანამდე აუცილებლად მოხდებოდა სამიწათმოქმედო თემების გაერთიანება საერთო ინტერესების დასაცავად (თავდაცვა, აღმოსავლეთ ნაწილში ირიგაცია). ასეთი გაერთიანებები ათეულობით იქნებოდა. შემდეგში დაიწყებოდა ბრძოლა უფრო ფართო გაერთიანებებისათვის. ასეთი ტენდენცია სულაც არ ყოფილა ეკონომიკის (ირიგაცია, ხელოსნობა, ვაჭრობა) უშუალო გამონატულება.²⁴ თუმცა ემყარებოდნენ რა ძალადობას და არა ეკონომიურ აუცილებლობას, შედარებით დიდი გაერთიანებანი თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ საზოგადოების შემდგომი წინსვლის საქმეში. მათი მეშვეობით უფრო ადვილდებოდა თავდაცვა გარეშე მტრებისაგან, მოსახლეობა უფრო ეჩვეოდა საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ ცხოვრებას.

ჩვენ ბევრად უფრო ინფორმირებული ვართ იბერიის სახელმწიფოს წარმოშობისა და სტრუქტურის შესახებ, ამიტომ აქ მასზე შევჩერდებით.

შესაძლებელია ადგილობრივი გაერთიანებების ქიშობით ისარგებლა სამხრეთ-დასავლეთის ქართულმა გაერთიანებამ, რომელმაც დაიმორჩილა ისინი და ცენტრალიზებული ხელისუფლების ცენტრად აქცია ბუნებრივად, პოლიტიკურად და ეკონომიურად ერთ-ერთი მოხერხებული პუნქტი — მცხეთა ქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით ეს ძვ. წ. IV ს-ის 30-იან წლებში უნდა მომხდარიყო. თუ ეს ასე იყო, მაშინ იბერიის სახელმწიფოს წარმოშობა დაპყრობის გზას უნდა დაეჩქარებინა, რის მაგალი-

თები სხვაც ცნობილია ისტორიიდან. მაგრამ ამის შესახებ მხოლოდ ჰიპოთეზის დონეზე თუ შეიძლება მსჯელობა. ასევე ძნელია ვილაპარაკოთ ძველ იბერიელთა განმთავისუფლებელი ბრძოლა შესახებ მოსული (შესაძლებელია მესხური) ელემენტის წინააღმდეგ.

ძვ. წ. IV ს-ის ბოლოს იბერიაში უკვე ჩამოყალიბდა სახელმწიფო წყობილება. ლეონტი მროველთან შემონახული საისტორიო ტრადიციით ფარნავაზი იყო ქართლის (იბერიის) პირველი მეფე და სამეფო დინასტიის დამაარსებელი. მან თავისი სამეფო დაჰყო შემდეგ საერისთაობად: 1) კახეთი, 2) გარდაბანი (ცენტრით ხუნანი), 3) ტაშირი, აბოცი (სამშვილდე), 4) ჭავჭავთი, კლდა, არტანუჯი (წუნდა), 5) სამცხე, აჭარა (ოძრხე), 6) კლარჯეთი, 7) არგვეთი. ლეონტი მროველის ცნობითვე, ფარნავაზმა თითქოს ეგრისიც საერისთაოდ აქცია, სადაც მისი მორჩილი („მონა“) ქუჭი ერისთაოდა. შიდა ქართლი კი სპასპეტის განკარგულებაში იყო, შეადგენდა რა ამრიგად სპასპეტოს. ჯანსაღი პოლიტიკური მოსაზრება მოითხოვდა, რომ ეს საერისთაოები არ დამთხვეოდნენ ძველ პოლიტიკურ გაერთიანებებს.

არქეოლოგიისა და ეპიგრაფიკის მონაცემებმა საქმოდ დამაჯერებელი სახე მისცა ჩვენი ისტორიული ტრადიციის ამ ცნობას. ამიტომ მასზე უფრო დაწვრილებით შევჩერდებით.

აშკარაა, რომ ქვეყნის დაყოფა საერისთაობად ისახავდა სამხედრო მიზანს, კერძოდ მოსახლეობის ორგანიზაციას თავდაცვისათვის. უფრო ნაკლებად გამოჩნდა იგი როგორც სხვა ქვეყნებისადმი მიმართული ორგანიზაცია. თუ ვიგულისხმებთ, რომ იბერიის იმდროინდელი ტერიტორია მოიცავდა minimum 60000 კმ², ხოლო მოსახლეობის სიმჭიდროვე 10-15 სულს აღწევდა — ეს სახეობით დასაშვებია წარმოების განვითარების მიღწეული დონისათვის, — მაშინ იბერიის მოსახლეობის მთელი რაოდენობა, დაყმევებული უცხო და მთის დახარკული მოსახლეობით, 600-900 ათას სულს შეადგენდა. ამ რაოდენობიდან, მოსახლეობის აღნიშნული ნაწილებიც რომ გამოვიციხოთ, საქმოდ სი-

²³ სტრაბონის ცნობა, რომ იბერებს საერთო აქვთ ქონება ნათესაობისა მიხედვით (*κοινὰ δ' εἶσιν αἱ κτήσεις κατὰ συγγένειαν*) აშკარა გაუგებრობაა. ყველაზე მეტი, რაც ამ მხრივ შეიძლება დავუშვათ, ესაა დიდი ოჯახის საერთო საკუთრება, ისიც არა იბერიის ბარის რაიონებში. სხვათა შორის ეს ინსტიტუტი გადმონათვის სახით გვიანაც არსებობდა. იხ. მაგ. არაბობის ხანის „დაცვის სიგელის“ ის პუნქტი, რომლის მიხედვით არაბებს უფლება არ ჰქონდათ ერთი კომლი რამდენიმედ გაეყოთ.

²⁴ გამოთქმულია მოსაზრება (ნ. ლომოურისა) თითქოს იბერიის ცენტრალიზებული სამეფოს წარმოშობასა და შედარებით მტკიცედ არსებობაში გადამწყვეტ როლს ასრულებდა ირიგაციის საჭიროებანი. ასეთი თვალსაზრისი მცდარია თვით ძველი უგვიპიტისა და შემარის მიმართაც კი. მით უმეტეს იბერიაში არც დიდი საირიგაციო სისტემები არსებულან და არც სახელმწიფო ასრულებდა თვალსაჩინოდ ირიგაციის ორგანიზატორის როლს.



დიდის ჯარის გამოყვანა შეიძლებოდა (არანაკლებ 100-150 ათასისა). მაგრამ ეს შესაძლებელი იქნებოდა თავისუფალი მოსახლეობის შედარებით მაღალი ცხოვრების, კომუნიკაციების განვითარებისა და სწრაფი მობილიზაციის პირობებში. სტრაბონის ცნობიდან შეიძლება დავაკვანთ, რომ იბერიის ლაშქრის რაოდენობა 70-80 ათასამდე აღიოდა, ე. ი. თითქოს თითოეულ საერისთაოს 10 ათასამდე მოლაშქრე გამოჰყავდა. აღნიშნული ცნობის შესაჯერებლად გვაქვს მეორეც, „ქართლის ცხოვრებაში“ მოტანილი.

XVIII მეფე ამასახსის დროს ქართლს ოსები დასხმან თავს. მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად მცხეთაში ყველაზე სწრაფად მოსულან სპასპეტის მხედარნი და სამი ერისთავი (კახეთის, ხუნანისა და სამშვილდისა) სულ 30 ათასი ქვეითი და 10 ათასი მხედარი. შემდეგში შეკრებილან სხვა საერისთაოებიდანაც. ეს მონაცემები გარკვეული აზრით ემთხვევა სტრაბონის ცნობას.²⁵ ამრიგად, გამოდის, რომ თითოეული საერისთაოს 10 ათასამდე მოლაშქრე გამოჰყავდა.

საერისთაოს პოლიტიკური ორგანიზაცია ასეთი იყო.²⁶ მას სათავეში ედგა მეფის მიერ დანიშნული ერისთავი, რომელიც ადგილზე განასახიერებდა უმაღლეს საერო და საჯარო ხელისუფლებას. შემდეგ მოდიოდნენ სპასალარი (მისი ფუნქციები გაურკვეველია), ათასისთავი და შესაძლებელია ასისთავიც. სამხედრო ციხე-სიმაგრეებს უძღვებოდნენ ციხისთავები, რომლებმაც შესაძლებელია, ათასისთავნი ან ასისთავნიც იყვნენ. ცხადია, ერისთავი დაეყრდნობოდა მცირე სადამსჯელო აპარატს და მოხელეობას. ამ პოლიტიკური ძალაუფლების შესანახად მოსახლეობისაგან სპეციალურად გამოიღებოდა „ხარკი საერისთაო“. სხვა თანამდებობების პირნი აღვიღებზე წყაროებში არ ჩანან. სავარაუდებელია მამასახლისობის ინსტიტუტის არსებობა

და სოფლებში. სოფლებში იქნებოდნენ სხვა თანამდებობის პირნიც ირიგაციის ხელმძღვანელობის, რელიგიური კულტის შესასრულებლად, საზღვრების დასაცავად და სხვ. რომელთა შერსულებაც ფეოდალიზმის ხანაში გაბატონებული კლასის ფუნქციად გახდა. უფრო მეტი თანამდებობის პირნი იქნებოდნენ ქალაქებში, განსაკუთრებით მცხეთაში, სადაც გართულებული ეკონომიური, სოციალური და ეთნიკური მდგომარეობა საჭიროდ გახდოდა ახალ ორგანოებს. მაგრამ კონკრეტულად მათ შესახებ არაფერი ვიცით. ყოველ შემთხვევაში, იბერიის ქალაქები ქვეყნის პოლიტიკურ ორგანიზაციაში დიდ როლს არ თამაშობდნენ. დასასრულს, სახელმწიფოს ადმინისტრაციულ სისტემაში გარკვეულ ფუნქციებს ასრულებდნენ, უძველია, მთიულთა ხევისბერებიც (ხარკის აკრეფა, ლაშქრის შეგროვება).

ცენტრალურ ხელისუფლებას სათავეში ედგა მეფე, რომელიც ზოგჯერ „დიდი მეფის“ ტიტულითაც იხსენიება. მთელი რიგი ფაქტებითა და ეპიგრაფიკის ძეგლებით თუ ვიშჩელებით, მეფეს ეკუთვნოდა სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლება: შესაძლებელია, მეფე იყო ქვეყნის უმაღლესი ქურუმიც²⁷ (ამ დროს უკვე არსებობდა ცენტრალიზებული კულტები). სამხედრო საქმის უფროსად ითვლებოდა სპასპეტი, რომელიც მეფის გრყოფნის დროს ლაშქარს მხედართმთავრობდა. მეფის სასახლეს განაგებდა ეზოს-მოძღვარი, რომლის „ხელი“ უფრო მნიშვნელოვანი ყოფილა, ვიდრე ფეოდალური ხანის მსახურთუხუცესისა. შესაძლოა, თავისი ფუნქციებით იგი ვეზირს უტოლდებოდა (ქნებ იგი იყო სტრაბონთან მოხსენიებული „მეფის შემდგომ მეორე პირი“?). მეფის სავარაუდოლო („ხეფი“) მეფის უშუალო დასაყრდენი იყო. მათგან ინიშნებოდნენ დიდი მოხელენი, რაც უფრო ამტ-

²⁵ ჩვენ არ შევჩერდებით ჟღანშერთან მოტანილ ციფრებზე იბერიის ჯარის შესახებ. ისინი, როგორც წესი, დაუჭერებელია.

²⁶ ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად ფარნავაზის მიერ ქვეყნის დაყოფა საერისთაოებად, ერისთავთა ფუნქციების დაწესება გამოდიოდა სპარსელთა პოლიტიკური წყობიდან. ძველი აღმოსავლეთის პრაქტიკაში ასეთი პოლიტიკური კონსტიტუცია ბევრგან არსებობდა. შესაძლებელია ფარნავაზი ეყრდნობოდა ამ იდეას, მაგრამ მთავარი იყო ქვეყნის შინაგანი ევოლუცია. ჩვენთვის გაუგებარია ირანელთა სხვაგვარი დადებითი როლი ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარებაში. ასეთ აზრს ადვას ბ. გაფთროვი. იხ. კრებული «История Иранского государства и культуры». М., 1972, გვ. 29 — 30.

²⁷ სტრაბონის მიერ ნახსენები იბერთა მეფე ჩვეულებრივად, გაუგებრობად მიანიშნათ. მას არ ეკუთვნის მართლმსაჯულება და სამხედრო საქმის ხელმძღვანელობა, არც დიპლომატიის საქმე მეზობელ ქვეყნებთან. ამდენად ასეთი მეფე თითქოს ფიქციაა, სწორედ ისეთი, როგორც ქსენოფონტის მიერ აღწერილი მოსინიკების მეფე. ჩვენის აზრით, სტრაბონის ეს ცნობა საკმაოდ სანდო უნდა იყოს. საქმე იმაშია, რომ ძველად რამდენადმე რთული სახელმწიფოს სტრუქტურაში მეფის ფუნქციები არ იყო ზუსტად ჩამოყალიბებული. ფორმალურად მისი ძალაუფლების კომპეტენციის დაუდგენლობა და სისუსტე სრულდებოდაც არ გამოირიცხავდა მეფის უზენაეს ძალაუფლებას სახელმწიფო მმართველობის ყველა სფეროში.



კივებდა ცენტრალურ ხელისუფლებას. ეს ფენა მეფესთან ერთად ცხოვრობდა სამეფო ყმების (სტრაბონთან: *βασίλειος οὐρανοί, λαοί*) შრომის ხარჯზე, აგრეთვე თავისუფალი მოსახლეობიდან შემოსული გადასახადებითა („ხარკი სამეფო და საერისთაო“) და მთიელთა ხარკით.

ასეთი იყო იბერთა სახელმწიფო, რომელმაც უკვე ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისში დასრულებული სახე მიიღო, ე. ი. ხასიათდებოდა სამი ძირითადი ნიშნით: მოსახლეობის დაყოფა ტერიტორიის მიხედვით (ეს ადვილად მოხერხდა სისხლის ნათესაობის მიხედვით საზოგადოების დაყოფის გაქრობის გამო), საჯარო ხელისუფლება, გადასახადები.²⁸ შექმნილი ორგანიზაციის ძირითადი ფუნქცია მდგომარეობდა ქვეყნის თავდაცვაში, რაც გამოიხატებოდა ამ ნიშნით მოსახლეობის ორგანიზაციასა და ციხე-სიმაგრეთა მშენებლობებში. უფრო ნაკლებ გამოიჩინა მან თავი საჯარო ლაშქრობების ორგანიზებაში. მისი როლი, როგორც ჩაგვრის აპარატისა ბევრად ნაკლები იყო. ჩაგვრის ობიექტს წარმოადგენდნენ უცხოური წარმოშობის სამეფო მონები (ს. ჯანაშია, გ. მელიქიშვილი) და მთის მოსახლეობა.²⁹ თავისუფალი მოსახლეობის ჩაგვრა (გადასახადები, სახელმწიფო შრომითი ვალდებულებანი) ზედა ფენების მიერ დაკავშირებული იყო სახელმწიფო აპარატის ფუნქციონირებასთან. ყოველ შემთხვევაში ამ დროს თავისუფალთა გადარბიებული ფენა არ არსებობდა.³⁰ მცირერიცხოვანი იყო მონათა მასაც, მოსახლეობის ექსპლუატირებული ფენების ჩახშობისათვის მიმართული აპარატი ძირითადად იყო სამეფო საგვარეულოსაგან შემდგარი რაზმები. თავისუფალი მოსახლეობისაგან (სტრაბონის III გენოსი) შემდგარი ლაშქარი უპირატესად თავდაცვის ფუნქციას ასრულებდა. სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლები ამავე დროს შეადგენდნენ ვაბატონებულ კლასსაც. ასეთად წარმოადგებიან: მეფის საგვარეულო, უმაღლესი მოხელეობა, ქურუმობა.³¹ საკუთრივ მონათ-

მფლობელნი უმნიშვნელო სოციალურ ფენას წარმოადგენდნენ. საზოგადოების აღნიშნულ ზედაფენები ცხოვრობდნენ სამეფო ყმების, მოსახლეობიდან შემოსული გადასახადებისა და ხარკის, შრომითი ვალდებულებების ხარჯზე. ასე რომ ექსპლოატაციის ძირითად ობიექტს ძველ ქართლში თავისუფალი მოსახლეობა შეადგენდა, რომელიც უპირისპირდებოდა საზოგადოების ორგანიზატორთა ფენას.

დაახლოებით ასეთივე იქნებოდა კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის სურათი კოლხეთშიც. მაგრამ ამის შესახებ ცნობები ძალიან ცოტა მოიპოვება. სტრაბონის თანახმად ლეგენდარული ფრიქსესა და იაზონის ლაშქრობების შემდეგ კოლხეთის მეფეებმა ქვეყანა დაჰყვეს სკვებულებად და ზომიერად (სრულიადაც არა ღესპოტურად!) მართავდნენ კოლხეთის კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს აქტივობა სულაც ვერ შეედრებოდა იბერიისას. მთელი ოთხი საუკუნის განმავლობაში პირველს არ გამოუჩენია თავი პოლიტიკაში, ადვილად მოხვდა პონტოს სამეფოს განმგებლობაში და მას შემდეგაც კი, რაც ეს სამეფო დაიშალა, კვლავ უცხოელ განმგებელთა მიერ იმართებოდა. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ იგი რომაელთა ბატონობის ქვეშ არ აღმოჩნდა. კოლხეთის უძღურების მიზეზი ჩვენის აზრით შემდგომში მდგომარეობდა. აქ (ძირითადად თანამედროვე აჭარა, გურია და სამეგრელო) მიწები მწირი იყო, ხოლო ქვეყანა ხშირი ტყეებით დაფარული. ნალექების დიდ რაოდენობა აფერხებდა მიწათმოქმედების განვითარებას. (განსაკუთრებით ასეთ ბუნებრივ პირობებში ოპტიმალური პურეული კულტურის — სიმინდის არარსებობისას).³² ამ დაბრკალებების გადალახვა კი იმდროინდელ პირობებში შრომის საერთაშორისო დანაწილების შეუძლებელი იყო. (სტრაბონის მიხედვით ქვეყნიდან გაჰქონდათ უმთავრესად სელის ქსოვი-

²⁸ იბერიის სახელმწიფოს წარმოშობა გამოიწვევდა აგრეთვე სამართლის შემდგომ განვითარებას. სტრაბონის მიხედვით ქურუმები ზრუნავდნენ აგრეთვე მეზობლებთან სამართალზე.

²⁹ მათს ხვედრით წონაზე იბერიის მოსახლეობაში სტრაბონს ძალზე გაზვიადებული წარმოდგენა ჰქონდა.

³⁰ ერთ-ერთ ძველ წყაროში მოხსენიებულია სომეხთა მეფის მხარეზე მებრძოლი იბერიელთა დაქირავებული რაზმები. მაგრამ ეს ალბათ არაეკონომიური მიზეზებით იყო გამოწვეული.

³¹ როგორც გ. მელიქიშვილი აღნიშნავს, იბერიაში არსებულ დიდ სატაძრო-მამულებში ძირითადად თავისუფალთა შრომა გამოიყენებოდა. ამ ვითარების გასაგებად ვ. ბარდაველიძე საფუძვლიანად მიუთითებდა ხეცსურთა თემს.

³² კოლხეთის ბუნებრივი პირობების უარყოფითი მხარეები შეინიშნული ჰქონდათ ჰიპოკრატეს, პროკოფი კესარიელს, მენანდრეს. რა თქმა უნდა, განვითარების სხვა სტადიაზე დას. საქართველოს ბუნებრივი პირობები უფრო მდიდარი აღმოჩნდა აღმოსავლეთთან შედარებით (ქვანაშვირის, მარგანეცის მადნები, ჰიდროენერგოტესურსების მეტი მარაგი; სუბტროპიკული კლიმატი ჩაისა და ციტრუსებისათვის, შავ ზღვასთან მდებარეობა).

ლები, ამის შესაბამისად არც იმპორტი იქნებოდა მნიშვნელოვანი).

იბერიაში კი ამ მხრივ მდგომარეობა უკეთესი იყო (ნაყოფიერი ნიადაგები, უკეთესი კლიმატი). აქ ბუნების დაბრკოლება — ჰავის სიმშრალე უფრო ადვილი დასაძლევია იყო ირიგაციით, ვიდრე კოლხეთში (დაჭაობებულობა). ამიტომაც შენიშნავდა სტრაბონი, რომ იბერებს მდიდარი ქვეყანა აქვთ და ძალიან ვარგისი კარგად დასასახლებლად (ἐμπόριον δὲ χῆραν ἔχει, καὶ σφόδρὰ καλῶς οἰκησίμην ἄνθρωποις). ეს ბუნებრივი საფუძველი, — ცხადია, საზოგადოების მიერ ბუნების რესურსების ათვისების შემდეგ, — აისახა სოციალური, პოლიტიკური და კულტურულ განვითარებაშიც, მოსახლეობის სიმრავლეში. იმაში, რომ იბერიამ ბევრად უფრო

დიდი როლი შეასრულა ქართული ცივილიზაციის განვითარებაში. (მართლაც ~~ქართველთა~~).

იბერიისა და კოლხეთის ძველი საზოგადოებები გარდამავალ ანუ ადრეკლასობრივ საფეხურზე იმყოფებოდა. თუ ამ ტერმინების ხმარება ძველი აღმოსავლეთის საზოგადოებების მიმართ გაუგებრობებს ქმნის, პირველ შემთხვევაში ისინი გამართლებულია. გვაროვნული საზოგადოება აქ ერთბაშად როდი შეცვლილა ფეოდალური კლასობრივი საზოგადოებითა და სახელმწიფოს შესაბამისი ტიპით. განვითარების ამ ეტაპებს შორის ადგილი ჰქონდა სხვაგვარ სოციალურ და პოლიტიკურ სტრუქტურას. შემდგომი სოციალური ევოლუცია წარიმართა არა ანტიკური (მონათმფლობელობის) გზით, არამედ ფეოდალიზმისაკენ.

ძველ ქართულ სამართალში ნასყიდობის სახის საკითხისათვის

პ. ზვიზვილი

ნასყიდობის ხელშეკრულების ისტორიული შესწავლის დროს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მისი საგანი.

ამ წერილის მიზანია გავუზიაროთ მკითხველს ზოგი ცნობა, რაც ნიშანდობლივია ნასყიდობის საგნისათვის გვიანფორდალური ხანის ქართულ სამართალში.

ნასყიდობის საგანი შეიძლება ყოფილიყო, სხეულებრივი და უსხეულო ნივთები. სხეულებრივი ნივთები იყო უძრავი, ადგილ-მამული და შენობები, და მოძრავი, როგორც თავის მხრივ იყოფოდა სულიერ და უსულო, ინდივიდუალურ და გვარუბით ნივთებად. ნასყიდობის საგნად უსხეულო ნივთებს შორის ვგვხვდებოდა აგრეთვე მოთხონის უფლება, იდეალური წილის უფლება და სახელო თუ თანამდებობა.

ფორდალურ საქართველოში ნასყიდობის ერთ-ერთი თიქტის წარმოადგენდა ყმა, რომელიც სულიერ ნივთად იყო მიჩნეული. ცნობილია, რომ ყმები ჰყავდა მეფეს, ეკლესიას, ფორდალს და თვით გლეხებსაც კი.

ყმის, როგორც ნასყიდობის თიქტის განხილვის დროს საჭიროა ორი შემთხვევა განვასხვაოთ: ერთი, როდესაც ყმას მისი პატრონი ასხვისებს, და მეორე, როდესაც ეკონომიურად უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი მწარმოებელი ყმა-გლეხი ჰყიდის თავის თავს, თავის ოჯახს, ან ოჯახის რომელიმე წევრს.

ვახტანგ საჯღმდებელი ყმა-გლეხის გასხვისებას 162-ე მუხლში მოიხსენიებს, სადაც ნათქვამია, რომ „თუ კაცმან სოფელი ან გლეხი თავადისაგან ან აზნაურისაგან სასყიდლად მიიღო, კელმწიფესაც უნდა დაკითხვა. მაგრამ უკითხავადაც სყიდულა და არც კელმწიფე გამოჰკიდებია, ამიტომ რომე, ვინც უნდა იყიდოს, კელმწიფის კოდის პური, ბეგარა საბალახე, რაც რამ ფერი სახელმწიფო, ლაშქარ-ნადირობა — არცერთი დააკლდება, ყველა უნდა ქნას,

თუ კელმწიფემ არ გაათარხნა.“¹ მაშასადამე, საერთო წესით ყმა-გლეხის გასხვისებას ხელმწიფის ნებართვა სჭირდებოდა, თუმცა პრაქტიკაში ეს უნებართვოდაც ხდებოდა, რაკი ყმისაგან გასასტუმრებელი სახელმწიფო გამოსაღები მას ახალ მებეტონესთანაც თან მიჰყვებოდა.

დავით ბატონიშვილის სამართლის 216-ე მუხლით² ყმის გასხვისება მხოლოდ გამყიდველის სენიორის ნებართვით შეიძლებოდა და თუ ნასყიდობა ნებართვის გარეშე მოხდებოდა, მაშინ იგი დაირღვეოდა.

მეტწილად მებატონეები თავიანთ ყმა-გლეხებს ყიდიდნენ მიწით და ქონებით, ე. ი. მთელი ავლადიდებით. 1704 წლის ნასყიდობის წიგნით: „... მოგყიდეთ ჩვენის ბარათში ნარგები მკვიდრი ყმა ყანჩაეთს გაგაქე გამიხარდი, ციხელი გორაშვილი თავის ცოლითა, შვილითა, სახლკარითა და მომავლითა, წყლითა, მიწითა, საქნავ-სათესითა, ტყითა, ველითა, მიწდვრითა, საწისქვილოთა, ვენახითა, სათიბითა, საძოვრითა, მთითა საშეშოთა, საცილებელ-უცილებლითა, გასავალ-გამოსავლითა და, რისაც მქონებელი იყოს, მისის ყოვლითავე სარჩოთი მოგყიდინა.“³ მაგრამ ზოგჯერ გლეხი უმიწოდაც იყიდებოდა და შეიძლებოდა მისი (ყმა-გლეხის) ოჯახის წევრებიც ცალ-ცალკე გაყიდულიყვნენ. „მოგყიდეთ უმა-მლოთ, უწყლოთ, უმიწოთ, უვენახოთ და უარაოთ ბურჯკური გოგინა, მისი ცოლი, მისი შვილი ონანა, თამაზა, ავთანდილა და ორის ქილითა და ავიღე ფასი სრული და უკლები.“⁴ „... როდეს დამეჭირა და მოგიდგვი კარსა შენსა, მოგყიდე ჩემი ყმის შვილი გიოა...“⁵

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ეკონომიურად უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი მწარმოებელი ყმა-გლეხი (რაც გამოწვეული იყო ვალის გადაუხდელობით, შიმშილით და სხვა გამოუვალი მდგომარეობით)

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1963, გვ. 521 (ვახტანგ VI-ის კრებულის ნაწილები სხვაგანაც მითითებულია ამ გამოცემით).

² სამართალი ბატონისშვილის დავითისა, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დავით ფურცელაძემ, თბ., 1964, გვ. 121 (შემდგენილია ეს ძეგლი მითითებულია ამ გამოცემით).

³ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ბატონყმური ურთიერთობა (XV—XVIII სს.) ნ. ბერძენიშვილის რედ. თბ., 1940, გვ. 126, საბ. № 173.

⁴ იქვე, გვ. 49, საბ. № 27.

⁵ იქვე, გვ. 388—389, საბ. № 544.



ოდულებული იყო გაეყიდა თავისი თავი, თავისი ოჯახი, ან ოჯახის რომელიმე წევრი .

ვახტანგის სამართლის 142-ე მუხლით თუ კაცი ვალს ვერ გადაიხდიდა, მაშინ შეიძლებოდა ვალში შევალე ყმად მისცემოდა იმ პირობით, რომ მოვალე მას ურჯულოზე არ გაყიდდა.

1738 წლის ნასყიდობის წიგნით: „ე. ესე ნასყიდობის წიგნი მოგვც მე, თულაშვილმა იასემ თქვენ, ბატონს სალთხუცეს ბატონს გივს... ასე რომე აღებ-მიცემობდი და თქვენგნით ხუთი თუმანი თეთრი ავიღე და წაველ ქალაქს სავაჭროთ. დამხდენ ლოჭინზედ, დამიჭირეს, თეთრიც ლეკებმა წაიდეს და მეც დამიჭირეს და წამიყვანეს. ბელქანში ჩამიყვანეს. ორი კვირა ბელქანში ვყვანდი. მასუკან დაღისტანში წამიყვანეს. იალადიდან გამოვეპარე და მოველ და ბქვენ თეთრს დამიწყვეით თხოვნა და თამასუქიც ასეთი ქონდათ და პირობაც ასეთი მოგართვით, რომე თქვენი თეთრი არ დაიკარგებოდა. მე ხომ არა შებადა რა, ჩემი თავი ნასყიდათ მოგეცი...“⁶ როგორც ვხედავთ, თულაშვილმა იასემ ვალში (ხუთ თუმან თეთრში) თავისი თავი ყმად მისცა კრედიტორს — ზალთხუცეს ბატონ გივს.

სავალო პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით ვახტანგის სამართლის 136-ე მუხლში ლაპარაკია მამის მიერ შვილისა და ძმის მიერ ძმის გაყიდვაზე: „... თუ შვილი ან მამისაგან, ან ძმისაგან, ან სხვის ვისგანმე ან გასყიდულა ან დატყვევებულა...“.

დავიმოწმით სათანადო საბუთები:

1714 წლის ნასყიდობის წიგნში ვკითხულობთ: „ნასყიდობის წიგნი მოგვც მე ახალკაცის შვილმა ზერმა და შვილმა ჩემა დათუნამ, ... მრავალს კაცსა და მის ძეს ბეგრს სხვას უქნია და ჩვენც დავგვიჭირა და მოვყიდეთ ჩვენი შვილი და ძმა პატა, ... თქვენ ჩაჩაბელს ფარსადანს...“⁷ „... ერთი პატარა და ვყვანდა ექვს-შვიდის წლისა, ასე დაოსებული იყო შიშიშლისაგან, რომ თუ ერთი ორი დღე კიდევ დასცალდებოდა, მოკვდებოდა ამაში ოცი კიდე სულადი გამოგართვით და ჩვენი პატარა და გუთე თქვენ მოგყიდეთ“⁸ „... მოგყიდე ჩემი ძმა ბეჩუა...“⁹ „... დავეჭირა და მოგყიდეთ ჩვენი ძმის-წული თევდორა ყოვლის კაცის პოუსარჩლედა“¹⁰

პრაქტიკაში ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ყმა-გლეხი მიმართავდა შვილის, ძმის, დის, ძმისწულის გასხვიებას, მაგრამ ქმრისა ჰიერ ცოლის გაყიდვას არ ხვდებოთ.

„ცოლის დაგირაგების ან გაყიდვის შესახებ მონაცემებს ვერ ვპოულობთ და ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ასეთ მოვლენას საერთოდ ადგილი არ ჰქონია საქართველოში“¹¹

მშობლების მიერ შვილის გაყიდვაზე საუბარი დავით ბატონიშვილის სამართლის C 29-ე მუხლში, სადაც ნათქვამია, რომ თუ შიშიშლი კაცს შვილის გაყიდვას გადაწყვეტინებდა, მაშინ მას მხოლოდ თავისი ბატონის შეკითხულობითა და დასტურით შეეძლო გასხვისება, აღნიშნულს კი სამართალი შეიწყნარებდა. და თუ მშობელი შვილს თავისი ბატონის ნებართვის გარეშე გაასხვისებდა, მაშინ ხელშეკრულება ბათილდებოდა.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ნასყიდობის ობიექტი შეიძლებოდა ყოფილიყო არა მხოლოდ სრულწლოვანი ყმა-გლეხი, ე. ი. რომელიც რაიმე საქმის შესრულებას შეძლებდა, არამედ მცირეწლოვანიც, ე. ი. ისეთიც, რომელიც მისი ასაკის გამო ჯერ კიდევ უმწყო იყო, მაგრამ მყიდველი იძენდა იმ მიზნით, რომ მას გაზრდიდა და მომავალში თავის სურვილისამებრ გამოიყენებდა. 1605 წლის ნასყიდობის დოკუმენტში ნათქვამია: „ნასყიდობის წიგნი მოგვცით ჩვენ, გლდანური ლომიტას შვილმან... თქვენ, ნამურაძეს შალვას შვილს რევახსა... ასრე და ამა პირსა ზედან, რომე ჩემის ნებაყოფლობით მოვიყვანეთ, ჩვენი შვილის დედა მოკულა და პატარა ორი წლის ობოლი იყო და პატრონი არა მყონდა, მოვიყვანე, შენ მოგვც ჩემი შვილი რამაზა და, რითაც ჩემს გულს შეჯერდებოდა გამოგართვი ფასი“¹² „... მოგყიდე ჩემი შვილი ნასყიდა ხუთი წლისა“ (1742 წ.)¹³

ვახტანგის სამართლის 261-ე მუხლით უძმო, უსახლისკაცო, გაყრილ, უშვილო კაცს უფლება ჰქონდა სხვისი შვილი დედ-მამიანი თუ ობოლი ყვიდა, შვილად გაეზარდა და თავისი ქონება და მამული მისთვის ეანდერძებინა. შემძენის გარდაცვალების შემთხვევაში ნაანდერძევი ქონება ნაშვილებს დარჩებოდა და ბატონს ამით მოემსახურებოდა.

მაშასადამე, ნასყიდი სხვისი შვილი, ნაშვილეობის საფუძველზე, შემძენის კანონიერი მემკვიდრე ხდება.

ამ მუხლის საილუსტრაციოდ მოვიტანე 1701 წლით დათარიღებულ ერთ საბუთს, სადაც ნათქვამია: „...ესე ნასყიდობის წიგნი მოგეცი მე მამულაშვილმა ბერიამა შენ, მოქალაქეს როტინაანთ ბეჩუას: — ასე რომ ჩემის ნება-წადილით მოვედი და შემოგეხვეწე, ამი-

⁶ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, 1940, გვ. 277—278, საბ. № 395.
⁷ იქვე, გვ. 162, საბ. № 288.
⁸ საქართველოს სიძველენი, ტ. I, ე. თაყაიშვილის რედ. ტფ. 1899, გვ. 347, საბ. № 290.
⁹ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, 1940, გვ. 267—268, საბ. № 382.
¹⁰ იქვე, გვ. 244, საბ. № 353.
¹¹ გ. ნადარეიშვილი, ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან, თბ., 1965, გვ. 242.
¹² დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, 1940, გვ. 14, საბ. № 15.
¹³ იქვე, გვ. 302—303, საბ. № 429.

ტომ რომ ჩემი მერჯულე იყავი. შენც შენად შვილად მონდობე, მოგვცი ჩემი შვილი ნადირა, რითაც ჩემი გული შესჯერდებოდა, შენგან ავიღე მისი ფანა¹⁴. „... ავი დრო იყო და დიად ვაგვიჭირდა. ჩემი შვილი გიორგი მოგვიდეთ ძმათა და შვილათ...“¹⁵

ამ მხრივ საგულისხმო ცნობას იძლევა სამოქალაქო სჯულდების № 4 კანონპროექტის დასკვნითი ნაწილი,¹⁶ სადაც ანონიმი ავტორი შეძლებულ ხალხს მოუწოდებდა, რომ უნუგეშოდ დარჩენილი ობლები შვილად აეყვანათ, ან არადა ყმად მაინც გაეზარდათ, რათა ისინი შიმშილით დაოცვისა ან სხვარიგად გაუუჭებისაგან გადაერჩინათ.

საყურადღებოა ითქვას, რომ ობოლთა რიცხვი იმდენად გამრავლებულა, რომ იგი სახელმწიფო ზრუნვის საგანი გამხდარა. საფიქრებელია, რომ ეს სოციალური მოვლენა იყო, რაც იმდროინდელი საქართველოს ავბედობით უნდა აიხსნას.

ვახტანვის სამართლის 261-ე მუხლში სხვისი შვილის მოსამსახურედ შექმნაზეა ლაპარაკი: „იქნების, შვილად კი არა, ისერ სასამსახუროდ ცოლ-ქმრათ ერთად იყიდონ სამსახურისა თუ მადლისათვის“...¹⁷

დავიმოწმით სათანადო საბუთები.

„ქ. ევე წიგნი მოგვცე ახლადბელ სულხანის ყმა პატამა შენ, მერაბას ასე და ამა პირსა ზედან, რომ ჩემი ქალი მარუა შენ მოგვცე ჩემს ნებით მოახლეოთ, ჰქონდეს და გიბედნიაროს, შენის ნებით ქმარიც შერთო და შენთვის ყმათ დაასახლო...“ (1676 წ.).¹⁷ „...მოგვიდუ ჩემი ქალი მარუა მსლე ბლათ მოგვცე...“¹⁸ 1750 წლის ნასყიდობის წიგნში კი ვკითხულობთ: „...პაპის ჩემის რევაზის ნასყიდის პავლეს — შვილი ოთხი წლის ობოლი გიორგი უპატრონო იყო და მადლისათვის შენვე ინახავდი. რადგან ობოლი იყო და შენც მიონდობე, ავდეგ და ჩემის ნება წადლით მოგვიდუ ოთხი წლისა“.¹⁹

როგორც ვნახეთ, პირს შეეძლო ყმა-გლეხი ან თავისი ოჯახის წევრი (შვილი, და, ძმა და სხვა) გაესხვისებინა არა მხოლოდ როგორც ნასყიდი ყმა, არამედ შვილის, მსახურის, მოახლის, მსლებლის უფლებებითაც. მასთანავე, სხვენებული ნივთების გასხვისების დროს მათ საქმიანობა-დანინშულეგას მხარეები ხელშეკრულების დადებამდე განსაზღვრავდნენ.

ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ

ნასყიდობის საგანი შეიძლებოდა ყოფილიყო: ნასყიდი, ნამზითვე, ნასისხლი ქონება, რომელიც მოუდევარ-მოუსარჩლელად ითვლებოდა, აგრეთვე სამკვიდრო და ნაწყლობე-ნაბობები ქონებაც.

ნასყიდის გასხვისება პრაქტიკაში ერთობ ხშირია, ამიტომ ჩვენ მასზე აღარ შევეჩრდებით.

როგორც ცნობილია, მზითვე მიღებული ქონება (ნამზითვი) მოუდევრად ითვლებოდა. ქალს შეეძლო ნამზითვი თავისი სურვილით განეკარგა, გაუვვისებინა „გაეუჭებინა, დავეირავებინა და სხვა. ამიტომაც ქალის გათხოვების შემთხვევაში მისი მშობლები ცდილობდნენ, რომ მზითვეში ისეთი უძრავ-მოძრავი ქონება გაეტანებინათ, რომელიც მოუდევარ-მოუსარჩლელი იქნებოდა. ასეთი კი ძირითადად ნასყიდობით შექმნილი ქონება იყო. ამიტომ მზითვეში უმეტესად ნასყიდ ქონებას ატანდნენ ხოლმე. სამკვიდრო ქონების მზითვეში გატანების იშვიათობა კი თვით მისი (ქონების) ბუნებიდან გამომდინარეობდა. ეს იმით აიხსნებოდა, რომ ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი დანაწევრებული საკუთრების თავისებურება ყველაზე სრულყოფილი სახით ხსენებულ ობიექტში ვლინდებოდა.

საყურადღებოა აღინიშნოს ისიც, რომ ფეოდალური წყობილების დროს სამკვიდრო ქონება სენიორულ-ვასალური ურთიერთობის შემავაგვირბეული რგოლი იყო. ყოველივე აღნიშნული კი მისი განკარგვა-გასხვისების თავისებურებასა და შეზღუდულობაზე მიგვანინებდა.

მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი:

1743 წლის ნასყიდობის წიგნში ვკითხულობთ: „მოგვიდუ ჩემი სიმამრის ზურაბ რატიშვილისაგან ნასყიდეები, რომ თავის შვილის ჩემი მეუღლის როდამისათვის მზითვეში გამოტანებული გლეხები... ამ გლეხების ძველთაგან ნასყიდობის სამი სიგელიც თქვენ მოგვცით და კიდევ მეოთხე მზითვის წიგნიც თქვენ მოგვცით“.²⁰ როგორც ვნახეთ, გამსხვისებელმა თავისი სიმამრის მიერ ნასყიდი და მისი მეუღლისათვის მზითვეში გამოტანებული გლეხები გაყიდა.

„მე ავთანდილ მდივნის ქალი ვითხოვე და ჩემმა სიმამრმა თავისი ნასყიდი მამულები მზითვეში მომცა მე. ამ მამულების გასყიდვა მოვიწიდე. მოგვიდუ შენ

¹⁴ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, 1940, გვ. 113—114, საბ. № 154.
¹⁵ იქვე, გვ. 294, საბ. № 419.
¹⁶ სამოქალაქო სჯულდებები, II, ტექსტი, ლექსიკონი და საძიებლები გამოსცა დავით ფურცელაძემ, თბ., 1967, გვ. 50—51.
¹⁷ საქართველოს სიძველენი, ტ. III, ექ. თაყაიშვილის რედ. ტვ., 1910, გვ. 536—537, საბ. № 557.
¹⁸ საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი (შემდეგში შემოკლებით — სსცია), ფ. 1450, დავთ. № 38, საბ. № 212.
¹⁹ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, 1940, გვ. 352—353, საბ. № 500.
²⁰ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კორ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი (შემდეგში შემოკლებით — ხელნაწერთა ინსტიტუტი), ფ. Hd, საბ. № 8586.



ვახტანგის შვილის რვეაზს ეს შემოსვენებული მამუ-
ლია.²¹

1736 წლის ნასყიდობის წიგნში²² კი ნასყიდობის
ობიექტს მზითვით ნასყიდი და მზითვში გატანებუ-
ლი სოფელი წარმოადგენს.

ზოგიერთი საბუთის მიხედვით მზითვში ატანდნენ
სამკვიდრო უძრავ ქონებასაც. 1766 წლის ნასყიდობის
დოკუმენტის მიხედვით, „... მოგყიდე ჩემი ზითევი,
ჩემის სიდღერისაგან და სიმამრისაგან თავიანთ მკვიდ-
რი და ალალი სახლი, ჩემთვის და ჩემი ცოლისათვის
ზითვშიდ მოცემული სახლ-კარნი“.²³

ამრიგად, თუ ნათქვამს შევჯავაშებთ, დავინახავთ,
რომ ნასყიდობის საგანი შეიძლება ყოფილიყო
ნასყიდობით შეძენილი და მზითვში გატანებული უძ-
რავ-მოძრავი ქონება, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში
სამკვიდრო მზითვში მოცემული ქონებაც.

რამდენიმე სიტყვით შევჩერდეთ ნასისხლი ქონების
გასხვავებაზე. 1747 წლის ნასყიდობის წიგნში
ვკითხულობთ: „ნასყიდობის წიგნი მოგართვით ჩვენ,
მაჭარასვილიმა დათუამა, შვილიმა ჩემმა გოგიამ და
მომავალთა სახლისა ჩემისამ, თქვენ, ბატონის ჩემის
შვილს ნიკოლოზს, ასე რომე, დამჭირდა და მოგყიდე
ჩემს სისხლში აღებული ესტატე ღვინიაშვილი, მისი
შვილი ბაგური და თითა და კიდევ მესამე მისი ძმა
და მომავალი სახლისა მისისანა...“.²⁴ ფოთალურ სა-
ქართველოში „სისხლი“ ქონებრივ სასაჯელს წარმო-
ადგენდა, რომელიც დამნაშავეს უნდა გადაეხადა და-
ნაშაულის სიმძიმისა და დაზარალებულის გვარის, მა-
მულისა და საბატოი ხელის მიხედვით.²⁵

ქონებრივი სასაჯელის განსაზღვრის დროს თუ დამ-
ნაშავის ქონება სისხლის ფასს არ აუვიდოდა, მაშინ
დამნაშავესა და მის ოჯახის წევრებს დაზარალებულს
ყმად მისცემდნენ. მოცემული საბუთიდან ჩანს, რომ
მაჭარასვილ დათუას სისხლის ფასში აუყვანია ეს-
ტატე ღვინიაშვილი მისი შვილებით, ძმითა და მათი
სახლის მომავლით. ნასისხლი ქონება კი, როგორც
მოუდევარ-მოუსარჩლელი, მესაკუთრეს — მაჭარას-
ვილ დათუას — გაუსხვისებია.

ბრაქტიკაში გვხვდება მემკვიდრეობით მიღებული
ქონების (სამკვიდროს) ნასყიდობა, 1760 წლის ნას-
ყიდობის წიგნში ნათქვამია: „... მოგყიდე ჩემი ალალი
სამკვიდრო მამული ალიანია“.²⁶ „... მოგყიდე ჩემი

მკვიდრი ყმა და ბარათში გამოტანილი ბალიჭლო
ალიხანას შვილი გოგია, არაქელა და პეტრეა თა-
ვიანთი დღედით“.²⁷

მაგრამ სამკვიდრო ქონების გასხვისება მხოლოდ
მემკვიდრეების თანხმობით შეიძლებოდა, წინააღმდეგ
შემთხვევაში მათ უფლება ჰქონდათ პრეტენზია გა-
სხვისადებითა და გაყიდული ნივთი უკან დაებრუ-
ნებინათ.

ჯავახიშვილების 1775 წლის არზაში, მამულების
გაყიდვის თაობაზე, რომელსაც ერთვის ერეკლე II-ის
ოქმი, ნათქვამია: ზაალ ჯავახიშვილის შვილებმა დი-
მიტრიმ და როინმა ერეკლე II-ს არზა მიართვეს, რა-
შიც მოახსენებენ, რომ „მამაჩვენი გაღარიბდა და
კვლმოკლეთ შეიქმნა და მეტის სიღარიბისაგან მა-
მულსა, ყმებსა ყიდის და ავირავებს და საბოლოოდ
ჩვენთვის აღარას ნაღვლობს და ჩვენ საცოდავათა და
საწყალდა ვრჩებითო; ესლაც ერთი ვენახი და ბიჭი
დაუვირავებია. ამ მოწყალეებას ვითხოვ: ერთი ბევრითი
ოქმი გვიბოძო, რომ ჩვენი მამული იმის სატყვეთ
არავინ იყიდოს და არცა ვინ დავირავოს, რომ ბოლოს
თქვენის მოწყალეებით, ჩვენც გამოვიზარდნეთ და არ
დაგვეკარგოს მამულ-დედული სამკვიდრო“. ერეკლე
II კი ოქმში მიუთითებს „ვინც ამ ზაალისაგან მა-
მულს იყიდის, იცოდეს წავართმევთ. ამ ზაალისაგან
მამულს ნურავინ იყიდის, გაგვიფრთხილებინათ“.²⁸

როგორც ვნახეთ, ოჯახის უფროსი გაღარიბებულა
და სამკვიდრო ყმა-მამულის გაყიდვა განუზრანავს.
შვილები (მემკვიდრეები) თავიანთ მშობულ მამას
სამკვიდრო ქონების გასხვისებაზე არ დათანხმდებიან
და დამზარებისათვის ერეკლე მეფისათვის მიუმართავეთ.
ერეკლე II-ს გაუფრთხილებია, რომ ხსენებული მა-
მული არავის ეყიდა, თორემ წაერთმევდა.

ხშირად გამსხვისებლის ბატონი სამკვიდრო ქონე-
ბის გაყიდვის წინააღმდეგი იყო, რადგან იგი ფიქ-
რობდა, რომ ყმის მიერ მამულის გაყიდვას შესაძ-
ლებელია საკლესო ფუძის მოშლა გამოეწვია და ყმა
გადაუნებელიყო. ამიტომაც იყო, რომ ბატონი, სა-
ერთოდ, და კონკრეტულ შემთხვევაში, კერძოდ, თა-
ვის ყმას მისი (ბატონის) შეკითხვის გარეშე რაიმეს
გასხვისებას უკრძალავდა (მუს. 163).

ამ მხრივ საინტერესოა მანუჩარ ლაშქარნივისის
(თუშანიშვილის) 1790 წლის არზა,²⁹ რომელსაც ერ-

²¹ სსცია, ფ. 1450, დავთ. № 2, საბ. № 133.

²² საქართველოს სიძველენი, ტ. II, გვ 384—385, საბ. № 342.

²³ დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, წიგნი პირველი, შეადგინეს ნ. ბერძენიშვილიმა და მ. ბერძენიშვილიმა, თბ., 1962, გვ. 303, საბ. № 249.

²⁴ ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1465—1770 წწ.), წ. I, თბ., 1958, შ. ბურჯანაძის რედ. გვ. 80, საბ. № 86.

²⁵ ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 190.

²⁶ საქართველოს სიძველენი, ტ. I, საბ. № 224.

²⁷ სსცია, ფ. 1449, საბ. № 172.

²⁸ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Qd, საბ. № 808.

²⁹ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, ნ. ბერძენიშვილის რედ. თბ., 1953, გვ. 156—157, საბ. № 249.



თვის ერეკლე II-ის ოქმი.³⁰ არზაში ნათქვამია, რომ მის (მანუჩარ ლაშქარნიშის — კ. ბ.) ყმას ალიხანს რუის ნავენახში გაუყიდა. მას (ალიხანს) „ორი-სამი შვილი ჰყავს და თვითონ ღარიბი და შეუძლებელი არის. იმან რომ თავის მამულები დაყიდოს, შვილები მწარტე უმოწყალონი დარჩებიან და კიდევ დამკვარებებიან“ — მიუთითებს მანუჩარი და ერეკლე მეფეს ოქმს სთხოვს, რომ მისი ყმისაგან ნავენახში არავინ იყიდოს. ერეკლე მეფემ არზაში მოხსენებულ ნასყიდობა გააუქმა და საჩივარზე ასე მიუთითა: ყმას მამულის გაყიდვა მხოლოდ უკადრეს შემთხვევაში შეეძლო და მაშინაც თავისი ბატონის გარეშე ვერ გაასხვისებდა. იმიტომ, რომ თუ ბატონი ხსენებული მამულის ყიდვას მოისურვებდა მის შექენაში უპირატესობა მას უნიჭებოდა და იგი შეიძენდა, თუ არა და თავის ყმის ნებართვას მისცემდა და ეს უკანასკნელი შემდეგ გაასხვისებდა — ვკითხულობთ ერეკლე II-ის ოქმში.

ამიტომ იყო, რომ ყმა-გლეხები სამკვიდრო ქონებას ზოგჯერ თავიანთი ბატონის შვიტხვითა და დასტურით ასხვისებდნენ, რაც უზრუნველყოფდა ნასყიდობის ხელშეკრულების სიმტკიცეს. 1726 წლის ნასყიდობის წიგნით: „დაგვჭირა და ჩვენის სამკვიდრო მამულის გასყიდვა მოვიდომეთ და ბედნიერის ვეზირის ისაჰაფაშის ბძანება და დასტური ავიღეთ და ბეირთუც გვიბოძა და იმის ბძანებით მოგყიდეთ ჩვენი ადამ მამამდინ სამკვიდრო საგლეხო მამული“.³¹ „ოღეს დაგვჭირდა, მოვედით ჩვენის ნება-წადილით ქართლის გამგეს, ბატონიშვილის ვახტანგის დასტურის ბოძებით მოგყიდეთ ჩვენი მკვიდრი სახლ-კარი. ერთი დარბაზი და ორი ოთახი ზედ აკრავს“ (1711 წ.).³²

ფეოდალურ საქართველოში სენიორულ-ვასალური ურთიერთობის მოწესრიგება-განმტკიცებისათვის წყალობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალება იყო. სენიორები თავიანთ ვასალებს ერთგული სამსახურისათვის ყმა-მამულს უწყალობებდნენ ხოლმე. შეწყალებულებმა თანდათანობით ნაწყალობები ყმა-მამული დაიმიკვიდრეს და მათი განკარგვის უფლება მოიპოვეს.

ნათქვამის საილუსტრაციოდ საყურადღებოა 1690 წლის ნასყიდობის წიგნი, საიდანაც ჩანს, რომ ყმას თავის ბატონისათვის ვენახი მიუყიდა, რომელიც

ადრე ამ უკანასკნელის მიერ ყოფილა ნაბოძები. „ესე ნასყიდობის წიგნი მოგართვით ჩვენ, მწერლის — შვილებმა გიწამა, ბერმა, დათუნამა და გელიტამა და შვილმა ჩვენმა პაპუნამა თქვენ, ქსნის ერისთავს ბატონს დავითს და შვილთა თქვენთა შალვასა და შანშესა, ბიძაშვილსა თქვენსა ლარგველსა და დათუნასა, — ასე რომ მოგყიდეთ ძველთაგანვე თქვენგან ნაბოძები ვენახი ოძის მისის სამართლიანის საქმით“.³³

ვახტანგის სამართლის წიგნის 163-ე მუხლში ნათქვამია: „ქვეყანაზედ ეს სამი არ დაეჭირვის კაცსა და ტელმწიფისა არის — წყალი, შუშა და ბალახი“. კანონმდებელი მოტანილ მუხლში წყალს, შუშას და ბალახს სახელმწიფო საკუთრებად აცხადებს და მათ შექენა-გასხვისებას კატეგორიულად კრძალავს.

საინტერესოა, როგორ ხორციელდებოდა პრაქტიკაში სამართლის ეს ნორმა?

მოგიტანთ სათანადო დოკუმენტები: 1690 წლის ნასყიდობის წიგნში ნათქვამია: „მოგყიდეთ ჩვენი ნასყიდი საწისქვილო ყოვლის კაცის უცილობელი“.³⁴ საწისქვილო რომ განსაზღვრული წყლის ერთეული იყო, ეს შემდეგი ციტატიდანაც ჩანს. „სარწყავი წყლის საზომ ერთეულად მიღებული იყო ჩვეულებრივ ე. წ. საწისქვილო — ერთი თვალი წისქვილის დასაბრუნებლად“ საკმარისი წყალი, უფრო მცირე საზომად კი იხმარებოდა ე. წ. ნაკალული. ოთხი ნაკალი შეადგენდა ერთ საწისქვილოს“.³⁵ „... გორში ორი თვალი წისქვილის წყალი პეტრეს მამას და ბიძას საკუთრივ გაეყიდნათ, რომ არც დიმიტრი და არც იმისი ძმები რეულიყვნენ, რომ ორთავესი ყოფილიყო. ჩვენ ასე გაგასამართლეთ: თუ პეტრემ თავისი მამისა და ბიძისაგან გასყიდული წყალი დიხსნას, ის წყალიც და ქალაქის სასახლეც სამო იყოს“.³⁶

1732 წლის ნასყიდობის დოკუმენტში კი ნასყიდობის ობიექტს საწისქვილო სათავე წარმოადგენს, წიგნში ნათქვამია: „მოგყიდეთ ჩვენის ყმის როსტე-ვანაშვილის ბეჟუსი და არაქელს მამულიდამ კერაზე ერთი საწისქვილო სათავე, გაბასშვილის ბეჟანას წისქვილი რომ არის, იმის ბოლოში, სადაც გინდა აართვი და ბოლო წყნეთურის ბაგების ბოლოს წყალი რომ ჩამოდის, იქამდინ საცა გინდა ერთი წისქვილი დააბრუნე“.³⁷

ზემოთ მოტანილი მასალებიდან ჩანს, რომ გას-

³⁰ იქვე, გვ. 156—157, საბ. № 249.

³¹ სსცია, ფ. 1448, საბ. № 2889.

³² დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, გვ. 84, საბ. № 73.

³³ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, გვ. 15, საბ. № 20.

³⁴ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. № 2044.

³⁵ მ. გეგეშიძე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის ცდა), საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემლობა, თბ., 1961, გვ. 36.

³⁶ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI—XVIII სს.) ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ. 636—637, საბ. № 495.

³⁷ საქართველოს სიძველენი, ტ. II, გვ. 303—305, საბ. № 249.



ვისების ობიექტი ყოფილა სარწყავი წყალი, წისქვილის წყალი და საწისქვილო სათავე.

სარწყავი წყლის ნასყიდობაზე მ. გეგეშიძეც მიუთითებს: „სარწყავი წყალი, ისევე როგორც სამიწათმოქმედო ნაკვეთები, ტყე, ჭალა და სხვა ყიდვა-გაყიდვის, წყალბა-ბოძების საგანი იყო.“³⁸

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ადგილ-მამულებში იყოფოდა სარწყავი და ურწყავი მიწებდა. ქვემოთ, ჩვენ, სადაც ლაპარაკი გვექნება მიწის გასხვისებაზე, ყველგან სარწყავ მიწებს გველისხმობთ.

დოკუმენტებში ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, სადაც მიწა იყიდებოდა თავისი სარწყავი წყლითა და თავისი რუთი, ასევე წისქვილი — თავისი წყლითა და თავისი რუთი: „მოგვიდე ჩემგან გამოფიცული ჭვიროს ზაალისშვილის ნაქონი მიწა, ბეგანიშვილის ბაგის გვერდზე, თავისი წყლით რაც მოუნდებოდეს“ (1713 წ.).³⁹ „... მოგვიდე ბაგა, თავის ჭალითა, თავის წყლითა და რუთი, თავის შესავალ-გასავლითა.“⁴⁰ „... ჩემის ნება-წადილით მოგვიდეთ ორთაჭალაში ჩემი შიგნით ბაღი. ერთი ჩარხი, ერთი თავისის რასათის წყლითა, თავისის რუთა და გზითა შესავალ-გასავალითა.“⁴¹

რადგან საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარება ხელოვნური რწყვის გარეშე შეუძლებელი იყო განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ მიწის უწყლოდ თითქმის არავითარი ფასი არ უნდა ჰქონოდა.

ივანე დაფქვიანაშვილის 1757 წლის არჩაში ვკითხულობთ: „რუის ცოტა რამ ნასყიდობა მაქვს (ამბობს ივანე დაფქვიანაშვილი — კ. ბ.) წყლითა და გზით მიყიდა, კელმწიფესაც მოეხსენება რუისის წყლის გაჭირვება ამთონი კელმწიფის წყალბა იყოს, რომ ვისგანაც მიყიდა, იმათი რიგის წყალი ჩემს ნასყიდს მოკცეს, როგორადაც სიკვლემში მიწერია, თორემ ის ნასყიდობა ჩემთვის გამოუყენებელი იქნება. ამაზედ კელმწიფემ სამართალი მაღირსოს თავის გასამარჯვებლად და სადღეგრძელოდ.“⁴² არჩას დართული აქვს თეიმურაზ II-ის ოქმი, სადაც ნათქვამია: „ჩვენი ბძანება არის რუისის მოურაო მოხელენო და მერუენო. ამ არჩის პატრონს დაფქვიანაშვილს რომ ნასყიდი მიწა ჰქონია, მიწა უწყლოთ სარწყავში არ იქნება, თავისის რიგის წყალს მოსცემდეთ, ვისგანაც ეყიდნოს, იმის რიგათ...“⁴³. როგორც დავინა-

ხეთ, შემქმენს — ივანე დაფქვიანაშვილს — მიწა წყლითა და გზით უყიდა. საბუთში განსაკუთრებით საყურადღებოა შემქმენის ის მითითება, რომ „თუ გამოიღველის რიგის წყალი ჩემს ნასყიდს არ მოეცა, მაშინ ის ნასყიდობა ჩემთვის გამოუყენებელი იქნება“—თ, ე. ი. სარწყავი მიწა უწყლოდ გამოუყენებულად, უვარგისად ითვლებოდა და ამიტომაც მიედევნა გამსხვიებლის წყლის რიგს მოითხოვდა. მეფე თეიმურაზ II ოქმში სათანადო მოხელეებს უბრძანებს, რომ შემქმენს გამსხვიებლის რიგის წყალი მოსცემოდა, რადგან „მიწა უწყლოთ სარწყავში არ იქნება“—თ.

ამიტომაც იყო, რომ ვახტანგ სულღრდებელი ძმებს შორის მამულის გაყოფასთან ერთად წყლისადაც სარწყავი წყლის გაყოფაზეც მიუთითებდა. „რუს სარწყავი წყალს, როგორც მამულს გაყოფენ ძმანი, ისრე წყალი იმდენ ნაკადულად გაიყოფის“ (მუხლი 114).

ეთნოგრაფი ჯ. სონდულაშვილი აღნიშნავს, რომ „რწყვის მოწყვსირებებისათვის რიგები იქმნებოდა. ვისაც რიგი მოუწყვდა, იმას შეეძლო წაეყვანა ერთი სარწყავი წყალი“⁴⁴ იგი შენიშნავს, რომ „ხშირად წყლის რიგით ვაჭრობაც არსებობდა“—თ და ეთნოგრაფიული მასალიდან მოჰყავს სათანადო მაგალითი: „გორის რაიონის სოფელ დივში მოხუცების გადმოცემით გაჭირვებული კაცი რიგს გაყიდა და ხოლმე, ასეთი რიგი მათივე თქმით ზოგჯერ სამ ჩანახ სიმინდად გაყიდულა“⁴⁵ როგორც ვნახეთ, გაჭირვებული კაცი სარწყავი წყლის საკუთარ რიგს ყიდის. მასსადამე, იგი ასხვისებს თავის უფლებას წყალზე. განსახილველ საკითხზე საყურადღებო ცნობას იძლევა 1467 წლით დათარიღებული დოკუმენტი,⁴⁶ სადაც ჩანს, რომ ბაგრატი მეფემ ელითონიშვილებს უბოძა ნასყიდი სოფელი სასხორი და შემდგომში არსი, რომელიც საკუთარი ბეჭდებით ჰქონდა შექმნილი.

მოკლედ შევეხებით საწყლისპიროს საკითხს. საწყლისპირო ქართული სამართლიდან მხოლოდ დავით ბატონიშვილის საკოდიფიკაციო პროექტშია მოხსენებული. დავით კოდიფიკატორი პირველ მოქალაქეებს უფლებას აძლევდა, რომ საკუთრებაში ჰქონოდათ სახლი, ქარვასლა, წისქვილი და საწყლისპირო (მუხ. C 26).

პროფ. გ. ნადარეიშვილის აზრით, „საწყლისპირო

³⁸ მ. გეგეშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 193—194.

³⁹ საქართველოს სიძველენი, ტ. II, გვ. 246—247, საბ. № 204.

⁴⁰ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Sd, საბ. № 262.

⁴¹ დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, გვ. 159—160, საბ. № 135.

⁴² სსცია, ფ. 1450, დავთ. № 30, საბ. № 230.

⁴³ იქვე.

⁴⁴ ჯ. სონდულაშვილი, მებოსტნეობა თბილისის სანახებში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), თბ., 1959, გვ. 89.

⁴⁵ იქვე, გვ. 89.

⁴⁶ ქრონიკები და მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შუკრული ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ყორდანის მიერ, წიგნი მეორე, ტფილისი, 1897, გვ. 288.

ნახსენებია საადგილმამულო მფლობელობის სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების შორის, კერძოდ ისეთებთან ერთად, როგორცაა წყალი, რუ, საწისქვილო და წისქვილი, ჭალა, სანადირო: ზოგან საწყლისპირის გვერდით სათევზაო ადგილებია ნახსენები⁴⁷ ასე მაგალითად, 1729 წლის საბუთის მიხედვით: „მოგვიდე თაფანს ერთი მთელი საკომლო ტაველასშვილის მამული, ... საწყლისპირითი, საფიჩხულითა, საოჩხითა, საკუდ-მოძრითა, საოსართითა, საორაგულთითა, მისის სამართლიანის საქმიითა და სამძღრითა“⁴⁸

ამ მხრივ საინტერესოა დომენტი კათალიკოზის მიერ ხუდადა ხოჯაშვილისადმი წყალობის განახლების საბუთი, რომელიც თარიღდება 1660 წლით. საბუთში ჩამოთვლილ ნივთებს შორის საყურადღებოა, რომ ნაწყალობეებია „მტკვარზე — წყალთა შუათა საწყლისპირთ სანავთ“⁴⁹

„დ. ფურცელაძის აზრით საწყლისპირის უფლება სანივთო ხასიათისაა — მოსდევს მამულს, ე. ი. ყოველ შემდგომ მესაკუთრე—მფლობელზე გადადის“

პროფ. გ. ნადარეიშვილის აზრით, „სანაპირო იგივე საწყლისპირო უნდა იყოს, ხოლო სანაპირო იყიდებოდა“ — ო.

მაშასადამე, როგორც საწყლისპირო, ასევე სანაპირო შეძენა—გასხვისების ობიექტს წარმოადგენდა.

ვახტანგ ხუციანთაძის ტყვეს სახელმწიფო საკუთრებად აცხადებდა. ნათქვამს კი იმით ამართლებდა, რომ, თუ ტყვე ფეოდალების ხელში იქნებოდა, მაშინ მწარმოებელი მოსახლეობის მდგომარეობა გაუარესდებოდა და ხელმწიფეს „ლაშქარ-ნადირობა“ მოაკლდებოდა. „მთა და შეშა ამისათვის არ დაეჭირვის, — თუ ბარის კაცი სახლს არ ააშენებს და შეუთ არ დარჩებას, ქვეყანაზე შენობა მოაკლდების და ხელმწიფეს ლაშქარ-ნადირობა დააკლდების. მაგრამე, იქნებისცა, მათის პატრონს ერთი სანადირო ალაკი ყორულად ქონდეს და იქ არ მოატყვევინოს“ (მუხ. 172).

სხენებული სამართლის 172-ე მუხლის შენიშვნაში დიმატრი ბაქრაძე ამბობს: „კავკასიის მცხოვრებლებიდან ტყე მთიანი საძოვრებით კერძო საკუთრების ობიექტად მხოლოდ საქართველოში გვხვდებოდა, სხვა მხარეებში კი სხენებული ობიექტები მთელი საზოგადოების განუხსებებელ საკუთრებად შეადგენდა. IX—XVIII საუკუნის აქტებიდან ჩანს, რომ საქართველოში საერთო ტყით უფასოდ სარგებლობა (სათბობად თუ მშენებლობისათვის) ყველას შეეძლო, მაგრამ მათ სხენებული ტყიდან ხის მასალას ან შეშის გასაყიდად გამოტანა ეკრძალებოდათ“⁵²

მოვიტანოთ კერძოსამართლებრივი ხასიათის რამდენიმე დოკუმენტი. „მოგვიდე წინა ყანას გზებს შუა ველამდე ტყე, მისი გზით, შესავლით და გასავლით“. „მოგვიდე თუ ჩვენადმი კუთვნილი ტყე“. „მოგვიდე თუ შენი მიწის პირში ნაკალოებს უკან ტყე, მოგვიცემია ოთარაშვილის გზამდინ ელოშვილის მიწის პირამდი.“

მაშასადამე, პირველადი დოკუმენტებიდან ტყის გასხვისება დასტურდება.

დავით ბატონიშვილის სამართლით „ქალაქისა და მოქალაქეთათვის უწყიან ყოველთა რომელ მოქალაქეთა აქვს ნება ყოვლისავე ვაჭრობისა აგრეთვე აქუს ნება ქონებად სახლისა, ... მინდვისა და ტყეთა (მუხ. C 26).. სხენებული ნორმით მოქალაქებს უფლება ჰქონდათ ტყე და მინდორი საკუთრებაში ჰქონდათ. მაშასადამე, მათ სხენებული ობიექტების შეძენა-გასხვისებაც შეეძლოთ

ზოგიერთი საბუთის მიხედვით შემქმნი ტყეს იმ მიზნით ყიდულობდა, რომ იგი გაეჩენა და სასოფლო-სამეურნეო კულტურები გაეშენებინა.

ტერ-არუთინას 1793 წლის არზაში კვითხულობთ: „... მე (ტერ-არუთინამ—კ. ბ.) ერთი ტყე ვიყიდე და ვაგტეხე, ვენახთა და ბახჩათ ავაშენე. ჩემს უწინ სამეზობო სხუას და სხუას კაცს ვყიდნა ეს ტყე და ვერ ვაგტეხათ. მერე მესამის მონასყიდინა მე. ვიყიდე და სიმწუხრით ვაგტეხე და თქვენის ბედნიერებით ბახჩა და ვენახი ავაშენე“⁵⁵ საბუთიდან ჩანს, რომ როგორც ტერ-არუთინას, ასევე წინა მყიდველებსაც, ტყე იმ მიზნით შეუძენიათ, რომ იგი ვაგტეხათ და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის გამოეყენებინათ.

47 გ. ნადარეიშვილი, სანივთო სამართლის ობიექტების შესახებ, ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, I, თბ., 1973, გვ. 153.

48 საქართველოს სიძველენი, ტ. II, გვ. 252—253, საბ. № 305.

49 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI—XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და სიძველენი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, 1970, გვ. 527—532, საბ. № 123.

50 გ. ნადარეიშვილი, სანივთო სამართლის ობიექტების შესახებ, გვ. 153.

51 იქვე, გვ. 155.

52 Сборник законов грузинского царя Вахтанга VI, изд. А. С. Френкеля, под ред. Д. З. Бакрадзе, Тифлис, 1887, გვ. 51.

53 სსცია, ფ. 1448, საბ. № 5296.

54 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Qd, საბ. № 1548.

55 იქვე, ფ. Sd, საბ. № 1784.

56 სსცია, ფ. 1448, საბ. № 1407.



ზემოთ წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ ტყე ნასყიდობის საგანი ყოფილა.

ვახტანგის სამართალში წყალთან და შეშასთან ერთად ბალახიც სახელმწიფო საკუთრებადაა გამოცხადებული. ამის აუცილებლობას კანონმდებელი 171-ე მუხლში ასე ასაბუთებს: „... ბალახი, მთასა თუ ზარს, კაცს კაცისგან ამიტომ არ დეჭირვის, რომ კელმწიფოვს ცხურის საბალახე ეძლევის და ძროხის ნახირის თავი, და თუ ერთი მეორეს ბალახს დაუჭერს, ესეები კელმწიფოვს დააკლდების“, მაშასადამე, თუ მთასა და ბარში ბალახი და საძოვარი სახელმწიფო საკუთრება არ იქნებოდა, მაშინ ხელმწიფოვს საგადასახადო შემოსავალი (საბალახე და ძროხის ნახირის თავი) დააკლდებოდა.

საბალახე სახელმწიფო გადასახადია ცხვრით, რომელსაც საქონლის პატრონი უხდის მეფეს.⁵⁷

ნახირისთავი იყო გადასახდელი მსხვილფეხა საქონელზე. ⁵⁸

საფიქრებელია, რომ საბალახე და ნახირისთავი საკმაოდ შემოსავლიანი გადასახადი ყოფილა, რაც ალბათ სათიბი და საძოვარი მიწა-ადგილების სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადებას განაპირობებდა. მაგრამ მიუხედავად აღნიშნულისა, სხენებული ობიექტების გასხივისებას პრაქტიკაში ადგილი ჰქონია, რაც ქვემოთ მოტანილი საბუთებითაც დასტურდება.

„... მოვყიდე ჩვენი ალალი საკუთარი სათიბი მთა...“⁵⁹, „... მოვყიდე სათიბე ჩემი საკუთარი ღორეს ბეგი...“⁶⁰, „... მოვყიდეთ ჩემი ალალი მამა-პაპისეული კუთვნილი მთასა და ბარის ჩემი ხეარის ჩოხლის სეული სამოვარი...“⁶¹

მაშასადამე, ჩვენ ზემოთ მოტანილი გვექონდა ვახტანგის დებულებები (მუხლი 169), რომლებიც თითქოს წინააღმდეგობაში იყვნენ კერძო სამართლებრივ დოკუმენტებთან. მაგრამ, საფიქრებელია, რომ სჯულმდებელი სხენებულ სამართლის ნორმაში სახელმწიფო (სახასო) ქონებას გულისხმობდა და არა იმას, თათქოს იგი (კანონმდებელი) კერძო მფლობელებს მათ საკუთრებაში მყოფი ჩვენთვის საინტერესო ობიექტების (წყლის, ტყის თუ საძოვარი მიწა-ადგილების) განკარგვა-გასხივისებას უკრძალავდა.

ამრიგად, თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ ფიქტულურ საქართველოში ნივთები შეიძლება ყოფილიყო:

ა) საჯარო დანიშნულების ობიექტები, რომლებიც სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდნენ და ბ) კერძო საკუთრების საგნები, რომლებიც პრაქტიკაში გარიგების ობიექტებად გვევლებოდნენ.

პრაქტიკაში ნასყიდობის ობიექტად უსხვეულო ნივთებიც გვევლება. ასე მაგალითად, მოთხოვნის უფლება, იდეალური წილის უფლება, სახელო ანუ იანამდებობა და სხვა. შეეჩერდეთ თითოეულზე ცალ-ცალკე.

1779 წლის სასამართლო განჩინებაში⁶² ნათქვამია, რომ მიქელ მღვდელმა ერთხელ გასახიფებული თამასუქი, სასამართლო განაჩენი და ოქმი ხელმეორედ გაყიდა, რისთვისაც პირველი მონასყიდის მემკვიდრემ მანუჩარ ლაშქარნივისმა მას, როგორც საღმთო კაცს, დიკასტერიაში უჩივლა. მანუჩარ ლაშქარნივისმა დიკასტერიაში განაცხადა, რომ „მამას ჩემს ამ მიქელ მღვდელისაგან ასლანიშვილის პაპას თამასუქი და სასამართლოდამ მოცემული განაჩენი და ოქმი ეყიდაო, და მიქელ მღვდელისათვის თავისის ხელით წერილით ნასყიდობის წიგნიც გამოერთმია... და რომელიც თამასუქი, განაჩენი და ოქმი მამაჩემს მიჰყიდაო, დღესაც მე მაქვსო თავისი მოცემულის ნასყიდობის წიგნითაო“. როგორც ვნახეთ, მიქელ მღვდელს თამასუქი, სასამართლო განაჩენი და ოქმი გაუსხივებია, ნასყიდობის წიგნი თვითონვე დაუწერია და მყიდველისათვის მიუცია. შემდეგ ვკითხულობთ: „ჩვენ ამათის საჩივრისა ასე გავგოსამართლებია რომ: რადგანაც პირველად მიქელ მღვდელს გორჯასპის მდივნისათვის მიუყიდნია და რაც ოქმი და საქმის აღმოჩინება ჰქონია, თავისის ხელწერილის ნასყიდობის წიგნით გორჯასპის მდივნისათვის მიუცია, სამართლით პირველი მონასყიდე გორჯასპის მდივანია და ამისა ნასყიდობა არ მოეშლება“.

სასამართლო განჩინებიდან ჩანს, რომ აქ სადაო გამხდარა არა ის, რომ შეიძლებოდა თუ არა სხენებული ობიექტების (თამასუქის, სასამართლო განაჩენისა და ოქმის) გასხივისება, არამედ პირველი და მეორე მონასყიდეობის საკითხი.

აღნიშნული საკითხი მომავალშიც გამხდარა დავის საგანი და სასამართლოს გაურჩევია. სასამართლო განჩინების დასკვნით ნაწილში ნათქვამია: „ჩვენ მსაჯულთ ამათი ლაპარაკი მოვისმინეთ, რაც

⁵⁷ ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფო და სამართლის ისტორიიდან, თბ., 1963, გვ. 177; ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბ., 1970, გვ. 815.

⁵⁸ ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფო და სამართლის ისტორიიდან, გვ. 177; ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის გამოცემა, გვ. 819.

⁵⁹ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Qd, საბ. № 1700.

⁶⁰ იქვე, ფ. Qd, საბ. № 1713.

⁶¹ იქვე, ფ. Qd, საბ. № 1716.

⁶² სსცია, ფ. 1448, საბ. № 3120.

ძველი და ახალი წიგნები ჰქონდათ, ყველა გავსინ-
ჯეთ და ეს სამართალი მივეცი: ამ წიგნების ძალით
პირველი მონასყიდე მიქელის განაჩენისა და თამა-
სუქისა სულხან მდივანი და მანუჩარი არის და პი-
რველი მოგირავენ ესენი არიან იმ სახლებისა და
იმ სახლმა პირველად ამათ უნდა გასცეს პასუხი,
როგორც თამასუქში უწერიათ სარგებლით, როგორც
მოქალაქეთ განწესება არის“.⁶³

მაშასადამე, როგორც მოტანილი განჩინებიდან
დავინახეთ, სასულიერო და საერო სასამართლოები
თამასუქის, სასამართლო განჩინებისა და ოქმის გა-
სხვისებას კანონიერად თვლიდნენ.

ამრიგად, ყოველივე შემოთქმულის შემდეგ შეი-
ძლება დავასკვნათ, რომ მოთხოვნის უფლება, მაგა-
ლითად, თამასუქი, სასამართლო განაჩენი, ოქმი
და სხვა ნასყიდობის საგანს წარმოადგენდა.

ნასყიდობის ობიექტები შეიძლება ყოფილიყ-
ვნენ, როგორც მთელი ნივთები მისი შემადგენლო-
ბით, რომლებზეც შემთ გვექნა ლაპარაკი, ასე
ვე იურიდიულად გასაყოფი ნივთების რეალური ნა-
წილები, ე. ი. ფიზიკურად არსებული ნაწილები.
იურიდიულად გასაყოფია ის ნივთები, რომლებიც
ნაწილებად დაყოფით არ კარგავენ თავიანთ არსს
(დანშნულებას), მაგრამ მათი ღირებულება თანა-
ზომიერად მცირდება. ასე მაგალითად: მიწა, პი-
რუტყვის ჯოგი და სხვა. ასევე ნივთის წინასწარ
განსაზღვრული იდეალური ნაწილები, როდესაც ნი-
ვთი რამდენიმე პირის საერთო საკუთრებაში იმყო-
ვება, ე. ი. ნაწილებად იყოფა არა თვით ნივთი,
არამედ საკუთრების უფლება ნივთზე, უფლება მის
რომელსამე ვერ გამოუყოფელ ნაწილზე.

როგორც ცნობილია, საერთო საკუთრების დროს
თითოეულ თანამესაკუთრეს უფლება აქვს განკარგოს
საკუთრების თავისი წილი.

1711—1716 წწ. ნასყიდობის წიგნში ვკითხუ-
ლობთ: „... ესე ნასყიდობის წიგნი მოგვცით მე,
თარხნისშვილმა ზაალ და შვილმან ჩემმან დავით
და ყოველთავე მომავალთა სახლისა ჩვენისათა შენ,
ქართველთ მეფის კარის დეკანოზს გარსევანის-ძეს
მღვდელს გიორგის, შვილთა შენთა გრიგოლს და
ანდრას, ძმასა შენსა იესეს და შვილთა მისთა ნიკ-

ზს და გარსევანს და ყოველთავე მომავალთა სახლი-
სა თქვენისათა; — ასე და ამა პირსა ზედან: და-
გვეჭირა და მოგვიდეთ... ფულს ჩემი კერძი მეთო-
ხედი, რომელიც ჩემის განაყოფებისაგან მერგების
მთა თუ ტყე, გასატეხი თუ გაუტეხი, მიწა-წყალი
თუ წისქვილი, სათიბი, საძოვარი, საკმარი და უხ-
მარი, მეთოხედი ფულისა თქვენთვის მომიყიდნია
და არავინ იყოს მცლილ თენიერ ღთისა“.⁶⁴

როგორც ვნახეთ, გამსხვისებელმა — თარხნისშვილმა
ზაალმა — სოფელ ფულში საერთო ქონებიდან თავისი
მეთოხედი წილი გაყიდა, რომელიც მომავალში მიე-
ცემოდა, ე. ი. მან საერთო საკუთრებაში არსებულ
ქონებაში თავისი იდეალური წილის უფლება გაასხ-
ვისა.

ზოგიერთი დოკუმენტის მიხედვით იდეალური წი-
ლი იმ უფლებით იყიდებოდა, რაც გამსხვისებელს
საერთო საკუთრებაში ჰქონდა: ასე მაგალითად, იდე-
ალური წილის გასხვისება საუფროსოთი, საუმცროსო-
თი ან საშუალოთი. 1765 წლის ნასყიდობის წიგნ-
ში ნათქვამია: „ნასყიდობის წიგნი და სიგელი და-
გიწერეთ და მოგართვით თქვენ, ჩემს ხელმწიფეს
დედოფალს ბატონის დადიანის ასულს დარეჯანს. მე
დავითისშვილმა ზაალ ჩემმან შვილმან როსტომ და
გიორგიმ ასე რომ ამ ხანად მოვიინდომე ჩემის ნებით
და წადილით მოგვიდეთ ჩემი საპყვიდრო გოგის სო-
ფელი, ჩემი წილი მითა, ბარათა, ველითა, ვენახი-
თა, წყლითა და წისქვილითა და ყოვლის თავს სა-
მართლიანის სამძღვრითა და ჩემის საუფროსოთი,
რომელიც მსაჯულთაგან მომცემია“.⁶⁵

„გაყარამდე ქონება (საერთო-საოჯახო — კ. ბ.)
საერთო საკუთრებას წარმოადგენდა და ძმთაგანს
შეეძლო ამ ქონების მხოლოდ თავისი იდეალური წი-
ლის უფლება გაეყიდა, და არა თვით მამული; უფ-
როსი ძმის ეს იდეალური წილი საუფროსოს უფლებასაც
მოიცავდა“.⁶⁶

ჩვენამდე მოღწეულია სახელოს ანუ თანამდებო-
ბის ნასყიდობის დოკუმენტებიც. 1738 წლის დოკუ-
მენტის მიხედვით „... ნასყიდობის წიგნი მოგვცით
ჩვენ ზუმბულიძემ გლიზბარის შვილმა ქაიხოსრომ,
შვილმა ჩემმა დავით, თქვენ მაღალაძეს სალოხუცის
შვილს დიმიტრის ამა პირსა ზედა, რომე დაგვეჭირა

⁶³ სსცია, ფ. 1448, საბ. № 675.

⁶⁴ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, 1940, გვ. 148, საბ. № 204.

⁶⁵ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Ad, საბ. № 1061.

⁶⁶ დ. ფურცელაძე, ვახტანგ VI კრებულის მოქმედებისა და მერმინდელი კანონმდებლობის
საკითხისათვის, ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, I, თბ., 1973, გვ. 227—228.



და ჩვენის ნებითა და დიდის ხვეწნით ჩვენი სამკვიდრო და ბარათში გამოყოფილი და ყოვლის კაცის უცილებელი და წამოუსარჩლებელი სახელო კარსნის მოურაობა მოგვიდეთ ყოვლის მისის სამოურაოს გამოსაღებთა და წესითა, რაც სამოურაო ხვნა, მკა, ლეწვა, ტკბილი თუ რაც ფერი გაყრისა და შეყრისა თავის გასატეხისა, საქეროსი და ყოვლის სამოურაოს წესისა და რიგისა, რაც სამცხეთოში, მოურავის წესია, სულ მთლად მოგვიყიდა.⁶⁷

მაშასადამე, საბუთიდან ჩანს, რომ გამყიდველს თავისი სახელო კარსნის მოურაობა სამოურაოს გა-

მოსაღებთა და წესით გაუსხვისებია. მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული სახელოს ნასყიდობის დოკუმენტებიდან არ ჩანს, თუ რა დამოკიდებულება არსებობდა გამსხვისებელ-შემძენსა და ხელისუფლების იმ წარმომადგენელს შორის, რომლის მიერაც ეს სახელო იყო ნაბოძები, უფრო ზედმიწევნით რომ ვთქვათ კჳონდა თუ არა გამსხვისებელს სახელოს გაყიდვის ნებართვა?

პრაქტიკაში მოურაობის გარდა სხვა სახელოს, სახელდობრ, ნაცვლობის გასხვისებაც გვხვდება: „მოგვიდე ჩემის სახლის კაცებიდამ ბარათში გამოყოფილი ჩემი სახელო, წერივანის ნაცვლობა“.⁶⁸

⁶⁷ დ. უჩანეიშვილი, დოკუმენტები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, თბ., 1967, გვ. 44—47, საბ. № 32; იხ. ავრეთვე, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Ad, საბ. №№ 1729, 1740.

⁶⁸ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Ad, საბ. № 826.



ლუარსაბ ანდრონიკაშვილი

1933 წელი იყო... ერთი მეგობარი შე- მომხვდა გზაზე და მკითხა სად სწავლობო. ვუთხარი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იური- დიულ ფაკულტეტზე ვსწავლობ მეთქი. მერე მკითხა, პროფესორი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი თუ ვიკითხავთ ლექციებსო და, კი მეთქი, რომ ვუბასუხე, მითხრა: ბედნიერი ხარო. თან გამაფრთხილა: არც- ერთი სიტყვა არ გამოგრჩეთ, ეცადეთ ყველაფერი ჩა- იწეროთ და თუ რამე გამოგრჩათ, მას თვითონ ჰკითხეთ, შეგაფესბინებთ, არ დაინარებბო! იგი უშრეტე ენერჯისა და ერუდიციის ადამიანია, ამავე დროს დაუსწარმებელი.

სამწუხაროდ, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი ვერ შე- ვაფასეთ, ვერ შევაფასეთ მისი ფენომენალური ნიჭი და ერუდიცია. მეტი შეგვეძლო და უნდა მიგვედო მისგან. ათასჯერ მიფიქრია ამაზე შემდეგში, მაგრამ უკვე გვიან იყო.

ლ. ანდრონიკაშვილი ხელმძღვანელობდა მაღალი ტიპის სემინარს სისხლის სამართალში. ლექციასე იგი ადრე მოდიოდა სოლმე. სტუდენტებიც დროზე ვიკავებდით ადგილებს, ხშირად ერთ ადგილზე ორნი ვისხედით. დარბაზი უცხო ახალგაზრდებით იყო სავ- სე. ერთხანს გაკვირვება გამოთქვით: „ვინ უნდა იყვნენ ეს დაუპატიებელი სტუმრები?!“ მაგრამ მა- ლე გამოირკვა, რომ ისინი სხვა ფაკულტეტების სტუ- დენტები იყვნენ და სურდათ მოესმინათ ანდრონიკაშ- ვილის ლექციები. წარმოიდგინეთ, მათაც, ისევე, რო- გორც ჩვენ, გადაწყვილი ჰქონდათ ლექციების ცბრი- ლი.

მასსოვს, ერთერთი დამსწრე, სხვა ფაკულტეტის სტუდენტი, გამოიძახა ლუარსაბმა, ეგონა თავისი სტუდენტი იყო, რაღაც უნდა ეკითხა. სტუდენტი ხან- ტად დარჩა, უნერხულად შეიმშუშა. ლუარსაბი ვერ გაერკვა ვითარებაში, მაშინ ნატო აბაშიძე (პოეტ- აკადემიკოსის ირაკლი აბაშიძის და), იგი ახლო იყო ლუარსაბთან და უთხრა: „ბატონო ლუარსაბ, ეს ამ- ხანაზე სტუმარია, სხვა ფაკულტეტზე სწავლობს, თქვენი ლექციით გატაცებულია და გვესწრებაო“.

ლუარსაბმა წვერზე ხელი მოისვა, თვალი ოდნავ მოჭუტა, სახეზე თითქოს სიამის ღიმილა გადაუარა, უცნობ სტუდენტთან ახლოს მივიდა, მხარზე ხელი წაუთათუნა და უთხრა:

— „შვილი! დაბრძანდით შვილი! სტუმარი ღვთისაა!..“

და ამის შემდეგ განაგრძო ლექცია.

„შვილი“ — „დაბრძანდით შვილი!“ — ასე უთხ- რა ლუარსაბმა იმ სტუდენტს. სომ უნდა ეთქვა: „შვილი, დაბრძანდით. შვილი“. მაგრამ, თავდაპირვე-

ლად, საქართველოში რომ დაბრუნდა, ლუარსაბმა ქართული ენა კარგად არ იცოდა. ეს ბუნებრივიც არის: მან ყმაწვილობის პერიოდი უცხოეთში გაა- ტარა, ჯერ გერმანიაში — ჰაიდელბერგში, შემდეგ პეტროგრადში. საქართველოს ძალიან გვიან დაუბ- რუნდა. და მაინც შემდგომ პერიოდში საუკეთესოდ დაუეფლა ქართულ ენას, აღსანიშნავია, რომ ლუარსაბი მკაცრად ჰკიცხავდა სტუდენტს. ვერ ურიდებოდა, თუ სტუდენტი გაუმართავი ქართულით მეტყველებდა, არ მოსწონდა, თუ თავისი აღსაზრდელის მეტყველე- ბაში ბარბაროზს შეამჩნევდა. ერთხელ სტუდენტ შ. გ-ს მისცა კაუსუსი გასარჩევად. შ. გ-მ მსჯელობაში „აკარაზ“ გაურია. ლუარსაბი გაცეცხლდა და სტუ- დენტს მიმართა:

— შვილი! მე ქართული თქვენგან ვისწავლე. გ- რა მესმის, როგორ შეიძლება ქართველმა სტუდენტმა ნახევრად რუსული სიტყვებით ილაპარაკოს? ეს რა ქართულია?!“ ამის შემდეგ ყველანი ფვრთხილობ- დით.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ტალანტის, ერუდიცია- ტემპერამენტის აღწერა-გადმოცემა ადვილი როდია. ამ საკითხის სპეციალური შესწავლა და გამოკვლევა უნდა მიქდვანს, როგორც ფენომენურ იმეათობას. ჩვენ აქ გვსურს მკითხველს ზოგი რამ მივაწოდოთ სა- მახსოვრო მოგონების სახით.

საოცარი და ამბავგებელი იყო ლუარსაბის სიტყ- ვა, წარმოთქმული მარჯანიშვილის სახელობის თეატ- რის დარბაზში, მარჯანიშვილის გარდაცვალების წლისთავზე.

საღამოს ესწრებოდნენ ხელოვნების დარგის ცნო- ბილი მოღვაწეები: მეცნიერები, საზოგადო მოღვა- წენი. ზუსტად ვერ ვიგონებ, თუ ვინ წარსდგა მოხ- სენებით, მგონი კ. კაპანელი იყო. მოხსენების შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ: შ. ნუცუბიძე, ვ. ქურული, ი. გრიშაშვილი (გრიშაშვილია და ქურულია ლექსები წაიკითხეს). სიტყვა ლუარსაბ ანდრონიკაშვილია წარ- მოთქვა. იგი ნელი ნაბიჯით მივიდა კათედრასთან, მარჯვენა ხელი წვერზე მოისვა, თვალი ოდნავ მო- ჰჭუტა, თითქოს დაევიწყდა სიტყვა საიდან დაეწყო, პაუზა გააკეთა. დარბაზს სამარისებური სიჩუმე და- ეუფლა. პრეზიდუმის შემადგენლობა ლუარსაბს მის- ჩერებოდა. შალვა ნუცუბიძეს ვიღაცამ თითქოს რა- ლაც წასჩურჩულა, მაგრამ ამ უკანასკნელს ვითომ არც კი გაუგონია... და გახსნა ბავე ანდრონიკაშვილ- მა... მან მოთბოდიშა, პროფესიით იურისტი ვარ და იქნებ შევეცოდო რაიმეში, მით უმეტეს, საკითხი დიდ პიროვნებასა და ხელოვანს — კოტე მარჯანიშვილს ეხებაო. მარჯანიშვილზე რომ ილაპარაკო, როგორც

სელოვანზე — თქვა ლუარსაბმა — არ კმარა მისი სასცენო პრაქტიკის მიმოხილვა, აუცილებელია უზადლო ხელოვნის სულში ჩახედვა. და ეს სული მისი იმდენად ფართოა და ღრმაა, რომ მასში ჩაწვდომა ანდრონიკაშვილმა (საკუთარ გვარს თვითვე გაუსვა ხაზი) იქნებ ვერც შესძლოს, ამიტომაც იგი აუდიტორიის წინაშე ერთი ნაბიჯით უკან იხევა, რაც უნდა ეპატიოს...

ეს სიტყვები ისეთი ჟესტიკულაციით და პათოსით წარმოთქვა, დარბაზს ორკეცად დაეუფლა სიჩუმე.

სიტყვა საბერძნეთის ისტორიით დაიწყო. შეეხო ელინურ კულტურას, თეატრალური კულტურის ძეგლებს, მათი წარმოშობისა და განვითარების ზოგად საფუძვლებს. ამ მიმოხილვას დაასლოებით რეგლამენტი ნახევარი საათი მოახმარა. არცერთი წინასწარი ჩანაწერი, არცერთი წინასწარი აღნიშვნა. იგი იდგა და ლაპარაკობდა, ტრიალებდა ციბრუტივით და ლაპარაკობდა... ხანდახან, ექსტაზში რომ შეიჭრებოდა, გაგონებოდათ ეს-ეს არის კათედრაზე აფრინდებოთ... და მოაჯადოვა ხალხი, დაატყვევა აუდიტორია...

ძნელია მაშინდელი ჩემი შთაბეჭდილების გადმოცემა. უფრო სამწუხარო ის არის, რომ მე მაშინ, მეორე კურსის სტუდენტი, იმ დღეზე არ ვიყავი, რომ ხელი ჩამეჭიდა და შემომეხაზა მეცხსიერებაში იმ მარგალიტთა მეათასედი მაინც, რაც ასე უზვად გამოაფრქვია ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა.

მასხოს, რომ სიტყვა მან ასე დაამთავრა:

„როგორც მოგასხენეთ, მე იურისტის ვარ, მტკიცების საბუთების მოყვარული. რაც ზემოთ მოგასხენეთ, ყოველივე ამას საბუთი სჭირდება.“

აი, ესეც... და დაიწყო ჩამოთვლა: საბუთი პირველი... საბუთი მეორე, საბუთი მესამე, საბუთი მეოთხე და ასე შემდეგ. თანმიმდევრულად მიმოიხილა ხელოვნებისა და, კერძოდ, თეატრალური ხელოვნების უდიდესი ძეგლები, ამ ძეგლების შემქმნელები, თან პარალელს ავლებდა კოტე მარჯანიშვილთან.

ვინც ასე არ მიუღებდა კ. მარჯანიშვილს, მის დიდ სულსა და ბუნებას, რომლის განსახიერებას იგი თეატრალურ სასცენო ხელოვნებით აღწევდა, უძველესად მსუბუქ სარკელამო შეფასებამდე დაემყვება და მარჯანიშვილი კი შეუეწობი და შეუსწავლელი დარჩებო — თქვა ლუარსაბმა.

ამ სიტყვის წარმოთქმიდან დაახლოებით ერთი წელი გავიდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში სამეცნიერო სესია მიმდინარეობდა. მას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამორჩენილი მეცნიერები ესწრებოდნენ, მათ შორის — პროფ. შალვა ნუცუბიძე. იგი ტრბიუნდიდან სიტყვას ამბობდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბატონი შალვას გამოსვლა და სიტყვა ყველას იზიდავდა. სტუდენტები გატაცებით ვუსმენდით მას.

შ. ნუცუბიძემ აქ, სიტყვა-სიტყვით განაცხადა: „კარგს იხამდა უნივერსიტეტის გამომცემლობა, მოიკითხავდეს ლუარსაბ ანდრონიკაშვილის სიტყვის

სტენოგრაფიულ ჩანაწერს, წარმოთქმულ შარჯანიშვილის გარდაცვალების წლის თავზე და მიაწვდიდეს ქართულ სტუდენტებს.“

შ. ნუცუბიძის ამ შეფასებით ერთხელ კიდევ მივხვდი, რომ ჩემთვის ცნობიერებასა და სმენას არ უღალატნია, რომ ლუარსაბის აღნიშნული სიტყვა მართლაც უდიდესი განძი და მარგალიტი გახლდათ და კარგი იქნებოდა იგი ლუარსაბის სიცოცხლეში მოუკითხა ექიმებს (ან თუნდაც მის შემდეგ) და შემოენახათ მომავალი თაობისათვის, როგორც ნიმუში ორატორული ხელოვნებისა და საბუთი იმისა, რომ დიდი იურისტი შეიძლება გამორჩენილი ხელოვნებით მცოდნეც იყოს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლუარსაბი ხელმძღვანელობდა მაღალი ტიპის სემინარს სისხლის სამართალში. სულ რაღაც ორი-სამი ლექცია ჰქონდა წავითხუტა, რომ ახალგაზრდა კაცი შემოიყვანა, ლამაზი და სათნო შესავდარობისა. ლუარსაბმა ჩვეულებრივად მოგვმართა: „შვილი! ეს ახალგაზრდა პროფესორი იონა ბოჭორიშვილი გახლავთ, დაახ, პროფესორი!“

გამიკვირდა! რა საჭირო იყო განმეორება სიტყვისა: „დაახ, პროფესორო“.

თურმე საქმე ის ყოფილა, რომ იონა მაშინ დოცენტი იყო და არა პროფესორი (მას ბედმა არ დააცალა გაფურჩქვნა, ის ჩაიფურფლა...), მაგრამ ლუარსაბი ისე აფასებდა მას და მის ნიჭს, რომ წინასწარ პროფესორს უწოდებდა, დიდ მეცნიერად მიაჩნდა.

— დიას, პროფესორი ი. ბოჭორიშვილი თქვენთან სემინარს ჩაატარებს — მეტი არაფერი უთქვამს. იონა მართლაც სემინარებს გეიტარებდა ორ ჯგუფს ერთად.

ლუარსაბს უყვარდა ახალგაზრდობა, არაფერს არ იშურებდა მისთვის, სწორედ ამიტომ იყო ლუარსაბ ანდრონიკაშვილი დიდი პუბლიცისტი და დიდი მეცნიერი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კათედრის ასპირანტი ბ. მეუნარგია დისკრტიციას ისცავდა სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „დიალექტიკური მატერიალიზმი ჰეგელის ფილოსოფიაში“.

ლ. ანდრონიკაშვილი, როგორც ყველაზე უფრო განსწავლული ჰეგელის ფილოსოფიაში, ოფიციალურ ოპონენტად მიიწვიეს.

ერთხელ პროფესორმა შ. ნუცუბიძემ ოფიციალურად განაცხადა ლექციაზე:

„ჰეგელი ზღვა არ არის, იგი ოკეანეა. ამ ოკეანის კარები პირველმა კ. მარქსმა შეაღო და იგი გახდა მარქსიზმის ერთ-ერთი წყარო.“

თქვენ უნდა იცოდეთ, რომ საბჭოთა კავშირში ჰეგელი ვ. ი. ლენინის შემდეგ ორმა პიროვნებამ გაიგო საფუძვლიანად: დებორინმა და ლ. ანდრონიკაშვილმა.“

დისკრტიციის მიერ დისკრტიციის წარმოდგენის შემდეგ, სიტყვა მიეცა ოფიციალურ ოპონენტს. ლ.

ანდრონიკაშვილს, მაგრამ ვიდრე შეაფასებდა დისერტაციას ლუარსაბმა მიატოვა გრძელი მავიდა, სადაც იმონენტი და სხვა ოფიციალური პირები ისხდნენ და დისერტანტს გვერდში ამოუდგა, აღმაცერად შეხედა. და ეს მაშინ, როცა დისერტანტი ბ. მეუნარგია ვერ დებულვებას წამოაყენებდა, ხოლო შემდეგ ამ დებულების დასამტკიცებლად ციტირებას ასდენდა. ლეკელის თხზულებებიდან, ორიგინალიდან ე. ი. გერმანული ტექსტიდან ზოგჯერ ზეპირად, ზოგჯერ კი წაითხვით.

ლუარსაბი სიხარულით ცას ეწია, დისერტანტს მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

— შეილა! კიდევ წამოიკითხეთ ეს ადგილი. და ხელით ანიშნა. მეუნარგია მწაუკითხა.

— ერთხელ კიდევ...

და ასე სამჯერ გაამეორებინა. შემდეგ რამდენიმე კითხვა დაუქვა: „ეს როგორ გავიგოთ, რას ნიშნავსო“. და როცა პასუხი მიიღო, გახარებულმა ჰაეროვანი კოცნა შესთავაზა.

— მეცნიერი ხართ, მეცნიერი!..

როცა ლუარსაბმა თავისი რეცენზიის წარმოთქმა დამთავრა, საბჭოს წევრებს ასე მიმართა: მე დავამთავრე ჩემი, სათქმელი ვთქვი, დასამატებელი არაფერი მაქვს, გარდა ერთისა: „ბრწყინვალა“. და დაჯდა.

ლ. ანდრონიკაშვილი მარტოდენ აღმზრდელი და უბრალო მასწავლებელი როდი იყო ახალგაზრდობისა, იგი ამავე დროს საუკეთესო დამრიგებლის და მთავროვნების განსახიერება იყო. ახალგაზრდობის წინაშე თავის მოვალეობას საღვთო ციკლის კითხვით როდი საზღვრავდა. არამედ იმაზეც ფიქრობდა, რომ მისი აღზრდილები საზოგადოებისათვის გამოსაღვი და ღირსეული ადამიანები ყოფილიყვნენ, რაც მისი შემდეგი დარიგებიდან ჩანს.

როცა მან უკანასკნელი ლექციით პროგრამული მასალა ამოწურა, შემდეგი სატყვიით მოგვმართა:

— ერთ რამეს გთხოვთ და გაბარებთ: თქვენ ეს-ეს არის უნდა გახვიდეთ ცხოვრებაში, ზოგი პროკურორა იქნებით, ზოგს სახალხო მოსამართლეობა მოგიწევთ, ზოგს კი ადვოკატობა... პირველი, რაც ყველას გჭირდებათ, ის არის, რომ ყველაზე უფრო მეტად

ნივთებს უნდა ენდოთ და დაუჯეროთ, ყველაფერზე უფრო სარწმუნო ჭეშმარიტების დასადგენად ნივთიერი გარემოება საქმისათვის, ნივთები არ მოგატყუებენ. მეორე: ვისაც მოსამართლეობა მოგიწევთ, როცა საქმის განხილვას და ადამიანის ბედის გადაწყვეტას დაიწყებთ, ეცადეთ მხარეებმა და დარბაზმა არ შეგატყონ, რას ფიქრობთ საქმეზე კონკრეტულად. როცა სათათბიროდ შებრძანდებით, სამართალში მიცემული, მხარეები და აუდიტორია გულისფანცქალით უნდა მოელოდნენ სასამართლოსაგან, თუ როგორ გადაწყვეტს საქმის ბედს. გულში ნადები წინასწარ არ შეგნიშნონ, არ შეგამჩნიონ. მესამე: თქვენს შორის ისეთებიც იქნება, რომლებიც თავისუფალი პროფესიის გზას აირჩევენ, აირჩევენ გზას იურისტ-პროფესიონალისას. ეს გზა და არჩევანი (მათ საყურადღებოდ ვამბობ) იოლი როდია. არც მარტოდენ სურვილია გადაწყვეტი, არც ცოდნა კანონებისა, არც იურიდიული მეცნიერების თეორიული და, თუ გნებავთ, პრაქტიკული კურსის გავლა და ათვისება. აქ კიდევ „რალაც ერთია“ საჭირო. და ეს „რალაც ერთია“ აუცილებელი ელემენტია იურისტ პროფესიონალისათვის. ესაა ორატორული ხელოვნების ნიჭი და უნარი. ამ უნარს ბუნება ერთეულებს ანიჭებს და არა ყველას.

ამ მოგონებით, ნაწილობრივ მოვიხადე ვალი, რაც მიმიღია ლუარსაბ ანდრონიკაშვილისაგან, ამ მარად დაუვიწყარი ადამიანისაგან.

ცნობილია, რომ ლუარსაბს არ დაუტოვებია მომავალ თაობისათვის მეცნიერული შრომები, რაც, რა თქმა უნდა, სამწუხაროა და დასანანი. მაგრამ ვფიქრობთ, არ იქნება უადგილო იმ თაობათა წარმომადგენლებმა, რომელთაც ბედნიერება ჰქონდათ ჩემთან ერთად მოესმინათ ლ. ანდრონიკაშვილის ლექციები, მოგონებებით (მიახლოებით მაინც) აღადგინონ ანდრონიკაშვილის პიროვნება.

აგურ-აგურ პირამიდებს აგებდნენ ძველ რომსა და ეგვიპტეში გამოჩენილ ადამიანთა უკვდავსყოფად.

ამის მსგავსი რამ ლუარსაბის მიმართაც რომ გაკეთდეს, ვფიქრობთ, ეს დიდი ეროვნული საქმე იქნება.

ი.რ. ხარჩილაშვილი.
ადვოკატი.

სამართალი და სასამართლო ეპოქა-ფშაველას მხატვრულ ნაწარმოებებში

სამართლის და სასამართლოს საკითხებს დიდი ადგილი აქვს დათმობილი ეპოქა-ფშაველას მხატვრულ ნაწარმოებებში.

მოთხრობა „უძმოს ძმაში“, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ფშაველი გლეხი ჩალხოს შეჯახების უმნიშვნელო ეპიზოდში, განუყოფელია ხალხისადმი, ადგილობრივი ხელისუფლების უხამსი დამოკიდებულება, მათი წარმომადგენლების თვითნებობა, უსამართლობა, რაც განსაკუთრებით საქართველოს მთიანეთში იყო დაშვებული. გულწრფელ და პატიოსან ჩალხოსათვის „სამართალი იყო, დაჩაგრული ვინმე ენახა უსამართლოდ, ძალმეტობით, კაცთმარადობით, რომ თავი გადაეღო სასიკვდილოდ... ეს უძმოს ძმა პირადად თავის შეურაცხყოფელთ... არ ეჩხუბებოდა... სხვის გულისათვის ჩხუბობდა, სხვას ეშველებოდა“. თანასოფლელები, ჩალხოს სხვისადმი გამუდმებულ ქომაგობას მეტიწრობადაც კი უთვლიდნენ, თითონ მას დამცველი არავინ ჰყავდა და ბევრჯერ ჩხუბში მისთვის თავი და გვერდები უმტვრევიათ. სიბერემდე გაჰყვა ჩალხოს ასეთი ხასიათი, არადა არ იქნა მისი შეცვლა და ამიტომ იყო, რომ სამოც წელს მიღწეულიც ფათურაკს გადაეკიდა. „კანცელარიასთან — მოგვითხრობს ავტორი — მთელს საზოგადოებას მოეყარა თავი... ბოქაულიც იქ იყო თავის სტრატეგიებით... ბალკონზე იჯდა, ჩაის მიირთმევდა, ხოლო ხალხი წინ იდგა გროვად. გროვიდან ერთი ჩალხოს კბილა მოხუცებული, ქუდმისდილი შესთხოვდა ბოქაულს: „ღმერთი გადღვრძელებს, გაგვარჩიეთ, დაგვაშორეთ ერთიმეორეს, არ მანებებს, ბატონო, ჩემს მამულს! თოფითა და მახვილით მიღებება წინ... მეც რო თოფი და მახვილი ავიღო ერთმანეთს დავსოცო, თქვენ გავგასამართლოთ“. ბოქაულისათვის ყოველივე ეს მომბეზრებელია, აღიზიანებს კიდევ მოხუცის მიმართვა, ავადებულად ელაპარაკება, ამცირებს მის ღირსებას შეურაცხყოფელი სიტყვებით, და თავი ისე უჭირავს თითქოს მოვალე არ იყოს გაერკვეს ხალხის ჭირვარაში. მოხუცი დაბეჯითებით მოითხოვს სიმართლის დადგენას და ბოქაული მამასახლისს გამოჰძახებს, რომელსაც დავალებული ჰქონია საქმის გარკვევა. მამასახლისის თავის სამართალი აქვს და საქმეს ისე მოახსენებს როგორც ხელს აძლევს. გაბოროტებული მოხუცი პირში ეუბნება მამასახლისს, როგორ მიუტანა ხუმარამ ერბო და თაფლი, როგორ დაუკლა

საკლაგი და როგორ აქეიფა მთელი დღე და ღამე ბოქაული განრისხდა და ბრძანა „სამართლის შეტრცხვინი“ გაემართახებინათ. ყოველივე ეს ხდებოდა ხალხის თანდასწრებით, რომელიც სმის ამოდებას ვერ ბედავს და აღშფოთებას დუმილით გამოსხატავს. მხოლოდ ჩალხომ გაბედა, შეევედრა კანონიერების „ერთგულ მომავებს“ ეპატიებინა მოხუცისათვის კადნიერება, მაგრამ თხოვნამ არ გასტრა. მაშინ ჩალხომ ჩადგება ჩაფარსა და მოხუცს შორის და ცდილობს ააცდინოს მოხუცს მოქნეული მათრახი. ბოქაული მთლად გააცოფა „თავხედობა“ და მათრახი ჩალხოსაც მიაყოლეს. — „დამკარ, მე დამკარ, აქა ვარ კიდევ დამკარ!.. ეს ერთი... ეს ორი... ეს სამი... სთქვა ჩალხომ ჩაფარი მეოთხედაც უპირებდა დარტყმას, რომ ჩალხო ანთო, საკირის ცეცხლი დაეწიოს მის თვალებში და სახეზე. „გიყია ეს მუღრვეგი, რაზედ მაჯდება ამ დროულ კაცს, არა გრცხვენინა?“ — და ჩალხომ ხელი ისევ მაგრად ჰკრა გულში, რომ ჩაფარი იმავე წამს... გაიშლართა ჩალხოს წინ...“

როგორ დამთავრდა ეს ამბავი, ამჯერად საინტერესო არ არის. მთავარი ისაა, რომ ასეთ სურათებს ეპოქა ხშირად ხედავდა და არ შეეძლო თავისი აღშფოთება დაეფარა. სწორედ ამ განწყობილების ამონაკნესი იყო, როდესაც იგი ამბობდა:

გაპკრა ყოველგან გაქარწყულდა
სიმართლის ყველა ნახანი,
გამეფდა მხოლოდ მგლის მაღა,
ძალა, დანა და მათრახი...²

ისევე, როგორც „უძმოს ძმაში“ ხელისუფლების ძალადობაა ნაჩვენები პატარა ამბავში, რომელიც „შთაბეჭდილებანის“ სახელწოდებითაა ცნობილი. მოხუცი პაპა მაზრის უფროსმა დაიბარა იმისთვის რომ გადასახადი არ ჰქონდა დროულად შეტანილი დაუძღურებულ მოხუცს არა თუ გადასახადის დაფარვისა, არამედ თავის რჩენის უნარიც აღარ შეწყვედა.


იგი ცდილობს გააგებინოს მაზრის უფროსს თავისი უბედურება, მაგრამ ამაოდ, მაზრის უფროსის მისთვის არა სცალია. სამაგიეროდ, ჩაფარია მოხუცი. იგი, „უფროსის შეწყუხებისათვის“, მოხუცს ხელსა ჰკრავს და მიწაზე დააგდებს.³

უსამართლობის წინააღმდეგ დაუცხრომელი მტერი

¹ ვ. ფშაველა, ტ. V, გვ. III — 121 „უძმოს-ძმა“. ამბავი ფშაველის ცხოვრებიდან.

² ტ. II, გვ. 89 „აზრი და გონება“.

³ ტ. V, გვ. 23—30, „შთაბეჭდილებანი“.



ძლიერი ვაჟა ქვეყნად გაბატონებულ წესებს ასახიანებებს ლექსში „ქებათა ქება“, სადაც ნათქვამია, რომ ვაგრცელებულ სიბოროტეს საფუძვლად უდევს პოლიტიკური რეჟიმი, რომელიც დამყარებულია უკანონობასა, ძალადობასა და თვითნებობაზე. ლექსში ამავდროს ნათქვამია, რომ ასეთი წესები არ შეიძლება იყოს მართალი, რადგან ცხოვრების წინააღმდეგაა მიმართული და რაც ცხოვრებას, ბუნების კანონებს უწინააღმდეგება, ის საოცებლისუნარიანი არ შეიძლება იყოს. აი ეს ლექსიც:

პოლიციელნი შეყრილან,
სულ სხვა ჰანჯრედა მღერიათ.
თავის ხსნას გაჭირვებისგან
მათრახისაგან ელიან.
პირი აქვთ განმტკიცებული
და ერთმანეთსა შველიან.
ზოგი ჭუძუს სურის დედასა,
არ ჰკრთება არა სცხვენიან.
გივირთ? არ მივირის მე ჩემად
მეტად არ უჭრის ტვინია.
ვერ მოშვებია იმ ქვევას,
რაც ერთხელ დაუშინია?
კუდს იქნევს ლუქმა პურისთვის,
როგორც მსუხაგი ფინია.
ის როდი იცის რეგვენმა,
სიმართლის ბოლო მტკიცია.
ვინ შეცვლის იმას რაიცა
ცხოვრების დანამტკიცია?!⁴

თავისი აზრის და განცდების გამოსახატავად ვაჟა მრავალ მხატვრულ ფორმას იყენებს. მისი კალმის სიძლიერე ისეთ სიმადღერეა ასული, რომ ალგორითული ფორმით გამოთქმული აზრიც კი აშკარად რეალურზე მიუთითებს. მკითხველისათვის ნათელია, თუ რა აქვს ამოღებული ნიშანში მის ავტორს და რომ აქ ალგორითა მხოლოდ გადმოსცემის საშუალებაა. ასეა მოტივილი დიამბეგის არაკი-მოთხრობა „ქუდოვანში“, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ ზღაპრად გადმოცემული ამბავი ავტორს ცხოვრებამ, კონკრეტულმა გარემოებამ უკარნახა. ალგორითია, რომ ფრინველთა სამეფომ შური იძია დიამბეგ სარდიონზე, რომლის გამუდმებული ქეუფი და განცხრომა კატაპატსაც კი შემურდა და ათქმევინა: „ამდენი საჭმელ-სასმელი ნეტავ ჩემს შვილებს ნოუტანაო!“. მაგრამ ნამდვილი იყო ის, რომ სარდიონს სიბოროტე არ შერჩებოდა, საბოლოოდ ყველაფერზე პასუხი უნდა ეგო, მისი და მისი ხელქვეითების კაპარდიანი ქუდები კი ყვაყვორნებისა თუ არწივ-სვავეების საუღეთი ან კლდეზე ჩამოსაკიდი გახდებოდა.

„ქუდოვანში“ თუ არაკადაა გადმოცემული ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლის განუკითხველი ბატონობა, ვერაგობა, ბოროტება და გაუმიადრობა, ვაჟას სხვა მრავალ ნაწარმოებში ამის შესახებ პირდაპირ არის მითითებული. მაგალითად, პოეტი ერთ ლექსში მოხელეს ასე ასახიანებებს:

„ერთსა მოხელეს ვესტუმრე,
მექრთამეს ქვეყნის მცრცველსაო,
მითხრა: „სად მოხვალ, მურდალო,
არა მცალიან დღესაო“.
მე ვუპასუხე: „გაჩუმიდი,
გცხვენოლდეს საწყლის ღლეტაო,
ულუქმაპუროდ გასწირე
ოთხის წვირლ-შვილის დედაო!“
ადგა, წამიგდო წიხლს ქვეშა,
ჩამარტყა ზედი-ზედაო:
„ჩემთან მაგგვარად საუბარს
შე წუწუკო როგორ ჰბედაო?!“...⁵

მართლაც, ერთი მოხელის ამბავია გადმოცემული ამ ლექსში, თუ მოხელეთა შესახებ საერთოდ გავრცელებული აზრი? რასაკვირველია, ამ ლექსში მოხელის საერთო დასახიანებაა გადმოცემული. განა იმაზევე არ მეტყველებს ვაჟას ლექსი „სიმღერა“, სადაც მითითებულია, რომ „ჩვენს მიწას სთელენ პრისტავები და სუდეები, რომლებიც იღებენ პურ-მარისს! მათ შორის ქართველიც ბევრია. მათ ვერი გაყიდული ჰყავთ და მშობლიური მიწისა და მისი შვილების მიმართ დაუნდობელი არიან“.⁶ მოხელები არ ინდობენ არც განადგურებულ ოჯახს, რომლის მამა ქალაქში წავიდა ლუკმის საშოვრად, იქ დაიღუპა და ობლები მშვიერ-მწყურვალნი დარჩნენ.

იმის გარუჭულს კარებსა
ხშირადა ჰხვდება ჯოხია
მამასახლისის, გზირისა,
თან ხმა მოჰყვება ბოხია.
წაიღეს მის საკაული:
ცული ბარი და თოხია
„ნედლინკაში“ გირაოდ, —
„სულ არაოხობს სჯობია!“
გაწყვიტეს ქათმის სინხილა
ზეკუციებმა მგონია
ქოხის წინ მამლის ყვივილი
ალარვის გაუგონია.

* * *

ბეროს კვრავზე გზირი ზის,
ხელთ ეპყრა ბეროს წერილი,

⁴ ტ. II, გვ. 295—297, ლექსი „ქებათა ქება“.
⁵ ლექსი „სკინდისის სიმღერა“, ტ. I, გვ. 21.
⁶ ტ. I, გვ. 91.



უკითხავს მაროს ქმრის წერილს
გზირი ფაშე-გამოხერხილი⁷

ვაჟა, მოხელეთა შინაგანი ბუნების დასასიათების გარდა, ზმირად მათს გარეგნულ ნიშნებსაც იძლევა, რითაც მოქმედი პირის რეალური სახე უფრო დამაჯერებელი ხდება. ზედმეტი ჭამისაგან და მუქთასორთისაგან ადამიანი ჰკარგავს ბუნებრივ შესახედაობას: უჭირს სიარული, სუნთქვა, არც ლაპარაკის თავი აქვს და, თუ სადმე ჩამოჯდა, მოქნარებას ან თვლემას დაიწყებს, შესაძლებელია ხვრინვაც კი ამოუშვას:

მამასახლისიც მოვიდა
ლიპ-გამოსული, ხენეშითა.
ზედ ეტყობოდა — გამძღარა
სადლაც ღვინით და ლეშითა.

ხელისუფლებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის განწყობილებას კარგად გვიჩვენებს ის პასუხები, რომლებიც გადმოგვცა ვაჟამ სოფლის პირით, მოთხრობანარკვევში „სოფლის სურათები“:

— მამ არც „კანცელარია“ და სუღია მამასახლინები გინდა? — ეკითხება ავტორი სოფელს.

— არა, არა, ღმერთმა შვიდობა მისცეთ, ცაში ჰქონდეთ იმათ ბინა, იქ ისამართლონ, — უპასუხებს სოფელი.

—მამ არც ძუგამონასკულ ცხენით, „ვარსკვლავივით“ გამოიწყინებული ჩაფარი გინდა?

— ჰოი, ღმერთმა დასწყევლოს!.. არა, არა შენი ჭირიმიე.

— მამ არც სუღია, არც ნაჩაღნიკი?

— მართალია, ისინი დიდი კაცებია, მაგრამ იმათაც ღმერთმა შვიდობა მისცეთ, უიმითოდც იოლად გამოვალთ.

— შენ სოფელო, როგორც გატყობ, დიამბეგობა მოგწყურებია.

— დიამბეგობა? ოი, ღმერთმა დასწყევლოს, დაამათოს დიამბეგეცა და იმის საფლავ-სამარეცა... არა, შენ გენაცვალე, ნურც ეგრე გაიმეტებთ სოფელსა...⁸

ამ ნაწარმოებში ვაჟა სოფლის ჭირვარამზე მოგვითხრობს. იგი დამოუკიდებელ სოუქმტებს აერთიანებს სოფლის ცალკეულ მცხოვრებთა დასასიათებით და მათი საქმიანი კავშირით, გამართული დილოგებით, თითოეული მათგანის ფიქრების გადმოცემით, რომლებიც ზოგჯერ ბუნებასთანაც კი საუბრობენ და გულის ნადებს ამგვარად გამოხატავენ. დასმულ კითხვებზე ვაჟა თვითონვე იძლევა პასუხებს. ირკვევა,

რომ სოფლის ხელისუფლების და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს სოფლისათვის უბედურება მოაქვთ და თუ ისინი არ იქნებიან, სოფელი უფრო ბედნიერი გახდებოდა, არსებობის საშუალება მიეცემოდა და ჩავგრას ვერაგინ გაუბედავდა. სოფელს ალაშქოთებს, რომ მამასახლისი, რომელიც მათი წრიდან არის გამოსული და იმიტომ აირჩიეს, რომ წესიერ და პატიოსან კაცად სცნობდნენ — ყელზე ჯაჭვის დანიშნულების შემდეგ ყველაზე დიდი სისხლისმწოველი, სოფლის მყვლეფავი და მჩაგვრელი გახდა. ვაჟას ნაწარმოებებში სოფლის მამასახლისების მიმართ სიძულვილის გამოხატვას ზმირად ვხვდებით. გავისხენოთ მისი ლექსი „ვაზებს“, სადაც იგივე განწყობილებაა გამოვლინებული, რაც „სოფლის სურათებში“:

„რას მიმწერ, მამასახლისო,
გული რად გიძგერს დიღია?
მიტომ თუ მედიდურდები,
ყელზე რომ ჯაჭვი გკიდა!
სახლიც რკინითა სავსე მაქვ,
ძალღებიც ჯაჭვით მიბია.
ერთს კიდევ გამოგიგზავნი,
რომელიც უფრო დიღია.
შენ რომ მე კარგად არ მხედავ
მეც ხათრი ფეხზე მკიდა“.⁹

მამასახლისის მექრთამეობაზე და უსამართლობაზე მიუთითებს ვაჟას პატარა მოთხრობა „დარეჯანი“. გადატაცებულ ჯაბანას ოთხი მანეთი ემართა ჩარჩი არუთინასი და ვერ უხდიდა, რადგან არაფერი გააჩნდა. არუთინამ ერთი მანეთი „ამოღო“ მამასახლისს და მისი და გზირის დახმარებით გამორეკა გომურიდან ორი კვებულა, რომლის მეტი ჯაბანას აღარაფერი გააჩნდა.¹⁰

თუ რას აკეთებს მამასახლისი, ავტორი ამის შესახებ მოგვითხრობს „სოფლის სურათებში“: „იმას ჯაჭვი აქვს, ხელმწიფეც ხელს ვერ ახლებს, მაგრამ ხანდახან მოსცხებენ ხოლმე, ჯაჭვი ვეღარ ეფარება და მაინც მდუმარებს... იგი ასრულებს მაზრის უფროსის და ბოქაულის ბრძანებას, სოფელს აწიოკებს, სად „შტრაფს“ ახდენინებს, რის გამო გააქვთ გირაოდ გატანილ ქვაბებს, წალღუნებს, ნაჯახებს და სხვას საბრალო ჩხარაჩხური, აზიდვინებს გზირს დუქანში დასაგირავებლად — თითონაც უკან მისდევს, — მიდის და თანაც მასდევს სოფლის წყველა და გინება“.

მამასახლისების გაიძვერობა იმ ზომამდე მიდიოდა, რომ ფულისათვის სოფლას ინტერესების გაყიდვა არაფრად მიაჩნდათ. ყოფილა შემთხვევა, რომ მამასახლისს სოფელი ჩარჩ ვაჭრების და მეღვინეების

7 „მამას ელიან ბაღლები“, ტ. II, გვ. 318, 320.
8 V, გვ. 271—272.
9 ტ. II, გვ. 347.
10 ტ. II, გვ. 50—51.



წინააღმდეგ დაურაზმავს, მიუღწევია გამოეტანათ განაჩენი, რომლითაც დუქან-სამიკიტნოების გაასნის აკრძალვა შემოუღიათ, მაგრამ შემდეგ, როდესაც იგივე ჩარჩ-ვაჭრები და მიკიტან-სიარაჯები „ხელს მოუპოვებდნენ“ და ქრთამებით ჯიბეებს გაუტენიდნენ, მამასახლისებს სოფლის განაჩენი აღარაფრად მიაჩნდათ და „ვილდის“ აღებაზე ბეჭედდასმულ მოწმობებს უხვად არიგებდნენ.¹¹

ამ ნაწარმოებში ვაჟას მხედველობიდან არ გამორჩენია სოფლის მოსამართლენი, რომლებიც საქმის გარჩევის წინ მომჩივანი მხარეების მიერ მოტანილი პურმარლით ჯერ მაგრად თვრებოდნენ და საქმის გარჩევას შემდეგ შეუდგებოდნენ. ამის გამო სოფლის სასამართლო ფაქტიურად სამიკიტნოდ იყო გადაქცეული და საბოლოოდ საქმეს „პისარი“ წყვეტდა, რომელიც თქმის დაწვერიც იყო და განაჩენის დამდგენიც.

სოფლის მოსამართლის სახე კარგად აქვს ვაჟას დახატული ერთ-ერთ აკროსტიხში, სადაც ვკითხულობთ:

დიდ-ფაშვიანი, თვალე-ბრიალა
იყო ერთ დროსა მსაჯული ჩვენი.
არ შეჭხედავდა მოჩივარს სწორედ,
მრისხანე სახის მელურად მჩენი.
ბატონი კარგი: იმის მოწყალე,
ესტუმრებოდა რომელიც ძღვნითა,
გაამტყუნებდა ალაღ-მართალსა
იგი შუბლ-შეცვრით, მაღალი ხმითა.¹²

სოფლის მოსამართლე, გზირ-მამასახლისი და ამ კატეგორიის სხვა თანამდებობის პირნი დაბალი რანგის პარაზიტული ელემენტები არიან და მათი მოქმედება შედარებით შეზღუდულია. „მოდევანობის“ უფრო ფართო ასპარეზი მოეპოვება ბიუროკრატიული ხელისუფლების ისეთ წარმომადგენლებს, რომლებსაც ადგილებზე სახელმწიფო აპარატის წარმომადგენლობა პქონდათ დაკისრებული. მაგალითად, მომრიგებელი შუამავალი და მისი მოღვაწეობა ვაჟას ასე აქვს დასახსიათებული:

პოსრედნიცი ჰყავთ დუშელეხს,
ვით გაკრეჭილი ვაცია...
მომჩივნისათვის, უწყოდეთ,
შორსაა მისი სტანცია.
ვისი გოჭია, „აქ მოდი“!
ხელცარიედებს ბრანწია...
შუბლი სულ გაუბრწყინდება
თუ ნახა ასიგნაცია.

საწყალს ჩვენს გლენჯაცობასა
ძალიან დაბლა დაწოა.

ვაჟა თავის მხატვრულ ნაწარმოებებში ხატავს თანამდებობის პირთა და თვითმპყრობელური სახელმწიფოს სხვა მოღვაწეთა პორტრეტებს და ყველგან მიუთითებს იმ ამორალურ საქციელზე, რომელიც ჭარბად ვლინდება თვითიული მათგანის მოღვაწეობაში. მაღალი და დაბალი რანგის მოხელენი ხალხსადმი თავიანთ დამოკიდებულებას გამოხატავდნენ მარტივი ფილოსოფიით, რომელიც ვაჟას ამდაგვარად აქვს გადმოცემული: «нужно поступать с народом так-же как говорит премудрая пословица бей мужика и дубьем и рублем!»

ზოგია — ადვოკატია,
ზურგზე ტყავს აძრობს ხალხსაო
და ატრიალებს, როგორც ჰსურს,
ყველგან სამართლის ჩარხსაო...

* * *

მეოთხე — ბოქაულია,
მსახურობს გულიანადა:
მოჩივარ-მოხასხუნესა
ორსავ მიჰბუჟავს კარგადა.
მათრახის, მუშტის ტრიალი
სცნო მან ხალხის წვრთნის დარგადა.
ვარია, თივა და ქერი
სოფელს დაგვადო ხარჯადა...¹⁴

და ყველა ისინი თავისთვის ლაპარაკობენ, რომ სინდისი მათ არ აშეღს, მათ ვერაინ დასწამებს ცილს თითქოსდა სამსახურისათვის ეღალატნოთ და „სასტიკობა დაგვეკლოს“.¹⁵

სისასტიკე და ავკაცობა მეფის მოხელეებს სამსახურის კეთილსინდისიერ შესრულებად მიაჩნიათ. ამიტომ არის, რომ ხალხი მათ წყველა-კრულვით იხსენიებს და ოცნებობს როდის დადგება ის დრო, როდესაც სოფელს არ მოველინება: გზირი, მამასახლისი, ჩაფარი ბოქაული, ზაზრის უფროსი და ყველა ის, ვინც მას სისხლსა წოვს და ადამიანური ცხოვრებისა და არსებობის საშუალებას არ აძლევს.

1905 წლის რევოლუციამ, მშრომელი მასების აქტიურმა შეტევამ რეაქციის წინააღმდეგ შიშის ზარი დასცა დიდ და პატარა მოხელეს. ბევრი მათგანი შეეცადა ხალხის გულის მოგებას, თავი ისე დაიჭირა, თითქოსდა მათაც ხალხის მდგომარეობა აწუხებდა და მათთვის შესტიკოდა გული. ვაჟა აფრთხილებდა ყველას, რომ მათი ნდობა არ შეიძლება და თუ კი

11 ტ. V, გვ. 259.
12 აკროსტიხები, ტ. II, გვ. 333.
13 ტ. V, გვ. 288.
14 ქებათა-ქება, ტ. I, გვ. 136—137.
15 ტ. V, გვ. 289.



მიეცემათ საშუალება, ისინი კვლავ მოველინებიან ხალხს ისეთივე სისხლის მწველ წურბელებად. როგორც მანამდე იყვნენ. და აი რევოლუცია დამარცხდა, რეაქციამ გაიმარჯვა. მიხვლენი, რომლებიც მანამდე ანგელოზებით იქედონდნენ, წელში გაიმართნენ და თავიანთი საქმიანობა მეტი სიბოროტით, განუსაზღვრელი სიასტიკით და დაუნდობლობით განახლეს. სწორედ ამასვე მიუთითებს ვაჟა ლექსში „ბოქაული“:

მანამ ქვეყნად გაისმოდა
 „ერთობა და სიყვარული“!
 ჩვენმა მცველმა ბოქაულმა
 არ იცოდა სიბრალული
 მუშკით ჭოხით და მათრახით
 ხალხსა სთიბდა ბოქაული
 ისე, როგორც მოხულს ცუნას
 კარგი ცელი მოფხარული
 ნუ ვენდობით ბოქაულებს,
 ნურც იმათ ფიცს, ნურც საქმოდ
 შემოწირულს ორ შუარებს...

მართლმადიდებელი ეკლესია მთავი გავრცელებულ ხევისბერობას და საერთოდ ფშავ-ხევსურთა სარწმუნოებას კერბთაყვანისმცემლობად აცხადებდა. ეპისკოპოსი ანტონი,¹⁶ მთის მოსახლეობაზე თავისი ზეგავლენის გასაძლიერებლად სამკედრო სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებს ფშავ-ხევსურთა სარწმუნოებას და ამას სასულიერო წოდებისათვის დაუშვებელი, უღირსი მეთოდების გამოყენებით ახორციელებდა. ეპისკოპოსის და მისი აპარატის მოქმედებას მხარს უჭერდა ხელისუფლება. ეკლესიის შემოტევა მთის ხალხის წინააღმდეგ უადრესად ცინიკური ხასიათს იღებდა, რაც მოსახლეობის დიდ აღშფოთებას და წინააღმდეგობას იწვევდა. ყოველივე ეს ვაჟასაც აღაშფოთებდა. ჯერ ერთი იგი არ ეთანხმებოდა მტკიცებას თითქოს ხევისბერობა და ფშავ-ხევსურთა რელიგია კერბთაყვანისმცემლობის გადმონათი ყოფილიყოს. წერილში „ეპისკოპოსი ანტონის აზრი ფშავ-ხევსურთა სარწმუნოებაზე“, ისევე როგორც უფრო ადრეულ თუ მომდევნო პერიოდის გამოსვლებაში¹⁷ ვაჟა მცენარეულად ასახულებს ფშავ-ხევსურეთის რელიგიის არსს და ამტკიცებს, რომ ეს რელიგია ქრისტიანულ საფუძვლებზეა დამყარებული და მის

განუყოფელ ნაწილს შეადგენს. ვაჟა ფარდას ხდის ანტონის ნამდვილ მიზნებს და ცდილობს შეაჩეროს ეს თავისებური „ჯვარისნული სვლა“. ვაჟამ თავისი აზრის გამოსახატად, გარდა პუბლიცისტური ნაწარმოებებისა, ამ საკითხზე მხატვრული ლიტერატურაც გამოიყენა. ერთერთი ასეთი ნაწარმოებია მოთხრობა „დროშა“, რომელშიც აღწერილია, თუ რას ჩადიდნენ მთავი ქრისტიანული „წმინდანები“ და მათი მოქმედების შედეგად რა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ხალხი. ეს ნაწარმოები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მასში გაშუქებულია ადგილობრივი ხელისუფლებისა და ადმინისტრაციის ხალხისადმი უსამართლო დამინდებულება და რიგი საკითხები, რომლებიც მართლმსაჯულებას ეხება.

ამ მოთხრობაში, რელიგიური დღესასწაული გიორგობა აღწერილი. დღესასწაულზე მთელი ხევია შეკრებილი, და ყოველი ადამიანი, დიღია თუ პატარა, ცდილობს მოხადოს თავისი ვალი, რათა არ „მოამიზეზოს“ ხატი და არ მოველინოს მისი რისხვა. მაგრამ ხალხს ძველებურად ლოცვის უფლებას აღარ აძლევდნენ და წმინდა ადგილი დაღონებულია. „დღესნამდე, — ვითხულობთ მოთხრობაში, — ამ სალოცავის ნანგრევთა შორის მარტომარტო ხევისბერების ლოცვა-კურთხევა გაისმოდა, მისი უფლება იყო გაბატონებული. დღეს კი ამ უფლებას შემუსვრას უპირებენ“... ხალხი შეშფოთებულია, რომ მათ სარწმუნოებას ქრისტიანულად აღარ თვლიან და ბჭობენ, როგორ დაიცვან ბოქაულ-სტარაჩიკებისაგან მათა თედორე¹⁸, ხევისბერები, ნანგრევებად შემორჩენილი სამლოცველოები და წარსულის, აწმყოს და მომავლის სიმბოლო, ხევის ღირსება — თამარისეული დროშა. ყველაზე დიდი საზრუნავი დროშა იყო და ამიტომ „არც ერთი დედა შვილს არ გაუფრთხილებოდა ისე, როგორც ბეკი¹⁹ დროშას... მთელი ძალა და დიდება ხატისა და ხალხისა, ბეკის წარმოდგენით, ამ დროშაში იყო შეერთებული. დღეობაზე ცხადდება „ლურჯ ცხენზე ამხედრებული, ბრჭყვიალა ღილიანი სამოსელში გამოწყობილი, გვერდზე ხმალ ჩამოკიდებული, ვეებერთელა კაკარდიანის ქუდი, დარაჯების თანხლებით... ბოქაული, რათა დეცვა მშვიდობიანობა... დაეცვა მამა თედორე ხევისბერთა უწყისო ქცევისაგან, ხოლო რეული ქრისტესი — შებღალვა-წაბილწყვისაგან“. და პირველი ღონისძიება ბოქაულისა ეს არის ქადაგის — რეინაგენტიანთ სალო-

¹⁶ გორის ეპისკოპოსი, აღექსანდრე გიორგაძე, ეპისკოპოსად კურთხევის შემდეგ ანტონად წოდებული, ექვემდებარებოდა ეგზარხოსს, დამოუკიდებელი ეპარქია არ გააჩნდა და მისი სამრევლო ითვლებოდა ქვე-ეპარქიად. უფრო გვიან ქუთათელი მიტროპოლიტი, გარდაიცვალა 1923 წელს ქუთაისში, დაკრძალულია იქვე.

ცხრაასიან წლებში ეგზარხოსის დაელებით სწავლობდა და აგვარებდა საქართველოს მთიანეთის მცხოვრებთა რელიგიის საკითხებს.

¹⁷ მხედველობაში გვაქვს წერილები: „ფშაველები“, „აფხუშობა“, „ხევსურები“, „ლაშქრობა“, „თამარის ცხვარი“ და სხვა.

¹⁸ მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი მთავი.

¹⁹ ბეკი, უფროსი ხევისბერის სახელი.

მეს — სახალხოდ გაროზგვა. სალომეს გაროზგვენ იმისთვის, რომ მან ხელი შეუშალა მამა თედორეს და მისი ნებართვის გარეშე დაიწყო ქადაგობა. ბოქაული სალომეს გაროზგვას მხოლოდ მაშინ შეაწყვეტინებს, როდესაც სტრაჟნიკები თავპირგასისხლიანებულ და ბრძოლისაგან ღონემიხდილ ქალს სიკვდილის პირას მიიყვანენ: „ხალსს თავის გასამართლებლად, — ამბობს აგტორი, — მხოლოდ ის შეეძლო ეთქვა: ალბად, კანონია, დარაჯები იმიტომ იცენებთან, თორემ სად გაგონილა დედაკაცის ცემაო. ერთმა ვერ შეგხედა ეჭვის თვალთ, კრიტიკულად ამ კანონს და ვერ გაბედა გაესინჯა მისთვის კბილი“. მანარის უფროსის დაგალებით, ბოქაული უკრძალავს ხევისბერებს და მოცველთ მათი რელიგიური წესის შესრულებას და თუ ასეთს არ შესწყვეტენ „ტყავის გამრობით“ ემუქრება, სტრაჟნიკები კი ბეკს ძალად ართმევენ სასოებით გადამალულ თამარისეულ დროშას. დროშის დასაბრუნებლად ხალსს ბევრის განცდა, შრომის და ხარჯის გაწევა დასჭირდა. მამა თედორეს პურმარილებით გამძღარ ბოქაულისათვის ხალსის ხეიწნა-მუღარა არაფერს წარმოადგენდა და ყოველთვის, როდესაც კი თხოვნი თ მიმართავდნენ, უარით ისტუმრებდა, გასაცოდაგებულ ხევისბერს კი სახრწობელას კპირდებოდა. ხალსი თუ წინათ ხმლით

იტავდა თავის ღირსებას, ეხლა ამის უნარი აღარ შესწევდა და თავის დაცვის ერთადერთ საშუალებად ყველაფერში ქრთამის მიცემადა ჰქონდა დარჩენილი. თუ რა მოხდა შემდეგ, ამაზე ასეთი პასუხია გაცემული: „ჩვეულებრივი ამბავი: ფულების მოგროვება დასტურების მიერ და კაცების ძებნა მთავრობაში გასაგზავნად, სათხოვნელად, საშუამავლოდ“. ბოლოს დროშა „ტყვეობიდან“ შემთხვევითმა ამბავმა იხსნა, უსამართლობა კი უსამართლობად დარჩა, ხალსისადმი ასეთი დამოკიდებულება დიდხანს გრძელდებოდა და გამკითხავი არავინ იყო.

ვაჟა ფშაველას უსამართლობის ზოგიერთი სურათი მოცემული აქვს აგრეთვე თავის ნაკვესებში, მინიატურებში, პიესებში და სხვა ფორმისა და სახის მხატვრულ ნაწარმოებებში.²⁰ ამ ნაწარმოებებში მოხანს ვაჟას შეურიგებელი და მეზრძოლი ბუნება, ამავე დროს მისი ღრმა იურიდიული აზროვნება. ვაჟას თითოეული ნაწარმოები იყო თავისებური მოწოდება, რომელიც რაზმავდა მშრომელ მასებს უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად, თანასწორუფლებიანობისა, ჭეშმარიტი კანონისა და სამართლის დასადგენად.

ვახტანგ შვანიძე.

²⁰ მხედველობაში გვაქვს რამდენიმე ნაწარმოები ერთი სათაურით: „სცენები ფშაველების ცხოვრებიდან“, „ბატარა სცენა“, „გასამართლებული ჩიბუხი“ და სხვა დაუმთავრებელი ნაწარმოებები.



(ნამღვილი აზვავი)

1.

შრომა-გამასწორებელი კოლონიიდან სამნი გაიქცნენ. მიტო ქილიფთარმა, რომელსაც რვა წელი პატიმრობა ჰქონდა მოსახდელი, ორი ახალგაზრდა დაიყოლია და გაქცევის გეგმა შესთავაზა. სამნიდან ყველაზე უმცროსი ოცდაერთისა იყო. გაქცევა აზრად არ მოსვლია, მაგრამ როცა მიტომ ამაზე ლაპარაკი ჩამოუგდო, გველნაკბენივით შესტა. გულის ჯიბეში სამად მოკეცილი ქაღალდის ფურცელი ედო, რომელიც სულს უფორიაქებდა. მისი გულისწორი მარინე მეზობელ ბიჭს გაპყლოდა. მაჭარივით ამღვრეულ ბიჭს დარჩენილი წელიწადი საუკუნედ ერვენა. შურისძიების წყურვილმა მასში გონიერება მოკლა.

მიტომ იცოდა კაცის გულისნადების გამოცნობა, როცა მას წერილის შესახებ უთხრეს — ცალყბად გაიციან. ის სწორედ მესამეს ეძებდა.

პატიმრები ქარხნის მშენებლობაზე მუშაობდნენ. მავთულსლართებით შემოდობილ, გადათხრილ მინდორზე სოკოებივით ჩნდებოდნენ ვეება კორპუსები. დრო არ იცდიდა. მშენებლობას, თითქმის, ყოველდღე ემატებოდა მუშახელი.

ქილიფთარი წელზე ფეხს იდგამდა. მუშაობაში მან სხვებიც აიყოლია. მეზეტონეთა ბრიგადა, რომელსაც ის ედგა სათავეში, გეგმას ყოველთვის ასრულებდა.

— ქილიფთარი თუ ასე შეიცვლებოდა, არ მეგონა, — უთხრა დაცვის უფროსმა გივი კაპანაძემ კოლონიის ბუღალტერს, რომელიც მავიდაზე გაშლილ ცხრილებში რაღაცას ეძებდა.

— რისთვის არის დაპატიმრებული? — იკითხა ბუღალტერმა.

— ძარცვისათვის, — შეიარაღებული თავდასხმა მოაწყო საბჭოთა მეურნეობის სალაროზე.

— თანხა დიდი იყო?

— მგონი 30.000 მანეთამდე.

— არა უშავს, — გაიმართა სკამზე ბუღალტერი, — მაღა ჰქონია.

— პირდაპირ საოცარია, — ჩაილაპარაკა ახობაძემ, აქამდე სხვებსაც აბუნტებდა. ახლა კი დახტოდა მუშაობით ხალხი.

— რამეში შემჩნეული ხომ არ არის?

— არა. ისე ჩვენთან ამ ბოლო დროს ორი მეგობარი შეიძინა. სხვას არ იკარებს ახლოს.

— ვინ არიან?
— ორივე ახალგაზრდა. ჯემალ გავსიანს ერთი წელი დარჩა მოსახდელი. შუქრი ქებაძე კი უფრო სტაჟიანია.

კაპანაძე უცებ გაჩუმდა. იგი რაღაცე ფიქრობდა. ცოტა ხნის შემდეგ თავი ასწია და თითქოს თავისთვის თქვა —

— მე ეს ტრიუმფირატი არ მომწონს. შეიძლება იმიტომაც, რომ ქილიფთარისა მაინც სანახევროდ მეჭრა.

— პირველად კოლონიაში? — დაინტერესდა უცებ ბუღალტერი.

— მეორედ, მაგრამ ქილიფთარი ცხვრის ქურჭში გახვეული მგელია. პირველ ორ წელს ხალხი ისე დღეში ჩაყარა, რომ მუშაობის გაგონება არავის უნდოდა. მაგის გადაყვანაზე პატაკიც დავეწერე.

— მერე, მერე — გამოცოცხლდა ბუღალტერი.

— როცა პატაკის შესახებ გაიგო — გამოსასწორებლად ვადა მოხვია. მეც რატომღაც დავეუფრე. იქნებ არ შევმცდარავარ.

— ჯერ ადრეა დამშვიდება — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ბუღალტერმა და ნიკაპი მოიფხანა, — თუმცა ვინ იცის?

2.

მიტო ქილიფთარი ამ საუბრის დროს ნიჩბით ხელში ავტომატქანის ძარას მიყრდნობოდა. მოთხუნულ ცისფერ ხალათში საოცრად გამხდარი ჩანდა. ფიქრში წასული რაღაცას ბურტყუნებდა. კაცს ეგონებოდა ლოცულობსო.

... ის დღეც ჩვეულებრივ იწყებოდა. მზის ამოსვლას დაასწრეს პატიმრებმა. მშენებლობის დამახასიათებელ ავტომატქანებისა და ამწეების გრუნუნსა თუ ტრაილში, ხალხის ცალკეულ შეძახილებში უკვე გაპარულიყო ნახევარი დღე. სამხრობის ჟამი იდგა.

ქილიფთარმა ხმაურზე მოახლოებული ხალხისაკენ გაიხედა. პატიმრების ერთი ჯგუფი, რომელშიაც ჯემალ გასვიანი და შუქრი ქებაძეც ერია, მათგან მოდიოდა. ავტომატქანაც ცხვირწინ იდგა.

ქილიფთარმა ტუჩი მოიკვნითა. მეგობრებმა უცებ შეათვალა ერთმანეთი. მიტომ დაინახა როგორ გაუფართოვდა ჯემალ გასვიანს ცისფერი თვალები. უსიტყვოდ გაუგეს ერთმანეთს.

კაბინაში მკვდომ მძღოლს თავი საჭეზე ჩამოედო და თვლებდა. მანქანის კარი ღია იყო. ცხელიდა.

— ერთი მომიკიდე, ძმაკაცო! — მიუასლოვდა უცებ მძღოლს მიტო ქილიფთარი და დასრესილი სიგარეტი ახლოს მიუტანა.

მძღოლმა საყარაულო ჯიხურისაკენ გააბარა თვალი. ავტომობილიანი ჯარისკაცი ზურგშექცევით იდგა.

— აბა, ასანთი!

პასუხის მაგიერ ჯიხურისაკენ ხელებმა კაბინიდან მძღოლი ბურთივით გადმოიღო. დაყვირებაც ვერ მოასწრო. მიტომ თავში ჩასვსო რკინისაკვით მუშტი.

იმავ წუთს მიტო ქილიფთარი თავის ორ მკობართან ერთად კაბინაში შეესტა. მანქანა უცებ მოწყდა ადგილს.

მიტო ქილიფთარმა კარგად იცოდა თავისი საქმე. ვეება ავტომანქანა ჯერ გასასვლელ ჯიხურთან მდგომ მოტოციკლს გაკრა და ბურთივით ისროლა. შემდეგ ბანაკის რკინის კარები გაანგრია და შარაზე გამოვიდა.

დაცვამ გვიან გახსნა ცეცხლი. რამდენიმე წუთში ისინი უკვე სამშვიდობოს იყვნენ.

3

— ალო, ალო — ჩასძახოდა ტელეფონის ყურმილს ბანაკის მორიგე, — დღეს 4 საათზე ქარხნის მშენებლობიდან ავტომანქანით გაიქცა სამი პატი-



მარი. წინასწარი მონაცემებით მათ იარაღი არ გააჩნიათ. გაქცეულთა ვინაობისა და ადგილსამყოფელის

დასადგენად მიღებულია სათანადო ზომები...

ერთი საათიც არ იყო ვასული, რომ თბილისიდან ქუთაისის მიმართულებით შინაგან საქმეთა სამინისტროს ორი სპეციალური ავტომანქანა გამოვიდა. მილიციის ოპერატიულ მუშაკთა ჯგუფს სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების გამგე ამირან ხიდაშელი ედგა სათავეში. მეზობელი რაიონებიდან სასწრაფოდ იქნენ გამოყვანილნი დამხმარე ძალები. გაფრთხილდნენ სოფლის საბჭოები. ყველა საეჭვო გზა გადაიკეტა.

შუქრი ქებაზე იმავე საღამოს დააკავეს. წინააღმდეგობა არ გაუწევია. ხალხის ჩოქოლსა და დედის კივილზე თავისი ნებით გამოვიდა სახლის გვერდზე მიშენებული მარანიდან. ნერვიულობისაგან აკანკალებული ბიჭი, რომელსაც მარინეს დანახვაც ვერ მოესწრო, უხმაროდ ჩაჯდა მანქანაში.

როცა გასვიანის ორსართულიან ქვიტკირის სახლს შიადგნენ შუაღამე იყო გადასული. მგლევიით ნაგაზმა ყფით აიკლო იქაურობა. მეზობელ ფანჯრებში ნელა გაიქარდა შუქი.

ოთახში შემოსულ მილიციონერებს კაბიტანი ახობაძე შემოუძღდა. ვიდაცამ უცებ ჩართო სინათლე. დამფრთხალი დიასახლისის დანახვაც ახობაძემ ნელა ამოაწია კიბიდან ხელი.

— ბოდიში უნდა მოგიხადოთ ქალბატონო ასეთ დროს შეწუხებისათვის, მიუბრუნდა იგი საოცრად გამხდარ, მაგრამ სანდომიან სახის ქალს, რომელიც უცებ მიხვდა ყველაფერს.

— რაშაა საქმე? — მორვენებითი გულისწყრომით იკითხა ქალმა.

— თქვენი ქმარი გაიქცა გუშინ კოლონიიდან, ამისათვის მოგაკითხეთ.

— ქმარი აქ არ მოსულა, — გაცხარდა უცებ ქალი, — ასე შეიძლება სახლში შემოჭრა? ბავშვებმა რომ გაიღვიძონ, გადამერგვიან.

ორივე პატარას გულაღმა ეძინა. გოგოს საბანი გადახდოდა. ახობაძემ ფრთხილად გაუწვორა ბავშვს ჩახუტებული დედოფალა.

— ჩვენც ბავშვების ბედი გვადარდებს და ამიტომ გვინდა დროულად მოვებნოთ გაქცეული, — წყნარად ჩაილაპარაკა მან და ოთახში შემოსულ ქერამილიციონერს მიუბრუნდა.

— გვერდით ოთახში არავინ ჩანს ამხანაგო კაბიტანო! — სხაპასუხით წარმოსთქვა მან და ახობაძეს თვალით დიასახლისის ლოგინქვეშ შეყრილი მამაკაცის ფეხსაცმელებზე ანიშნა.

ლოგინი ახელილს გავდა.

— აი თურმე რაშაა საქმე, — ტუჩი მოიკვიტა ახობაძემ და ქალს მკაცრად უთხრა.

— ჩხრეკას ნუ დავგაწყებინებთ. ბავშვები გაიდვიძებენ. თქვენი ქმარი აქაა. უკეთესია თუ სინართლეს დროულად იტყვით.

— კარგი უფროსო, კარგი, — გაისმა უცებ ოთახის კუთხეში მდგომი ძლევებური ვეება კარადიდან



და კარი ჭირალით გამოიღო. ტანისამოსს ამოფარებულ კაცი ნახევრად შიშველი ჩანდა.

— გაცია და ხასიათი. ერთი ღამის გულისათვის იქნებ დირდეს ციხიდან გაქცევა, — უხეზად ისუბრა ვიღაცამ.

ხმა არავის გაუღია.

მიტო ქილიფთარის მიგება უფრო რთული იყო. ამ დაგეშილ კაცს გზაკვალი საგულდაგულოდ აერიო. ყვემალ გასვიანს წამოსცდა, რომ ქილიფთარს გადა-მალული კარაბინი მოეძებნა და ვინ იცის რას არ ჩაიდენდა.

4.

რამდენიმე დღეღამის ძებნას შედეგი არ მოჰყოლია. ხალხი დაიქანცა. ყველა საექვო სახლსა და პიროვნებაზე კონტროლი დაწესდა. სახალხო რაზმელები სოფლებშიც გააქტიურდნენ.

მესამე დღეს, დილით, სოფელ გორანადან დარეკეს. ერთ მოხუცს სახლის სხვენზე დამე თითქოს ვიღაცა შეგმრნია. მოხუცის ეჭვს სხვა ოპერატიული მონაცემებიც ადასტურებდა.

ამ სოფელში მიტო ქილიფთარს ცოლის ნათესავები ჰყავდა. ის სახლი, რომელიც ამირან ხიდაშელს მიუთითეს, ქილიფთარის სიმაპრის სახლის გვერდით იდგა.

შუადღე იწურებოდა. შემოდგომის გრილ ნიავს დასავლეთიდან ჟანგისფერი ღრუბლის ნაგლეჯები მოჰქონდა. გაცრუცილი მზე მთების გადაღმა ვშვებოდა.

ქილიფთარის ნათესავებს სახლში მიცვალბული ესვენათ. ჭირისუფლების ჩოჩქოლმა და განათებულმა ეზომ გაქცეულს ეტყობა გვემა აურია. ნერვიულობამ და უძილობამ მაინც თავისი გაიტანა. ქურდულად შემოპარულმა დევნილმა მეზობლის სახლის სხვენზე გამოძინება მოინდომა.

ეჭოში შემოსული მილიციელების გამოჩენას ბევრი შიშნარევი ცნობისმოყვარეობით შეხვდა.

— ხალხს უნდა უთხრათ რაშია საქმე! როგორც გასვიანმა განაცხადა, ქილიფთარს შეიძლება კარაბინი ჰქონდეს. ექსპერიმენტების ჩატარებას აქ ვერ დაგვიწყებთ!

— არის ამჟანაგო პოდპოლკოვნიკო!

ანობაქეს ბევრი ლაპარაკი არ დასჭირვებია. ჭირისუფლებმა პირგელებმა გამოაცხადეს, რომ მათ გარდა სახლიდან დროებით ყველა გასულიყო. გამხდარი მოხუცი, რომელსაც უძილობისა და ტირილისაგან თვალები დასწითლებოდა, თავისი მეუღლის ცხედართან დარჩა. ხალხი სწრაფად დაიშალა.

— ქილიფთარო! — დაიძახა კედელს მიყრდნობილმა მილიციის კაპიტანმა, — ვიცით რომ სხვენშია ზიზარ! იქნებ უხეზუროდ ჩამოხვიდე! გესმის ჩემი?

— არა, ის აქ ვერ მოხედავდა, — ჩილაპარაკავიღაცამ.

და უცებ თოფის გასროლამ სხვენზე მიმალული ბედურები ჟივოლხივლით წამოჰყარა.

— აჰა, — მოხუცი არ შემცდარა, — გაუელვა უცებ თავში ხიდაშელს და ხმამაღლა დაიძახა:

— სროლას ნუ დიწყებთ! მოლაპარაკებას შეეცადოთ.

— ქილიფთარო, თავი არ დაიღუპო! — დაუძახა კაპიტანმა, — დაწყდა ხალხი დევნისაგან. მდგომარეობა საგანგაშოა. თქვენს დასაკავებლად თბილისიდან სპეციალური ჯგუფია ჩამოსული.

დუმილი.

— ვინ არის ჩამოსული? — გაისმა უცებ სხვენიდან.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული ჯგუფი. ხიდაშელს მგონი კარგად იცნობ — ისაა ხელმძღვანელი!

— დამუნახოს! — გაისმა სხვენიდან.

— მასხრად ვვიგდებს, ამჟანაგო პოდპოლკოვნიკო! — მიუბრუნდა უცებ გაბრაზებული მილიციის ზემდევნი ხიდაშელს, — ეგ კაცი ჭკუას ვერ ისწავლის.

— არა, სროლას ნუ დავიწყებთ — ჩილაპარაკა ხიდაშელმა. ჯერ კიდევ არის დრო. როგორმე მოძებნეთ და სასწრაფოდ მოიყვანეთ ქილიფთარის მეუღლე ან მამამისი. იქნებ მათ დაუჯეროს რამე.

— მატყუებთ, არა! — გაისმა მუჭარის ძახილი სხვენიდან — აბა, სად არის ჩამოსული? გამოვჩნდები და ალბათ ბედურასავით მესჯობთ.

— ქილიფთარო! — ჩვენ არ მატყუებთ. დანარჩენს თვითონაც ხედავ. — დაიძახა უცებ ხიდაშელმა და სხვენიდან დასანახ ადგილზე გამოვიდა.

— რას აკეთებს, რას? — ხელები გაასავსავა კაპიტანმა და ბუზღუნით ისიც უფროსისაკენ წამოვიდა.

ქილიფთარმა ხიდაშელის სიტყვებს სროლით უპასუხა.

— არ ღირს მაგასთან ლაპარაკი ამჟანაგო უფროსო! — გაცხარდა უცებ მილიციის მაღალი ტანის ზემდევნი, — მგელს მგლის კანონი უნდა დაუპირისპირო. მე ვიცნობ მაგათ.

ყველანი კედელს მოეფარნენ.

— არა! — ჩვენ სროლას არ დავიწყებთ! — ბრძანა ხიდაშელმა და ხმამაღლა ჩაახველა, — ქილიფთარის მამა წამოყვანიათ, ვნახობ რას ეტყვის შვილს. საღამომდე ჯერ დიდი დროა.

ერთი საათიც არ იყო გასული, რომ მოხუცი მოიყვანეს. მზემოვიდებულ, ჯირკვავით სახეზე ერთი ნაკეთიც არ ერჩეოდა. მაგრამ როცა ხიდაშელი მილიციონერები დაინახა, კრიჭა შეკერა.

— გამარჯობათ მოხუციო! — ხელგაწვდილი მიეგება ხიდაშელი, — გუშინდელს აქეთ ჩვენ მეორედ შეგვხვდით ერთმანეთს. როგორც გეუბნებოდით — თქვენ შვილს მაინც მივაკვლიეთ.

— სადაა? — ძლივს ამოდერდა მოხუცმა.

— აი, ამ სხვენში ზის თოფით და ბავშვივით ჯი-



ტობს. როგორმე უნდა მოელაპარაკოთ, რომ დაწყებულს. თუ მასთან მისვლა გეშინიათ, — არ შეეცადებოდით.

— შეილი მე არ მესვრის. ნადირი კი არა, კაცი მყავს გაზრდილი — ჩაიბურტყუნა მოხუცმა და თვალი მოყვრების სახლისაკენ გააპარა.



— ქილიფთარო! — დაიძახა მილიციის კაპიტანმა, ჩვენი თუ არ გესმის მამაშენს მოუსმინე. ბერიკაცი გეტყვის რაშია საქმე.

მოხუცმა პირველი ნაბიჯი გაუბედავად გადადგამდებოდა თანდათან გაიშართა წელში. კიბესთან გულდაგულ მივიდა.

— მიტო, შეილო! — დაიძახა უცებ მოხუცმა და

რატომღაც უკან მოიხედა, — ჩამო, მავ სახურავიდან, მოგვლავენ ბიჭო!

მიტოს აღარ დაუსთავრინებია მამისთვის სიტყვა, — ისე ისროლა მილიციელებისაკენ.

კიბეზე სანახევროდ ასული მოხუცი უკან ცახცახით ჩამოვიდა. გაფთხებულყოფილი. თმები აბურტუნოდა. კედელთან ჩამომჯღარ ხიდაშელთან არც შეჩერებულა, ისე უთხრა:

— თქვენი საქმისა თქვენ იციოთ. მე აღარა მყავს შეილი, — და ხელი ჩაიქნია.

ყველა სახტად დარჩა.

იმავ წუთს ათმა კაცმა, ყოველგვარი ბრძანების გარეშე, თითქმის ერთდროულად ისროლა სხენისაკენ.

მხოლოდ ამირანის ბრძანებაზე დაუშვეს იარაღი. ჩამოვარდნილ სიჩუმეში ჭრიალით გაიღო სხენის კარი. დამალულმა ჯერ კარაბინი გადმოავდო.

უსმოდ გადმოდგა კიბის თავზე. თვალგზი სიბრახე უელავდა. ჯერ ვაჟაკურად წამოვიდა, მაგრამ როცა მისკენ დამინუნებულ ავტომატების შავი ტუჩები დაინახა, სუნთქვა შეუგუბდა და წაბარბაცდა. ძლიერ მიადწია იმ ადგილამდე, სადაც ხიდაშელი იდგა და აქვითინებული მუხლებზე დაეცა.

— წაიყვანეთ და ერთი ნაბიჯიც რომ გადადგას განზე — ესროლეთ! ქილიფთარის გასაკონად ხმამალა ბრძანა ხიდაშელმა და მანქანისაკენ მიტორიალდა.

მოსუცი ტირიდა, ღობეებიდან შიშისაგან დამფრთხალი მუზობლები იქცირებოდნენ.

— მე აღარა მყავს შეილი! — ყურში უწიოდა მოხუცის სიტყვები: ხიდაშელს.

სოფელი შემოდგომის დამათრობელი სულით იყო გაყდენთოლი. ნიაგს ძალა უმატებოდა. წითლად იცინოდა გზაზე გადმოსული პირდაღებული ბროწეული.

მიტო, ქილიფთარო, თავჩადუნული მიჰყვებოდა მილიციელებს.

ოფიციალური გასაქვა



საქართველოს სსრ მკრვე მოწვევის უმაღლესი საკრვე მეწველა სესიის გასაქვა

კ კ ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

საქართველოს სსრ წყლის კოდექსის დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აღბენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ წყლის კოდექსი და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1974 წლის 1 ოქტომბრიდან.
2. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაადგინოს საქართველოს სსრ წყლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღების წესი და საქართველოს სსრ კანონმდებლობა შეუსაბამოს ამ კოდექსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭავაძე.
თბილისი, 1974 წლის 5 ივნისი.

საქართველოს სსრ წყლის კოდექსი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად წყალი, ისევე, როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა ბუნებრივი სიმდიდრე, ნაციონალიზებულ იქნა და ხალხის კუთვნილება გახდა.

სსრ კავშირში, რომლის შემადგენლობაში შედის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან ნებაყოფლობითი გაერთიანებისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, საწყლო ურთიერთობათა საფუძველია წყლის სახელმწიფო საკუთრება. ეს ქმნის უმეტესი სახალხო-სამეურნეო ეფექტი წყლის გვეგმიანი და კომპლექსური გამოყენების ხელსაყრელ პირობებს, საბჭოთა ადამიანების შრომის, ყოფა-ცხოვრების, დასვენებისა და ჯანმრთელობის დაცვის საუკეთესო პირობების უზრუნველყოფის საშუალებას.

საზოგადოებრივი წარმოებისა და ქალაქმშენებლობის განვითარებამ, მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებამ და კულტურული დონის ამაღლებამ გაზარდა წყალზე მრავალმხრივი მოთხოვნილება და გაადიდა წყლის რაციონალური გამოყენებისა და დაცვის მნიშვნელობა.

საბჭოთა წყლის კანონმდებლობა მოწოდებულია აქტიურად შეუწყოს ხელი წყლის ყველაზე უფრო ეფექტურ, მეცნიერულად დასაბუთებულ გამოყენებას და მის დაცვას გატუჭყიანების, დანაგვიანებისა და დაშრობისაგან.

პ ა რ ი

ზოგადი დებულებანი

მ ა მ ი

ძირითადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს სსრ წყლის კოდექსის ამოცანები

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის წყლის კოდექსის ამოცანებია საწყლო ურთიერთობათა მოწესრიგება მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის საქართველოს წყლის რაციონალური გამოყენების, გაუქუყიანების, დანაგვიანებისა და დაშრობისაგან წყლის დაცვის, წყლის მავნე ზემოქმედების ლიკვიდაციისა და თავიდან აცილების, წყლის ობიექტების მდგომარეობის გაუმჯობესების, აგრეთვე სწავრობათა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და მოქალაქეთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, საწყლო ურთიერთობათა დარგში კანონიერების განმტკიცება.

მუხლი 2. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ წყლის კანონმდებლობა

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში საწყლო ურთიერთობებს აწესრიგებენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლები და მათ შესაბამისად გამოცემული სსრ კავშირის წყლის კანონმდებლობის სხვა აქტები, საქართველოს სსრ წყლის კოდექსი და საქართველოს სსრ წყლის კანონმდებლობის სხვა აქტები.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად ეს კოდექსი აწესრიგებს საწყლო ურთიერთობებს როგორც საფუძვლებით გათვალისწინებულ საკითხებზე, ასევე სხვა საკითხებზე, თუ ისინი არ მიეკუთვნებიან სსრ კავშირის კომპეტენციას.

მუხლი 3. საადგილმამულო, სატყეო და სამთო ურთიერთობების მოწესრიგება

საადგილმამულო, სატყეო და სამთო ურთიერთობებს საქართველოს სსრ რესპუბლიკაში აწესრიგებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ შესაბამისი კანონმდებლობა.

მუხლი 4. წყლის სახელმწიფო საკუთრება

სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად წყალი წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას, ესე იგი საყოველთაო-სახალხო სიმდიდრეს.

სსრ კავშირში წყალი მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებაა და მას გასცემენ მხოლოდ სარგებლობისათვის. აკრძალულია ყოველგვარი ქმედობა, რომელიც პარაზირი თუ ფარული ფორმით არღვევს წყლის სახელმწიფო საკუთრების უფლებას.

რული ფორმით არღვევს წყლის სახელმწიფო საკუთრების უფლებას.

მუხლი 5. ერთიანი სახელმწიფო წყლის ფონდი

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში წყალი (წყლის ყველა ობიექტი) შედის ერთიან სახელმწიფო წყლის ფონდში.

ერთიან სახელმწიფო წყლის ფონდს მიეკუთვნება:

- 1) მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, სხვა ზედაპირული წყალსატევები და წყაროები, აგრეთვე არხებისა და ტბორების წყლები;
- 2) მიწისქვეშა წყლები და მყინვარები;
- 3) სსრ კავშირის შიდა ზღვები და სხვა შიდა ზღვის წყლები;
- 4) სსრ კავშირის ტერიტორიული წყლები (ტერიტორიული ზღვა).

მუხლი 6. სსრ კავშირის კომპეტენცია საწყლო ურთიერთობათა მოწესრიგების დარგში

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად საწყლო ურთიერთობათა მოწესრიგების დარგში სსრ კავშირის გამგებლობას მიეკუთვნა:

- 1) ერთიანი სახელმწიფო წყლის ფონდის განკარგვა იმ ფარგლებში, რაც აუცილებელია სსრ კავშირის უფლებამოსილების განხორციელებისათვის სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად;
- 2) ძირითადი დებულებების დადგენა წყლის გამოყენების, გაუქუყიანების, დანაგვიანებისა და დაშრობისაგან მისი დაცვის, წყლის მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის დარგში;
- 3) წყალსარგებლობის საერთო-საკავშირო ნორმატივების, წყლის ხარისხისა და მისი შეფასების მეთოდების დადგენა;
- 4) წყლების სახელმწიფო აღრიცხვის, მათი გამოყენების, წყალსარგებლობის რეგისტრაციისა და წყლის სახელმწიფო კადასტრის სსრ კავშირისათვის ერთიანი სისტემების დადგენა;
- 5) წყლის კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემების, აგრეთვე საერთო-საკავშირო მნიშვნელობის წყალსამეურნეო ბალანსების დამტკიცება;
- 6) წყლის გამოყენების, დაცვის, მისი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის საერთო-საკავშირო ღონისძიებათა დაგეგმვა;
- 7) წყლის გამოყენებისა და დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლი და მისი განხორციელების წესის დადგენა;
- 8) წყლის იმ ობიექტების განსაზღვრა, რომ-



ლებითაც სარგებლობას აწესრიგებენ სსრ კავშირის ორგანოები.

მუხლი 7. საქართველოს სსრ რესპუბლიკის კომპეტენცია საწყლო ურთიერთობათა მოწესრიგების დარგში

სსრ კავშირის კომპეტენციის ფარგლებს გარეთ საწყლო ურთიერთობათა მოწესრიგების დარგში საქართველოს სსრ გამგებლობას მიეკუთვნება: საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ერთიანი სახელმწიფო წყლის ფონდის განკარგვა; წყლით სარგებლობის, მისი გატუქყიანების, დანაგვიანებისა და დაშრობისაგან დაცვის, წყლის მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის წესის დადგენა; წყლის გამოყენების, დაცვის, მისი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებათა დაგეგმვა; წყლის კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სტემების და წყალსამეურნეო ბალანსების დამტკიცება; წყლის გამოყენებასა და დაცვაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება, აგრეთვე საწყლო ურთიერთობათა სხვა საკითხების მოწესრიგება, თუ ისინი არ განეკუთვნებიან სსრ კავშირის კომპეტენციას.

მუხლი 8. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კომპეტენცია საწყლო ურთიერთობათა მოწესრიგების დარგში

საწყლო ურთიერთობათა მოწესრიგების დარგში აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ გამგებლობას მიეკუთვნება მათ ტერიტორიაზე ერთიანი სახელმწიფო წყლის ფონდის განკარგვა, წყლის გამოყენებისა და დაცვის ხელმძღვანელობისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელება სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

თ ა ვ ი II

სახელმწიფო მართვა და კონტროლი წყლის გამოყენებისა და დაცვის დარგში

მუხლი 9. სახელმწიფო მართვა წყლის გამოყენების და დაცვის დარგში

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად წყლის გამოყენებისა და დაცვის დარგში სახელმწიფო მართვას საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ახორციელებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოეები, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, აგრეთვე წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის სახელმწიფო ორგანოები, რომლებსაც საამისოდ აქვთ სპეციალური რწმუნებულებანი, უშუალოდ ან საათუზო (ტერიტორიული) სამმართველოების მეშვეობით და სხვა სახელმწიფო ორგანოები სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის სპეციალურად რწმუნებულ სახელმწიფო ორგანოებს წარმოადგენენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტი და მისი ადგილობრივი ორგანოები მათი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 10. წყლის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კონტროლი

წყლის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კონტროლის ამოცანაა უზრუნველყოს ყველა სამინისტროს, უწყების, სახელმწიფო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის და მოქალაქის მიერ წყლით სარგებლობის დადგენილი წესების დაცვა, წყლის დაცვის და მისი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის მოვალეობათა შესრულება, წყლის აღრიცხვის წესების დაცვა, აგრეთვე წყლის კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესების შესრულება.

წყლის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, მათი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები, აგრეთვე სპეციალურად რწმუნებული სახელმწიფო ორგანოები სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თ ა ვ ი III


საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა მონაწილეობა წყლის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში

მუხლი 11. სახელმწიფო ორგანოებისათვის ხელის შეწყობა წყლის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში

პროფესიული კავშირები, ახალგაზრდობის ორგანიზაციები, ბუნების დაცვის საზოგადოება, სამეცნიერო საზოგადოებები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აგრეთვე მოქალაქეები ხელს უწყობენ სახელმწიფო ორგანოებს წყლის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში.

მუხლი 12. საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა მონაწილეობის წესი წყლის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის ღონისძიებებში

საზოგადოებრივი ორგანიზაციები მონაწილეობენ წყლის რაციონალური გამოყენებისა და



დაცვის უზრუნველსაყოფად მიმართულ საქმიანობაში მათი წესდებების (დებულებების) და სსრ კავშირისა და ჰაჭპართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

სახელმწიფო ორგანოებს წყლის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში ხელს უწყობენ მოქალაქეები აუცილებელ სამუშაოებში უშუალო მონაწილეობით, წყლის გამოყენებისა და მისი დაცვის გაუმჯობესების შესახებ წინადადებების შეტანით და წყლის გამოყენებისა და დაცვის წესების მათთვის ცნობილ დარღვევათა შეტყობინებით.

0 1 3 0 IV

იმ საწარმოთა, ნაგებობათა და სხვა ობიექტთა განლაგება, დაპროექტება, მშენებლობა და საექსპლუატაციოდ გადაცემა, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლის მდგომარეობაზე

მუხლი 13. იმ საწარმოთა, ნაგებობათა და სხვა ობიექტთა განლაგების, დაპროექტების, მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ გადაცემის პირობები, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლის მდგომარეობაზე

ახალი თუ რეკონსტრუირებული საწარმოების, ნაგებობების და სხვა ობიექტების განლაგების, დაპროექტების, მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ გადაცემისას, აგრეთვე ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვისას, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლის მდგომარეობაზე, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს წყლის რაციონალური გამოყენება, მოსახლეობის სისამელი და საყოფაცხოვრებო საჭიროების პირველ რიგში დამკვეთი ობიექტები. ამასთანავე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ წყლის ობიექტებიდან აღებული და მათში დაბრუნებული წყლის აღრიცხვას, წყლის დაცვას გაქუჩუყიანების, დანაგვიანებისა და დამორბისაგან, წყლის მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებას, მიწების დატბორვის შეზღუდვას მინიმალურად აუცილებელ ოდენობამდე, მიწების დაცვას დამლაშებისაგან, წყლის შედგომისა ან გამოზრობისაგან, აგრეთვე ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების და ლანდშაფტების დაცვას.

მუხლი 14. თევზსამეურნეო წყალსატევებზე საწარმოების, ნაგებობების და სხვა ობიექტების განლაგების, დაპროექტების, მშენებლობის და საექსპლუატაციოდ გადაცემის პირობები

თევზსამეურნეო წყალსატევებზე ახალი თუ რეკონსტრუირებული საწარმოების, ნაგებობების და სხვა ობიექტების განლაგების დაპროექტების, მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ

გადაცემისას ამ კოდექსის მე-13 მუხლში გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებასთან ერთად დროულად უნდა განხორციელდეს ღონისძიებანი თევზის, წყლის სხვა ცხოველების და მცენარეების დაცვის და მათი კვლავწარმოების პირობების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 15. შესაბამის ორგანოებთან იმ საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების მშენებლობის ადგილისა და პროექტის შეთანხმება, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლის მდგომარეობაზე

მშენებლობის ადგილი იმ საწარმოებისა, ნაგებობებისა და სხვა ობიექტებისა, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლის მდგომარეობაზე, შეთანხმებულ უნდა იქნეს წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოებთან, მშრომელთა დემუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან, სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის, თევზის მარაგის დაცვის ორგანოებთან და სხვა ორგანოებთან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების მშენებლობის პროექტები შეთანხმებულ უნდა იქნეს წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოებთან და სხვა ორგანოებთან, იმ შემთხვევაში და იმ წესით, რომლებსაც აღგენს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

მუხლი 16. იმ საწარმოების, ნაგებობების და სხვა ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის აკრძალვის პირობები, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლის მდგომარეობაზე

აკრძალულია საექსპლუატაციოდ გადაეცეს: ახალი და რეკონსტრუირებული საწარმოები, საამქროები, აგროგატები, კომუნალური და სხვა ობიექტები — თუ მათ არ გააჩნიათ სათანადო მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს წყლის გაქუჩუყიანებისა და დანაგვიანების ან მისი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებას; სარწყავი და გაწყლოვანების სისტემები, წყალსაცავები და არხები — ვიდრე არ გატარდება პროექტითა გათვალისწინებული ღონისძიებები მიწების დატბორვის, წყლის შედგომის, დაჭობების და დამლაშების, ნიადაგის ეროზიის თავიდან ასაცილებლად;

დამზრობი სისტემები — ვიდრე მზად არ იქნება წყალმიღებები და სხვა ნაგებობები, დამტკიცებული პროექტების შესაბამისად;

წყალსადები ნაგებობები — თუ მათ არ გააჩნიათ თევზდამცველი მოწყობილობა, დამტკიცებული პროექტების შესაბამისად;

პიდროტექნიკური ნაგებობები — ვიდრე მზად არ იქნება წყალდიდობისას ზედმეტი წყლის და აგრეთვე თევზის გამტარი მოწყობილობა, დამტკიცებული პროექტების შესაბამისად;



წყლის კაბურღილები — წყლის მარეგულირებელი მოწყობილობებით მათი აღჭურვის გარეშე და, შესაბამის შემთხვევებში, სანიტარიული დაცვის ზონების დადგენის გარეშე;

თვითმავალი და არათვითმავალი ხომალდები, რომელთაც არ გააჩნიათ ხომალდზე წარმოქმნილი ტექნიკური და სხვა გამდინარე წყლების ასაკრები მოწყობილობა.

აკრძალულია წყალსაცავების ავსება, ვიდრე არ განხორციელდება მათი კალაპოტის მოსამზადებლად პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები.

მუხლი 17. წყლის ობიექტებზე და სანაპირო ზოლებში (ზონებში) სამუშაოთა წარმოების წესები

წყლის ობიექტებზე ან წყალსატევების სანაპირო ზოლებში (ზონებში) სამშენებლო, ფსკერ-გასაღრმავებელი და ასაფეთქებელი სამუშაოები, მასარგებლო წიაღისეულის და წყლის მცენარეთა მოპოვება, კაბელის, მილსადენების და სხვა კომუნიკაციების გაყვანა, ტყის გაჩეხა, საბურღი, სასოფლო-სამეურნეო და სხვა სამუშაოების ჩატარება, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლის მდგომარეობაზე, წარმოებს წყლის გამოყენების მოწყობისას და დაცვის ორგანოებთან, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან და სხვა ორგანოებთან შეთანხმებით სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

სანაპირო ზოლების (ზონების) გამოყენება იმ სამუშაოების ჩასატარებლად, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლის მდგომარეობაზე, საჭირო შემთხვევაში (როცა მიწის ნაკვეთები არ ჩამოერთმევათ მიწით მოსარგებლებს), შეთანხმებულ უნდა იქნეს აგრეთვე მიწით მოსარგებლებთან.

მუხლი 18. წყალსატევის სანაპირო ზოლი (ზონა)

წყალსატევის სანაპირო ზოლებს (ზონებს) მიეკუთვნება წყალმომარაგების წყაროთა სანიტარიული დაცვის ზონის პირველი და მეორე სართული, შიდა წყალსავალი გზების სანაპირო ზოლი, მაგისტრალური და სამეურნეობათაშორისო არხების გასხვისების ზოლი, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ზოლები (ზონები).

პ ა რ ი II

წყალსარგებლობა

მ ა მ ი V

წყალმოსარგებლები, წყალსარგებლობის ობიექტები და სახეობები

მუხლი 19. წყალმოსარგებლენი

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში წყალმოსარგებლენი შეიძლება იყვნენ სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები და სსრ კავშირის მოქალაქენი.

სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში წყალმოსარგებლენი შეიძლება იყვნენ აგრეთვე სხვა ორგანიზაციები და პირები.

მუხლი 20. წყალსარგებლობის ობიექტები

სარგებლობისათვის გადაეცემა წყლის ობიექტები, რომლებიც ჩამოთვლილია ამ კოდექსის მე-5 მუხლში.

მუხლი 21. წყლის ობიექტებით სარგებლობის მთლიანად ან ნაწილობრივ აკრძალვა

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად, იმ წყლის ობიექტებით სარგებლობა, რომელთაც აქვთ განაყოფიერებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ან განსაკუთრებული სამეცნიერო თუ კულტურული ღირებულება, შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ აიკრძალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 22. წყალსარგებლობის სახეობანი, რომლებიც განსხვავდებიან ძირითადი მიზნობრივი დანიშნულებით

წყლის ობიექტები, კანონით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და პირობების დაცვით, სარგებლობისათვის გადაეცემა სასამელოდ და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო, სამეურნეო, საკურორტო, გამაჯანსაღებელ თუ სხვა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, ენერგეტიკული, სატრანსპორტო, თევზსამეურნეო და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის. წყლის ობიექტები სარგებლობისათვის შეიძლება გადაეცეს ერთი ან რამდენიმე მიზნისათვის. წყლის ობიექტების გამოყენება ჩამდინარი წყლების ჩასაშვებად შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევებში და იმ სპეციალური მოთხოვნებისა და პირობების დაცვით, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის კანონმდებლობით, ამ კოდექ-

სის მე-80-82-ე მუხლებით და საქართველოს სსრ სხვა კანონმდებლობით.

0 1 3 0 VI

მუხლი 23. საერთო და სპეციალური წყალ-სარგებლობა

ერთმანეთისაგან არჩევენ საერთო წყალსარგებლობას — ხორციელდება ისეთი ნაგებობების ან ტექნიკური მოწყობილობის გამოუყენებლად, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლის მდგომარეობაზე, და სპეციალურ წყალსარგებლობას — ხორციელდება ასეთი ნაგებობების ან მოწყობილობის გამოყენებით. სპეციალურ წყალსარგებლობას, ცალკეულ შემთხვევებში, შეიძლება მიეკუთვნოს აგრეთვე, ნაგებობათა ან ტექნიკურ მოწყობილობათა გამოუყენებლად წყლის ობიექტებით სარგებლობა, თუმცა ეს გავლენას ახდენს წყლის მდგომარეობაზე.

სპეციალური წყალსარგებლობის სახეობათა ნუსხას ადგენს წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოები.

მუხლი 24. ერთობლივი და განკერძოებული წყალსარგებლობა

წყლის ობიექტები შეიძლება იყოს ერთობლივი ან განკერძოებულ სარგებლობაში.

განკერძოებულ სარგებლობაშია ის წყლის ობიექტები ან მათი ნაწილები, რომლებიც სათანადო სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით გადაცემული აქვს სარგებლობისათვის საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას.

ერთობლივ სარგებლობაშია ის წყლის ობიექტები ან მათი ნაწილები, რომლებიც არ არიან გადაცემული განკერძოებულ სარგებლობაში.

მუხლი 25. პირველადი და მეორეული წყალ-სარგებლობა

საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც წყლის ობიექტები გადაცემული აქვთ განკერძოებულ სარგებლობაში — პირველად წყალმოსარგებლებებს, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, უფლება აქვთ სხვა საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და მოქალაქეებს მისცენ მეორეული წყალსარგებლობის ნებართვა წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოებთან შეთანხმებით.

მეორეული წყალსარგებლობის ნებართვაში უნდა აღინიშნოს წყლის ობიექტით სარგებლობის მიზანი და ძირითადი პირობები.

საჭიროების შემთხვევაში, მეორეული წყალსარგებლობის პირობები, მხარეთა ურთიერთ-უფლებები და მოვალეობები გაფორმდება ხელშეკრულებით პირველად და მეორეულ წყალმოსარგებლეთა შორის.

წყლის ობიექტების სარგებლობაში გადაცემის წესი და პირობები

მუხლი 26. მოსახლეობის დაკმაყოფილება უპირველეს ყოვლისა სასმელი და საყოფაცხოვრებო საჭიროების წყლით

წყლის ობიექტები გადაეცემათ უპირველეს ყოვლისა სასმელი და საყოფაცხოვრებო საჭიროების წყლით მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად.

მუხლი 27. წყლის ობიექტებით სარგებლობის პირობები

წყალსარგებლობა ხორციელდება უფასოდ. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად, იმ შემთხვევაში და იმ წესით, რომელსაც ადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, სპეციალური წყალსარგებლობა შეიძლება იქნეს ფასიანი.

მუხლი 28. წყლის ობიექტების განკერძოებული სარგებლობისათვის გადაცემის საფუძვლები

წყლის ობიექტები, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით, განკერძოებული სარგებლობისათვის მთლიანად ან ნაწილობრივ ეძლევათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ან ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილების, მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ან სხვა საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

დადგენილებაში ან გადაწყვეტილებაში წყლის ობიექტის განკერძოებულ სარგებლობაში გადაცემის შესახებ უნდა აღინიშნოს ობიექტის გადაცემის მიზანი და მისი გამოყენების ძირითადი პირობები.

წყლის ობიექტის განკერძოებულ სარგებლობაში გადაცემის შესახებ შეუამდგომლობის აღძვრისა და განხილვის წესს ადგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

მუხლი 29. წყლის ობიექტებით განკერძოებული სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები

წყალმოსარგებლეთა უფლება წყლის ობიექტებით განკერძოებულ სარგებლობაზე დასტურდება წყალსარგებლობის უფლებაზე სახელმწიფო აქტებით, რომელსაც გასცემენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

აქტების ფორმებს აწესებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

მუხლი 30. სპეციალური წყალსარგებლობისათვის ნებართვის გაცემის წესი



სპეციალური წყალსარგებლობა ხორციელდება წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოების ნებართვის საფუძველზე, ხოლო იმ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის კანონმდებლობით და ამ კოდექსის 31-ე მუხლით — მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ნებართვის საფუძველზე. ასეთი ნებართვა გაცემა სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის, თევზის მარაგის დაცვის ორგანოებთან, აგრეთვე სხვა დაინტერესებულ ორგანოებთან შეთანხმების შემდეგ.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სპეციალური წყალსარგებლობისათვის ნებართვის შეთანხმებისა და გაცემის წესს ადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

მუხლი 31. სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვა, რომელსაც გაცემენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები

მიწისქვეშა წყლით სარგებლობის ნებართვას სოფლის დასახლებული პუნქტების, დაბების და ქალაქების ტერიტორიაზე გასატრეული შახტური ქების, ჩასასობილიანი ფილტრირებული ქების, აგრეთვე წყაროების კაბაჟების მოწყობის მეშვეობით, თუ ისინი მოქმედებენ ისე, რომ არ ხდება წყლის დონის იძულებითი დაწევა, გაცემენ მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი სასოფლო, საღაბო და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

სახელმწიფო მარაგისა და სახელმწიფო სატყეო ფონდის მიწებზე აღნიშნული ქებისა და კაბაჟების მოწყობის ნებართვას გაცემენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

რაიონის, ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ჩაკეტილი (არაგამდინარი) ზედაპირული წყალსატევებით სპეციალური წყალსარგებლობა ხორციელდება მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

მუხლი 32. საერთო წყალსარგებლობის განხორციელების წესი

საერთო წყალსარგებლობა ხორციელდება ნებართვის გარეშე იმ პირობით, თუ დაცული იქნება სანიტარული ზედამხედველობის, თევზის მარაგის დაცვის ორგანოების, ნაოსნობის და ხეტყის დაცურების მომწესრიგებელ ორგანოთა მოთხოვნები, აგრეთვე წყალზე ადამიანების სიცოცხლის დაცვისა და წყლის რაციონალურად გამოყენების წესები.

მუხლი 33. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების უფლება — განსაზღვრონ საერთო წყალსარგებლობის პირობები

მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის, აგრეთვე საწარმოო და სხვა თვალსაზრისით მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, საღაბო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტები, წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოების წარდგინებით და სანიტარული ზედამხედველობის, თევზის მარაგის დაცვის და სხვა დაინტერესებული ორგანოების წარდგინებით, დაადგენენ ადგილებს, სადაც აკრძალულია ბანაობა ნავით სეირნობა, წყლის აღება სასმელად და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის, პირუტყვის დარწყულება, და აგრეთვე განსაზღვრონ სხვა პირობები საერთო წყალსარგებლობისა.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ვალდებულია გამოაცხადოს მის მიერ დადგენილი საერთო წყალსარგებლობის პირობები.

მუხლი 34. საერთო წყალსარგებლობა განკერძოებულ სარგებლობაში გადაცემულ წყლის ობიექტებზე

განკერძოებულ სარგებლობაში გადაცემულ წყლის ობიექტებზე საერთო წყალსარგებლობა დასაშვებია იმ პირობების დაცვით, რომლებიც დადგენილია პირველადი წყალმოსარგებლის მიერ წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოებთან შეთანხმებით, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება აკრძალული იქნეს.

პირველადი წყალმოსარგებელ ვალდებულია გამოაცხადოს მისთვის განკერძოებულ სარგებლობაში გადაცემული წყლის ობიექტებზე საერთო წყალსარგებლობის პირობები ან მისი აკრძალვა.

თუ პირველადმა წყალმოსარგებელმა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა არ გამოაცხადეს განკერძოებულ სარგებლობაში გადაცემულ წყლის ობიექტებზე საერთო წყალსარგებლობის პირობები ან მისი აკრძალვა, საერთო წყალსარგებლობა აღიარებული იქნება ნებადართულად, შეზღუდვის გარეშე, წყლის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 35. წყალსარგებლობის ვადები

წყლის ობიექტები გადაეცემა უვადო ან დროებითი სარგებლობისათვის.

წყალსარგებლობა ჩაითვლება უვადოდ (მუდმივად), თუ წინასწარ არ არის დადგენილი წყალსარგებლობის ვადა.

დროებითი სარგებლობა შეიძლება იყოს მოკ-



ლევდიანი — 3 წლამდე და გრძელვადიანი — სამიდან ოცდახუთ წლამდე. აუცილებლობის შემთხვევაში წყალსარგებლობის ვადები შეიძლება გაგრძელდეს იმ ვადით, რომელიც არ აღემატება შესაბამისად მოკლევადიან ან გრძელვადიან დროებით სარგებლობას.

საერთო წყალსარგებლობა ვადით არ იზღუდება.

თ ა ვ ი VII

წყალმოსარგებლეთა უფლებები და მოვალეობები

მუხლი 36. წყლის ობიექტების მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენება

წყალმოსარგებლებებს უფლება აქვთ ისარგებლონ წყლის ობიექტებით მხოლოდ იმ მიზნისათვის, რისთვისაც ეს ობიექტები მიეცათ.

მუხლი 37. წყალმოსარგებლეთა უფლებები

სარგებლობისათვის გადაცემული წყლის ობიექტების მიზნობრივი დანიშნულების შესაბამისად, წყალმოსარგებლებებს უფლება აქვთ დადგენილი წესით —

1) მოიპოვონ წყალი მისი შემდგომი გამოყენებისათვის;

2) აწარმოონ წყლის ობიექტების ექსპლუატაცია სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ჰიდროენერგეტიკის, ტრანსპორტის, თევზისა და სამონადირეო მეურნეობის საჭიროებისათვის;

3) აღმართონ წყალსამეურნეო (ჰიდროტექნიკური) ნაგებობები და მოწყობილობები და აგრეთვე განახორციელონ მათი რეკონსტრუქცია და რევიზია;

4) წყლის ობიექტები გამოიყენონ დასვენებისათვის, სპორტული და გამაჯანსაღებელი ღონისძიებების გასატარებლად, ბუნებრივ კომპლექსთა სასურველი მდგომარეობის შესანარჩუნებლად, აგრეთვე წყლის ობიექტებით სარგებლობის იმ სხვა მოქმედებათა განსახორციელებლად, რომლებიც კანონით არ არის აკრძალული.

მუხლი 38. წყალმოსარგებლეთა უფლებების შეზღუდვა

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში წყალმოსარგებლეთა უფლებები შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფო ინტერესების, აგრეთვე სხვა წყალმოსარგებლეთა ინტერესების გამო, მაგრამ ამით არ უნდა გაუარესდეს მოსახლეობის სასამელი და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობის პირობები.

წყლის მანვე ზემოქმედებით გამოწვეული სტიქიური უბედურების თავიდან ასაცილებლად და სალიკვიდაციოდ გადაუდებელ ღონისძიებათა განხორციელებისას წყალმოსარგებლეთა უფლე-

ბების შეზღუდვას აწესრიგებს ამ კოდექსის 108-ე მუხლი.

წყლის ობიექტით განკერძოებული სარგებლობის უფლება შეიძლება შეზღუდოს იმ ორგანომ, რომელმაც გასცა ეს ობიექტი განკერძოებულ სარგებლობისათვის; სპეციალური წყალსარგებლობის უფლებები — „იმ ორგანომ, რომელმაც გასცა სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვა; მეორეული წყალსარგებლობის უფლებები — პირველადი წყალმოსარგებლემ წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანობათან შეთანხმებით.

საერთო წყალსარგებლობის უფლება შეიძლება შეიზღუდოს იმ შემთხვევაში და იმ წესით, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 33-ე და 34-ე მუხლებით.

მუხლი 39. წყალმოსარგებლეთა მოვალეობანი

წყალმოსარგებლენი მოვალენი არიან:

1) რაციონალურად გამოიყენონ წყლის ობიექტები, იზრუნონ წყლის ეკონომიურად ხარჯვისათვის, მისი ხარისხის აღდგენისა და გაუმჯობესებისათვის;

2) განახორციელონ ღონისძიებანი, რათა საესეებით შეწყდეს გამაქუჭყიანებელ ნივთიერებათა შემცველი ჩამდინარი წყლების ჩაშვება წყლის ობიექტებში;

3) არ დაუშვან, რომ დაირღვეს სხვა წყალმოსარგებლეთათვის მიცემული უფლებები, რომელთა შიანი მიადგეს სამეურნეო და ბუნებრივ ობიექტებს (მიწას, ტყეებს, ცხოველთა სამყაროს, სასარგებლო წიაღისეულს და სხვ.);

4) წესრიგში იქონიონ გამწმენდი და სხვა წყალსამეურნეო ნაგებობანი და ტექნიკური მოწყობილობანი, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლის მდგომარეობაზე, გააუმჯობესონ მათი საექსპლუატაციო ხარისხი, დადგენილ შემთხვევებში აწარმოონ წყლით სარგებლობის აღრიცხვა.

მუხლი 40. წყალმოსარგებლეთა წახალისება წყლის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის ღონისძიებათა განხორციელებისათვის

წყალმოსარგებლეთა წახალისების ზომებს, რომლებიც სტიმულს აძლევს წყლის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის საერთო სასარგებლო ღონისძიებათა განხორციელებას, ადგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

მუხლი 41. წყალმოსარგებლეთა უფლებების დაცვა

წყალმოსარგებლეთა უფლებებს იცავს კანონი.

დარღვეული უფლება აღდგენილ უნდა იქნეს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.



თ ა ვ ი VIII

წყალსარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძვლები და წესი

მუხლი 42. წყალსარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძვლები

საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და მოქალაქეებს წყალსარგებლობის უფლება უნდა შეუწყდეთ შემდეგ შემთხვევებში:

- 1) წყალსარგებლობის საჭიროების გავლის ან მასზე უარის თქმისას;
- 2) წყალსარგებლობის ვადის გასვლისას;
- 3) საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ლიკვიდაციისას;
- 4) წყალსამეურნეო ნაგებობების სხვა წყალმოსარგებლებებისათვის გადაცემისას;
- 5) წყლის ობიექტების განკერძოებულ წყალსარგებლობიდან ჩამორთმევის აუცილებლობისას.

საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და მოქალაქეებს წყალსარგებლობის უფლება (გარდა სასმელად და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის წყლის გამოყენების უფლებისა) შეიძლება შეუწყდეთ აგრეთვე წყლის სარგებლობისა და მისი დაცვის წესების დარღვევის შემთხვევაში, ან წყლის ობიექტის არა იმ მიზნით გამოყენებისათვის, რომლისთვისაც ის იყო გაცემული.

საქართველოს სსრ კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და მოქალაქეთა წყალსარგებლობის უფლების შეწყვეტის სხვა საფუძვლებიც.

მუხლი 43. წყალსარგებლობის უფლების შეწყვეტის წესი

წყალსარგებლობის უფლების შეწყვეტა ხდება შემდეგი გზით:

სპეციალური წყალსარგებლობის, აგრეთვე მეორეული წყალსარგებლობის ნებართვის გაუქმებით;

განკერძოებული სარგებლობისათვის გადაცემული წყლის ობიექტების ჩამორთმევით.

სპეციალური წყალსარგებლობა წყდება იმ ორგანოს გადაწყვეტილებით, რომელმაც ამის ნებართვა გასცა.

მეორეული წყალსარგებლობა შეიძლება შეწყდეს პირველადი წყალმოსარგებლის გადაწყვეტილებით, წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოსთან შეთანხმებით.

მუხლი 44. განკერძოებული სარგებლობიდან წყლის ობიექტების ჩამორთმევის წესი

განკერძოებული სარგებლობიდან წყლის ობიექტების ჩამორთმევა ხდება სსრ კავშირისა და

საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების განკერძოებული სარგებლობიდან წყლის ობიექტების ჩამორთმევა ხდება იმ წყალმოსარგებლებთან და სამინისტროებთან თუ უწყებებთან შეთანხმებით, რომლებსაც ისინი უშუალოდ ექვემდებარებიან.

მუხლი 45. წყალსამეურნეო ღონისძიებათა გატარებით, წყალსარგებლობის შეწყვეტით ან პირობების შეცვლით მიყენებული ზარალის ანაზღაურება

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად წყალსამეურნეო ღონისძიებათა (ჰიდროტექნიკური სამუშაოები და სხვა) ჩატარებით, აგრეთვე წყალსარგებლობის შეწყვეტით თუ პირობების შეცვლით საწარმოებისათვის, ორგანიზაციებისათვის, დაწესებულებებისა და მოქალაქეებისათვის მიყენებული ზარალი უნდა ანაზღაურდეს იმ შემთხვევებში და იმ წესით, რომელსაც ადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

თ ა ვ ი IX

სასმელად და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო თუ სხვა საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობა

მუხლი 46. წყლის ობიექტები, რომლებსაც გადასცემენ სასმელად და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო თუ სხვა საჭიროებისათვის

სასმელად და საყოფაცხოვრებო წყალმომარაგებისათვის, აგრეთვე მოსახლეობის სხვა საჭიროებისათვის გადაეცემათ წყლის ობიექტები, რომელთა წყლის ხარისხი შეესაბამება დადგენილ სანიტარიულ მოთხოვნებს.

წყლის ობიექტებით აღნიშნული საჭიროებისათვის სარგებლობა ხორციელდება როგორც ცენტრალიზებული, ისე არაცენტრალიზებული წესით.

მუხლი 47. მოსახლეობის წყალმომარაგება ცენტრალიზებული წესით

სასმელად და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო თუ სხვა საჭიროებისათვის ცენტრალიზებული წყალმომარაგების წესით წყლის ობიექტებით სარგებლობისას, საწარმოებს, დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, რომელთა ოპერატიულ მმართველობაში, საკუთრებაში ან სარგებლობაშია სამეურნეო-სასმელი წყალსადენები, უფლება აქვს აიღონ წყალი მომარაგების სათანადო წყაროებიდან დადგენილი წესით

დამტკიცებულ წყალამღებ ნაგებობათა პროექტებისა და სასმელი წყლის წარმოებისა და მომხმარებლისათვის მიწოდების შესახებ სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვის შესაბამისად.

ამ მუხლში აღნიშნული საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები მოვალენი არიან უზრუნველყონ აღებული წყლის აღრიცხვა, სისტემატური დაკვირვება აწარმოონ წყალმომარაგების წყაროებში წყლის მდგომარეობაზე და აცნობონ წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოებს, სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოებს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს წყაროებში წყლის ხარისხის დაწესებული ნორმატივებისაგან გადახვევის შესახებ.

მუხლი 48. მოსახლეობის წყალმომარაგება არაცენტრალიზებული წესით

სასმელად და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო თუ სხვა საჭიროებისათვის არაცენტრალიზებული წყალმომარაგების წესით წყლის ობიექტებით სარგებლობისას საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს უფლება აქვთ აიღონ წყალი უშუალოდ ზედაპირული ან მიწისქვეშა წყაროებიდან საერთო ან სპეციალური წყალსარგებლობის წესით.

ამ მიზნებისათვის განკუთვნილი წყალამღები ნაგებობებით სარგებლობა წარმოებს მშრომელთა დეპუტატების იმ სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტების მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, რომელთა ტერიტორიაზეცაა განლაგებული წყალამღები ნაგებობები.

წყალმოსარგებლენი ვალდებული არიან უზრუნველყონ აღნიშნულ წყალამღებ ნაგებობათა სათანადო სანიტარიულ-ტექნიკური მდგომარეობა.

მუხლი 49. სასმელად ვარგისი მიწისქვეშა წყლის გამოყენება ისეთი საქმისათვის, რომელიც არ არის დაკავშირებული საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის და სასმელად წყლით მომარაგებასთან

სასმელად ვარგისი მიწისქვეშა წყლის გამოყენება ისეთი საქმისათვის, რომელიც არ არის დაკავშირებული საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის და სასმელად წყლით მომარაგებასთან, როგორც წესი, დაუშვებელია.

რაიონებში, სადაც არ არის საჭირო წყლის ზედპირული წყაროები და არის სასმელად ვარგისი მიწისქვეშა წყლის საკმარისი მარაგი, წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოებს შეუძლიათ ნება დართონ გამოყენებულ იქნეს ეს წყალი იმ მიზნებისათვის, რომელიც არაა დაკავშირებული საყოფაცხოვრებო

საჭიროებისათვის და სასმელად წყლით მომარაგებასთან.

თ ა ვ ი X

წყლის ობიექტებით სარგებლობა სამკურნალოდ, საკურორტო და გამაჯანსაღებელი მიზნით

მუხლი 50. სამკურნალო კატეგორიისათვის მიკუთვნებულ წყლის ობიექტების გამოყენება უპირველეს ყოვლისა სამკურნალოდ და საკურორტო მიზნით

სამკურნალო კატეგორიისათვის დადგენილი წესით მიკუთვნებულ წყლის ობიექტებს იყენებენ, უპირველეს ყოვლისა, სამკურნალოდ და საკურორტო მიზნით.

გამონაკლის შემთხვევებში, წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოებს შეუძლიათ, ჯანმრთელობის დაცვისა და კურორტების მართვის შესაბამის ორგანოებთან შეთანხმებით, ნება დართონ, რომ სამკურნალო კატეგორიის წყლის ობიექტები გამოყენებულ იქნეს სხვა მიზნებისათვის.

მუხლი 51. სამკურნალო კატეგორიის წყლის ობიექტებში ჩამდინარი წყლის ჩაშვების აკრძალვა

სამკურნალო კატეგორიის წყლის ობიექტებში ჩამდინარი წყლის ჩაშვება აკრძალულია.

მუხლი 52. დასვენებისა და სპორტისათვის წყლით სარგებლობის წესი

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად დასვენებისა და სპორტისათვის წყლით სარგებლობის წესი განისაზღვრება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით.

დასვენებისა და სპორტისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობა დაიშვება განსაკუთრებული ნებართვის გარეშე.

მასობრივი დასვენებისა და სპორტისათვის წყლის ობიექტებს იყენებენ იმ ადგილებში, რომლებიც დადგენილია მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის, თევზის მარაგის დაცვის, წყალზე მამკველო საზოგადოების ორგანოებთან შეთანხმებით, ხოლო სანაოსნო გზებზე — ნაოსნობის მომწესრიგებელ ორგანოებთან შეთანხმებით.

მასობრივი დასვენების ორგანიზებულად ჩატარებისა და სპორტის განვითარების უზრუნველყოფის მიზნით წყლის ობიექტები მთლიანად ან ნაწილობრივ შეიძლება გადაეცეს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს განკერძოებულ სარგებლობაში.

დასვენებისა და სპორტისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობა შეიძლება აიკრძალოს ან



შევიზღუდოს ამ კოდექსის 33-ე და 34-ე მუხ-
ლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და
წესით.

მუხლი 53. წყლის ობიექტებით სარგებლობა
სამაშობურად და სპორტული მეთევზეობისათ-
ვის

დასაშვებია მეთევზეობის წესების დაცვით სა-
შობურად და სპორტული მეთევზეობისათ-
ვის წყლის ობიექტებით სარგებლობა, გარდა
ნაკრძალებისა, თევზსანაშენებისა, თევზწარმოე-
ბის კულტურული მეურნეობებისა, აგრეთვე სხვა
ადგილებისა, სადაც მეთევზეობა აკრძალულია.

მუხლი 54. წყლის ობიექტებით სარგებლობა
მცირე ზომის ზომალდებით ნაოსნობისათვის

მცირე ზომის ზომალდებით (მოტორიანი და
წინიანი ნაგებობით, კატერებით, იალქნიანი იახ-
ტით და სხვ.) ნაოსნობისათვის წყლის ობიექტე-
ბით სარგებლობა დასაშვებია მცირე ზომიანი
ზომალდებით სარგებლობის დამტკიცებული წე-
სების დაცვით.

თ ა ვ ი X I

სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის
წყლის ობიექტებით სარგებლობა

მუხლი 55. სოფლის მეურნეობის საჭიროები-
სათვის წყლის ობიექტებით საერთო და სპეცია-
ლური სარგებლობა

სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის
წყლის ობიექტებით სარგებლობა ხორციელდებ-
ა როგორც საერთო, ისე სპეციალური წყალ-
სარგებლობის წესით.

სპეციალურ წყალსარგებლობისას იყენებენ
სარწყავ, გაწყლოვანების, დამშრობ და სხვა
წყალსამეურნეო ნაგებობებსა და მოწყობილო-
ბებს, რომლებიც ეკუთვნის სახელმწიფო ორგა-
ნიზაციებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურ-
ნეობებს და სხვა წყალმოსარგებლებებს.

მუხლი 56. სასოფლო-სამეურნეო წყალსარ-
გებლობის დაგეგვა

სარწყავ, გაწყლოვანების და სარწყავ-გაწყლო-
ვანების სისტემებში თუ სხვა წყალსამეურნეო
ობიექტებზე სასოფლო-სამეურნეო წყალსარგებ-
ლობა ხორციელდება დადგენილი წესით დამტ-
კიცებული შიდასამეურნეო და საერთო სასის-
ტემო წყალსარგებლობის გეგმების საფუძ-
ველზე.

სარწყავი, გაწყლოვანებისა და სარწყავ-
გაწყლოვანების სისტემების და სხვა წყალსამე-
ურნეო ობიექტების საექსპლუატაციო სამმართ-
ველოები საერთო სასისტემო წყალსარგებლობის
გეგმებს ადგენენ წყალმოსარგებლე ორგანიზა-
ციათა წყალსარგებლობის შიდასამეურნეო გეგ-
მების, აგრეთვე ამ კოდექსის მე-60 მუხლში მი-
ითებულ მოქალაქეთა და სხვა წყალმოსარგებ-

ლეთა მიერ წარდგენილი განაცხადების საფუძ-
ველზე.

მუხლი 57. სოფლის მეურნეობის საჭიროები-
სათვის წყლის ობიექტებით მოსარგებლეთა მო-
ვალეობანი

კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და
სხვა საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზა-
ციები და მოქალაქენი, რომლებიც წყლის ობი-
ექტებით სარგებლობენ სოფლის მეურნეობის
საჭიროებისათვის, მოვალენი არიან დაიცვან
წყალსარგებლობის დადგენილი გეგმები, წესე-
ბი, ნორმები და რეჟიმი, მიიღონ ზომები საპე-
ლიორაციო სისტემებიდან წყლის ფილტრაციო-
სა და აორთქლებით დანაკარგების შემცირების
სათვის, მათგან წყლის არარაციონალური გადაგ-
დების თვიდან აცილებისათვის, არ დაუშვან
თევზსამეურნეო წყალსატევებიდან თევზის მოხ-
ვედრა სამელიორაციო სისტემებში; აგრეთვე
შექმნან ნიადაგის ტენიანობის ყველაზე უფრო
ხელსაყრელი რეჟიმი.

მუხლი 58. მესაქონლეობის საჭიროებისათვის
წყლის ობიექტებით სარგებლობა

სამოვრებისა და საქონლის გადსარეკი ტრა-
სების ტერიტორიაზე განლაგებული წყლის ობი-
ექტები უზირატესად გადაეცემა მესაქონლეობის
საჭიროებისათვის, მოსახლეობის სასამელი და
საყოფაცხოვრებო საჭიროების წყლით დაკმაყო-
ფილების შემდეგ.

კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და სხვა
საწარმო და ორგანიზაცია, რომელიც აწორციე-
ლებს საქონლის გადარეკვას, მოვალეა დაიცვას
საქონლის გადსარეკ ტრასაზე განლაგებული
წყალმომარაგების წყაროები და შესარულოს
წყალსამეურნეო ნაგებობათა და მოწყობილობა-
თა ექსპლუატაციის წესები.


მუხლი 59. წყალსამეურნეო ნაგებობებზე სა-
ქონლის გადადენის და ტრანსპორტის გავლის
აკრძალვა

აკრძალულია საქონლის გადადენა, სასოფლო-
სამეურნეო მანქანებისა და სატრანსპორტო სა-
შუალებათა გავლა არხებზე და სხვა წყალსამე-
ურნეო ნაგებობებზე იმ ადგილებში, რომლებიც
სპეციალურად ამ დანიშნულებისათვის არ არის
განკუთვნილი.

მუხლი 60. სასამხურო მიწის ნაკვეთების,
საკარმიდამო და სხვა მეურნეობათა წყლით უზ-
რუნველყოფა

წყალმოსარგებლე ორგანიზაციის ტერიტო-
რიაზე (კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა
და სხვ.) მცხოვრები კოლმეურნეების, მეშენის,
მოსამახურებების და სხვა მოქალაქეთა საკარ-
მიდამო მეურნეობას წყლით უზრუნველყოფს
წყალმოსარგებლე ორგანიზაცია დამტკიცებული
გეგმის შესაბამისად.

წყალმოსარგებლე ორგანიზაციის ტერიტორი-



ის გარეთ განლაგებული სასამსახურო მიწის ნაკვეთების, სკარმიდამო მეურნეობის და ბოსტნების, მებაღეობისა და მებოსტნეობის ამხანაგობის, აგრეთვე ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის წყლით მომარაგება ხდება მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დადგენილი წესით, წყალსარგებლობის გეგმის შესაბამისად.

მუხლი 61. ჩამდინარი წყლებით მორწყვა
სასოფლო-სამეურნეო მიწების მორწყვა ჩამდინარი წყლებით დასაშვებია წყლის გამოყენების მოწყობისა და დაცვის ორგანოების ნებართვით სახელმწიფო სანიტარიული და ვეტერინარული ზედამხედველობის ორგანოებთან შეთანხმებით.

მუხლი 62. ტყით, ტყის ზოლებით და ტყის სანერგეებით დაკავებული მიწების მორწყვა და ამოშრობა

ამ კოდექსის 55-ე, 57-ე და 61-ე მუხლებით გათვალისწინებული დებულებები ვრცელდება აგრეთვე იმ მიწების მორწყვასა და ამოშრობაზე, რომლებიც უკავია ტყეს, ტყის ზოლებსა და ტყის სანერგეებს.

თ ა ვ ი XII

სამრეწველო მიწებით და ჰიდროენერგეტიკის საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობა

მუხლი 63. სამრეწველო მიწებით წყლის ობიექტებით მოსარგებლეთა მოვალეობანი

წყალმოსარგებლენი, რომლებიც წყლის ობიექტებით სარგებლობენ სამრეწველო მიწებით, მოვალენი არიან დაიცვან წყალსარგებლობის დადგენილი გეგმები, ტექნოლოგიური ნორმები და წყალსარგებლობის წესები, აგრეთვე მიიღონ ზომები წყლის ხარჯის შესამცირებლად და ჩამდინარი წყლების ჩაშვების შესაწყვეტად წარმოების ტექნოლოგიისა და წყალმომარაგების სქემების სრულყოფის გზით (უწყლო ტექნოლოგიური პროცესების, ჰაერით გაციების, ბრუნვითი წყალმომარაგებისა და სხვა ტექნოლოგიური ზეარების გამოყენებით).

მუხლი 64. სამრეწველო მიწებით სასმელი წყლის გამოყენების შეზღუდვა ან აკრძალვა

მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს სტიქიური უბედურების, ავარიისა და სხვა განსაკუთრებული შემთხვევების დროს, აგრეთვე საწარმოების მიერ წყალსადენიდან წყლის მოხმარების დადგენილი ლიმიტის გადახარჯვისას, უფლება აქვთ შეამცირონ ან აკრძალონ სამრეწველო მიწებით სასმელი წყლის გამოყენება კომუნალური წყალსადენებიდან, დროებით შეზღუდონ — ჰაუწყებო სამეურნეო-სასმელი წყალსადენები-

დან, მოსახლეობის უპირველესად ყოვლისა სასმელი და საყოფაცხოვრებო საჭიროების წყლით დაკმაყოფილების მიზნით.

მუხლი 65. ტექნიკური წყალმომარაგებისა და სხვა საწარმოო მიწებისათვის მიწისქვეშა წყლის გამოყენება

მიწისქვეშა წყალი (მტკნარი, მინერალური, თერმული), რომელიც არ განეკუთვნება სასმელ ან სამკურნალო წყლების კატეგორიას, შეიძლება დადგენილი წესით გამოყენებულ იქნეს ტექნიკური წყალმომარაგებისათვის, მისი შემადგენლობიდან ქიმიური ელემენტების ამოსაღებად, თბოენერგიის მისაღებად და სხვა საწარმოო საჭიროებისათვის წყლის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

მუხლი 66. ჰიდროენერგეტიკის საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობა

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად წყლის ობიექტებით სარგებლობა ჰიდროენერგეტიკის საჭიროებისათვის ხორციელდება სახალხო მეურნეობის სხვა დარგთა ინტერესების გათვალისწინებით, აგრეთვე წყლის კომპლექსური გამოყენების მოთხოვნათა დაცვით, თუ სხვა რამ პირდაპირ არ არის გათვალისწინებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, ხოლო შესაბამის შემთხვევებში — წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოს გადაწყვეტილებით.


თ ა ვ ი XIII

წყლის ტრანსპორტის და ხე-ტყის დაცურების საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობა

მუხლი 67. საერთო სარგებლობის სანაოსნო გზები

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, არხები, შიდა ზღვები და სსრ კავშირის სხვა შიდა საზღვაო წყლები, აგრეთვე სსრ კავშირის ტერიტორიული წყლები (ტერიტორიული ზღვა) წარმოადგენენ საერთო სარგებლობის სანაოსნო გზებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მათი ამ მიზნისათვის გამოყენება მთლიანად ან ნაწილობრივ აკრძალულია ან ისინი გადაცემული არიან განკერძოებულ სარგებლობაში.

წყალსავალი გზების სანაოსნო და ხე-ტყის დაცურების კატეგორიისათვის მიკუთვნების და აგრეთვე მათი ექსპლუატაციის წესი განისაზღ-



რება სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით.

მუხლი 68. ხე-ტყის გაშლილად დაცურების, აგრეთვე გემის წვეის გამოუყენებლად კონებად თუ ბადით შეკრული მერქნის დაცურების აკრძალვა

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად ხე-ტყის გაშლილად დაცურება, აგრეთვე კონებად თუ ბადით შეკრული მერქნის დაცურება გემის წვეის გამოუყენებლად აკრძალულია:

- 1) სანაოსნო გზებზე;
- 2) წყლის ობიექტებზე, რომელთა ნუსხას, თევზის მეურნეობისათვის, წყალმომარაგებისათვის ან სხვა სახალხო-სამეურნეო მიზნებისათვის მათი განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

დანარჩენ წყლის ობიექტებზე აღნიშნული სახის ხე-ტყის დაცურება დაიშვება წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, თევზის მარაგის დამცველ ორგანოებთან შეთანხმების შემდეგ.

მუხლი 69. ხე-ტყის დამცურებელი ორგანიზაციების მოვალეობა გაწმინდონ დაცურების გზები

ხე-ტყის დამცურებელი ორგანიზაციები მოვალენ არიან რეგულარულად გაწმინდონ დაცურების გზები ჩაძირული მერქნისაგან.

თ ა ვ ი X I V

საპაერო ტრანსპორტის საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობა

მუხლი 70. საპაერო ტრანსპორტის საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობა

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად საპაერო ხომალდების გასაჩერებლად, ასაფრენად და დასაშვებლად, აგრეთვე საპაერო ტრანსპორტის სხვა საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობის წესს, განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

თ ა ვ ი X V

თევზის მეურნეობის საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობა

მუხლი 71. თევზის მეურნეობის საწარმოების და ორგანიზაციების წყალსარგებლობის უფლებები და მოვალეობები

საწარმოები, კოლმეურნეობები და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც სარგებლობენ თევზსა-

მეურნეო წყალსატევებით ან თევზის საოცნო უბნებით, დადგენილი წესით დამტკიცებულ საწარმოო გეგმების შესაბამისად ან წყალსატევებსა და უბნებზე ახორციელებენ თევზის მეურნეობისათვის აუცილებელ სამუშაოებს, აგრეთვე მისდევენ თევზის, წყლის სხვა ცხოველების და მცენარეთა მოპოვებას.

ისინი მოვალენი არიან თევზის მარაგის დაცვის ორგანოებთან შეთანხმებით წყალსატევების მდგომარეობის და თევზის მარაგის კვლავწარმოების პირობების გასაუმჯობესებლად ჩაატარონ თევზწარმოების და სამელოორაციო-ტექნიკური ღონისძიებები, აგრეთვე თევზის ჭერის ადგილებში სათანადო სანიტარიულ მდგომარეობაში იქონიონ სანაპირო უბნები.

მუხლი 72. თევზსამეურნეო წყალსატევებზე წყალმოსარგებლეთა უფლებების შეზღუდვა თევზის მეურნეობის ინტერესებისათვის

თევზსამეურნეო წყალსატევებში ან მათ ცალკეულ უბნებში, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ძვირფასი ჯიშის თევზის, აგრეთვე წყალზე რეწვის სხვა ობიექტების შენარჩუნებისა და კვლავწარმოებისათვის, წყალმოსარგებლეთა უფლებები შეიძლება შეზღუდულ იქნეს თევზის მეურნეობის ინტერესების შესაბამისად.

ასეთი წყალსატევების ან მათი უბნების ნუსხას და წყალსარგებლობის შეზღუდვის სახეობებს განსაზღვრავს წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოები თევზის მარაგის დაცვის ორგანოების წარდგენით.

მუხლი 73. თევზის მარაგის დაცვისა და კვლავწარმოების ღონისძიებანი

პიდროტექნიკურ და სხვა ნაგებობათა ექსპლუატაციისას თევზსამეურნეო წყალსატევებში თავის დროზე უნდა ხორციელდებოდეს თევზის მარაგის დაცვის და მისი კვლავწარმოების პირობების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

მუხლი 74. თევზსამეურნეო საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობის წესი


თევზსამეურნეო საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობის წესი განისაზღვრება სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით.

თ ა ვ ი X V I

სამონადირეო მეურნეობის საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობა

მუხლი 75. სამონადირეო მეურნეობის წარმოება-დაწესებულებათა წყალსარგებლობის უფლებები

მდინარეებზე, ტბებსა და წყლის სხვა ობიექტებზე, სადაც ბინადრობს მტურავი გარეულ-



ფრინველი და ძვირფასბეწვიანი ნადირი (თახვი, ონდატრა, ნუტრია და სხვა) წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოებს შეუძლიათ სამონადირეო მეურნეობათა საწარმოებსა და ორგანიზაციებს მისცენ წყალსარგებლობის უპირატესი უფლება, წყლის კომპლექსური გამოყენების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

მუხლი 76. სამონადირეო მეურნეობის საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობის წესი

სამონადირეო მეურნეობის საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობის წესს ადგენს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

სამონადირეო მეურნეობის საჭიროებისათვის (მცურავი ფრინველების და ბეწვიანი ნადირის მოშენება, მცენარეთა მოყვანა და სამონადირეო მეურნეობისათვის აუცილებელი სხვა ღონისძიებების გატარება) წყლის ობიექტებით სარგებლობა ხდება წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოებთან, სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ორგანოებთან, თევზის მარაგის დაცვის და სხვა დაინტერესებულ ორგანოებთან შეთანხმებით.

თ ა ვ ი XVII

ნაკრძალთა საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობა

მუხლი 77. ნაკრძალი წყლის ობიექტები

განსაკუთრებული მცნიერული ან კულტურული ღირებულების მქონე წყლის ობიექტი სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით ცხადდება ნაკრძალად და უვადო განკერძოებული სარგებლობისათვის გადაეცემა ნაკრძალებს ბუნების დაცვისა და მცნიერული კვლევის მიზნით.

წყლის ობიექტების ნაკრძალად გამოცხადება და ნაკრძალებისათვის მათი გადაცემა ხდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე.

ნაკრძალის წყლით სარგებლობის წესი განისაზღვრება დებულებით ნაკრძალების შესახებ.

მუხლი 78. ნაკრძალთა სარგებლობიდან წყლის ობიექტების ჩამორთმევა

ნაკრძალთა სარგებლობიდან წყლის ობიექტების ჩამორთმევა დაიშვება მხოლოდ განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე.

მუხლი 79. წყლის ობიექტების ცნობა ბუნების ან კულტურის ძეგლებად

მცნიერული და კულტურული ღირებულების მქონე წყლის ობიექტი, რომელიც არ არის გამოცხადებული ნაკრძალად, საქართველოს სსრ

მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით ცხადდება ბუნების ან კულტურის ძეგლად. გადაწყვეტილება ბუნების ან კულტურის ძეგლად წყლის ობიექტის გამოცხადების შესახებ და ამ ობიექტით სარგებლობის ძირითადი პირობების დადგენის შესახებ ეცნობება მოსახლეობას და დაინტერესებულ ორგანიზაციებს.

თ ა ვ ი XVIII

ჩამდინარი წყლის ჩასაშვებად წყლის ობიექტებით სარგებლობა

მუხლი 80. ჩამდინარი წყლის ჩასაშვებად წყლის ობიექტების გამოყენება

წყლის ობიექტების გამოყენება სამრეწველო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო, სადრენაჟო და სხვა ჩამდინარი წყლის ჩასაშვებად შეიძლება მხოლოდ წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოების ნებართვით სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის, თევზის მარაგის დაცვის ორგანოებთან, აგრეთვე სხვა დაინტერესებულ ორგანოებთან შეთანხმების შემდეგ.

მუხლი 81. წყლის ობიექტში ჩამდინარი წყლის ჩაშვების პირობები


წყლის ობიექტში ჩამდინარი წყლის ჩაშვება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ გამოიწვევს წყალში გამაჟუჭუყიანებელ ნივთიერებათა შემცველობის გაზრდის დადგენილი ნორმათა ზევით და თუ წყალმოსარგებლე ჩამდინარ წყლებს გაწმენდს იმ ღონემდე, რაც წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოების მიერ არის დადგენილი.

თუ აღნიშნული მოთხოვნები ირღვევა, წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოებმა უნდა შეზღუდონ, შეაჩერონ ან აკრძალონ ჩამდინარი წყლის ჩაშვება და, თუ საჭირო იქნება, საერთოდ შეწყვიტონ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, ცალკეული სამრეწველო დანადგარის, საამქროს მოქმედება.

იმ შემთხვევაში, თუ ეს ემუქრება მოსახლეობის ჯანმრთელობას, სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ორგანოებს უფლება აქვთ შეაჩერონ ჩამდინარი წყლის ჩაშვება და, თუ საჭირო იქნება, საერთოდ შეწყვიტონ საწარმოო და სხვა ობიექტების ექსპლუატაცია და ამის შესახებ აცნობონ წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოებს.

მუხლი 82. ჩამდინარი წყლის ჩასაშვებად წყლის ობიექტებით სარგებლობის წესი და პირობები

ჩამდინარი წყლის ჩასაშვებად წყლის ობიექტებით სარგებლობის პირობებსა და წესს ადგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.



ჩამდინარი წყლის ჩასაშვებად წყლის ობიექტებით სარგებლობა ხორციელდება სპეციალური წყალსარგებლობის ნებაართით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესაბამისად, მაგრამ იმ პირობით, რომ ყველა ღონისძიება, რომელიც უზრუნველყოფს წყლის ობიექტში ჩაშვებული ჩამდინარი წყლის გაწმენდას და გაუვნებლებას, განხორციელდება მშენებარე და რეკონსტრუქციაში მყოფი სამარეველო, კომუნალური და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ძირითად საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედებაში.

თ ა ვ ი XIX

ხანძარსაწინააღმდეგო და სხვა სახელმწიფოებრივი თუ

საზოგადოებრივი საქიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობა

მუხლი 86. ხანძარსაწინააღმდეგო და სხვა სახელმწიფოებრივი თუ საზოგადოებრივი საქიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობის წესი და პირობები

ხანძარსაწინააღმდეგო და აგრეთვე სხვა საქიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობის წესს ადგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

ხანძარსაწინააღმდეგო საქიროებისათვის წყლის აღება შეიძლება ყველა წყლის ობიექტიდან. აერთიანებულია ხანძარსაწინააღმდეგო საქიროებისათვის განკუთვნილი წყლის ობიექტიებიდან არაპირდაპირი დანიშნულებით წყლის გამოყენება.

თ ა ვ ი XX

წყალსაცავების ექსპლუატაცია

მუხლი 84. წყალსაცავების ავსებისა და დაცლის რეჟიმი

საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც ექსპლუატაციას უწევენ წყალსაცავების წყალსაყრდენ, წყალგამტარ თუ წყალსადებ ნაგებობებს, ვალდებული არიან დაიცვან წყალსაცავების ავსებისა და დაცლის რეჟიმი, რომელიც დადგენილია წყალსაცავების მოქმედების ზონაში მყოფ წყალმოსარგებლეთა და მიწით მოსარგებლეთა ინტერესების გათვალისწინებით.

მუხლი 85. წყალსაცავების ექსპლუატაციის წესი

წყალსაცავების ექსპლუატაცია განისაზღვრება თითოეული წყალსაცავის, კასადისა თუ წყალსაცავათა სისტემისათვის წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოების

მიერ დამტკიცებული წესებით, სახელმწიფო საინტარიული ზედამხედველობის, თევზის მარაგის დაცვის და სხვა დაინტერესებულ ორგანოებთან შეთანხმებით.

მუხლი 86. წყალსაცავების სათანადო ტექნიკური მდგომარეობისა და კეთილმოწყობის უზრუნველყოფელ ღონისძიებათა ორგანიზაცია და კოორდინაცია

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად, წყალსაცავების სათანადო ტექნიკური მდგომარეობისა და კეთილმოწყობის უზრუნველყოფელ ღონისძიებათა ორგანიზაციას და კოორდინაციას, აგრეთვე მათი ექსპლუატაციის წესების დაცვის კონტროლს ახორციელებენ წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 87. წყალსაცავებად გამოყენებულ ტბები და სხვა წყალსატევები

ამ კოდექსის 84-ე — 86-ე მუხლები ვრცელდება აგრეთვე წყალსაცავებად გამოყენებულ ტბებსა და სხვა წყალსატევებზე.

თ ა ვ ი XXI

საქართველოს სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე განლაგებული წყლის ობიექტით სარგებლობის მოწესრიგება

მუხლი 88. საქართველოს სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე განლაგებული წყლის ობიექტით სარგებლობის მოწესრიგება

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად საქართველოს სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე განლაგებული წყლის ობიექტით სარგებლობა იმ ნაწილში, რომელიც ეხება ამ რესპუბლიკების ინტერესებს, მოწესრიგდება დაინტერესებულ რესპუბლიკათა ორგანოების შეთანხმებით. გამოწვევის წარმოადგენს ის შემთხვევა, როდესაც წყლის ობიექტით სარგებლობის საკითხის გადაწყვეტა განეკუთვნება სსრ კავშირის კომპეტენციას.

თ ა ვ ი XXII

წყალსარგებლობის შესახებ დავის გადაწყვეტის წესი

მუხლი 89. წყალსარგებლობის შესახებ დავის გადაწყვეტი ორგანოები

წყალსარგებლობის შესახებ დავას გადაწყვეტს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, ავტონო-

მიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, აგრეთვე წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოები და სხვა საამისოდ რწმუნებული სახელმწიფო ორგანოები იმ წესით, რაც დადგინლია სსრ კავშირის კანონმდებლობით, ამ კოდექსითა და საქართველოს სსრ სხვა კანონმდებლობით.

მუხლი 90. საქართველოს სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკის წყალმოსარგებლეთა შორის დავის გადაწყვეტა

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად წყლით სარგებლობასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკის წყალმოსარგებლეთა შორის დავის განიხილავს კომისია, რომელიც იქმნება თანაბარ საწყისებზე საქართველოს სსრ და დაინტერესებული მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლებისაგან. იმ შემთხვევაში, თუ კომისიამ ვერ მიიღწია შეთანხმებას, დავა ამ საკითხზე განიხილება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

მუხლი 91. ავტონომიური რესპუბლიკების წყალმოსარგებლეთა შორის დავის გადაწყვეტა

ავტონომიური რესპუბლიკების წყალმოსარგებლეთა შორის წყალსარგებლობის შესახებ დავის განიხილავს დაინტერესებული ავტონომიური რესპუბლიკების წარმომადგენლებისაგან თანაბარ საწყისებზე შექმნილი კომისია. იმ შემთხვევაში, თუ კომისიამ ვერ მიიღწია შეთანხმებას, დავა ამ საკითხზე განიხილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

მუხლი 92. წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოების კომპეტენცია წყალსარგებლობის შესახებ დავის გადაწყვეტისას

წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოები გადაწყვეტენ დავას სპეციალური წყალსარგებლობის შესახებ, თუ მათ აქვთ სპეციალური სარგებლობის ნებართვის გაცემის უფლება იმ წყლის ობიექტზე, რომელიც სადავოა.

მუხლი 93. ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების კომპეტენცია წყალსარგებლობის შესახებ დავის გადაწყვეტისას

ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო, მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, გადაწყვეტს ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქის სხვადასხვა რაიონის წყალმოსარგებლეთა შორის არსებულ და-

ვას წყალსარგებლობის საკითხზე, გარდა ამ კოდექსის 92-ე მუხლით გათვალისწინებული დავისა.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი გადაწყვეტს დავას წყალსარგებლობის საკითხებზე ამ რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შორის, აგრეთვე ამ დაწესებულებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და მოქალაქეთა შორის, გარდა ამ კოდექსის 92-ე მუხლში გათვალისწინებული დავისა.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი გადაწყვეტს დავას წყალსარგებლობის საკითხებზე ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულ სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შორის, აგრეთვე დაწესებულებების, საწარმოების, ორგანიზაციების დავას მოქალაქეთან და დავას თვით მოქალაქეთა შორის, გარდა ამ კოდექსის 92-ე მუხლში გათვალისწინებული დავისა.


მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები გადაწყვეტენ დავას მოქალაქეთა შორის წყალსარგებლობის საკითხებზე, გარდა ამ კოდექსის 92-ე მუხლში გათვალისწინებული დავისა.

მუხლი 94. წყალსარგებლობის საკითხზე მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მიერ დავის განხილვის წესი

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი დავას წყალსარგებლობის საკითხზე განიხილავს ერთ-ერთი მოდავე მხარის განცხადების საფუძველზე.

წყალსარგებლობის საკითხზე დავის გადაწყვეტად მასალების მომზადებისათვის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს საჭიროების შემთხვევაში შეუძლია შექმნას კომისია მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს დეპუტატების, წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოების, სხვა დაინტერესებული ორგანოების წარმომადგენლების, წყალთა მეურნეობის, სოფლის მეურნეობისა და სხვა სპეციალისტებისაგან.

წყალსარგებლობასთან დაკავშირებული დავის განხილველი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას, რომელშიც შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მიღებულ გადაწყვეტილების შესრულების წესი და ღონისძიებები წყალსარგებლობის დარღვეული უფლების აღსადგენად.



მუხლი 95. საწყლო ურთიერთობასთან დაკავშირებული ქონებრივი დავის გადაწყვეტის წესი

საწყლო ურთიერთობასთან დაკავშირებული ქონებრივი დავა გადაწყდება სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით .

თ ა ვ ი X X I I I

წყალსარგებლობა სსრ კავშირის სასახლვრო წყლებზე

მუხლი 96. წყალსარგებლობა სსრ კავშირის სასახლვრო წყლებზე

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სსრ კავშირის სასახლვრო წყლებზე წყალსარგებლობა ხორციელდება საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე.

წყალსარგებლობა, თუ იგი სასახლვრო წყლების საბჭოთა ნაწილში მთლიანად არ არის მოწესრიგებული საერთაშორისო შეთანხმებით, რომელშიც მონაწილეობდა სსრ კავშირი, განხორციელდება სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

სსრ კავშირის სასახლვრო წყლებზე წყალსარგებლობის წესს ადგენენ კომპეტენტური ორგანოები სასახლვრო ჯარების სარდლობასთან შეთანხმებით.

ბ ა რ ი I I I

წყლის დაცვა და მისი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილება

თ ა ვ ი X X I V

წყლის დაცვა

მუხლი 97. წყლის დაცვა გაჭუჭყიანების, დანაგვიანებისა და დაშრობისაგან

წყალი (წყლის ყველა ობიექტი) დაცული უნდა იქნეს გაჭუჭყიანების, დანაგვიანებისა და დაშრობისაგან, რომლებსაც შეუძლია ზიანი მიყენონ მოსახლეობის ჯანმრთელობას და აგრეთვე შეამცირონ თევზის მარაგი, გააუარესონ წყალმომარაგების პირობები და გამოიწვიონ სხვა არასასურველი მოვლენები წყლის ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური თვისებების შეცვლის, ბუნებრივი გაწმენდის უნარის შემცირების, წყლის ჰიდროლოგიური და ჰიდროგეოლოგიური რეჟიმის დარღვევის შედეგად.

მუხლი 98. ღონისძიებათა გატარება წყლის დაცვის უზრუნველსაყოფად

საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზა-

ციები, რომელთა საქმიანობა გავლენას ახდენს წყლის მდგომარეობაზე, მოვალენი არიან წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოებთან, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან, სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის, თევზის მარაგის დაცვისა და სხვა დაინტერესებულ სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებით, ან საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მითითებით, განახორციელონ ტექნოლოგიური, სატყეო-სამელიორაციო, აგროტექნიკური, ჰიდროტექნიკური, სანიტარიული და სხვა ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ წყლის დაცვას გაჭუჭყიანების, დანაგვიანებისა და დაშრობისაგან, აგრეთვე წყლების მდგომარეობისა და რეჟიმის გაუმჯობესებას.

მუხლი 99. წყლის დაცვის ღონისძიებათა დაგეგვა

წყლის დაცვის ღონისძიებები გათვალისწინებული უნდა იქნეს სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმით.

თ ა ვ ი X X V

წყლის დაცვა გაჭუჭყიანებისა და დანაგვიანებისაგან

მუხლი 100. წყლის დაცვა ნაყარით, ნარჩენებითა და ჩამდინარი წყლებით გაჭუჭყიანებისა და დანაგვიანებისაგან


აკრძალულია წყლის ობიექტებში საწარმოო, საყოფაცხოვრებო და სხვა სახის ნაყარისა და ნარჩენების ჩაყრა. წყლის ობიექტებში ჩამდინარი წყლის ჩაშვება დასაშვებია მხოლოდ ამ კოდექსის მე-80—82-ე მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.

მუხლი 101. წყლის დაცვა საწარმოო პროდუქტების დანაყარებით გაჭუჭყიანებისა და დანაგვიანებისაგან.

წყლის ტრანსპორტის საშუალებათა, მილსადენების, წყლის ობიექტებზე არსებული მცურავი და სხვა ნაგებობების მფლობელნი, ხეტის დამცურებელი ორგანიზაციები, აგრეთვე სხვა საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები მოვალენი არიან არ დაუშვან წყლის გაჭუჭყიანება და დანაგვიანება ზეთის, მერკურის, ქიმიური, ნავთობის და სხვა პროდუქტების დანაყარებით.

მუხლი 102. წყალმემკრებების, წყალსატყეობის უინულის საფარის და მყინვარების ზედაპირის დაცვა გაჭუჭყიანებისა და დანაგვიანებისაგან

საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები მოვალენი არიან არ დაუშვან წყალმემკრებების, წყალსატყეობის უინულის საფარის და



მყინვარების ზედაპირის გატუქყიანება და და-
ნაგვიანება საწარმოო, საყოფაცხოვრებო და
სხვა ნაყარით, ნარჩენებითა და გამონაყოფით,
აგრეთვე ნავთობით და ქიმიური პროდუქტე-
ბით, რომელთა ჩამორეცხვა გამოიწვევს ზედაპი-
რული და მიწისქვეშა წყლების ხარისხის კაუ-
რესებას.

**მუხლი 103. სასუქებით და შხამქიმიკატებით
წყლების გატუქყიანების აცილება**

სახელმწიფო წყალსამეურნეო სისტემათა სამ-
მართველოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მე-
ურნეობები და სხვა საწარმოები, დაწესებულე-
ბები და ორგანიზაციები მოვალენი არიან აცი-
ლონ წყლების გატუქყიანება სასუქებით და
შხამქიმიკატებით.

**მუხლი 104. სანიტარიული დაცვის ოლქები
და ზონები**

იმ წყლის დაცვის მიზნით, რომელსაც იყენე-
ბენ სასმელად და საყოფაცხოვრებო დანიშნუ-
ლებით წყალმომარაგებისათვის, სამკურნალოდ,
მოსახლეობის საკურორტო და გამაჯანსაღებე-
ლი საჭიროებებისათვის, იქმნება სანიტარიული
დაცვის ოლქები და ზონები სსრ კავშირის და
საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბა-
მისად.

თ ა ვ ი XXVI

წყლის დაცვა დაშრობისაგან

**მუხლი 105. წყალდამცველი ტყის ზონები,
სატყეო-სამელიორაციო და სხვა ღონისძიებანი
დაშრობისაგან წყლის დასაცავად**

მდინარეების, ტბების, წყალსაცავების, მი-
წისქვეშა წყლების და წყლის სხვა ობიექტების
ზღვსაყრელი წყლის რეჟიმის შენარჩუნების
მიზნით, ნიადაგის წყლისმიერი ეროზიის, წყალ-
სატევების დაღამების, წყლის ცხოველთა ბინად-
რობის პირობების გაუარესების თავიდან ასაცი-
ლებლად, ჩამონადენის ცვალებადობის შემცი-
რებისათვის და სხვა, იქმნება ტყეების წყალ-
დამცველი ზონები, აგრეთვე ტარდება სატყეო-
სამელიორაციო, ეროზიის საწინააღმდეგო, ჰიდ-
როტექნიკური და სხვა ღონისძიებანი სსრ კავ-
შირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით
ვათვალისწინებული წესით.

ისეთი საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა
ობიექტების განლაგების და მშენებლობის სა-
ციოების შეთანხმება, რომლებიც გავლენას ახ-
დენენ წყლის მდგომარეობაზე, აგრეთვე სპეცი-
ალურ წყალსარგებლობაზე ნებართვის მიცემი-
სას, წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და
დაცვის სქემებით და წყალსამეურნეო ბალანსე-
ვანელონ წყლის კომპლექსური გამოყენების და
დაცვის სქემებით და წყალსამეურნეო ბალანსე-
ზით, რომლებიც ითვალისწინებენ წყალმოსარ-
გებლეთა და მიწით მოსარგებლეთა ინტერესებს.

**მუხლი 106. მიწისქვეშა წყლების დაშრობი-
საგან დაცვის ღონისძიებანი**

გაზის, ნავთობის, ნახშირის და სხვა სასარ-
გებლო წიაღისეულის ძიებასთან დაკავშირებუ-
ლი საბურღავი და სხვა სამთო სამუშაოების ჩა-
ტარებისას თუ გაიხსნა მიწისქვეშა წყალმემკვე-
ლი ჰორიზონტები, სამთო სამუშაოების მწარმო-
ებელი ორგანიზაცია მოვალეა ამის შესახებ და-
უყოვნებლივ აცნობოს წყლის გამოყენების მო-
წესრიგებისა და დაცვის ორგანოებს და მიი-
ლოს ზომები მიწისქვეშა წყლების დასაცავად
დადგენილი წესით.

ის ქაბურღალები, რომლებიდანაც წყალი
თვითღინებით ამოდის, უნდა აღიჭურვოს მა-
რეგულირებელი მოწყობილობით ან უნდა იქნეს
კონსერვირებული ან ლიკვიდირებული სსრ კავ-
შირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით
დადგენილი წესით.

მიწისქვეშა წყლების ყველა წყალაღმები,
რომლებიც სახელმწიფო დაწესებულებათა, სა-
წარმოთა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერა-
ციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა გამ-
გებლობაშია, აღჭურვილი უნდა იქნეს მოწყო-
ბილობით წყლის დონეზე სისტემატური დაკ-
ვირებისათვის და წყალსაზომით წყლის დეაი-
ტის დასადგენად ექსპლუატაციის პროცესში.

თ ა ვ ი XXVII

**წყლის მავნე ზემოქმედების
აცილება და ლიკვიდაცია**


**მუხლი 107. საწარმოების, დაწესებულებებისა
და ორგანიზაციების მოვალეობა წყლის მავნე
ზემოქმედების აცილებისა და ლიკვიდაციისათვის**

საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზა-
ციები მოვალენი არიან, წყლის გამოყენების
მოწესრიგებისა და დაცვის ორგანოებთან, მშრო-
მელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების
აღმასრულებელ კომიტეტებთან და სხვა დაინ-
ტერესებულ სახელმწიფო ორგანოებთან შეთან-
ხმებით ან საამისოდ უფლებამოსილი სახელმწი-
ფო ორგანოების მითითებით განაზოციელონ
წყლის ისეთი მავნე ზემოქმედების თავიდან აცი-
ლებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებანი, რო-
გორიც არის:

წყალდიდობა, დატბორვა და წყლის შედ-
გომა;

ნაპირების რღვევა, დამცველი ჯებირების და
სხვა ნაგებობათა დანგრევა;

მიწების დაჭაობება და დამლაშება;
ნიადაგის ეროზია, ხრამების, მეწყრების,
ღვარცოფებისა და სხვა მავნე მოვლენათა წარ-
მოქმნა.



მუხლი 108. წყლის მავნე ზემოქმედებით გამოწვეული სტიქიური უბედურების აცილებისა და ლიკვიდაციის გადაუდებელი ღონისძიებანი

წყლის მავნე ზემოქმედებით გამოწვეული სტიქიური უბედურების აცილებისა და ლიკვიდაციის გადაუდებელ ღონისძიებათა გატარებას აწესრიგებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

წყლის მავნე ზემოქმედებით გამოწვეული სტიქიური უბედურების აცილებისა და ლიკვიდაციის გადაუდებელ ღონისძიებებს ახორციელებენ წყალდიდობის საწინააღმდეგო და სხვა სპეციალური კომისიები, რომლებსაც ჰქმნიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, ავტონომიური სსრ მინისტრთა საბჭოები, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

ამ კომისიების მითითებანი სავალდებულოა ყველა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისა და მოქალაქისათვის.

მუხლი 109. წყლის მავნე ზემოქმედების აცილების და ლიკვიდაციის ღონისძიებათა დაგეგმვა წყლის მავნე ზემოქმედების აცილების და ლიკვიდაციის ღონისძიებანი გათვალისწინებული უნდა იქნეს სახალხო მეურნეობის სახელმწიფო გეგმებით.

პ ა რ ი IV

წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვა და აღკვეთა

მუხლი 110. წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის და დაგეგმვის ამოცანები

წყლის და მისი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვა თავის ამოცანად ისახავს წყლის რაოდენობისა და ხარისხის, მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის მისი გამოყენების მონაცემების დადგენას.

წყლის გამოყენების დაგეგმვა უნდა უზრუნველყოს წყალმოსარგებლეთა შორის წყლის მეცნიერულად დასაბუთებული განაწილება მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო საჭიროების პირველ რიგში დამაყოფილებით, წყლის დაცვა და მისი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილება.

წყლის გამოყენების დაგეგმვისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს სახელმწიფო წყლის კადასტრის მონაცემები, წყალსამეურნეო ბალანსები, წყლის კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემები.

მუხლი 111. სახელმწიფო წყლის კადასტრი
სახელმწიფო წყლის კადასტრი შეიცავს რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით წყლის აღრიცხვის, წყალსარგებლო-

ბის რეგისტრაციის მონაცემებს, აგრეთვე წყლის გამოყენების აღრიცხვის მონაცემებს.

მუხლი 112. წყალსამეურნეო ბალანსები

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად წყალსამეურნეო ბალანსები, რომლებშიც შეფასებულია წყლის არსებობა და მისი გამოყენების ხარისხი, დგება აუზების, ეკონომიური რაიონების, მოკავშირე რესპუბლიკებისა და სსრ კავშირის მიხედვით.

მუხლი 113. წყლის კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემები

წყლის კომპლექსური გამოყენების და დაცვის გენერალური და აუზისეული (ტერიტორიული) სქემები განსაზღვრავენ ძირითად წყალსამეურნეო და სხვა ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს მოსახლეობის და სახალხო მეურნეობის წყალზე პერსპექტიულ მოთხოვნილებათა დამაყოფილებისათვის, აგრეთვე წყლის დაცვისა და მისი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის.

მუხლი 114. წყლისა და მისი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის, სახელმწიფო წყლის კადასტრის წარმოების, წყალსამეურნეო ბალანსების შედგენისა და წყლის კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემების შემუშავების წესი

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად წყლისა და მისი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვა, სახელმწიფო წყლის კადასტრის წარმოება, წყალსამეურნეო ბალანსების შედგენა და წყლის კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემების შემუშავება ხორციელდება სახელმწიფოს ხარჯზე და სსრ კავშირისათვის ერთიანი სისტემით.

წყლის და მისი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის, სახელმწიფო წყლის კადასტრის წარმოების, წყალსამეურნეო ბალანსების შედგენისა და წყლის კომპლექსური გამოყენების და დაცვის სქემების შემუშავების წესს ადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

პ ა რ ი V

პასუხისმგებლობა წყლის კანონმდებლობის დარღვევისათვის

მუხლი 115. წყალზე სახელმწიფო საკუთრების უფლების დამარღვევი გარიგების ბათილობა
წყალსარგებლობის უფლების დათმობა და სხვა გარიგებანი, რომლებიც აშკარად თუ ფარული ფორმით არღვევენ წყლის სახელმწიფო საკუთრების უფლებას, ბათილია.

მუხლი 116. სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა წყლის კანონმდებლობის დარღვევისათვის

იმ პირს, რომელსაც ბრალი მიუძღვის ამ კოდექსის 115-ე მუხლში მითითებული გარჩევების დადებაში, აგრეთვე:

წყლის ობიექტების თვითნებურად დაკავებაში, ან თვითნებურ წყალსარგებლობაში.

წყალსარგებლობის გეგმების დარღვევით წყლის აღებაში;

წყლის გაჭუჭყიანებასა და დანაგვიანებაში; ისეთი საწარმოების, კომუნალური და სხვა ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემაში, რომლებიც აღჭურვილი არ არიან წყლის გაჭუჭყიანების, დანაგვიანებისა და მისი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის საჭირო ნაგებობებითა და მოწყობილობებით;

იმ წყლის უყაირათო გამოყენებაში, რომელიც მოპოვებულია ან გაყვანილია წყლის ობიექტებიდან,

წყალშემკრებებში წყალდაცვის რეჟიმის დარღვევაში, რაც იწვევს მათს გაჭუჭყიანებას, ნიადაგის წყლისმიერ ეროზიასა და სხვა მავნე მოვლენებს,

ჰიდროტექნიკური და წყლის მდგომარეობაზე გავლენის მქონე სხვა სამუშაოების თვითნებურად წარმოებაში,

წყალსამეთურნეო ნაგებობებისა და მოწყობილობების დაზიანებაში,

წყალსამეთურნეო ნაგებობათა და მოწყობილობათა ექსპლუატაციის წესების დარღვევაში, — ეკისრება სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა სსრ კავშირის და

საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს სსრ კანონმდებლობით შეიძლება დაწესდეს პასუხისმგებლობა წყლის კანონმდებლობის სხვა სახის დარღვევებისათვისაც.

მუხლი 117. დისციპლინური და საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების გამოყენება

იმ მუშაკების მიმართ, რომლებიც არ იცავენ წყლის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის წესებს ან არღვევენ სხვა წყალმოსარგებლეთა კანონით დაცულ უფლებას, გამოიყენება დისციპლინური და საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები დადგენილი წესით.

მუხლი 118. თვითნებურად დაკავებული წყლის ობიექტების დაბრუნება

თვითნებურად დაკავებული წყლის ობიექტები დაბრუნებულ უნდა იქნეს კუთვნილებისამებრ იმ ხარჯების აღნაზღაურებლად, რომლებიც გაწეულია უკანონო სარგებლობის დროს.

მუხლი 119. წყლის კანონმდებლობის დარღვევის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მოქალაქეები მოვალენი არიან ანაზღაურონ წყლის კანონმდებლობის დარღვევით გამოწვეული ზარალი იმ რაოდენობით და იმ წესით, რომელსაც ადგენს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობა. თანამდებობის პირებს და სხვა მუშაკებს, რომელთა ბრალით საწარმომ, დაწესებულებამ და ორგანიზაციამ გაწია ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ხარჯები, ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა დადგენილი წესით.



გულთბილი შეხვედრა

31 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს დამთავრების 20 წლისთავი. შეხვედრა გახსნა კურსდამთავრებულმა რ. გულუამ. სტუდენტთა ჟურნალი ამოიკითხა ა. ჯოსაძემ. მოგონებებით გამოვიდნენ: კურსდამთავრებულებიდან — შ. აბულაძე, ბ. ლანიშაშვილი, ა. მამულაშვილი, ა. კოსრეიძე; ლექტორ-

მასწავლებლებიდან — გ. ინწკირველი, ნ. ლომსაძე, გ. ერემოვი, ი. ნატროშვილი, გ. ჟვანია, ბ. კარტოზია, გ. შუშანაშვილი. შეხვედრამ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

შ. აბულაძე,
ადიგენის შს რაი განყოფილების უბნის
ინსპექტორი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი.

კითხვა-პასუხის საღამო

საჩხერის რაიონული კულტურის სახლმა და საზოგადოება „ცოდნამ“ მოაწყეს კითხვა-პასუხის საღამო თემაზე: „სამართლებრივი ცოდნა მასებს“. საღამო გახსნა საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიონული კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ გ. აბჟანდაძემ.

დანსწრეთა დასმულ კითხვებს პასუხები გასცეს საჩხერის რაიონის პროკურორმა გ. მჭედლიშვილმა და შსს საჩხერის რაიგანყოფილების უფროსმა დ. ფატარიძემ.

ა. ანასაშვილი.

3369 50 353.

60/139
ИНДЕКС

СОВЕТСКОЕ ПРАВО № 3

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Министерства Юстиции Грузинской ССР